საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტი

მანანა გაბაშვილი

საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში

მეცნიერება
თბილისი
1981

9 (С 41)
63.3 (2 Г)
9 (47.922)
ბ 123

გამოკვლევაში ქართული და უცხოური წყაროების საფუძველზე შესწავლილია XI—XII სს. საქართველოს ქალაქების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ეითარება. დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებთან ერთად გამოყენებულია „ვეფხისტყაოსნის“ ურბანისტიკული ტერმინოლოგია, გათვალისწინებულია აგრეთვე ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალები.

Г $\frac{10604}{М\ 607\ (06)—81}$ 134—81

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981

I. წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

XI—XII საუკუნეების საქართველოს ქალაქების და, კერძოდ, თბილისის ისტორია სათანადოდ არ არის შესწავლილი.

იმდროინდელი საქართველოს ქალაქები არ ყოფილა მონოგრაფიული კვლევის საგანი. საერთოდ შუა საუკუნეების ქალაქების შესწავლას დიდ დაბრკოლებას უქმნის ის, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ქალაქების შესახებ დაცულია მცირე, ფრაგმენტალური ხასიათის ცნობები.

ამასთან, ფეოდალური ხანის არქეოლოგია ჩვენში არ იყო იმდენად განვითარებული, რომ მას ნივთიერი მასალებით სარგებლობის შესაძლებლობა მოეცა.

ვითარება ამ მხრივ მკვეთრად შეიცვალა უკანასკნელ წლებში. XI—XII სს. საქართველოს ქალაქების შესახებ საისტორიო-სამეცნიერო ლიტერატურაში შემოვიდა ახალი (უპირატესად აღმოსავლური) წერილობითი მასალები, გაიზარდა არქეოლოგიური მონაპოვარი, გამოქვეყნდა მონოგრაფიული გამოკვლევები ადრეფეოდალური (VI—X სს.), შუაფეოდალური (XI—XIII სს.) და გვიანდელი XVI—XVIII სს.) საქართველოს ქალაქების შესახებ.

ყველა ამან მნიშვნელოვნად განაპირობა XI—XII სს. საქართველოს ქალაქების მონოგრაფიულად შესწავლის შესაძლებლობა.

სამწუხაროდ, მასალის სიმცირე ჯერჯერობით არ იძლევა XI—XII სს. ქართულ ქალაქებთან და საქალაქო ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა მოვლენის დამაჯერებლად და მთლიანად შესწავლა-გაშუქების შესაძლებლობას.

სრულიად გარკვეული მიზეზების გამო, XII ს. საქართველოს ქალაქებიდან თბილისზე შედარებით მეტი და მრავალფეროვანი ცნობებია შემონახული ქართულ წერილობით წყაროებში. ამას უნდა დაემატოს უკანასკნელი დროის არქეოლოგიური აღმოჩენებიც, რამაც გაამდიდრა ჩვენი ცოდნა XII საუკუნის თბილისზე და, ამავე დროს, მოგვ-

ცა არქეოლოგიური მასალების წერილობით წყაროებთან შეჯერების შესაძლებლობა.

ამით აიხსნება, რომ წინამდებარე გამოკვლევაში ყურადღება XII ს-ის თბილისზე არის გამახვილებული.

ცნობები XII ს-ის საქართველოს ქალაქებისა და თბილისის შესახებ მეტ-ნაკლები სისრულითა და რაოდენობით მოიპოვება როგორც ქართულ, ისე აღმოსავლურ წყაროებში.

რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ სათანადოდაა გათვალისწინებული X ს. წყაროთა ცნობებიც.

თბილისის შესახებ არსებული ქართული წყაროებიდან უაღრესად საყურადღებოა ქართლის მატიანე. ეს საინტერესო ნაწარმოები XI ს-ის 70-იანი წლების ბოლოს არის დასრულებული, იქ მოთხრობილი ამბები კი თანამედროვე ავტორის მიერ აღწერილი.

„ქართლის მატიანეში" საინტერესო მასალებს ნახულობს XI ს-ის თბილისის პოლიტიკური ისტორიის მკვლევარი. ქრონოლოგიურად თბილისის ისტორიის სხვადასხვა მოვლენები თავსდება 40—70-იან წლებში და მოიცავს თბილისის ამირას ხელისუფლების დაკნინებისა და ტფილელ ბერთა აღზევება-გაძლიერების პერიოდს. ფაქტიურად ასეთ პოლიტიკურ ფონზეა გაშლილი თხზულებაში ბაგრატ IV-ის ბრძოლა თბილისის შემომტკიცებისათვის. ამიტომაა, რომ „ქართლის მატიანეში" მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ტფილელ ბერთა მოღვაწეობას, მათ დამოკიდებულებას ბაგრატ IV-სთან და მათსავე ურთიერთობას ამირას ხელისუფლებასთან.

„ქართლის მატიანეში" საკმაოდ დაწვრილებით აღწერილი ტფილელ ბერთა ბრძოლა და ამ ბრძოლის პოლიტიკური შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს სათანადოდ გავითვალისწინოთ და შევაფასოთ ის ცნობები, რომლებსაც XI ს-ის მეორე ნახევრის და XII ს. დამდეგის თბილისის შესახებ აღმოსავლურ წყაროებში ვნახულობთ.

XI ს. პირველი მეოთხედის თბილისის ისტორიის აღსადგენად საგულისხმო ცნობებს ვპოულობთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში. ეს ქართველი ისტორიკოსიც, „ქართლის მატიანეს" ავტორის მსგავსად, აღწერილი მოვლენების თანდამხვდური და თვითმხილველი იყო. ეს, ცხადია, ზრდის მისი ცნობების ღირსებას და მნიშვნელობას.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აღწერილი აქვს თბილისის შემოერთებასთან დაკავშირებული მოვლენები, თბილისში მიმდინარე მღელვარებანი (შეტაკებანი მუსლიმანურ და ქრისტიანულ მოსახლეობას შორის) ტფილელ (და აგრეთვე დმანელ და განძელ) ვაჭართა პოლიტიკური (და ამასთან ეკონომიკური) პოზიცია.

საქართველოს მეფის ხელისუფლების გაძლიერებასთან დაკავშირებით აღწერილია დავით აღმაშენებლის ღონისძიებანი ქალაქებისა და სავაჭრო გზების კეთილმოწყობის მიზნით და სხვ.

გარდა ნარატიული წყაროებისა, XI—XII სს. საქართველოს ქალაქებთან დაკავშირებული მასალა მიმოფანტულია თანამედროვე დოკუმენტურ ძეგლებში. მათი რაოდენობა, სამწუხაროდ, დიდი არაა, მაგრამ ის რაც ჩვენს განკარგულებაშია, შეიცავს უაღრესად საყურადღებო ცნობებს XI—XII სს. თბილისის მართვა-გამგეობის გასათვალისწინებლად. და, საზოვადოდ, მუსლიმანთა ბატონობისაგან განთავისუფლებული და კვლავ საქართველოს დედაქალაქად გადაქცეული თბილისის ისტორიის აღსადგენად.

მხედველობაში გვაქვს ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა გიორგი II-ის 1072 წლის სიგელი[1], დავით აღმაშენებლის ანდერძი[2], გიორგი III-ის 1170 წლით დათარიღებული საბუთი[3].

ამ დოკუმენტთა შინაარსი უპირატესად თბილისს და თბილისში დადასტურებულ არაბული წარმოშობის საქალაქო თანამდებობებს (რაისი, მუჰთასიბი, ამიდი და სხვ.) ეხება. გიორგი II-ის 1072 წ. სიგელში კი პროვინციულ შურტებზე არის საუბარი.

საქართველოს ისეთი ქალაქების გამო, როგორიც იყო რუსთავი, დმანისი, სამშვილდე და სხვ. ქართულ წყაროებში მხოლოდ კანტიკუნტი ცნობები გვხვდება. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ დასავლეთ საქართველოს ქალაქების მიმართ.

ზოგიერთ ქალაქთან დაკავშირებით წერილობით წყაროებში მათი სახელწოდების უბრალო ფიქსაციასთან გვაქვს საქმე. ამიტომ XI—XII სს. საქართველოს ქალაქების შესწავლისას, როცა წერილობითი წყაროები სდუმან, მთავარი მნიშვნელობა ენიჭებათ ეპიგრაფიკულსა (ატენის სიონის წარწერა)[4] და ნუმიზმატიკურ მასალებს. ნუმიზმატიკური მასალების ანალიზის შედეგად XI—XII სს. საქართვე-

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, ტფ., 1896, გვ. 9—12; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 10—12.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 18—20.

[3] საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, ტფ., 1926. გვ. 4—5; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 20—24.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის ტ. 1, თბ., 1946, გვ. 33—35; თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 39, ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.

ლოს ქალაქების ეკონომიკური ცხოვრების არა ერთი საყურადღებო ფაქტის თუ მოვლენის აღდგენა არის შესაძლებელი.

მაგრამ ამ მხრივ მაინც განსაკუთრებულია არქეოლოგიური მასალების მნიშვნელობა. ასეთი მასალები სულ უფრო და უფრო მრავლდება ინტენსიური არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ფეოდალური ხანის ქართული ქალაქების არქეოლოგიურმა შესწავლამ მყარი საფუძველი შეუქმნა ქართული ურბანისტიკის განვითარებას, ფეოდალური საქართველოს ქალაქების ისტორიის სხვადასხვა საკითხის დასმას და გაშუქებას. არქეოლოგიური მონაპოვარი უტყუარ წარმოდგენას გვაძლევს ქალაქის გარეგან სახეზე (რაც თავის მხრივ შესაძლებელს ხდის ქალაქის სოციალური სტრუქტურის და კლასობრივი განშრეების გათვალისწინებას), გვირკვევს ქალაქის ტერიტორიულ გავრცელების არეს, მოსახლეობის რაოდენობას მატერიალურ-კულტურულ დონეს. გვისურათებს ხელოსნობას და ხელოსნობის დარგებს, სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ხასიათს და სხვ.

XI—XII სს. საქართველოს ქალაქების შესწავლისას შეიძლება გამოვიყენოთ მხატვრული ნაწარმოებიც („ვეფხისტყაოსანი", „ვისრამიანი"...), ვინაიდან ასეთ ნაწარმოებებში საკმაო რაოდენობითაა დაცული ურბანისტული ტერმინოლოგია.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს".

ამიტომაა რომ ჩვენს გამოკვლევაში V თავი დავუთმეთ „ვეფხისტყაოსნის" ურბანისტიკულ ტერმინოლოგიას („ყოველი ერი". „ქალაქის ერი", „ქალაქის კრებული"...) და ამის მიხედვით ქალაქის საზოგადოებრივი ფენების შესწავლას.

ქართული წყაროების ცნობებს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემებით ავსებენ XI—XII სს. აღმოსავლური წერილობითი წყაროები, მათი უმრავლესობა, როგორც ცნობილია, ეხება არა მთლიანად საქართველოს ქალაქებს, არამედ უმთავრესად თბილისსა და თბილისში მომხდარ მოვლენებს.

X—XIII სს. თბილისის შესახებ არა ერთი საყურადღებო ცნობა მოეპოვებათ ისეთ ავტორებს, როგორიც არიან: ალ-ისთახრი, იბნ-ჰაუკალი, ფაკიჰი, ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი, ჰაკუთი, ალ-იდრისი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზი, ზაქარია ყაზვინი და სხვ.

ასევე საყურადღებოა სპარსული გეოგრაფიული თხზულების ანონიმური ავტორების ცნობები (X ს. „ჰოდუდ ალ-ალემ", XIII ს. დამდეგის „აჯაიბ ად-დუნია").

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ XI—XII საუკუნეების

ისეთ აღმოსავლელ ისტორიკოსებს, როგორიც იყვნენ ფაკიჰი და ალ-ფარიკი.

ანონიმ-ავტორს ვინმე ფაკიჰს თავისი ნაშრომი „დარუბანდის და შირვანის ისტორია“ («تاريخ الباب و شروان» — „თარიხ ალ-ბაბ ვა შარვან“) დაუსრულებია 500/1106 წელს, ხოლო ამბების თხრობა მასში მოტანილია 468/1075 წლამდე. ამრიგად ჩვენ საქმე გვაქვს აღწერილი მოვლენების თანადამხვდურთან და თვითმხილველთან. მაგრამ, სამწუხაროდ, მის თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. დასახელებული ნაშრომიდან ნაწყვეტები შემოგვინახა თურქმა ისტორიკოსმა მუნეჯიმ-ბაშიმ (გარდაიცვალა მექაში 1702 წ.). როგორც ჩანს, მუნეჯიბ-ბაშის მოყავს არა უშუალოდ დედანი, არამედ შირვანისა და დერბენდიხ ისტორიის ფრაგმენტების მოკლე შინაარსი. მაგრამ როგორც გამოცდილ კომპილატორს მას არ უნდა გამორჩენოდა ფაკიჰის ქრონიკაში აღწერილი მოვლენების არსებითი მხარეები[5].

საქართველოს ქალაქების ისტორიის მკვლევრისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფაკიჰის თხზულების სწორედ ის ნაწილი, რომელიც ავსებს „ქართლის მატიანეს“ ცნობებს XI ს. II ნახევრის თბილისის შესახებ.

აღნიშნულ ნაწყვეტში აღწერილია ჯაფარიანთა საგვარეულოს ამირას მოღვაწეობა და, საზოგადოდ, ის მოვლენები, რომლებიც ამირას ხელისუფლების დაკნინებასთან და ქალაქის ბერების აღზევება-გაძლიერებასთან იყვნენ დაკავშირებულნი.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ფაკიჰის ის ცნობა, სადაც ლაპარაკია XII ს. 70-იანი წლების თბილისში მოქმედი „თბილისის კეთილშობილთა ჯგუფის“ შესახებ. ამან საშუალება მოგვცა დაგვენახა განსხვავება (სოციალური თვალსაზრისით) „თბილისის კეთილშობილთა ჯგუფსა“ და „თბილისის ხალხს“ შორის, რომელიც ალ-ფარიკის ცნობის მიხედვით XI ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან მოყოლებული მთელი 40 წლის განმავლობაში თბილისში იყო გაბატონებული.

ფაკიჰის ნაშრომი 1953 წ. გამოსცა ვლ. მინორსკიმ (თარგმანითა და კომენტარებით)[6]. ვ. მინორსკის პუბლიკაციის საფუძველზე რუსული თარგმანი შეასრულა ა. მამედოვმა[7]. 1958 წ. გამოქვეყნდა „შირ-

---

[5] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, М., 1963, с. 18.

[6] V. Minorsky, Studies in Caucasian History, The Oriental Series of the University of Cambridge, vol. YI. London, 1953.

[7] А. Мамедов, Ахмед ибн Лютфуллах (Мунеджим-баши), «Джами ад-дувал», Труды Института истории АН Аз ССР XIII, Баку, 1957

ვანისა და დერბენდის ისტორია“ ვ. მინორსკის ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებით[8]. ვ. მინორსკის დასახელებული პუბლიკაცია გაბოკვლევითა და კომენტარებით რუსულ ენაზე 1963 წ. გამოსცა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიამ[9]. ამ ახალ გამოცემაში მონაწილეობა მიიღო თვით ავტორმა, რომელმაც მასში მთელი რიგი დამატებანი და შესწორებანი შეიტანა.

XI ს-ის უკანასკნელი მეოთხედის და XII ს-ის პირველი მეოთხედის თბილისის ისტორიისათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა და ადგილი ენიჭება ალ-ფარიკის თხზულებას „მაიაფარიკინის ისტორიას“[10].

ალ-ფარიკი ბევრს მოგზაურობდა. ნამყოფი იყო სირიაში, ბაღდადში, სომხეთში. 1153 წ. იგი ჩამოვიდა საქართველოში და ერთხანს მსახურობდა დემეტრე მეფის კარზე. საქართველოში მან რამდენიმე წელი დაჰყო. მანვე, სხვათა შორის, მოინახულა დიდგორის ბრძოლის ადგილები და, როგორც ჩანს, გულდასმით გაეცნო თბილისის თავგადასავალს მის განთავისუფლებამდე და განთავისუფლების შემდეგ. ამრიგად, მას შეეძლო სათანადო ცნობები შეეგროვებინა იმათ შორის, ვინც თბილისში XI ს. დამლევს და XII ს. დამდეგს დატრიალებული ამბების თანადამხდური ან თვითმხილველი იყო.

ალ-ფარიკის მიერ აღწერილი ყველაზე საყურადღებო მოვლენა, „ხალხის“ მმართველობა თბილისში, ქრონოლოგიურად თავსდება 1082—1122 წლებში[11].

ამავე პერიოდს და ამავე მოვლენას ეხება არაბულენოვანი სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობაც[12].

სიბტ იბნ ალ-ჯაუზი შედარებით გვიანდელი ხანის მოღვაწეა (1186—1257), მაგრამ, როგორც ჩანს, იგი სარგებლობდა ალ-ფარიკის იმ ცნობებით, რომელთა შინაარსი 1082—1122 წლების თბილისში მომხდარ ამბებს ეხება. ეს ჩვენ გვაძლევს ალ-ფარიკის (ადრინდელი)

---

[8] V. Minorsky, A History of Sharvan and Darband in the 10—th-11th Centuries, Cambridge, 1958.

[9] В. Ф. Минорский, История ширвана и Дербенда X—XI веков. М., 1963.

[10] გ. წ ერ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 68—75; ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. 8, თბ., 1942.

[11] შ მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 63.

[12] ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, თსუ. შრ., ტ. 118, 1967 გვ. 204—206.

და სიბტ იბნ ალ- ჯაუზის (გვიანდელი) ცნობების ურთიერთშეჯერების შესაძლებლობას.

გარდა პოლიტიკური ისტორიისა, აღმოსავლური წყაროები საინტერესო მასალებს გვაწვდის საქართველოს ქალაქების სავაჭრო-ეკონომიკური ცხოვრებისათვის, კერძოდ კი, თბილისის ეკონომიკური ისტორიისათვის.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა XII ს-ის მეორე ნახევრის ავტორის ნაჯიბ ჰამადანელის თხზულება „აჯაიბ ალ მახლუკათ ვა ღარაიბ ალ-მავჯუდათ"-ის („ქმნილებათა საკვირველებანი და არსებულის იშვიათობანი"), სადაც თბილისი დახასიათებულია, როგორც დიდი და სიკეთით აღსავსე ქალაქი[13].

ნაჯიბ ჰამადანელის კოსმოგრაფიულ-გეოგრაფიული თხზულება სპარსულ ენაზეა დაწერილი. მისი საუკეთესო და უძველესი ნუსხა პარიზშია დაცული, ლენინგრადში ამ ნაწარმოების ორი ხელნაწერი ინახება (D 129 და A 453), ორივე ნაკლულია[14]. ჰამადანელის ხელნაწერების აღწერილობა მოცემული აქვთ აღმოსავლეთმცოდნეებს ვ. პერჩს, მ. ფლიშგელს და ვ. როზენს. ჰამერმა და დორნმა ფართო ადგილი დაუთმეს აღნიშნულ თხზულებას თავიანთ გამოკვლევებში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ წლებში შემოვიდა ალ-ჰუსეინის ცნობები თბილისის შესახებ.

სადრ ად-დინ აბულ-ჰასან ალ-ჰუსეინი XII ს. მიწურულისა და XIII ს. პირველი ნახევრის ისტორიკოსია[15]. არაბულ ენაზე დაწერილ თხზულებაში „ახბარ ად დავლათ ას-სელჩუკია" („სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია") მას მოცემული აქვს XI ს. 60-იანი წლების თბილისის აღწერილობა და ვანსაზღვრული აქვს აგრეთვე იმდროინდელი თბილისის ტერიტორიული ფართობი[16].

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ სპარსელი ანონიმური ავტორის

---

[13] Н. Д. Миклухо-Маклай, Географическое сочинение XIII в. на перс. яз. Уб. зап. ИВАН СССР, М.—Л., 1954, № 9, с. 186.

[14] რ. კიკნაძე, XI—XII სს. თბილისის ისტორიიდან (აღმოსავლური წყაროების მიხედვით), ისტორიის ინსტიტუტის შრ., ტ. 5, ნაკვ. I, 1960, გვ. 128.

[15] ნ. შენგელია, სადრ ად-დინ აბულ ჰასან ალ-ჰუსეინი XI—XII სს. საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ, ისტორიის ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესია, სესიის მუშაობა, გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1969, გვ. 10.

[16] الحوسينى ، اخبار الدولة السلجوقية მუჰამედ იკბალის გამოცემა, ლაჰორი, 1933, თარგმანი, ნ. შენგელიასი (ხელნაწერი), გვ. 43—44. Садр ад—дин 'Алӣ ал-Хусайнӣ, Аҳбар ад-даулат ас-Седжӯқӣйа (Зубдат ат-таварих), Издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Буниятова, М , 1980. არაბული ტექსტი, გვ. 74, რუსული თარგმ. გვ. 55.

თხზულება („აჯაიბ ად-დუნია“—„სამყაროს საკვირველებანი“— რომელიც შედგენილია XIII ს. 20-იან წლებში).

„აჯაიბ ად-დუნია“ მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის XII ს. მიწურულისა და XIII ს. დამდეგის თბილისის და თბილისური აღებ-მიცემის შესახებ[17]. ანონიმი ავტორი მეტ-ნაკლებად აღწერს აგრეთვე თბილისის გარეგნულ სახეს, მოსახლეობას და მიუთითებს სავაჭრო უბნების ადგილმდებარეობას[18]. თხზულებიდან ჩანს, რომ აჯაიბ ად-დუნიას ავტორს ბევრი უმოგზაურია, ყოფილა მექაში, ჰიჯაზში, ინდოეთში, ერაყში, ირანში, არაბეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში, კერძოდ კი თბილისში[19]. ამიტომ იგი ბევრი აღწერილი მოვლენის უშუალო მოწმე და თვითმხილველი ყოფილა. გარდა ამისა, მას გამოუყენებია თავისი წინამორბედი ისტორიკოსების და გეოგრაფების ნაშრომები, მათ შორის ნაჯიბ ჰამადანელის თხზულება.

ასევე მნიშვნელოვანია და მრავალმხრივ საყურადღებო ზაქარია ბენ მოჰამედ ბენ მაჰმუდ აბუ იაჰია ყაზვინის (1203—1283) ცნობები XI—XIII სს. თბილისის ეკონომიკური ისტორიის აღსადგენად.

ზაქარია ყაზვინის თხზულება «آثار البلاد و اخبار العباد» („ასარ ალ ბილად ვა ახბარ ალ-იბად“ — „ქვეყნიერების ძეგლები და ცნობები ალაჰის მონათა შესახებ“[20], შედგენილია 674 წ. (1275—1276 წწ), არაბულ ენაზე და გეოგრაფიული ენციკლოპედიის ხასიათს ატარებს, მას მოყვანილი აქვს ნაწყვეტები თავისი თანამედროვე და წინამორბედი 50-ზე მეტი ავტორის თხზულებებიდან (აბუ-რ-რაბი, სულეიმან ალ-მულტანა, ალ-ისთახრი, იბნ-სინა, იბნ-ფადლანი და სხვ.), რომელთაგან ზოგიერთს ჩვენამდე არ მოულწევია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ზაქარია ყაზვინის ცნობებს თავდაპირველად აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება და სათანადო კომენტარებიც გაუკეთა მას[21].

---

[17] Н. Д. Миклухо-Маклай, დასახ. ნაშრ., გვ. 203, ფ. 199; რ. კიკნაძე, „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ.. 1978, გვ. 28—29.

[18] Н. Д. Миклухо-Маклай იქვე, გვ. 202, 203, ფ. 198, რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

[19] Н. Д. Миклухо-Маклай, დასახ. ნაშრ., გვ. 182—183; რ. კიკნაძე, იქვე, გვ. 14—15.

[20] آثار البلاد و اخبار العباد زكريا بن محمد بن محمود القزويني, ed T. Wüstenfeld, Göttingen, 1847, 247, გვ. 349—359.

[21] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, ტფ., 1930, გვ. 115.

ზაქარია ყაზვინის ცნობების ქართული თარგმანი შესრულებულია ო. ცქიტიშვილის მიერ[22].

ზაქარია ყაზვინის დასახელებული და ჩამოთვლილი აქვს თბილისური წარმოშობის მრავალფეროვანი საქონელი. ზაქარია ყაზვინის ცნობების შეჯერება XIII ს. სპარსელი ანონიმური ავტორისა და არაბსპარსელ ისტორიკოსთა ანალოგიური ხასიათის ცნობებთან შესაძლებლობას გვაძლევს შევადგინოთ თბილისში დამზადებული საქონლის მრავალფეროვანი და საკმაოდ ვრცელი ნუსხა.

თბილისს აღწერს აგრეთვე XIII ს. შუაზიელი ისტორიკოსი შოჰამედ ნესევი—ჯალალ ედ-დინის ლაშქრობების მონაწილე და მისი კანცელარიის მდივანი[23].

ქ. დმანისის საექსპორტო საქონელი აღნიშნული აქვს XIII ს. ავტორს ბაკუთს[24].

დავით აღმაშენებლის მიერ სავაჭრო-ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებასთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიებები აღწერილი აქვს შემს ედ დინ იუსუფს[25].

გვიანდელი ხანის ისტორიკოსებიდან თბილისის შესახებ ცნობები მოეპოვება აბდ არ რაშიდ ალ-ბაკუვის, ალ-ბაკუვი XIV ს. მეორე ნახევარსა და XV ს. დასაწყისში მოღვაწეობდა. ერთადერთი სრული ხელნაწერი ალ-ბაკუვის შრომისა ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (№ 585). ალ-ბაკუვის შრომა წარმოადგენს ზაქარია ყაზვინის თხზულების შემოკლებულ რედაქციას[26]. ავტორს განსაზღვრული აქვს თბილისის მდგომარეობა და მოცემული აქვს თბილისის

---

[22] ზაქარიია ალ-ყაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, არაბულ ტექსტს შესავალი, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ო. ცქიტიშვილმა, თბ., 1975.

[23] Mohammed en Nesewi, Histoire du sultan Djelal ed-Din Mankobirti prince du Kharesm, Traduit de l'arabe par O. Houdas, Paris, 1895., Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Насави, Жизнеописание султана Джалал ад-Дин Манкбурны, Перевод с арабского, предисловие, комментарии примечания и указатели З. М. Буниятова, Баку, 1973, с. 167—168.

[24] ياقوت ، معجم البلدان ed. Wüstenfeld, B. III, Leipzig, 1866, 505, ე. სიხარულიძე, ბაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 57.

[25] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ., 1907, გვ. 22.

[26] Абд ар-рашид ал-Бакуви, Китаб талхис ал-асар ва аджаиб ал малик ал каххар («Сокращение [книги о]памятниках и чудесах царя могучего») издание текста, перевод, предисловие, примечания и приложения З. М. Буниятова, М., 1971, С. 6.

გარეგნული აღწერის ცდა. ალ-ბაკუვი ეხება აგრეთვე თბილისის მოსახლეობის რელიგიას.

შედარებისათვის ვითვალისწინებთ ადრეული ხანის, კერძოდ, X ს-ის არაბი და სპარსელი ისტორიკოსების, გეოგრაფებისა და მოგზაურების იმ მონაცემებსაც. რომლებიც თბილისის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ასპექტში განიხილავენ (ალ-ისთახრი, იბნ-ჰაუკალი. ანონიმური ავტორის „ჰოდუდ ალ-ალემი“).

ამიერკავკასიაზე და თბილისზე გამავალი სავაჭრო გზების შესახებ, დაწვრილებით, ცნობები დაცულია არაბი გეოგრაფების იბნ ხორდადბეჰის, ალ-ისთახრის, იბნ ჰაუკალის, მუკადდასის, ჯაკუთის და სხვათა თხზულებაში[27].

ქართული ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების აღნიშნულ მოვლენებს გარკვეული ადგილი ეთმობა აგრეთვე ბიზანტიურსა და სომხურ წყაროებში. მაგრამ ჩვენ ძირითადად გამოყენებული გვაქვს აღმოსავლური წყაროები.

ყურადღება მივაქციეთ იმ არაბ თუ არაბულენოვან ისტორიკოსთა ცნობებსაც, რომლებსაც აღნიშნული აქვთ დავით აღმაშენებლის შემწყნარებლობითი პოლიტიკა თბილისის მუსლიმანი მცხოვრებლების მიმართ (ალ-აინი, შემს ედ დინ იუსუფი...).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმოსავლურ წყაროებში ცნობები უპირატესად X—XII საუკუნეების თბილისის შესახებ მოიპოვება, მაგრამ მათში ზოგჯერ დასახელებულია საქართველოს სხვა ქალაქებიც (მაგ., რუსთავი, დმანისი..). იგივე შეიძლება ვთქვათ საკუთრივ ქართული წყაროების მიმართაც.

საქართველოს ქალაქების ისტორიის შესწავლა XIX ს-ის 40-იანი წლებიდან იწყება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პლ. იოსელიანმა[28]. XIX ს. მეორე ნახევარში ქ. თბილისი ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლილი აქვთ ნ. ბერძენოვს და დ. ბაქრაძეს[29].

XIX ს. ქართველმა ისტორიკოსებმა საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ურბანისტიკას. მაგრამ ქართული ურბანისტიკის განვითარება მაინც ივ. ჯავახიშვილის სახელთან და მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. ისევე როგორც საქართველოს ისტორიის სხვა დარგები,

---

[27] ე. სიხარულიძე, ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX—X სს. არაბული წყაროების მიხედვით, კრ. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები თბ., 1963, გვ. 175—189.

[28] П. Иоселиани, Города существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850.

[29] Д. Бакрадзе и Н. Берзенов, Тифлис в историческом и этнографическом сочинениях, Тифлис, 1870.

ქართული ურბანისტიკაც, ივ. ჯავახიშვილმა მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა და პირველწყაროების ღრმა და საფუძვლიან ანალიზზე დააფუძნა.

უკვე 1907 წ. გამოცემულ „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება დაუთმო საქართველოს ქალაქებს, წყობილებას, საქალაქო ცხოვრებას. აღმოსავლურ (არაბულ, სპარსულ) წყაროებში მოიძია ქალაქების, საქალაქო წყობილების, ხელოსნობისა და ვაჭრობის ამსახველი ცნობები[30]. მან, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, ყურადღება მიაქცია არაბული წარმოშობის ისეთ საქალაქო თანამდებობებს, როგორიც იყო შურტასა და მუშრიბის თანამდებობები. ვრცლად დაახასიათა „ქალაქის ბერთა“ ინსტიტუტი. მანვე მიუთითა იმ არაბ და სპარსელ ისტორიკოსებზე, რომელთაც მოეპოვებათ ცნობები საქართველოს ეკონომიური ისტორიის და, კერძოდ, ქალაქების საქალაქო წყობილებისა და ცხოვრების შესასწავლად[31]. ამის გამო ივ. ჯავახიშვილი წერდა: „სტრაბონის შემდგომ საყურადღებო გეოგრაფიული ცნობები არაბი და სპარსელი გეოგრაფების თხზულებებშია, ამათგან ყველაზე საყურადღებო ისტაჰრის, ზაქარია ყაზვინისა და ჰამდალაჰ ყაზვინის ნაშრომებია“[32]. ივ. ჯავახიშვილს თავის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I ტომში საკმაოდ ვრცლად აქვს დახასიათებული თითოეული მათგანის მნიშვნელობა, აგრეთვე მათი გამოცემები, ხელნაწერები და თარგმანები[33].

უნდა აღვნიშნოთ, რომ 1907 წ. გამოქვეყნებულ ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ მთავარი ყურადღება X—XII საუკუნეების საქართველოს ქალაქებს ეთმობა. ამან საგრძნობლად გაგვიადვილა XI—XII სს. საქართველოს ქალაქების შესწავლა.

მომდევნო წლებში ივ. ჯავახიშვილი სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ძველ ქალაქებს, ინტენსიურად აგროვებდა მასალებს „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ იმ ტომისათვის, რომელთა შინაარსი საქართველოს ქალაქების ისტორიას, წყობილებას, ხელოსნობას და ვაჭრობას უნდა დათმობოდა.

სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილს არ დასცალდა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ დასრულება. გამოქვეყნდა მხოლოდ მისი I

---

[30] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ., 1907, გვ. 19—45.

[31] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 19—27.

[32] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბ., 1930, გვ. 114.

[33] იქვე, გვ. 114—118.

და II ტომები, მაშინ როდესაც ავტორს მისი დაწერა ხუთ ტომად ჰქონდა განზრახული.

საგულისხმო დაკვირვებანი და მოსაზრებანი საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ინსტიტუტების შესახებ მრავლად არის გაბნეული ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიაშიც“[34].

მანვე ცალკე მონოგრაფია უძღვნა XVII—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს[35].

საქართველოს ქალაქებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს ეხება აკად. ს. ჯანაშიას ის ნაშრომები, რომლებშიაც X—XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხებია შესწავლილი[36].

აკად. ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია X—XII სს. საქართველოს ქალაქებს, მათ ეკონომიკურ მდგომარეობას და სატრანზიტო გზებთან კავშირს, ქართული ქალაქების აღმავლობისა და დაქვეითების მიზეზებს[37].

ქართული ქალაქების უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხებია დასმული და გაშუქებული აკად. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევაში „აგარანი“[38].

X—XII სს. საქართველოს ქალაქების ისტორიის სხვადასხვა საკითხები (მმართველობა, მმართველობის ფორმები, სამოხელეო ორგანიზაცია და საქალაქო ინსტიტუტები, სოციალური ურთიერთობანი, მოქალაქეთა პოლიტიკური ორგანიზაცია, ხელოსნობა, ვაჭრობა, საგაჭრო ურთიერთობანი და სხვ.) შესწავლილი აქვთ: შ. მესხიას, ჰ. გუგუშვილს, მ. ლორთქიფანიძეს, ვ. ჩანტლაძეს, ვ. გაბაშვილს, ვ. კოპალიანს, ლ. ჭილაშვილს, დ. მუსხელიშვილს, ო. ცქიტიშვილს და სხვ.

პროფ. შ. მესხიას მონოგრაფიულ გამოკვლევაში „საქალაქო კო-

---

[34] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, ტფ. 1928, გვ 55, 214—215; II, ნაკვ. 2, ტფ., 1929, გვ. 235—236.

[35] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს., „პრომეთე“, ტფ., 1918, გვ. 35—61.

[36] ს ი მ ო ნ ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე, შრ., ტ. II, თბ., 1952, გვ. 412—434.

[37] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. (კონსპექტი), საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 49—71; მისივე, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966; მისივე, ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, 1964, გვ. 187—197.

[38] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), იქვე, გვ. 301—331.

მუნა შუა საუკუნეების თბილისში"[39] ძირითად საკითხებთან ერთად (მმართველობის ფორმა) დაწვრილებით განხილულ-შესწავლილია ქალაქის ბერთა ინსტიტუტი, ქალაქის საზოგადოებრივი ფენები, პოლიტიკური და სოციალური ბრძოლის ფაქტები და, საზოგადოდ, XI—XII სს. თბილისის ისტორიის ყველა ის საკითხები, რომელთა შესწავლისა და შეფასების შესაძლებლობას არსებული წყაროები იძლევა, ფართოდ არის მის მიერ გამოყენებული ალ-ფარიკის ცნობები „ხალხის" მმართველობის შესახებ თბილისში და დაზუსტებულია ამ მმართველობის ქრონოლოგიური საზღვრები — 1082—1122 წლები.

შ. მესხიას ეკუთვნის გამოკვლევა XII ს. საქართველოს ქალაქების სოციალურ ურთიერთობათა საკითხებზეც[40].

X—XII სს. საქართველოს ქალაქებს ჯეროვანი ადგილი ეთმობა რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ მის მონოგრაფიულ გამოკვლევაში, თუმცა ამ გამოკვლევაში ყურადღება ძირითადად XVI—XVIII სს. საქართველოს ქალაქებზეა გამახვილებული[41].

საქალაქო ინსტიტუტების შესწავლისას შ. მესხიას გათვალისწინებული აქვს აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთი მონაცემის მნიშვნელობა.

პროფ. მ. ლორთქიფანიძის ნაშრომებში შესწავლილია X—XII სს. საქართველოს ქალაქებისა და სამოხელეო ორგანიზაციის საკითხები. თბილისის ისტორიის სხვადასხვა ფაქტებისა და მოვლენების შეფასებისას მას სათანადოდ აქვს გათვალისწინებული თბილისის პოლიტიკური ორგანიზაციის თავისებურებანი და არაბული სახელწოდების მატარებელი იმ მოხელეების მნიშვნელობა, რომელნიც თბილისის მმართველობის სარბიელზე ბოლვაწეობდნენ[42].

პროფ. ვ. ჩანტლაძეს მიმოხილული აქვს რუსთაველის ეპოქის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკური აზრი „ვეფხისტყაოსანში"[43].

---

[39] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.

[40] შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (IX—XIII სს.), მიმომხილველი, ტ II, თბ., 1951, გვ. 83—107. მისივე, Из истории грузинского феодального города, საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის შრ., ტ. II, თბ., 1956, გვ. 139—143.

[41] Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959.

[42] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, თბილისის საამიროს ისტორიიდან, მიმომხილველი, ტ. II, თბ., 1951, გვ. 185—201; მისივე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 143—157.

[43] ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ქართული ეკონომიური აზრი „ვეფხისტყაოსანში", „ცისკარი", № 8, თბ., 1969, გვ. 120—132.

ამავე (ეკონომიკური) თვალსაზრისითაა იმდროინდელი ქალაქები შესწავლილი ნ. ქოიავას[44] და დ. მუსხელიშვილის[45] გამოკვლევებში.

პროფ. ვ. გაბაშვილმა ყურადღება დაუთმო X—XI სს. თბილისის მმართველობის თავისებურებას[46]. XI—XII სს. დამახასიათებელ სოციალურ ურთიერთობას (რინდების მოღვაწეობის მაგალითზე) და საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებს უცხოეთის ქვეყნებთან[47].

XI ს. დამლევის და XII ს. დამდეგის თბილისის მოსახლეობის ორიენტაციის საკითხი შესწავლილია ვ. კოპალიანის მიერ[48].

XI—XII სს. თბილისის შესახებ სპარსული და არაბული წყაროები გამოყენებული აქვს რ. კიკნაძეს[49].

---

[44] ნ. ქ ო ი ა ვ ა, ძვირფასი ქვები შოთა რუსთაველის ეპოქაში, „ენიმკის მოამბე", ტ. III, ტფ. 1938, გვ. 55—89, მისივე, ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, იქვე გვ. 89—111.

[45] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში, „ცისკარი", № 11, თბ., 1970, გვ. 127—138; О. Д. Лордкипанидзе Д. Л. Мусхелишвили, Закавказье в международной торговле Востока и Запада (с древнейших времен до XIII в. н. э.), Международный конгресс экономической истории, М., 1970, с. 110.

[46] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მმართველობა X—XI საუკუნეებში, თსუ, შრ., ტ. 108, თბ., 1964, გვ. 331—358.

[47] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ეამთა-აღმწერლის ერთი ცნობის განმარტება), ნარკვევები აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 122—163; მისივე, თ ილისის სოციალური ისტორიიდან (მოქალაქეთა ამბოხება 1122—1123 წწ. თბილისში), კრ., ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 166—177; მისივე, საქართველოს ქალაქების ისტორიის მასალები გენიზას დოკუმენტებში, კრ. აღმოსავლური ფილოლოგია, VI, თბ., 1976,გვ. 295; მისივე, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII ს., თსუ, შრ., ტ. 121, თბ., 1976, გვ. 201—224; მისივე, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI—XII სს.), კრ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თსუ, შრ., ტ, 255, თბ., 1968, გვ. 55—81.

[48] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, თბილისელთა ორიენტაციის საკითხისათვის 1082—1122 წლებში, საიუბილეო კრებული „თბილისი—1500 წლისაა", თბ., 1957, გვ. 49—93.

[49] რ. კ ი კ ნ ა ძ ე, XI—XII სს. თბილისის ისტორიიდან (აღმოსავლური წყაროების მიხედვით), გვ. 109—137; მისივე, არაბული და სპარსული ისტორიული წყაროები XI—XII სს. თბილისის შესახებ", „ცისკარი", № 10, თბ., 1958, გვ. 163—168; იხ. აგრეთვე, ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ, კრ., საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები. წიგნი I. თბ., 1976, გვ. 31—39; მისივე, ას-სამ'ანის ცნობები საქართველოს შესახებ, იქვე, გვ. 45—53; იხ. აგრეთვე, გ. ბ ე რ ა ძ ე, მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ ისფანდიარის თხზულებაში, იქვე, გვ. 54—94; იხ. აგრეთვე ჩვენი, თბილი 1082—1122 წლებში, კრ., ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბ., 1973, გვ. 8—22; XII საუკუნის თბილისის ისტორიისათვის, კრ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 178—186.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა თბილისის მმართველობის შესახებ საინტერესოდ არის გაანალიზებული და კომენტირებული ო. ცქიტიშვილის წერილში[50].

დ. მუსხელიშვილს დაყენებული აქვს „ამირას“ და „ამირთამირას“ ურთიერთმიმართების საკითხი და გამოთქმული აქვს საყურადღებო მოსაზრებანი[51].

უაღრესად საინტერესოდ არის მიმოხილული ლ. ჭილაშვილის მიერ X—XII სს. საქართველოს ქალაქები[52]. წერილობით წყაროებთან ერთად ავტორს გამოყენებული აქვს არქეოლოგიური მასალები. რაც მის მსჯელობას, მოსაზრებას და შეხედულებას X—XII სს. საქართველოს ქალაქების თავისებურებათა შესახებ (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თვალსაზრისით) კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის.

X—XII სს. თბილისის ისტორიას სათანადო ადგილი ეთმობა ავტორთა კოლექტივის ნაშრომში „თბილისის ისტორია“[53], აგრეთვე საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დროს გამოცემულ სახელმძღვანელოებში[54].

უაღრესად საყურადღებოა ქართველი ნუმიზმატებისა[55] და არქეოლოგების გამოკვლევები[56], რამაც მნიშვნელოვნად გაგვიადვილა

---

[50] ო. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, გვ. 207—208.

[51] დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966 გვ. 199—221.

[52] ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, თბ., 1970; მისივე, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958.

[53] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952; შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958.

[54] საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, გვ. 167—170, 183, 187; საქარველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო) თბ., 1958, გვ. 144—148, 161, 175—176.

[55] დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; თ. ლომური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრ., შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 283—319; ნ. ქოიავა, ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. III, თბ., 1938; Е. А. Пахомов, Монеты Грузии, Тб , 1970; D. M. Lang, Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, New York, 1955; И. Л. Джалагания, Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XIII вв. Тб., 1970..

[56] დ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრ., შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 319—451; გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის

XI—XII სს. საქართველოს ქალაქების ისტორიის საკითხების შესწავლა და დამუშავება ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალების საფუძველზე.

მთავარი ყურადღება კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექცევა წერილობით წყაროებს, კერძოდ, XI—XII სს. საქართველოს ქალაქების ისტორიის აღმოსავლურ მასალებს და ურბანისტიკული ხასიათის ორიენტალისტიკურ გამოკვლევებს.

ზამთარში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, თბ., 1955, გვ. 119—167; მისივე, არქეოლოგიური გათხრა 1949 წელს, თბ., 1948; მისივე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა I, გვ. 171—202; მისივე, თბილისის არქეოლოგიური შესწავლილობა, ისტორიის ინსტიტუტის 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, მსკა 1, 1955, გვ. 89—99; ი. გ რ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ახალი ძეგლები თბილისიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრ., ტ. 5, ნაკვ. 1, 1960, 1975—182; მათივე თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961; მ. მ ი წ ი შ ვ ი ლ ი, ბოქიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში (IX—XIII სს.), თბ., 1979...

II. საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში

XI—XII საუკუნეების საქართველოში არსებობენ ყოველმხრივ ჩამოყალიბებული ფეოდალური ქალაქები. მათი აღმავლობა-განვითარება გაპირობებული იყო მაღალი ფეოდალური ეკონომიკით, ინტენსიური ხელოსნობა-ვაჭრობით, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან.

როგორც ცნობილია, ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოში დამთავრდა IX—X საუკუნეებში, მაგრამ მათი ფეოდალიზება მიმდინარეობს VI—VIII საუკუნეებში, „ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში საქართველოში არა ერთი მდიდარი ქალაქი შოიპოვებოდა"[1].

ქალაქების არსებობას ამ დროს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცებასა და გაძლიერებაზე, ისევე როგორც ეს მოხდა ადრეფეოდალური ხანის მახლობელსა და შუა აღმოსავლეთში[2]. საქართველოშიც VI—VIII სს. შემორჩენილი ანტიკური ქალაქები გზას უთმობენ ფეოდალურ ქალაქებს და, როგორც ჩანს, ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბება საქართველოშიც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო.

ფეოდალური ქალაქი საქართველოში საბოლოოდ ყალიბდება IX—X საუკუნეებში. საამისოდ ამ დროისათვის ყველა საჭირო სოციალური და ეკონომიკური პირობა არსებობდა.

ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროცესი დააჩქარა არაბთა ბატონობის დასუსტებამ და დამხობამაც[3].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), ტ. 1, 1958, გვ. 175.

[2] ვ. გაბაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ახლოაღმოსავლური ქალაქი, კრ. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, ტ II, თბ. 1972, გვ. 17.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), კრ. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1964, გვ. 305.

კავკასიის და წინა აზიის კულტურულ ხალხებს შედარებით მშვიდობიანი ხანა დაუდგათ, შეწყდა დიდი გამანადგურებელი ომები, ამოიკვეთა გამომფიტველი არაბული ხარკი, რამაც, თავის მხრივ, მყარი საფუძველი შეუქმნა ეკონომიკის განვითარებას[4]. ხარკი, წინათ საბალიფოს ცენტრში რომ იგზავნებოდა, ახლა ადგილობრივ დატრიალდა ადგილობრივი სამეურნეო საჭიროებებისათვის გამოიყენებოდა.

მართალია არაბთა დასუსტებამ ბიზანტიას კვლავ გაახსენა ძველი და ტრადიციული კავკასიური პოლიტიკა, მაგრამ მისმა მოძალებამ და აგრესიულმა ზრახვებმა მხოლოდ XI ს-ის პირველ ნახევარში იჩინეს თავი (გიორგი I და ბაგრატ IV მეფობაში).

IX—X საუკუნეები „დიდი სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ხანაა თითქმის მთელ საქართველოში[5]". განვითარდა სოფლის მეურნეობა (მემინდვრეობა, მეევნახეობა, მებაღეობა...) საამშენებლო საქმე (გზები, ხიდები, არხები...) ხელოსნობა, ვაჭრობა. „შესაბამისად იზრდება ფეოდალის ტრიალი და საქალაქო ცხოვრებაც, ჩნდება ახალი და ძლიერდება ძველი ქალაქები. დიდი სამრეწველო-სავაჭრო ცენტრები იყვნენ: ტფილისი, დმანისი, სამშვილდე, რუსთავი, არტანუჯი, ქუთათისი, ცხუმი (ახლა სოხუმი) და სხვ. აღნიშნული მოვლენები ჰქმნის ფეოდალურ დაქსაქსულობის მოსპობის და უფრო ფართო პოლიტიკური ფორმის დამყარების ობიექტურ აუცილებლობას"[6]...

ძველი ქალაქების გაძლიერება და ახალი ქალაქების წარმოშობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთი ყველაზე მკაფიო ნიშანთაგანი იყო. შემთხვევით არ უწოდებენ IX—XI საუკუნეებს „ახალქალაქობის პერიოდს"[7].

აღნიშნულმა ძვრებმა ეკონომიკურ ცხოვრებაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, ნიადაგი მოუმზადა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას, რაც ძირითადად X საუკუნეში დამთავრდა.

ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება განაპირობა იმანაც, რომ აუცილებელი გახდა ეკონომიკური კავშირის დამყარება ცალკეულ კუთხეებს შორის.

ივ. ჯავახიშვილის მოსწრებული შენიშვნით „ბარელს მთა სჭირ-

---

[4] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ 305.

[5] სიმონ ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე (კონსპექტის პროექტი), შრ., ტ. II, თბ., 1952, გვ. 423.

[6] იქვ.

[7] ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, თბ., 1970, გვ. 82—87.

დებოდა და მთიელს კიდევ ბარი[8]". ამას გარდა „მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის გზები იყო აგრეთვე ის თვალსაჩინო ძალა, რომელიც ერთის მხრივ საქართველოს ფრავალ კუთხეს ერთიერთმანეთს უახლოვებდა და აერთებდა, მეორე მხრივ უცხოეთის გავლენა, პოლიტიკური თუ სულიერი შემოჰქონდა, რომლითაც სამაგიეროდ საქართველოს გავლენაც ვრცელდებოდა მეზობელს და შორეულს ერებსა და სამეფოებზე"[9].

ფრავალრიცხოვანი გზები ერთმანეთს უკავშირებდა სოფლებს, ქალაქებს, ბაზრებს, ივ. ჯავახიშვილი ამის გამო შენიშნავდა: „თუმცა ეს ადამიანს ეუცხოვება, მაგრამ უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ძველად საქართველოში უფრო მეტი და ფრავალმხრივი გზები ყოფილა, ვიდრე ამ უკანასკნელ დრომდე იყო და მოიპოვება"[10].

ყოველივე ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა საქართველოს ქალაქებზე, მათს განვითარებასა და გამრავლებაზე და, რაც მთავარია, არ დაეჩქარებინა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესი[11].

საქართველოს ცალკეული კუთხეების ურთიერთ სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები აპირობებდა როგორც შინაგანი, ისე, განსაკუთრებით, საგარეო ვაჭრობის განვითარებას.

აღნიშნული სამეურნეო-ეკონომიკური ერთიანობის პროცესი XI—XII საუკუნეების საქართველოს თითქმის უკლებლივ ყველა კუთხისთვის იყო დამახასიათებელი. „საქართველოში იმ ხანად შეიმჩნეოდა მასობრივი მოხმარების საგნებით ვაჭრობის გაფიდება და მწარმოებლური მოხმარების საგნებით ვაჭრობის გაფართოება. მა-

---

[8] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, ტფ., 1930, გვ. 317.

[9] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 68. საქართველოს ცალკეული კუთხეების სამეურნეო და ეკონომიკური ერთობის შესახებ. იხ. აგრეთვე მისი „საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით", ტფ., 1919, გვ. 49, ივ. ჯავახიშვილის კონცეფციის შესახებ საქართველოს შინაგანი სამეურნეო-ეკონომიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებით, იხ. მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირ-ურთიერთობის შესახებ, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1973, № 2, გვ. 32—35.

[10] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 68—69.

[11] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973.

ბალითად, იყიდებოდა სამშენებლო მასალა (ქვა, ქვიშა, კირი, ხე-ტყე) ლითონი, სახნისი, ნედლეული-მატყლი, ტყავი და სხვ.“[12].

ყველაფერი ეს ზრდიდა ქალაქების როლს, მრავლდებოდა ქალაქები, გზებთან დაკავშირებული დასახლებული პუნქტები, ქარვასლა-ფუნდუკები, საგზაო ტრანსპორტი და სხვ.

საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ წინამძღვრად შ. მესხიას სხვადასხვა მიზეზთან ერთად ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დაწინაურება ჩაიჩნდა[13]. ქალაქები და ქალაქებში წარმოდგენილი საზოგადოებრივი ფენები საქართველოს გაერთიანების პროცესში სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა[14].

საქართველოს პოლიტიკურმა გაერთიანებამ, თავის მხრივ, განაპირობა და განსაზღვრა საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შემდგომი აღმავლობა.

ფეოდალური ქალაქების წარმოშობა და განვითარება საქართველოშიც მჭიდრო კავშირში იყო ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებასთან, ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესთან. X ს-ის დამლევისათვის საქართველოში დამთავრდა ადრეფეოდალური პერიოდი და დაიწყო განვითარებული ფეოდალიზმის ხანა. „საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებშიც, ფეოდალიზმის ეპოქაში ახალქალაქების წარმოშობა და საქალაქო ცხოვრების გაცხოველება სწორედ ქვეყნის საბოლოო ფეოდალიზაციის ხანას ემთხვევა“[15].

განვითარებული, ანუ შუაფეოდალური ხანა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებაში ახალ საფეხურს ნიშნავდა. ქალაქების გამრავლება, მათი მნიშვნელობის ზრდა და საქალაქო ცხოვრების აღმავლობა ამის შესაბამისად მიმდინარეობდა.

შუაფეოდალური ხანის პირველ საუკუნეებში (XI—XII სს.) საქართველოს ტერიტორია ახალი ქალაქებით მოიფინა, ხოლო მანამდე არსებული ქალაქების მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.

ამ მხრივ (ე. ი. ქალაქების სიმრავლით[16]) XI—XII საუკუნეებს საქართველოს ისტორიის ვერც ერთი პერიოდი ვერ გაუტოლდება.

---

[12] ვ. ჩანტლაძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის გაგებისათვის, ცისკარი, 1968, № 5, გვ. 127.

[13] Ш. А. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии, с. 39.

[14] იქვე, გვ. 39.

[15] მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 36.

[16] ერთგვარად განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს პროფ. შ. მესხია, რომლის აზრით, XI—XII სს. საქართველოში არ შეინიშნება ქალაქების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, მეორეს მხრივ, იზრდება და ძლიერდება მნიშვნელობა უკვე არსებული ქალაქებისა. Ш. А. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

ამის გამო აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „არც ერთ დროს ფეოდალურს (თუ წინაფეოდალურს) საქართველოში გარკვეული ხანის მონაკვეთზე იმდენი ქალაქი არ წარმოშობილა, რამდენიც წარმოიშვა IX—XII საუკუნეთა მანძილზე. მეორეს მხრივ, არც ერთ დროს შეცხრამეტე საუკუნემდელ საქართველოში იმდენი მომქმედი, ე. ი. ცოცხალი ქალაქი არ ყოფილა, როგორც ეს იყო XII საუკუნის დასასრულისათვის"[17].

მაგრამ IX საუკუნიდან დაწყებული XII საუკუნის დასასრულამდე ქალაქების წარმოშობა თუ განვითარება განუხრელად არ მიმდინარეობდა. იყო შემაფერხებელი პერიოდებიც. მხედველობაში გვაქვს თურქ-სელჩუკთა შემოსევები XI ს-ის 60-იან წლებში და, განსაკუთრებით, ამავე საუკუნის 80-იანი წლების „დიდთურქობის" შედეგები.

თუ XI ს-ის 60-იანი წლების დასაწყისამდე ქართლის მატიანეს ავტორის სიტყვით ქართლში პურისა და ღვინის არაჩვეულებრივი სიუხვე იყო („იყო ქართლსა შინა პური და ღვინო ფრიადი")[18] თურქთა შემოსევებისა და ბატონობის შედეგად მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, გადარჩენილები მიუვალ მთებს შეეხიზნენ, ხოლო ქართლის ინტენსიური მეურნეობის ვრცელი ადგილები ნადირის სადგომად და ბუნაგებად იქცა, სავსებით მოიშალა მეურნეობა და ეკონომიკური ცხოვრება. ამას თავისი დაღი არ შეიძლებოდა არ დაესვა ქალაქზეც. მით უმეტეს რომ თურქთა მძლავრობა და თარეში მტკვრის, ალაზნისა და ივრის ხეობებში 30—40 წლის განმავლობაში გაგრძელდა.

ამას გარდა, თურქებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ქვემო ქართლის ქალაქებში.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს: „ქალაქი ტფილისი, რუსთავი და სომხითი და ყოველი სამშჯილდე და აგარანი თურქთა ჰქონდეს"[19]. თურქებს ეპყრათ ისეთი ქალაქები, რომლებიც ინტენსიურად იყვნენ დაკავშირებული წინა აზიის სავაჭრო გზებთან და ქალაქებთან. ამიტომ თურქთა ბატონობას დასახელებულ ქალაქებში, ცხადია, არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, არ შეეფერხებინა და არ დაებრკოლებინა მისი შემდგომი განვითარება.

---

[17] ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 13.

[18] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 309.

[19] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 331.

თუ დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ და სამხედრო ღონისძიებებში მთავარი იყო თურქთა დამარცხება და საქართველოს ტერიტორიიდან განდევნა, მის ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და, აგრეთვე, ეკონომიკურ ღონისძიებას შეადგენდა საქართველოს ქალაქების განთავისუფლება და, ამის შემდეგ, მათი ეკონომიკური მნიშვნელობის შენარჩუნება მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები ერთ საერთო მიზანთან იყო მჭიდროდ და ორგანულად დაკავშირებული — საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესის დამთავრებასთან და ქვეყნის შეუფერხებელი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფასთან. ამ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნის განხორციელებაზე დიდად იყო დამოკიდებული საქართველოს ქალაქების განთავისუფლება, მათი შემოერთება და შემომტკიცება.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ და სამხედრო წარმატებებს დაუყოვნებლივ მოჰყვა ქალაქების თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება.

1110 წ. განთავისუფლდა საძშვილდე, 1115 წ. რუსთავი, 1112 წ. თბილისი, 1123 წ. დმანისი.

როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის განთავისუფლებას და გაერთიანებულ საქართველოს დედაქალაქად გადაქცევას. ეს საგანგებოდ აქვს აღნიშნული დავით აღმაშენებლის თანამედროვე ისტორიკოსს[20].

თბილისის განთავისუფლებისა და შემოერთების პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ჯერ კიდევ თანამედროვეებს. ცნობილია, თუ როგორ ცდილობდნენ თბილისში მუსლიმთა მფლობელობის შენარჩუნებას თბილელ-დმანელ-განძელი ვაჭრები[21].

თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან განთავისუფლების მნიშვნელობა აღნიშნული და შეფასებული აქვს პროფ. შ. ნესხიას[22].

---

[20] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს თბილისის განთავისუფლებას: „ხოლო მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელს ქონებულ სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ. ქორონიკონი იყო სამას ორმოცდაორი“. „ცხოვრება მეფე თ-მეფისა დავითისი, გვ. 342.

[21] იქვე, გვ. 340.

[22] Ш. А. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ. 39. მისივე, ძველადა საკვირველი, თბ., 1972, გვ. 122—138.

ამრიგად. XII ს-ის პირველ მეოთხედში საქართველოს დაუკავშირდა ისეთი ქალაქები, რომელნიც თითქმის 400 წლის განმავლობაში მუსლიმანთა მფლობელობაში იმყოფებოდნენ (თბილისი, რუსთავი, სამშვილდე, დმანისი...), მათ, ძველ და IX—X საუკუნეების მანძილზე წარმოშობილ ქალაქებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს საერთო ეკონომიკურ აღმავლობასა და განვითარებაში. თითქმის საუკუნოვანი ეკონომიკური განვითარების შედეგი იყო ის, რომ „არც ერთ დროს მეცხრამეტე საუკუნემდელ საქართველოში იმდენი მომქმედი, ე. ი. ცოცხალი ქალაქი არ ყოფილა, როგორც ეს იყო XII საუკუნის დასასრულისათვის" (ნ. ბერძენიშვილი).

თბილისი იმთავითვე ასრულებდა მნიშვნელოვან როლს მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში. ამიტომაა რომ მის შესახებ საინტერესო და საყურადღებო ცნობებს ვპოულობთ დასავლურ (ბერძნულ-ბიზანტიურ) და აღმოსავლურ (არაბულ, სპარსულ, თურქულ, სომხურ...) წყაროებში. XII ს-ის და XIII ს. დამდეგის საქართველოს ქალაქებიდან ყველაზე ხელშესახები (და შედარებით უხვი) ცნობები სწორედ თბილისის დასახასიათებლად მოგვეპოვება. მაგრამ პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობების ანალიზის შედეგად შეიძლება აღვადგინოთ XII ს-ის საქართველოს ქალაქების საერთო სურათი.

ქართველი ისტორიკოსებისა და არქეოლოგების გამოკვლევების წყალობით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა თვალი გავადევნოთ ძველი და ახალქალაქების განვითარებას IX—X საუკუნეების მანძილზე.

ქართველ ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს აღნიშნული აქვთ ისიც, თუ რომელი ძველი ქალაქი, რასთან დაკავშირებით ჰკარგავს თავის ოდინდელ მნიშვნელობას (მაგ., წუნდა, უჯარმა და სხვ.), რომლის მნიშვნელობა რჩება უცვლელი, ანდა რატომ იწყებენ არსებობას და სწრაფად წინაურდებიან ახალქალაქები[23].

წერილობითი წყაროების ცნობათა სიმცირის გამო ამ მხრივ და ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ მონაპოვარს.

აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „ჩვენ დღეს გვაქვს საშუალება ყველა ეს ფეოდალური (თუ წინაფეოდალური) ხანის ქალაქი მათი ასაკისდა მიხედვით დავალაგოთ..."[24].

---

[23] ამ მხრივ ყველაზე ვრცელი ექსკურსები შესრულებულია ლ. ჭილაშვილის მიერ. იხ. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1970, ტ. II; Г. П. А п р а с и д з е, Происхождение феодального города в Грузии (Эпоха „Новгородов" IX—X вв.). Автореф. канд. дисс., Тб., 1974.

[24] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

საქართველოში ფეოდალური ქალაქების არსებობის ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია XI—XII საუკუნეები.

ამ ხნის მანძილზე ზოგი ძველი ქალაქი გაქრა, ზოგი დაკნინდა, ზოგმა თავისი მნიშვნელობა ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებშიც შეინარჩუნა, ზოგიც ამ ახალი სოციალურ-ეკონომიკური პირობების უშუალო ნაყოფი იყო და ახალქალაქობის დამახასიათებელ ვითარებას გამოხატავდა.

პროფ. შ. მესხიას აღნიშნული აქვს, რომ VIII—X საუკუნეებში წარმოიქმნა ახალი ქალაქები: დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ოლთისი, თმოგვი, ახალციხე და თელავი[25]. ამას მკვლევარი დასძენს, რომ რა თქმა უნდა ეს სია სრული არ არისო[26].

თავისთავად არ შეიძლება საინტერესო არ იყოს ერთ-ერთი ახლად დაარსებული ქალაქის სახელწოდება „ახალქალაქი" (და აგრეთვე „ახალციხე"). ახალქალაქი გარკვეულ ანალოგიას პოულობს რუსულ „ნოვგოროდთან" და ევროპულ „ნეაპოლთან". ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ რუსულ-ევროპული და ქართული „ახალქალაქები" ერთი და იგივე მოვლენის გამომხატველი არიან — უშუალოდ და ორგანულად უკავშირდებიან ახალი, ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

§ 1. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში

„ახალქალაქობის პერიოდი" განსაკუთრებით დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსათვის, სადაც თითქმის ზედიზედ X—XII საუკუნეების განმავლობაში არსდება ახალი ქალაქები.

ახლად დაარსებულ ქალაქებს შორის უნდა დავასახელოთ: ატენი, გორი, ახალქალაქი, ახალციხე, ოლთისი...

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების აღმავლობა-განვითარებას და, ამავე დროს, ძველი ქალაქების მნიშვნელობის გაძლიერებას, ერთის მხრივ, ხელს უწყობდა საქართველოს გაერთიანების პროცესიდან გამომდინარე ფაქტორები, ხოლო, მეორეს მხრივ, აღმ. საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობანი კავკასიისა და წინა აზიის ქალაქებთან.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, XI—XII საუკუნეების აღმოსავლეთ

---

[25] Ш. А. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ 38.

[26] იქვე.

საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი გარესამყაროსთან გაცილებით უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე იმავე საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა.

ამის მიზეზი ქვემოთ გვაქვს გამოკვლეული (იხ. § 2 „დასავლეთ საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში“).

დამახასიათებელია ისიც, რომ „ახალქალაქების პერიოდი“ დამახასიათებელი არა ჩანს დასავლეთ საქართველოს ქალაქებისათვის, მაშინ როდესაც აღმ. საქართველოში, როგორც ირკვევა, ახალქალაქობის პერიოდი მეტად ცხოველი და თვალსაჩინო იყო.

ლ. ჭილაშვილი აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე ახალქალაქის დაარსებას ათარიღებს XI საუკუნის დასაწყისით, ან X საუკუნის მიწურულით[27].

XI საუკუნიდან ახალქალაქი ჯავახეთის ცენტრს წარმოადგენდა. შ. მესხიას ვარაუდით, „ახალქალაქი“ IX—X საუკუნეებში უნდა წარმოქნილიყო, თუმცა პირველად ის ბაგრატ მეოთხის დროს იხსენიება[28].

ჯავახეთის ინტენსიური დასახლება, როგორც ჩანს, X—XII საუკუნეებიდან არის მოსალოდნელი[29]. ლ. ჭილაშვილმა ახალქალაქის წარმოშობა დაუკავშირა ამ მხარის დასახლებისა და აღორძინების პერიოდს[30]. მისი სიტყვით ახალქალაქის წარმოშობაში და ქალაქად ქცევაში ხელსაყრელი გეოგრაფიული ფაქტორი უნდა იყოს განმსაზღვრელი. „ქალაქი გაშენებულია ჯავახეთის მტკვრისა და ახალქალაქის წყლის შეერთებაზე, მაღალ, კლდოვან მასივზე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით იგი ხერთვისია, ძლიერ წააგავს დმანისს და სამშვილდეს“[31]. მაგრამ მკვლევარი იქვე დასძენს: „ახალქალაქის უპირატესი გეოგრაფიული განლაგება მხოლოდ ცხე-ქალაქის მდებარეობას არ გულისხმობს, იგი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების ორბიტაში იყო მოქცეული“[32].

ლ. ჭილაშვილს აღნიშნული და დასახელებული აქვს ყველა ის დასახლებული პუნქტი, რომელიც ახალქალაქიდან გზად გაივლიდა (ხოსპია, ხორენია, კარნეთი, ყაურმა, სათხე, საღამო, განძანი, ფოკა,

---

[27] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

[28] Ш. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

[29] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ, გვ. 88.

[30] იქვე.

[31] იქვე.

[32] იქვე, ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, ჯავახეთი, თრიალეთის მსგავსად, ნამდვილ გზასაყარს წარმოადგენდა. გზები აქ შემოდიოდა თბილისიდან, შიდა ქართლიდან, ლიხთ-იმერეთიდან, სამცხედან, სომხეთიდან, ბიზანტიიდან, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დასახ. ნაშრ., გვ. 100.

ფარავნა)[33]. ახალქალაქი დაკავშირებული იყო, თბილისთან და არტანუჯთან, ხოლო არტანუჯის საშუალებით —ტრაპიზონის გზასთან.

ლ. ჭილაშვილს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ნაქალაქარის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი თაღებიანი კედლები, ანალოგიების მიხედვით ქულბაქებს ეკუთვნოდეს[34]. მასვე ნავარაუდევი აქვს ფუნდუკის არსებობა[35]. ახალქალაქში დადასტურებულია ე. წ. „ხელოსანთა უბანი“, ნამოსახლარი, ჯვრის ტიპის ეკლესიის ნაშთები და „ქარვასლა“[36].

ქართლის მატიანეს მიხედვით, ახალქალაქს ზღუდე შემოავლეს მხოლოდ XI ს. შუა ხანებში (ბაგრატ მეოთხის დროს), მაგრამ ეს არ უნდა იყოს საქართველოში უზღუდო ქალაქის მაჩვენებელი[37]. „ქალაქების არსებობა ზღუდის გარეშე, ამ დროს შეუძლებელია“[38]. აღნიშნული ფაქტი გამოყენებულია იმის საჩვენებლად, თუ რამდენად ახალგაზრდა ქალაქი იყო იმ დროს ახალქალაქი.

მკვლევართა აზრით, „ახალქალაქობის“ ეამსვე დაწინაურდა ქალაქი არტანუჯი[39].

არტანუჯის შესახებ სუმბატ დავითის-ძესთან ვკითხულობთ: „და ამან აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოჯრებულ იყო ბაღდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა — კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი... და შექმნა მას შინა საფლავი თვსი, და დაემკჳიდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად“[40].

არტანუჯის ციხე და მისი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი კავკასიისა და წინა აზიის ქვეყნებთან დახასიათებული აქვს კონსტანტინე პორფიროგენეტს. მისი სიტყვით: „ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი „რაბატიც“ და დაბა-ქალაქიც; და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა და არმენიის და სი-

---

[33] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

[34] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

[35] იქვე.

[36] ე. ჯ ა ნ დ ი ე რ ი, ახალქალაქის ისტორიისათვის, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1969, გვ. 60, 69.

[37] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

[38] იქვე.

[39] Ш. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

[40] სუმბატ დავითის-ძე, 1, გვ. 377, შდრ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ქალაქების ისტორიიდან (არტანუჯი და უჯარმა), კრ., საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I, თბ., 1976.

რიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის. ადრანუჯის ციხეს მიწაწყალი ე. ი. არზენი, დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს"[41].

განსაკუთრებულ აღმავლობას არტანუჯმა, როგორც ახალმა ფეოდალურმა ქალაქმა, ახალქალაქობის პერიოდში მიაღწია.

ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, „ახალციხე" სამცხის ეს ნაგვიანევი ცენტრი (ციხე და ქალაქიც), XI—XII სს. უნდა წარმოშობილიყო. ეს ქალაქი აქ გამავალი სავაჭრო გზის საშუალებით დაკავშირებული იყო საქართველოს და ამიერკავკასიის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტთან (გეგუთი, არტაანი, ანისი...)[42].

„ახალციხეც", როგორც ეს მისი სახელიდან აშკარაა, „ახალქალაქთა" რიცხვს განეკუთვნებოდა.

სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქი ჩანს აგრეთვე არტაანი.

არტაანს ნ. ბერძენიშვილი დიდი მაგისტრალების საკვანძო პუნქტს უწოდებს (აფხაზეთი, ჯავახეთი, აღმოსავლეთ საქართველო, სომხეთი...)[43].

IX—X სს. წარმოიშვა ქ. თმოგვი, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა XI საუკუნეში[44].

ამავე ხანებში ჩაისახა ტაოს პროვინციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ოლთისი[45].

ტაშირის ხეობაში მდებარეობდა ლორე, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტრატეგიული თვალსაზრისით. ეს ქალაქი მდებარეობდა სამხრეთიდან საქართველოში შემომავალი გზების გზასაყარზე. შემთხვევით არ იყო, რომ ლორე უპირველესი მონაპირის—ამირსპასალარის ქალაქად იქცა[46].

სამშვილდეც განსაკუთრებულ აღმავლობას IX—X სს. განიცდის. სამხრეთის, ანუ „არტანუჯის გზის", გამოცოცხლებამ თავისი კვალი დაამჩნია ამ ქალაქის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებას[47].

---

[41] გეორგიკა IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 278—280.

[42] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გზები..., გვ. 84.

[43] ი ქ ვ ე, გვ. 91—92.

[44] Ш. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

[45] იქვე.

[46] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გზები..., გვ. 77; შ. მესხიას აღნიშნულ საუკუნეებში ლორე ქალაქის ტიპის დასახლებად მიაჩნია, Ш. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

[47] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, გვ. 122.

XII—XIII სს. სამშვილდე საქართველოს ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქია. მას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული, გაშენებული იყო კლდოვან ნაპირზე, წარმოადგენდა ტიპიურ ხერთვისს და ძალზე წააგავდა დმანისს და ახალქალაქს[48].

შ. მესხია დმანისსაც ახალქალაქების რიგს უკავშირებს[49]. მისი აზრით, დმანისის ქალაქად. ე. ი. ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვან ცენტრად გადაქცევა IX საუკუნიდან ხდება. მისივე სიტყვით, ამ დროიდან ჩნდება პირველი ცნობები ქართულ საისტორიო ლიტერატურაში დმანისის, როგორც ქალაქის შესახებ[50]. დმანისის მნიშვნელობის ზრდას განსაკუთრებით შეუწყო ხელი მისმა ხელსაყრელმა მდებარეობამ, მთავარ გზაზე, რომელიც საქართველოს სომხეთთან აკავშირებდა[51], და რომელმაც უკანასკნელ ხანამდე (სომხეთის რკინიგზის გაყვანამდე) შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. ამ გზას აქლემის გზა ეწოდებოდა[52]. დმანისთან დაკავშირებით ლ. ჭილაშვილი იმის შესაძლებლობასაც უშვებს, რომ იგი ანტიკური პერიოდის ქალაქი ყოფილიყო[53]. მაგრამ, მისი აზრითაც, დმანისის აღორძინება IX ს. იწყება და ორგანულად უკავშირდება ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.

IX ს. აღორძინებული და განახლებული დმანისი წარმოდგენილი იყო არა საქართველოს ქალაქებს შორის, არამედ თბილისის საამიროს ფარგლებში. მაგრამ თბილისის საამირო IX—X სს. სულ უფრო და უფრო ექცეოდა ქართულ ფეოდალურ ურთიერთობათა გავლენაში და ქართულ ფეოდალურ ერთეულებთან ერთად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამის საუკეთესო დადასტურებაა XI ს. მცხეთის სიგელის შინაარსი[54].

IX—XII საუკუნეებში ახალი ქალაქების წარმოშობა და ძველი ქალაქების ფეოდალიზაცია, გარდა ჩვენთვის კარგად ცნობილი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებისა (ფეოდალურ ურთიერთობათა

---

[48] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქ ბი ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, გვ. 118.

[49] Ш. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 34—35.

[50] ი ქ ვ ე, გვ. 35.

[51] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრ., შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 327.

[52] იქვე, გვ. 330.

[53] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

[54] ნ ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI, 1931.

განვითარება), გაპირობებული იყო იმითაც, რომ ისინი ინტენსიურად მოქმედი სავაჭრო გზების გასწვრივ მდებარეობდნენ. ეს გარემოება ხაზგასმით არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში[55].

ახალი ქალაქების წარმოშობის კავშირი სავაჭრო გზების მნიშვნელობის ზრდასთან ჩვენ შეიძლება დავადასტუროთ არა მარტო არტანუჯისა და დმანისის, არამედ ატენისა და ჟინვანის მაგალითებზეც.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დმანისი მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და ცნობილია მრავალრიცხოვანი მუსლიმანური ეპიგრაფიკული ძეგლებით, კანტი-კუნტად იხსენიება არაბული საისტორიო და გეოგრაფიულ თხზულებებში.

ციხია კახიანმა ყურადღება მიაქცია იმ საგულისხმო გარემოებას, რომ დმანისი არ არის ნახსენები, მაგალითად, ალ-ისთახრისთან (X ს.), იბნ ხორდადბეჰთან (IX ს.), იბნ რუსთესთან (IX ს.), ალ-მასუდისთან (X ს.), იბნ ჰაუკალთან (X ს.) ალ-მუკადდასისთან (X ს.), იბნ ალ-ფაკიჰთან (X ს.), ალ-ბაქრისთან (XI ს.), ალ-ბაკუბისთან (IX ს.), აბულ-ფიდასთან (XIV ს.). ავტორი ამის გამო შენიშნავს: „თუ გავითვალისწინებთ ამ წყაროების ხასიათს, თითქოს მოსალოდნელი იყო მისი ხსენება, რადგან, როგორც ცნობილია, დმანისი სამარშრუტო გზაზე მდებარეობდა“[56].

დმანისის ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარი ლ. მუსხელიშვილი დმანისს უწოდებდა „მუსლიმანურ-ქრისტიანულ ქალაქს“[57]. მით უფრო მოსალოდნელი იყო მისი ხსენება IX—XIII სს. არაბ ისტორიკოსთა და გეოგრაფთა ნაწარმოებებში, მაგრამ მას, როგორც ჩანს, ასახელებენ მხოლოდ ალ-ფარიკი[58] და ბაკუთი[59].

დმანისის გამო ქართულ წერილობით წყაროებშიც მეტისმეტად მცირე ცნობებია შემონახული.

ქართული წყაროებიდან ვგებულობთ, რომ XI ს-ის 60-იან წლებში ჯაფარიანთა ერთ-ერთი განშტოების წარმომადგენელი დმანისში ამირად იჯდა. უაღრესად საყურადღებოა დმანელი ამირას წარწერა ფი-

---

[55] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 82—87; ნ. ბერძენიშვილი, გზები... თბ., 1966.

[56] ციხია კახიანი, დმანისის ეპიგრაფიკული წარწერები, გვ. 5, შენ. 42.

[57] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 447.

[58] V. Minorsky, Caucasica in the History of Mayyafariqin, Bulletin of the School of Oriental and African Studies, (University of London), v. XIII, pt. 1 London, 1949—1950, 235—236. ციხია კახიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

[59] ياقوت، معجم البلدان, ed. T. Wüstenfeld, B 11, Leipzig, 1866, 505; ე. სიხარულიძე, ბაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ 57.

ნეზაურის ხეობიდან[60], საიდანაც ცხადად ირკვევა, თუ რამდენად შორს იყო წასული არაბული წარმოშობის პოლიტიკურ ერთეულებში გაქართულების პროცესი. ნიშანდობლივია ის, რომ დმანელი ამირას წარწერა ქართულად არის შესრულებული, მაგრამ მუსლიმანური ელემენტი IX—XIII სს. დმანისში, ჩანს, ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია. ამ მხრივ საყურადღებოა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა დმანელი ვაჭრების (რომლებიც ტფილელ და განძელ ვაჭრებთან ერთად შეთანხმებულად მოქმედებენ) განწყობილებისა და მათი საქართველოს მეფის ხელისუფლებასთან დამოკიდებულების თაობაზე.

დმანისის ისტორიის აღდგენა XI—XIII სს. შესაძლებელი ხდება უმთავრესად ეპიგრაფიკული ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მონაპოვრის საფუძველზე, მაგრამ ყველა ცნობა, ქართული თუ უცხოური, მცირე თუ შედარებით ვრცელი, ერთხმად აღნიშნავს, მის, როგორც სამარშრუტო გზაზე მდებარე ქალაქის მნიშვნელობას.

დმანისის, როგორც ქალაქის, განსაკუთრებული აღმავლობა XI—XII საუკუნეებზე მოდის[61].

მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა IX—XII საუკუნეებში უფლისციხეც. მის მნიშვნელობას უფრო ადრე (IX—X სს.) ზრდიდა ის, რომ სანამ თბილისი არაბთა ხელში იყო, იგი ქართლის პოლიტიკურ ცენტრად ითვლებოდა. უფლისციხე ამის გამო ასრულებდა თვალსაჩინო როლს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, ამიტომაა, რომ თბილისის საქართველოსთან შეერთების შემდეგ უფლისციხეს მნიშვნელობა თანდათანობით ეცემა[62].

ახალქალაქობის პერიოდში განახლებულ ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე ქ. რუსთავი.

ეს უკანასკნელი, ხუნანისა და სამშვილდეს მსგავსად, ანტიკური ქალაქების რიგს განეკუთვნება[63]. რუსთავის განახლებისა და დაწინაურების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო მისი სავაჭრო გზების გა-

---

[60] დ. ბერძენიშვილი, დმანელი ამირას წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბე", ტ. XXXIII, № 3, 1964, გვ. 747; ვ. ჯაფარიძე, შუა საუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში (საყდისქედის ეკლესია), კრ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 160—161.

[61] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 448.

[62] Ш. А. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

[63] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 117; ლ. ჭილაშვილს მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი ქალაქი რუსთავი და მისი ისტორია; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958.

დაკვეთაზე მდებარეობა (თბილისი—ბარდავის გზა, „ტრაპიზონის გზის“ მონაკვეთი)[64].

რუსთავი წმინდა ქართული ქალაქი იყო, ქართული მოსახლეობით (ნივთიერი კულტურა, ქართული წარწერები...)[65] შესაძლებელია ეს იყოს იმის მიზეზი, რომ რუსთავი აღმოსავლურ წყაროებში არსად არ მოიხსენიება[66].

თავისი მნიშვნელობით და ეკონომიკური განვითარებით დონით რუსთავი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა დმანისს[67].

ერთადერთი ქართული წყარო (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლეონტი მროველის ცნობებს ანტიკური პერიოდის ქართლში ქალაქების დაარსების თაობაზე) რომელიც მოგვითხრობს ქალაქის წარმოქმნასა და ახლად დაარსებული ქალაქის თავისებურებებზე არის ატენის სიონის წარწერა.

წარწერა, ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, 1060—1068 წლებს ეკუთვნის[68]. მასვე შესწავლილ-შეფასებული აქვს წარწერის შინაარსი და მისი რეალიები[69]. წარწერამ არა ერთი ქართველი მკვლევარის ყურადღება მიიქცია (დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია, ლ. ჭილაშვილი..), ყველამ ერთხმად წარწერა დაუკავშირა ბაგრატ IV-ეს. წარწერა, სიონის ტაძრის სხვა წარწერებთან ერთად, გამოაქვეყნა თ. ბარნაველმა[70].

შ. მესხიას აზრითაც, ქალაქი ატენი აგებულია დაახლოებით 1060—1068 წლებში[71]. ამავე წლებით ათარიღებენ მის გაქალაქებას სხვა მკვლევარებიც[72].

ატენის გაქალაქებას წინ უძღოდა ხანგრძლივი პროცესი[73]. ეს ლ. ჭილაშვილს საფუძველს აძლევს აღნიშნოს: „შეიძლება დავუშვათ, რომ ადგილი, სადაც ბაგრატ მეოთხეს მითითებით შენდება ქალაქი, ადრეც ძლიერი პუნქტი იყო. მისი სიძლიერე გაპირობებული იყო ნაყოფიერი სამეურნეო რაიონით, სადაც ძირითადი დარგი მევენახეობა ჩანს და ქართლიდან თრიალეთის მიმავალი გზით, რომელმაც განსა-

---

[64] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, გვ. 117.
[65] იქვე.
[66] იქვე.
[67] Ш. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 57.
[68] И. Д ж а в а х о в, К вопросу о времени построения грузинского храма в Атене, Христианский Восток, т. I, вып., III, 1912, с. 291.
[69] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 1946, გვ. 33—35.
[70] თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 39.
[71] Ш. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 43.
[72] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 101; Г. А б р а м и ш в и л и, Два строительных периода атенского Сиона, მაცნე, ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, I, 1972, გვ. 55.
[73] Ш. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

კუთრებული როლი შეასრულა X—XII საუკუნეებში სამეფო კარსა და კლდეკარის ერისთავთა შორის ურთიერთობის დროს"[74].

ატენს თავისი საფორტიფიკაციო ნაგებობაც ჰქონდა („ციხე ატენისა"), რომელიც XI ს. შინაური აშლილობის ასპარეზად ხდება[75]. ატენის სიონი VII საუკუნეშია აგებული. აქ, ჩანს, დასახლებული პუნქტიც არსებობდა, მაგრამ XI საუკუნის 60-იან წლებამდე ატენი ქალაქად არ ითვლებოდა. ქალაქად იგი იქცა მხოლოდ XI ს-ის 60-იან წლებში. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, ატენი ქალაქად იქცა მას შემდეგ, რაც აქ „ქულბაქები ააგეს"[76].

XI—XII სს. დაარსებული ყოველი ახალი ქალაქი, ძველი ქალაქის მნიშვნელობის ზრდა თუ დასახლებული პუნქტის ქალაქად გადაქცევა, შეპირობებული იყო მზარდი ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნილებებით, ქვეყნის აღმავალი ეკონომიკური განვითარებით.

მართებულად გვეჩვენება ლ. ჭილაშვილის ის მოსაზრება, რომ ატენის დაწინაურება მოულოდნელი არ უნდა იყოს ისეთ ვითარებასა და პირობებში, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ჯავახეთიდან და თრიალეთიდან ქართლისაკენ მიმავალ გზას და რომელიც ტანას ხეობიდან, გომარეთით, თრიალეთზე გადმოსასვლელს წარმოადგენდა. ეს გზა „ფეოდალურ ხანაში საკმაოდ ინტენსიური დატვირთვით მუშაობდა", ამან განაპირობა ატენის დაწინაურება, „რადგან ეს გზა დაწინაურებული პოლიტიკური ერთეულებისაკენ მიდიოდა, რომელზედაც... მთავარი სავაჭრო მაგისტრალი იდო.."[77].

ამავე გზას უკავშირებს ლ. ჭილაშვილი ქალაქ გორის მნიშვნელობის ზრდას და გამოცოცხლებას[78]. მაგრამ გორიც მხოლოდ XI—XII ს. მიჯნაზე იქცა ქალაქად[79], ისევე როგორც ატენი იქცა ქალაქად XI ს-ის 60-იან წლებში.

---

[74] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ ნაშრ, გვ. 103.

[75] ი ქ ვ ე, გვ. 101.

[76] ამის გამო ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ქალაქის მთავარი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობდა, რომ ქალაქში საქულბაქე ადგილები უნდა ყოფილიყო... ამგვარად, ქალაქის, ასაშენებლად ანუ ატენის ქალაქად გადასაქცევად, ქულბაქები ააგეს. მეფეს ასეთი ადგილები იმათთვის დაურიგებია, რომელთაც „შენება შეეძლოთ". ე. ი. ყველასათვის კი არა, არამედ მხოლოდ იმათთვის, რომელთაც ქალაქისთვის შესაფერი შენობების აგება შეეძლოთ". ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატ რიალური კულტურის ისტორიისათვის თბ., 1946, გვ. 35. შდრ. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

[77] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

[78] მეფის ხელისუფლება გორის გამოცოცხლებით და გაძლიერებით მიზნად ისახავდა აგრეთვე შიდა ქართლის აღორძინებას და საქალაქო ცხოვრების გაღვიძებას. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 101, შდრ. 110.

[79] მათე ურჰაელის სიტყვებით, გორი ააშენა დავით აღმაშენებელმა და შიგ სომეხი ვაჭრები ჩაასახლა. ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მათე ურჰაელის ცნობები დავით

ყველა ახალი ქალაქის წარმოშობა XI—XII საუკუნეებში დაკავშირებული ჩანს სავაჭრო მაგისტრალებთან[80].

ასე წარმოიშვა XII ს. ქ. ჟინვანი. ჟინვანი დააწინაურა იმან, რომ მისი საშუალებით დამყარდა სავაჭრო ურთიერთობანი იმიერ—კავკასიის და სამხრეთ რუსეთის ქალაქებთან[81].

ასევე სავაჭრო გზებთან ურთიერთობის ნიადაგზეა XII ს. წარმოშობილი სურამი. ალი, ბარალეთი, ზოვრეთი[82].

ყოველივე ეს დასტურდება ქართული და უცხოური წერილობითი წყაროებით.

ამრიგად, XI—XII სს. წარმოშობილი ქალაქებია: ატენი, გორი, ჟინვანი, ბარალეთი, სურამი, ალი, ზოვრეთი.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში იგულისხმება მათი ქალაქად ქცევა და არა ის, რომ ზოგიერთი მათგანი გაცილებით ადრე არსებობდა როგორც დასახლებული პუნქტი.

ახალი ქალაქები არსდება არა მარტო ქართლში, არამედ კახეთშიც.

IX—X საუკუნეებში ჩანს აღმოცენებული თელავი. თუმცა მკვლევრები აღნიშნავენ იმასაც, რომ ადგილი, სადაც შემდეგ ქალაქი თელავი არსებობდა, უკვე ძველ დროს დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა[83].

ქალაქი თელავი მოხსენიებულია X ს. არაბი გეოგრაფის მუკადდასის თხზულებაში[84].

თელავს იგი ასახელებს ამიერკავკასიის ქალაქებს შორის (თბილისი. კალა (გარდაბანი), ხუნანი, შამქორი, განჯა, ბერდიჯი, შამახა, შარვანი, ბაქო, შაბირანი, დარუბანდი, კამალა, შაქი, მალაზკერდი...). მასვე თელავი არაბული ტრანსკრიპციით თებლა — التبلى და-

---

აღმაშენებლის შესახებ, კრ., საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1968, გვ. 247 — 248; საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 116, 117 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, გორის ისტორიიდან, თბ., 1949, გვ. 7.

[80] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. კარგად აქვს ნაჩვენები ლ. ჭილაშვილს ახალ სამარშრუტო გზებთან ახალქალაქების კავშირი. მისი სიტყვით, „ახალმა სამიმოსვლო ტრასამ ბიზანტიიდან ირანისაკენ, საქართველოზე, მის სამხრეთ პროვინციებზე გავლით (ხოფჩა-არტანუჯი-არტაანი-ახალქალაქი—ფარავნა-სიმშვილდე-ლომთაგორა-თბილისი) ახალი ქალაქების წრე შეკრა“. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 114—115.

[81] Ш. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

[82] იქვე, გვ. 45.

[83] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ ნაშრ., გვ. 78.

[84] Al-M o q a d d a s i, Descriptio Imperii Moslemici, edito secunda, BGA, ed M. J. de Goeje, Lugduni Batavorum, 1906, 276.

კავშირებული აქვს მნიშვნელოვან სავაჭრო გზებთან. მისივე სიტყვით, თელავში 500 კომლი მუსლიმანი მოსახლე იყო. „თუ ეს ცნობა სანდოა, ჩანს, ქალაქი მეტად ხალხმრავალი ყოფილა" — აღნიშნავს ლ. ჭილაშვილი[85]. ამასთან, უნდა დავუშვათ ისიც, რომ ეს მოსახლენი მუსულმანი ვაჭრები იყვნენ და ვაჭრობას მისდევდნენ, ხოლო თელავი ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობით იყო დაკავშირებული აღმოსავლეთ ამიერკავკასიის და წინა აზიის ქალაქებთან.

თელავში ნაპოვნი სხვადასხვა ყაიდის ჯამები, მკვლევართა აზრით, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ კახეთის ეს ქალაქი სავაჭრო ურთიერთობით იყო დაკავშირებული აზერბაიჯანთან, სპარსეთთან და თვით შორეულ ხერსონესთან.

თელავის დაწინაურებას, როგორც ეს აღნიშნულია სათანადო ლიტერატურაში, ხელი შეუწყო მისმა მდებარეობამ მნიშვნელოვანი გზების შესაყარზე, ბუნებრივ-გეოგრაფიულმა პირობებმა (სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის, მევენახეობის განვითარება), ცხოველმა სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა[86].

პროფ. შ. მესხია აღნიშნავს XI—XII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ისეთი დასახლებული პუნქტების მნიშვნელობასაც, რომლებიც ქალაქებად წყაროებში არ იხსენიებიან, მაგრამ აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

XI—XII საუკუნეების ასეთ დასახლებულ პუნქტებს წარმოადგენენ: მცხეთა, უჯარმა, ჭერემი, მანგლისი, აწყური, ერუშეთი, ნაჭარმაგევი, ბოლნისი, გაგი, ყალეთი, ბოჭორმა და სხვ[87].

ამ ქალაქის ტიპის დასახლებებს შორის არსებობდა გარკვეული ეკონომიკური კავშირი, რომელიც სუსტი იყო იმის გამო, რომ განვითარებული იყო არა საშინაო ვაჭრობა, არამედ საგარეო ვაჭრობა. ფეოდალური ხანის როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში წამყვანი და მთავარი საგარეო ვაჭრობა იყო. ამ მხრივ გამონაკლისს არც ფეოდალური საქართველო წარმოადგენდა.

XI—XII საუკუნეებში, როგორც ვნახეთ, არსებობდნენ როგორც მსხვილი ქალაქები, ისე შედარებით მცირე ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტები.

---

[85] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

[86] ც. ჩ ი ქ ო ი ძ ე, არქეოლოგიური მასალები თელავის ისტორიისათვის შუაფეოდალურ ხანაში, ისტორიის ინსტიტუტის შრ., 1964, 7, გვ. 144, 147, 150; [მისივე, ქალაქ თელავის ისტორიიდან (ნივთიერი ძეგლებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით) სერია: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I, თბ., 1969, გვ. 43.

[87] Ш. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

XII ს-ის აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვან ქალაქებს წარმოადგენდნენ თბილისი, რუსთავი, გორი, ჟინვანი, დმანისი, ახალქალაქი, ახალციხე, თმოგვი, სამშვილდე, ხუნანი, თელავი, ბარალეთი, ალი, რუსთავი, ზოვრეთი...

აღნიშნული ქალაქები საგარეო ვაჭრობასთან იყვნენ დაკავშირებულები და საგარეო ვაჭრობით საზრდოობდნენ.

შემთხვევით არ აიხსნება, რომ ასეთი მსხვილ სავაჭრო და ეკონომიკურ ცენტრებში საკუთარი ზარაფხანა არსებობდა.

სავარაუდო და ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, ზარაფხანები მოწყობილი ყოფილა ისეთ ქალაქებში, როგორიც იყო თბილისი, არტანუჯი, დმანისი, ახალციხე, ქუთაისი, ჟინვანი[88].

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს XII საუკუნე გამოვყოთ ახალ, უფრო მაღალ ეტაპად საქართველოს ქალაქების განვითარებაში IX—XII საუკუნეების მანძილზე[89]. ქალაქების ზრდა და აღმავლობა მხოლოდ XII საუკუნის საქართველოსათვის არ იყო დამახასიათებელი.

XI—XII საუკუნეებში ქალაქები აღმავლობის გზაზე იყვნენ დამდგარი სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ დამყარებული, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქებთან, ხოლო, მეორე მხრივ, წინა აზიის ქალაქებთან[90].

---

[88] დ. კაპანაძე. ზარაფხანათა და მონეტების გამომშვები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 28, № 4, 1954, გვ. 511.

[89] არსებული მასალებისა და მონაცემების მიხედვით, IX—XIII საუკუნეების საქართველოს ქალაქების განვითარებაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი პერიოდები: IX—X საუკუნეები—ახალქალაქების წარმოშობა, XI ს-ის პირველი ნახევარი (ქალაქების გაძლიერება ადრეფეოდალური ხანიდან შუაფეოდალურ ხანაში გარდამავალ პერიოდში), XI ს-ის 60-იანი წლებიდან დაწყებული ამ საუკუნის 90—იან წლებამდე (ქალაქების დაკნინება ეკონომიკური ცხოვრების შეფერხების შედეგად), XI ს-ის მიწურული და XII ს. (ქალაქების აყვავება).

[90] მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში ფეოდალური ხანის ქალაქების საფუძვლიანი შესწავლა, ისევე როგორც საქართველოში, განაპირობა ინტენსიურმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, წარმატებით იქნა მოშველიებული წერილობითი წყაროების ცნობებიც: Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен (V в. до н. э.—XV в. н. э.) Ер. 1954; Б. Н. Аракелян, Развитие ремесел и товарного производства в Армении в IX—XIII веках, Советская археология, XXVI, М., 1956. აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა გ. ამედოვმა და ს. აშურბეილიმ უჩვენეს ქალაქების, ვაჭრობისა და ხელოსნობის მაღალი დონე XII ს. აზერბაიჯანში. Г. М. Ахмедов, Из ис-

აზერბაიჯანის ქალაქების ფეოდალური განვითარებაც. მსგავსად საქართველოს ქალაქებისა, IX საუკუნიდან იწყება, ხოლო მათი, როგორც სავაჭრო-სახელოსნო და ეკონომიკური ცენტრების განვითარება, XII ს. მოდის. აღნიშნულ მოვლენას საფუძვლად ედო პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის ძვრები აზერბაიჯანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

IX საუკუნიდან არაბთა ბატონობის ძალა საგრძნობლად შესუსტდა, რამაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა აზერბაიჯანის საერთო ეკონომიკურ აღმავლობას. განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა. შესაბამისად გაიზარდა ქალაქების მნიშვნელობაც. IX—X საუკუნეების აზერბაიჯანში, საქართველოს მსგავსად, ვითარდება ძველი და არსდება ახალი ქალაქები. ამ დროს ფუნქციონირებენ ბარდავი, განძა, ბელაყანი, ნახჭევანი, შაბერანი, შემახა, შამქორი, დარუბანდი, ბაქო, ქაბალა, შექა და ბერზენდი[91].

ქალაქების მნიშვნელობის ზრდა გამოხატულებას და ასახვას პოულობს წერილობით ძეგლებშიც.

თუკი IX—X საუკუნემდელ წყაროებში უმნიშვნელო ცნობებს ვნახულობთ, ანდა საერთოდ სდუმან, ახლა ისინი უკვე დაწვრილებით და, ვრცელი ხასიათის ფაქტობრივ მასალებს გვაწვდიან[92]. აღნიშნული მოვლენა ლოგიკურად ასახავს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების როლისა და მნიშვნელობის ზრდას ქვეყნის ცხოვრებაში.

სომხეთის ქალაქების, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება წერილობით წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების საფუძველზე კარგად და დამაჯერებლად აქვთ ნაჩვენები სომეხ ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს (მანანდიანი, ტორამანიანი, არაქელიანი...).

აღსანიშნავია, რომ სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანისმსგავსად, ე. წ. ახალქალაქების წარმოქმნა უკავშირდება IX—X საუკუნეებს[93], რაც აგრეთვე გაპირობებული იყო გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის მოვლენებით.

წერილობითი წყაროები ერთხმად ადასტურებენ ქალაქების მნიშვნელობასა და ხაზს უსვამენ მათ სიმდიდრეს. არისტაკეს ლასტივერ-

---

тории некоторых городов Азербайджана IX—XIII вв., Тр. Института Истории АН АЗССР, № 13, Баку, 1958; С. Ашурбейли, Очерк истории средневекового Баку (VIII-начало XIX вв.) Баку, 1964.

[91] Г. М. Ахмедов, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

[92] იქვე, გვ. 112—113.

[93] თუ IV—IX საუკუნეების სომხეთში სულ სამიოდე ქალაქი არსებობდა IX-XI საუკუნეებში ახალქალაქობის ეამს, სომხური ქალაქების რიცხვმა ორმოცდახუთს მიაღწია. Б. Аракелян, Города и ремесла Армении IX—XIII вв , с. 293.

ტეცი ანის უწოდებს სახელგანთქმულს, არწნს—დიდებულსა და მთელ შსოფლიოში განთქმულს[94], მათე ედესელის თანახმადაც, არწნი ცნობილი და ხალხმრავალი ქალაქია. მისი სიტყვით, არწნის აღების შემდეგ თურქ-სელჩუკებმა აქედან დიდძალი ოქრო-ვერცხლი და სიმდიდრე გაზიდეს[95]. ასევე ცნობილი და მდიდარი იყო ქ. ყარსიც, რომლის სიმდიდრეც აღნიშნული აქვს არისტაკეს ლასტივერტეცს[96]. სომხურ ქალაქებს შორის განსაკუთრებით ცნობილი და მდიდარი იყო ქ. ანი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვაჭრობაში[97]. აღნიშნულ ფაქტებს ადასტურებს არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალაც.

როგორც ვხედავთ, სომხური წერილობითი წყაროები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ქალაქების როლისა და მნიშვნელობის ზრდას XI—XII საუკუნეებში.

ამგვარად, აშკარაა, რომ სომხური ფეოდალური ქალაქების წარმოქმნისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო საერთაშორისო ვაჭრობის კვლავ აღორძინება[98].

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებამ, რომ ჩსხვილი ქალაქები დვინი, ყარსი, არწნი (ერზერუმი). ერზნკა (არზანჯანი), ნპრკერტი (მაიაფარიკინი) სავაჭრო გზების გადაკვეთაზე ფუნქციონირებენ, ხოლო სავაჭრო მაგისტრალებიდან მოშორებით მდებარე ქალაქები შესამჩნევად დაბალ დონეზე დგანან, სუსტად განვითარებული ხელოსნობითა და ვაჭრობით. ისინი სოფლური ტიპის დასახლებებს განეკუთვნებიან[99].

XI—XII საუკუნეების ამიერკავკასიის ქალაქებს შორის რომ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა არსებობდა, ამას გვიდასტურებს როგორც არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ქალაქებსა და ნაქალაქარებშია

---

[94] Повествование Вардапета Аристакэса Ластивертци, перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения К. Н. Юзбашяна, М., 1966, с. 90, 93, 128; არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974, გვ. 79, 125.

[95] Chronique de Matthieu d'Edesse avec la continuation de Grégoire le Prêtre jusqe'en 1162, tr. par E. Dulaurier, 1858, 83—84.

[96] Аристакес Ластивертци, с. 93; არისტაკეს ლასტივერტეცი, გვ. 86, 186.

[97] Н. Я. Марр, АНН, Книжняя история города, раскопки на месте городища, Л.—М., 1934., с. 36.

[98] Я. А. Манандян, დასახ. ნაშრ., გვ. 205—206.

[99] Б. Н. Аракелян, დასახ. ნაშრ., გვ. 118—119.

აღმოჩენილი, ისე წერილობით წყაროებში დადასტურებული მასალები.

ამიერკავკასიის ქალაქები XI—XII სს. მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით იყვნენ დაკავშირებული აგრეთვე სამხრეთ რუსეთისა და წინა აზიის ქალაქებთან.

აღსანიშნავია, რომ წინა აზიაში თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და ბატონობის შედეგად შეფერხებული ეკონომიკური ცხოვრება კვლავ განახლდა XII ს-ის შუა ხანებში. ამ დროიდანვე იწყება აღმოსავლური ქალაქების ხელახალი დაწინაურება და აყვავება. მაგრამ ამ დროს წინა აზია პოლიტიკურად იყო დაშლილი და დაქუცმაცებული, ამან სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობა ის, რომ საქართველო წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა[100]. გაძლიერებული საქართველო ყველა საშუალებას მიმართავდა, რათა გაბატონებულიყო კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მთავარ სავაჭრო მაგისტრალებზე. XIII ს. 20-იან წლებში საქართველო ექსპლოატაციას უწევდა დვინ-არზრუმისა და დარუბანდ-შამახიის სავაჭრო გზებს. მაგრამ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მესვეურნი მიზნად ისახავდნენ ირანის ტერიტორიაზე გამავალი მთავარი სავაჭრო მაგისტრალის დაუფლებასაც[101]. ეს გზა, როგორც ცნობილია განსაკუთრებულ როლს ასრულებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო ურთიერთობაში[102].

საქართველოს ფეოდალური მონარქიის ამგვარი მისწრაფება შეპირობებული იყო მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერებით. კერძოდ კი, ქალაქების აღმავლობით და აყვავებით XII საუკუნეში.

საზოგადოდ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის ქალაქების განვითარება მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა მახლობელი აღმოსავლეთის საერთო ეკონომიკურ აღმავლობასა და განვითარებასთან. წინა აზია თავისი ქალაქებით აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელ მსოფლიო ვაჭრობაში, ირანის ზეგანზე გადიოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალები, რომელთა გასწვრივ ვაჭრობით განთქმული ქალაქები იყვნენ განლაგებული. შემთხვევით არ აიხსნება, რომ XII—XIII საუკუნეებში პოლიტიკურად

---

[100] საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, გვ. 197; ვ. გაბაშვილი, აღმოსავლეთი ქართული წყაროების ფურცლებზე, კრ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თსუ, ტ. 125, № 6, თბ., 1968, გვ. 299.

[101] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. (კონსპექტი), საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II თბ., 1957, გვ. 54; ვ. გაბაშვილი, საქართველოს საეკლესიო ურთიერთობანი XII ს., გვ. 205.

[102] იქვე.

და ეკონომიკურად გაძლიერებული საქართველო მიისწრაფოდა კავკასიისა და წინა აზიის მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალების დაუფლებისაკენ.

კავკასიისა და წინა აზიის სავაჭრო მაგისტრალებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული აღმ. საქართველოს ქალაქები, რომელთა მნიშვნელობის ზრდა, როგორც ვნახეთ, გაპირობებული იყო მათი აქტიური მონაწილეობით მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში.

ამ მხრივ ერთგვარად განსხვავებული მდგომარეობა არსებობდა დასავლეთ საქართველოს ქალაქებში.

§ 2. დასავლეთ საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში

XI—XII სს. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებთან შედარებით, დასავლეთ საქართველოს ქალაქები ნაკლებ არის შესწავლილი. ეს გამოწვეულია წყაროებისა და მასალების უკიდურესი სიმცირით. მაგალითად, პროფ. შ. მესხია წიგნში, რომელიც ეხება ფეოდალური საქართველოს ქალაქებსა და საქალაქო წყობილებას, ძალიან ცოტას ამბობს XI—XII სს. დასავლეთ საქართველოს ქალაქებზე. იგი ვრცლად განიხილავს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს. მკვლევარს ამის მიზეზად მოჰყავს სათანადო წყაროების უკმარისობა.

მას მხოლოდ მოკლედ აქვს დახასიათებული ისეთი ქალაქები, როგორიც იყო ქუთაისი, სოხუმი (ცხუმი), ნიკოფსია, ბიჭვინტა და სხვ[103],

დასავლეთ საქართველოს ქალაქები სამარშრუტო გზებთან მიმართებაშია შესწავლილი აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ. კვლევა-ძიების შედეგად მან დაადგინა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქების დამაკავშირებელი გზები და გადასასვლელები[104].

პროფ. ლ. ჭილაშვილი, რომელსაც XI—XII სს. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების შესახებ ყველაზე ვრცელი და საფუძვლიანი კვლევა აქვს ჩატარებული, მხოლოდ გაკვრით ეხება დასავლეთ საქართველოს ქალაქებს და იმ სამარშრუტო გზებს რომლებიც ქუთაისზე გადიოდა. მას აღნიშნული აქვს ქუთაისის სავაჭრო-ეკონომიკური

---

[103] Ш. А. Месхиа, города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, с. 14, 62—63.

[104] ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 33—34, 72.

მნიშვნელობაც[105]. ლ. ჭილაშვილი ასახელებს აგრეთვე შავიზღვისპირეთის ქალაქებს: სოხუმს, ანაკოფიას, ფოთსა და ხუფათს[106].

პროფ. ზ. ანჩაბაძე წიგნში შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (VI—XVII სს.), განიხილავს ქალაქებს და აღნიშნავს სოხუმის როგორც საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზღვაო ცენტრის მნიშვნელობას, ადგენს ქალაქის ტერიტორიულ საზღვრებს[107] და მის ეკონომიკურ როლს გენუის ახალშენებთან დაკავშირებით აფხაზეთის სანაპიროზე (XV—XV სს.)[108].

ე. ჩაკვეტაძის მიერ მონოგრაფიულადაა შესწავლილი ქუთაისის პოლიტიკური ისტორია უძველესი დროიდან მე-15 საუკუნემდე[109]. შეძლებისდაგვარად გამოკვლეულია აგრეთვე მისი ეკონომიკური ცხოვრება და სავაჭრო ურთიერთობანი უპირატესად დედაქალაქობის პერიოდში (1122 წლამდე)[110]. ვ. ჩაკვეტაძე ყურადღებას აქცევს ქუთაისის მდგომარეობას საქართველოსთან შეერთების შემდეგაც.[111] მაგრამ ბევრი არაფერია ნათქვამი დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქების შესახებ.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ XI—XII სს. დასავლეთ საქართველოს ქალაქების მდგომარეობა და მათი განვითარების განმსაზღვრელი პირობები დღემდე არ ყოფილა სპეციალური კვლევა-ძიების საგანი.

მასალების სიმცირე, რასაკვირველია, არ იძლევა დასავლეთ საქართველოს ქალაქებთან დაკავშირებული ყველა მოვლენის შესწავლისა და გაშუქების საშუალებას, მაგრამ ის, რაც ჩვენს ხელთაა, ერთგვარად მაინც გვიქმნის იმის შესაძლებლობას, რომ აღვადგინოთ დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ზოგიერთი მხარე.

წყაროებში დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან მხოლოდ ერთი ქალაქის შესახებ მოგვეპოვება ასე თუ ისე სრული ცნობები. ესაა ქუთაისი. დასახელებულია აგრეთვე სოხუმი, ფოთი, ხუფათი, ანაკოფია, ნიკოფსია.

---

[105] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, თბილისი, 1970, გვ. 128, 135.

[106] იქვე, გვ. 128, 130, 144.

[107] З. В. А н ч а б а д з е, Из истории средневековой Абхазии (VI — XVII вв.), Сухуми, с. 189—190.

[108] З В. А н ч а б а д з е, დასახ. ნაშრ., გვ 43—249.

[109] ვ. ჩ ა კ ვ ე ტ ა ძ ე, ქუთაისის ისტორიიდან თბ., 1960.

[110] ვ. ჩ ა კ ვ ე ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96—117, 118, 123, 129, 156, 157—179.

[111] იქვე, გვ. 161—162, 173—178.

აღნიშნულ ქალაქებთან დაკავშირებით მასალები ფრაგმენტული სახით გვხვდება და მიმოფანტულია როგორც თანამედროვე (XI—XII სს.). ისე გვიანდელ (XVI—XVIII სს.) წყაროებში (გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, ქართლის მატიანე. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი", ვახუშტი ბაგრატიონის „ისტორია"...).

საქართველოს ქალაქებს შორის ქუთაისი ერთ-ერთი უძველესთაგანია. ესაა დასავლეთ საქართველოს მთავარი ქალაქი და გარკვეული წლების განმავლობაში ერთიანი საქართველოს დედაქალაქიც.

ქუთაისი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. აქ გადიოდა დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა. ქუთაისის საშუალებით დასავლეთ საქართველოს კუთხეები—რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი—შავი ზღვის ქალაქებთან იყვნენ დაკავშირებული[112].

ქუთაისის შემოგარენს წყაროები ახასიათებენ როგორც „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა"[113].

ქალაქი კარგად იყო გამაგრებული (ციხე, გალავანი).

აქ საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა X—XIII საუკუნეებში. აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება ქუთაისის დედაქალაქობის პერიოდი (980—1122 წწ.), რამაც, უდავოდ, განსაზღვრა ქუთაისის შემდგომი დაწინაურება[114].

ქუთაისი ფაქტიურად წარმოადგენდა მთელი საქართველოს დედაქალაქს, ვინაიდან თბილისი ჯერ კიდევ მუსლიმანთა ხელში იყო.

ქართული წყაროები ქუთაისს ქართველ მეფეთა სახლს, ანუ რეზიდენციას უწოდებენ („სახლად მათდა ქუთათისსს", „შემოვიდა სახლად თჳსად ქუთათისს" და სხვ)[115].

რაც უფრო ვითარდებოდა საქართველოს გაერთიანების პროცესი, მით უფრო იზრდებოდა ქუთაისის როლი და მნიშვნელობა. ქუთაისსა და მის სანახებში შენდება ტაძრები, სასახლეები და საერო და-

---

[112] ვ. ჩაკვეტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ 163.

[113] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 329.

[114] ქუთაისის აფხაზთა ქართული სამეფოს დედაქალაქად გადაქცევა VIIIს-ის მეორე ნახევარში (ძველი ციხე-გოჯის-არქეოპოლისის მაგიერ) განაპირობა პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ფაქტორებმა (დაწვრილებით იხ. ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 68).

[115] მატიანე ქართლისა, გვ. 290, 304.

ნიშნულების ნაგებობანი (ბაგრატის ტაძარი, გელათი, გეგუთი, აბანოები, ხიდები, მოკირწყლული გზები, წყალსადენები).

ქუთაისის მნიშვნელობის ზრდით იყო გაპირობებული ის, რომ მის მახლობლად დავით აღმაშენებლის ინიციატივით დაარსდა სასწავლო-კულტურული ცენტრი — გელათის აკადემია. გელათს დავითის ისტორიკოსი „აღმოსავლისა მეორედ იერუსალემად" და „სხუად ათინად" მიიჩნევს[116].გელათშივე დავით აღმაშენებელმა „აღმართა ქსენონი" (სასნეულო სახლი) „ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა"[117].

ქუთაისის და, კერძოდ, გელათის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ გელათი ქართველ მეფეთა ერთ-ერთ საძვალედ გადაიქცა, გელათში დაკრძალულია დავით აღმაშენებელი.

წერილობითი წყაროები იმასაც აღნიშნავენ, რომ აქვე უნდა იყვნენ დაკრძალული დემეტრე I, გიორგი III[118], თამარი[119], დავით სოსლანი, გიორგი ლაშა[120]. საკუთრივ ქუთაისის საყდარში—გიორგი I[121].

ქართლის მატიანეს გადმოცემით, ქუთაისში ყოფილა სამეფო საჭურჭლეც. წყაროს ცნობით, გიორგი II-ის დროს მომხდარი არეულობის ჟამს ნიანია ქვაბულიძემ „წარუღო ქუთათისისა საჭურჭლე"[122]. 1122 წელს დავითმა საჭურჭლე ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა[123].

ქუთაისში არსებობდა ზარაფხანაც, სადაც იჭრებოდა ქართული მონეტები (ბაგრატ IV, გიორგი II, დავით აღმაშენებელი...). თ. ლომოურის აზრით, „საფიქრებელია, რომ ზარაფხანა სატახტო ქალაქში უნდა ყოფილიყო. ე. ი. დავითის მიერ თბილისის აღებამდე ქუთაისში, ხოლო ამ ამბის შემდეგ, 1122 წლიდან თბილისში"[124].

ქუთაისი, როგორც დედაქალაქი, სამეფო კარისა და დიდებულების ადგილსამყოფელი იყო. აქ მოქმედებდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები. გარდა პოლიტიკური ცენტრისა მას ეკონომიკური მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად

---

[116] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 330—331.

[117] იქვე, გვ. 331.

[118] ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე, გვ. 367.

[119] ისტორიანი და აზმანი, გვ. 112—113.

[120] ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე, გვ. 369, 371.

[121] მატიანე ქართლისა, გვ. 291,

[122] მატიანე ქართლისა, გვ. 316.

[123] თბილისი დავითმა. „დამუკჳდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ" (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 342).

[124] თ. ლ ო მ ო უ რ ი, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 399.

ითვლებოდა. ქუთაისზე გამავალი საერთაშორისო-სავაჭრო გზები მისი ეკონომიკური და კულტურული დაწინაურების ერთ-ერთი ფაქტორი იყო.

XI საუკუნის ქუთაისის შავი ზღვის ქალაქებთან და ნავმისადგომებთან კავშირი კარგად ჩანს გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებიდან", რომელშიც მისი მოგზაურობაა აღწერილი. „მოვიწვიენით სამისონს, ქალაქსა ზღვს კიდისასა და მუნ განვყიდენით საკედარნი ჩუენნი და ესრეთ ნავითა წარვემართენით ფოთს და მიერ საკედრითა ქუთათისს"[125].

საინტერესოა ის ცნობაც, სადაც აღწერილია ბაგრატ მეფის საბერძნეთიდან დაბრუნება. ბაგრატ მეოთხეს „მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვს პირსა, ხუფათს... და შემოვიდა სახლად თჳსად ქუთათისს"[126].

ქუთაისზე გადიოდა ჩრდ. კავკასიისაკენ მიმავალი გზა[127], აღმოსავლეთ საქართველოსთან და მცირე აზიასთან დამაკავშირებელი გზები[128].

ქუთაისიდან თბილისისაკენ (ლიხის მთით) მიემართებოდა მნიშვნელოვანი მაგისტრალი[129].

ლიხთ-იმერეთს ამერეთთან აკავშირებდა პერანგას, კორტოხის, დედაბერას, რიკოთის, სურამის და „ციხის ძირის" გადასასვლელები[130].

ამ გზებისა და გადასასვლელების საშუალებათ ქუთაისი დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქებთან (თბილისი, რუსთავი, დმანისი. ხუნანი, სამშვილდე და სხვ.), ხოლო აღმ. საქართველო მას აკავშირებდა ირანის მთავარ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებთან — არდებილ-ზენჯანის და დვინ-თავრიზის მაგისტრალებით.

მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებს ქუთაისი უკავშირდებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაგისტრალებითაც (არტანუჯისა და არტაანის გზები და ტრაპიზონის გზის განტოტებანი)[131].

---

125 ათონის კრებული, თბილისი, 1901, გვ. 319.

126 მატიანე ქართლისა, გვ. 304.

127 ვ. ჩ ა კ ვ ე ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 163.

128 იქვე.

129 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ ნაშრ., გვ. 33—34.

130 იქვე, გვ. 34.

131 ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვან მაგისტრალს წარმოადგენდა არტანუჯის გზა. „არტანუჯიდან ერთი| გზა ყველის ციხით და შემდეგ ოძრხე-კლდეკარის გასასვლელით ქუთაისს მოემართებოდა, მეორე კი არტაანისაკენ". ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

შავიზღვისპირეთის ქალაქების (ფოთი, სოხუმი, ანაკოფია..) მეშვეობით კავშირი მყარდებოდა ბიზანტიის იმპერიასთან.

ჩვენ მოგვეპოვება ქართული წყაროს ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოს ზღვით პირდაპირი კავშირი დამყარებული ჰქონდა კონსტანტინოპოლთან. მაგ.. ბაგრატს აფხაზთა მეფის ძეს კონსტანტინოპოლში „მისცა მეფემან ლაშქარი და გამოგზავნა ზღუთ და ნავითა შემოვიდა აფხაზეთად"[132]. ამგვარ ცნობებს თავის დროზე ყურადღება მიაქცია აკად. ივ. ჯავახიშვილმა და სხვათა შორის აღნიშნა, რომ „სამისონითგან ფოთში ნავით წასელა ეხლაც ადვილი საქმე არ არის, მაშინ ხომ, ალბათ, მხოლოდ როცა დარი ხელს უწყობდა ადამიანს შეეძლო გაებედნა ზღვით მგზავრობა, მაშინ აფხაზეთში ზღვით კონსტანტინეპოლითგან პირდაპირაც მიდიოდნენ თურმე"[133].

როდესაც ბაგრატ III-ის თაოსნობით დამთავრდა ქუთაისის კათედრალის მშენებლობა (1103 წ.). მეფემ „აკურთხა ეკლესია ქუთათისა", ამ საზეიმო ცერემონიალს დაესწრნენ"... მახლობელნი ყოველნი ჴელმწიფენი და კათალიკოსნი, მღდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა საჴელმწიფოთანი"[134].

აღნიშნული ფაქტი ქუთაისის საერთაშორისო რეზონანსზე მეტყველებს. უცხო ქვეყნებთან ურთიერთობას გვიდასტურებს აქ ნაპოვნი ნუმიზმატიკური მასალაც[135].

1122 წლის შემდგომაც, როცა თბილისი საქართველოს დედაქალაქად იქცა, ქუთაისს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. დავით აღმაშენებელი, გიორგი III და თამარი არაერთხელ გადასულან ქუთაისში და იქიდან უმართავთ სახელმწიფო.

---

[132] მატიანე ქართლისა, გვ. 261.

[133] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 72. ივ. ჯავახიშვილის ეს განმარტება იმითაა საყურადღებო, რომ შავ ზღვაზე, სადაც ნაოსნობა ნაკლებ ინტენსიური იყო, მგზავრობა მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და საზღვაო ტექნიკაც, ამიტომ მაღალი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ იქ, სადაც ზღვაოსნობა ინტენსიური იყო, ხმელთაშუა ზღვასა და ინდოეთის ოკეანეზე, საზღვაო ტექნიკა იმდენად იყო განვითარებული, რომ მუსლიმანი მეზღვაურები თავიანთი ხომალდებით ზღვის ვრცელ სივრცეებს სერავდნენ. გავიხსენოთ სინდბადის ამბავი და თავგადასავალი.

[134] მატიანე ქართლისა, გვ. 281.

[135] И. А. Д ж а л а г а н и я, Два клада сельджукских монет, СА, №2, с. 213

ქუთაისი ყოველთვის სამეფო ქალაქი იყო, ხოლო წყაროები საქართველოს მეფეებს ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც თბილისისა და ქუთაისის ტახტის მპყრობლებს[136].

ქუთაისს წყაროები უკავშირებენ სამოქალაქოს, ამდენადვე არ შეიძლება უურადღება არ მიექციოს ქუთაისისა და სამოქალაქოს ურთიერთდამოკიდებულებამ.

წერილობით წყაროებში სამოქალაქოს გამო ნათქვამია: ბაგრატ III „მოვიდა ქუთათისს, და მოიყენა ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი[137].

1080 წელს დიდთურქობის ჟამს „...არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა"[138].

გიორგი III—ეს „აფხაზეთი. სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწუნარებით"[139].

აჯანყებულ იური ბოგოლუბსკის მიემხრო „ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი"[140].

ქართული წყაროების „სამოქალაქომ" კარგა ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „სამოქალაქო" ქუთაისის სანახებს უნდა გულისხმობდეს[141]. ამასვე აღნიშნავდა აკად. კ. კეკელიძეც[142], განსხვავებული აზრისაა აკად. ს. ჯანაშია. მას სამოქალაქო მუხირეზისის (მოხირისის) ძველ ქართულ სახელწოდებად მიაჩნდა და მასში იმერეთისა და სამეგრელოს (კერძოდ, აბაშა—მარტვილის) ნაწილს გულისხმობს[143].

ქუთაისის ისტორიის მკვლევარი ვ. ჩაკვეტაძე თვლის, რომ სამოქალაქო (ადრინდელი სახელწოდება მოხირისი) ქუთაისის ახლო-მახლო მდებარე ტერიტორიას, ანუ მის სანახებს ეწოდებოდა და არავი-

---

136 ვ. ჩ ა კ ვ ე ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

137 მატიანე ქართლისა, გვ. 299.

138 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 319.

139 ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 367.

140 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბილისი 1959, გვ. 49.

141 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 55, 61.

142 История и восхваление венценосцев, Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил К. С. Кекелидзе, глава XXIV, с. 105. прим. 6, Тб., 1954.

143 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 320.

თარ შემთხვევაში არ მოიცავდა თანამედროვე აბაშა-მარტვილის (გეგეჭკორის) რომელიმე ნაწილს. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად, ვ. ჩაკვეტაძეს სხვადასხვა მასალებთან ერთად მოაქვს პროკოფი კესარიელის ერთი ცნობა, სადაც ნათქვამია: რომ არქეოპოლისი (ნოქალაქევი) ერთი დღის სავალზე მდებარეობდა მოხირისიდან[144].

მისივე აზრით, „სამოქალაქოს“ სინონიმურ ცნებად უნდა მივიჩნიოთ „ქუეყანა ქუთათისისა“[145].

როგორც ჩანს, „სამოქალაქო“ უფრო ფართო ცნების მომცველი იყო, ვიდრე ცალკე აღებული ქუთაისი[146].

„სამოქალაქოში“ წარმოდგენილი იყო მთელი რიგი დასახლებული პუნქტები.

ქუთაისის სანახებში მდებარე მაღლაკი, გეგუთი, წყალტუბო, ვარდციხე, გელათი, კურსები, გოდოგანი და სხვ. მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქუთაისის ეკონომიკურ ცხოვრებაში[147].

გელათთან ერთად, ქუთაისთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა გეგუთიც.

შ. მესხიას გეგუთი ქალაქის ტიპის დასახლებად მიაჩნია და იქვე აღნიშნავს, რომ ამ ტიპის დასახლებანი აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში[148].

გეგუთი დაახლოებით 1156 წ. დაარსა გიორგი III-მ[149] და ქართველ მეფეთა ერთ-ერთ რეზიდენციას წარმოადგენდა. აქ ჩერდებოდნენ გიორგი III[150], თამარი („ხოლო მეფე თამარ ზამთრის დურს

---

[144] ვ. ჩ ა კ ვ ე ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

[145] იქვე, გვ. 116.

[146] „სამოქალაქოს“ გამო ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც. ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტი ადრეულ საისტორიო წყაროებში დამოწმებული „სამოქალაქო“ მოსახლეობის იდენტურია და გულისხმობს მეფის დომენს (ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, ძველი ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან (შიდა ლაშქარი), მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, № 4, გ. 131—139). ამას იზიარებს მ. კეკელიაც, (მ. კ ე კ ე ლ ი ა, იმერეთის სამეფოში არსებული „ფიცის-კაცთა“ ინსტიტუტის შესახებ, მაცნე, იგივე, 1972, № 3, გვ. 143, შენ. 6). გ. ცქიტიშვილის აზრით, „სამოქალაქო“ ქუთაისთან ერთად მოიცავდა ქვემო იმერეთს (გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ერთი ადგილის წაკითხვისათვის, კრებ, საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 223).

[147] ვ. ჩ ა კ ვ ე ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

[148] Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, с. 106.

[149] ვ. წ ი ლ ო ს ა ნ ი, გეგუთი, ციხე-დარბაზი, კრ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბილისი, 1938, გვ. 458.

[150] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 22.

ოყვის და ზაფხულის კოლას ცელის ტბასა, ზოგჯერ გარდავიდის აფხაეზთს: გეგუთს და ცხუმს“[151],, ვახუშტი გეგუთს ზამთრის სადგურს უწოდებს („სად ერთვის რიონს ყვირილა, მის ჩრდილოეთ და რიონს დასავლეთით არს გეგუთი სადგური ზამთრის მეფეთა)[152] გეგუთს, ვახუშტის თქმით, „ციხე დარბაზსაც“ ეძახდნენ[153].

გელათისა და გეგუთის დაარსება XII ს-ში კარგად მოწმობს, თუ როგორ ყურადღებას აქცევდა მეფის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ცენტრების მნიშვნელობის ზრდასა და განმტკიცებას.

ყურადღება ექცეოდა აქაური ქალაქების ეკონომიკურ განვითარებასაც.

ზემოთ, თავის ადგილზე, უკვე ითქვა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია (ნ. ბერძენიშვილი, ლ. ჭილაშვილი) იმ გზების მნიშვნელობა, რომლითაც დასავლეთ საქართველოს ქალაქები და, კერძოდ, ჭუთაისი აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სავაჭრო მაგისტრალებს უკავშირდებოდა.

დასავლეთ საქართველოს საქალაქო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ზღვისპირეთის ქალაქებიც.

ზღვისპირეთის ქალაქებს შორის სოხუმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ქალაქია. ძველად მას სევასტოპოლე რქმევია. ლეონტი მროველის თხზულების ჩანართებში წერია: „შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად[154] მოვიდეს, რომელსა აწ ეწოდება ცხუმი“[155].

„ჯუანშერის თხზულებაშიც ცხუმი ქალაქია[156].

---

[151] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 111.

[152] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს ვეოგრაფია), თბილისი, 1941, გვ. 156.

[153] იქვე, გვ. 157.

[154] მკვლევართა აზრით, სევასტოპოლისი (სებასტოპოლისი) იგივე ძველი დიოსკურიაა. М П. И н а д з е, Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968, с. 242.

[155] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, I, გვ. 42, მსგავსი ჩანართები ანდრია მოციქულის მოღვაწეობიდან არის აღებული, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ მოღვაწეობის ამსახველი „ცხოვრება“ ძველ ქართულ წყაროთა რიგს განეკუთვნება. ამ წყაროთა შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ანდრია ჰოციქულის და წ-და ნინოს მოღვაწეობა საქართველოში (ჟურნ. „მოამბე“, ტფ. 1900, განკ. II, გვ. 55—70, № 6, გვ. 18—50), მისივე, Проповедническая деятельность ап. Андрея и св. Нины в Грузии (журн. мин. нар. просв., Спб., 1901, № 1, с. 77—113).

[156] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 235.

საზოგადოდ, ძველ წყაროებში სოხუმი ქალაქად იწოდება „დაიბანაკა პიტიოტას, ზღუს პირს, ქალაქსა, რომელსა ჰქჳან ცხუმი“[157]. ვახუშტიც სოხუმს ქალაქად იხსენიებს, თუმცა მის დროს ის უკვე დაბაა[158].

სოხუმს ქალაქს უწოდებს აგრეთვე აბულფიდა (დაიბ. 1273 წ.)[159].

შუა საუკუნეების სოხუმი ძირითადად მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირზე იყო გაშენებული. ვახუშტი შემდეგნაირად განსაზღვრავს სოხუმის ადგილმდებარეობას: „ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა, გამომდინარე კავკასისა, და მოერთვის ზღვას ჩრდილოდამ. ამ წყალზედ, მთაში არს ცხომი, და ისახელების მდინარე ესე ამისგან“[160].

XI—XII სს. სოხუმი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი ჩანს, მაგალითად, არქეოლოგთა აზრით, აქ უნდა არსებულიყო კერამიკის საწარმოო ცენტრი[161].

სოხუმის საგარეო კონტაქტებზე მეტყველებს აქ ნაპოვნი უცხოური მონეტები[162].

სოხუმის მახლობლად მდ. ბესლეთზე აგებული ხიდი, ქართული ასომთავრული წარწერით, მიმანიშნებელია კეთილმოწყობილი გზებისა და მშენებლობის მაღალი დონის, აგრეთვე, სოხუმის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტებისა. სოხუმი კარგად იყო დაცული. აღნიშნული ქალაქის თავდაცვით ნაგებობებს განეკუთვნება ე. წ. „ბაგრატის ციხე“[163].

კიდევ უფრო ცოტა ცნობები მოიპოვება ბიჭვინტის შესახებ. შ. მესხია მას ასახელებს, VIII—XII სს. წყაროების მიხედვით, დას. საქართველოს ქალაქებს შორის (ნიკოფსია, დიოსკურია, (ცხუმი), ბიჭვინტა და სხვ.)[164] XII ს-ში ბიჭვინტა გარკვეული მნიშვნელობის

---

157 ჯუანშერი I, გვ. 238.

158 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

159 Géographie d'Aboulfeda, texte arabe publié par M. Reinau, Paris, MDCCCXL, 389.

160 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

161 ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. ქართული კერამიკა (XI—XII სს.), თბ., 1956, გვ. 40.

162 Е. А. П а х о м о в, Монетные клады Азербайджана, вып., I, № 140. вып. II, № 440, Баку, 1926.

163 З. В. А н ч а б а д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 189.

164 Ш. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ. გვ. 14.

ქალაქი ჩანს. დავით აღმაშენებელი, მისი ისტორიკოსის ცნობით, „ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვნტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი“[165].

წერილობითი წყაროების მიხედვით, ანაკოფია, ეტყობა, XI—XII სს. დას. საქართველოს შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა.

ჯუანშერი ანაკოფიას მოიხსენიებს როგორც ციხე-ქალაქს („მიწყუდეულ არს ციხე-ქალაქი ესე შემუსრვად“)[166].

ვახუშტი აღწერს ქალაქს და შემდეგნაირად განსაზღვრავს მის მდებარეობას: „ამ ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასიისა და მომრთველი ზღვისა ეგრეთვე ჩრდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვის კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია“[167].

ანაკოფია, ვახუშტის განმარტებით, ძველი („ეს აღაშენეს ბერძენთა“) და სახელოვანი ქალაქია. ანაკოფიას შესანიშნავი ბუნებრივი პირობები და მდებარეობა ჰქონდა. „იყო ქალაქი კეთილი, შვენიერი, ზღვასა ზედა წაშენებული, და შემდგომად ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული, რომლისა ზღვასა შინა სვეტნი ორმოცამდე დღესაც ჩანან. არამედ აწ ოჯერ არს[168].

ეს ნაგვიანევი, მაგრამ საინტერესო და საყურადღებო ცნობა, ძველი ვითარების ანარეკლი უნდა იყოს. კერძოდ, არ შეიძლება ჩვენი ყურადღება არ მიიქციოს იმან, რომ ვახუშტის მიხედვით, ანაკოფიის მნიშვნელობა „უმეტეს განადიდეს“ ბაგრატიონებმა.

ანაკოფიის ციხეს არაერთგზის მოიხსენიებენ ძველი ავტორები— ჯუანშერი[169], ქართლის მატიანეს ავტორი, თამარის ისტორიკოსი („მოადგა ციხესა ანაკოფისასა“, „ანაკოფიის ციხე“[170] და სხვ.). საგულისხმოა, რომ ქართლის მატიანე მას უწოდებს აფხაზეთის ციხეთა თავადს („...ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“)[171], ე. ი. ყველაზე მთავარსა და მნიშვნელოვანს მთელს დას. საქართველოში.

ანაკოფიის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ის XI—XII სს. საქართველო-ბიზანტიის ქიშპობის ობიექტს წარმოადგენდა (ადრე მის აღებას ცდილობდა მურვან ყრუ)[172],

---

[165] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვ. 339.
[166] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, გვ. 236.
[167] ვ ა ხ უ შ ტ ი, ა ღ წ ე რ ა..., გვ. 169.
[168] ი ქ ვ ე.
[169] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, გვ. 235.
[170] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 129.
[171] მატიანე ქართლისა, გვ. 317.
[172] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, გვ. 235.

გიორგი I-ის ძემ დემეტრემ ანაკოფია გადასცა ბიზანტიას: „და ამისსა შემდგომად სხუაცა ძე დარჩა გიორგი მეფესა ანაკოფიას შინა... მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარუტანა თანა ანაკოფია და მიერითგან წარუკდა ანაკოფია აფხაზთა მეფესა მოაქაჟამადმდე"[173].

საბოლოოდ საქართველომ მაინც შეძლო ანაკოფიის დაბრუნება.

ამგვარად, ანაკოფია ჩვენთვის საინტერესო ხანაში შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი სამეფო ქალაქი იყო. წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველი მეფეები მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და შეხაბამის ყურადღებასაც უთმობდნენ.

შავიზღვისპირეთის სხვა მნიშვნელოვანი ქალაქი იყო ნიკოფსია

ნიკოფსიას ქალაქი ეწოდება ლეონტი მროველის თხზულების ერთ-ერთ ჩანართში და შემდეგნაირად არის განსაზღვრული მისი მდებარეობა: „ხოლო სიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოპს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა წმიდა სჳმონ კანანელი"[174].

მართალია, წერილობითი წყაროები ბევრს არაფერს ამბობენ ამ ქალაქის თაობაზე, მაგრამ ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: საქართველოს ტერიტორიული საზღვრების აღნიშვნისას, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, წყაროები არაერთგზის ასახელებენ ორ უმნიშვნელოვანეს პუნქტს: ნიკოფსიას შავ ზღვაზე და დარუბანდს—კასპიის ზღვაზე, ე. ი. იღებენ ამ უკიდურეს დასავლეთით და უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე ზღვისპირა ქალაქებს[175].

XI—XII სს. ბათუმის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ვახუშტი მას მცირე ქალაქად წარმოადგენს. ასეთსავე მცირე ქალაქად მოიხსენიებს ის გონიოსაც (ანტიკური ხანის აფსაროსი). „და ამ ჩაქვის სამჴრით დის ჭოროხის მდინარე. ზღვის შესართავზედ და ჭოროხის ჩრდილოეთ კიდურზედ არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი... და ბათომის პირისპირს, ჭოროხის სამჴრეთის კიდეზე, არს გონია, მცირე ქალაქი და ციხე"[176].

შესაძლოა ჩვენთვის საინტერესო ხანაში ბათუმი და გონიო უკვე ქალაქის ტიპის დასახლებებს, ან მცირე ქალაქებს წარმოადგენდნენ.

---

[173] მატიანე ქართლისა, გვ. 295.

[174] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, გვ. 43, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში კი ნათქვამია: სიმონ კანანელი „ქუეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების" ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის მიხედვით: ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 52.

[175] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 94, 103; ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1125 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 37.

[176] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 176.

ყოველ შემთხვევაში, ორივე ზემოდასახელებული ქალაქი ძველია. ანტიკურ ხანაში ისინი მნიშვნელოვან (სტრატეგიული თუ სავაჭრო ეკონომიკური თვალსაზრისით) ქალაქებად ითვლებოდნენ[177].

ამგვარად, ქუთაისს გარდა, როგორც ვნახეთ, დასავლეთ საქართველოში არსებობდა ქალაქები—სოხუმი, ანაკოფია, ნიკოფსია, ბიჭვინტა, ხუფათი, ფოთი.

ყველა ეს ქალაქი (ქუთაისს გარდა) შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, მაგრამ ისინი თავიანთი მასშტაბებითა და მნიშვნელობით ვერ შეედრებიან ანტიკური და ელინისტური ხანის ქალაქებს, რომლებიც თავის დროზე განუხრელი განვითარების გზაზე იდგნენ. ეს ხაზგასმითაა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში[178].

ამას გარდა, როგორც ჩანს, ადრეფეოდალური ხანის დასასრულს დას. საქართველოში ადგილი არა აქვს ე. წ. „ახალქალაქობის" პერიოდს, რაც ასე დამახასიათებელი იყო ამავე პერიოდის აღმ. საქართველოს ქალაქებისათვის.

დას. საქართველოში ზოგიერთი ქალაქი—ციხე-გოჯი (არქეოპოლისი), კლისურა, ვანი, ფიჭვნარი, გადაშენდა ზოგიერთი მათგანი ქალაქის ტიპის დასახლებად იქცა (აფსაროსი, პიტიუნტი, ბათომი), ზოგიც კიდევ განაგრძობდა არსებობას (მაგ., ქუთაისი, სოხუმი), მაგრამ ქალაქების საერთო მდგომარეობა სულ სხვა სურათს გვიჩვენებს, ვიდრე ეს ანტიკურ ხანაში იყო[179].

XI—XII სს. საქართველოს ქალაქების შესწავლით აშკარა ხდება, რომ აღმ. და დას. საქართველოში ერთნაირი ვითარება არ იყო ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების მხრივ.

თუ XI—XII ს-ში აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა

---

[177] М. П. Инадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 191, 251.

[178] მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ პიტიუნტი. თუ ის ელინისტურ ხანაში, იმდროინდელი წერილობითი წყაროების თანახმად, წარმოადგენს „დიდ პიტიუნტს" (ეფესელი) და „უმდიდრეს ქალაქს" (პლინიუსი), (М. П. Инадзе, ნაშრომი, გვ. 225), XI—XII სს. ის უკვე მცირე ქალაქია.

[179] ლ. ჭილაშვილს ამის ერთ-ერთი მიზეზად აღნიშნული აქვს ის, რომ „მოისპო ზღვისპირეთის კულტურული ცენტრები" (ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, გვ. 84), მაგრამ ამ მოვლენას იგი მხოლოდ მურვან-ყრუს ლაშქრობის შედეგებს უკავშირებს (იქვე, გვ. 84, შენ. 53), მასვე აღნიშნული აქვს დას. საქართველოს გზების (და ზღვისპირეთის ქალაქების) ლოკალური მნიშვნელობა და ისიც, რომ IX—X საუკუნეებში ტაო-კლარჯეთმა საგრძნობლად გაასწრო კოლხეთს (იქვე, გვ. 84). ერთგვარად განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომლის სიტყვით: „ძველს საზღვისპირო ქალაქებს ახლებიც შემოემატა (ხოფათი, ბათომი...)", ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 10.

მრავალი დაწინაურებული და განვითარებული ქალაქი, დასავლეთ საქართველოში, როგორც ვნახეთ, სულ რამდენიმე ქალაქი იყო, მათ შორის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ქუთაისი ჩანს.

დამახასიათებელია, რომ დასავლეთ საქართველოს ურბანისტიკული სინამდვილე ამ მხრივ ერთნაირი იყო აღმავლობა-განვითარების პერიოდშიც (X—XII სს.) და დაქვეითების პერიოდშიც (XVI—XVIII სს.). მიუხედავად აშკარად განსხვავებული პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პირობებისა, მსგავსებას ამ თვალსაზრისით, როგორც ჩანს, აპირობებდა შავი ზღვის მდგომარეობა.

X—XII სს. დასავლეთ საქართველოს ქალაქების შესწავლისას., ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შავი ზღვის როლსა და მნიშვნელობას. საქმე ისაა, რომ შავ ზღვაზე შექმნილი მდგომარეობა (უკეთ შავი ზღვის კავშირების გარესამყაროსთან ინტენსიურობა) მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა დას. საქართველოს ქალაქების მდგომარეობას ანტიკურ და ფეოდალურ ხანაში.

შავ ზღვაზე VIII—XI საუკუნეებში ბიზანტია ბატონობდა.

არაბი გეოგრაფები უკვე IX საუკუნიდან შავი ზღვის აღსანიშნავად ხმარობენ ტერმინ „ბაჰრ არ-რუმს“ („ბიზანტიის ზღვა“), რაც ადრე ხმელთაშუა ზღვის სახელწოდება იყო[180]. ალ-ფერგანი, რომლის ნაშრომშიც პირველად გვხვდება ეს დასახელება, ხმელთაშუა ზღვას უწოდებს „ბაჰრ აშ-შამს“ („სირიის ზღვა“)[181].

„ბაჰრ-არ-რუმ“ შავი ზღვის მნიშვნელობით დამოწმებულია იბნ ხორდადბეჰის თხზულებაშიც[182].

ამავე ხანებში ასტრონომ ალ-ბატანისგან მოყოლებული არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში პოპულარული ხდება შავი ზღვის ბერძნული სახელწოდება — პონტოსი[183].

ქართულ წყაროებში მოიპოვება შავი ზღვის ისეთი სახელწოდება რომელიც სხვაგან არსად არაა ფიქსირებული. ესაა „სპერის ზღვა“, გვხვდება ლეონტი მროველთან: „დასავლით ვიდრე ზღუადმდე სპერისა“[184]. ჯუანშერთან: „დაიპყრა მირდატ, ძემან ვახტანგისმან, ფარავნითგან და ტასისკარითგან, ვიდრე ზღუადმდე სპერისა“[185] და ვახუშ-

---

[180] В. М. Бейлис, Сведения о черном море в сочинении арабских географов IX—X вв., сб., Ближний Восток, М., 1962, с. 22.

[181] იქვე, გვ. 23.

[182] В. М. Бейлис, დასახ. ნაშრ., გვ 23.

[183] იქვე.

[184] ლეონტი მროველი, გვ. 8, 9, 19.

[185] ჯუანშერი, გვ. 205.

ტისთან: „ბექას ეპყრა ტაშისკარს ზეით სპერის ზღუადმდე“[186]. სპერის ზღვა შავი ზღვის აშკარად ქართული სახელწოდებაა. ნაწარმოებია იგი სამხრეთ დასავლეთ საქართველოში მდებარე ერთ-ერთი ცნობილი ადგილის სახელწოდებიდან[187].

აღსანიშნავია რომ ამ სახელწოდებას რაღაცნაირად ეხმაურება X ს-ის სპარსული გეოგრაფიული თხზულება „ჰოდუდ ალ-ალამში“ („ქვეყნიერების საზღვრები“) დამოწმებული „ქართველთა ზღვა“ („ბაჰრ ალ-ჯურზი“)[188].

ეს თითქოს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქართველები ნაოსნობისათვის იყენებდნენ შავი ზღვის სანაპიროების ქალაქებსა და ნავსადგურებს, მაგრამ არა ისე ინტენსიურად, როგორც ეს ანტიკურ ხანაში იყო.

შავი ზღვის მდგომარეობა შკვეთრად შეიცვალა არაბეთ-ბიზანტიის მეტოქეობის პერიოდში.

VIII საუკუნიდან დაწყებული არაბები განუყოფლად ბატონობდნენ ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში[189]. X ს-ში მათ შეძლეს სიცილიის და კრეტის ხელში ჩაგდება, რითაც დასაყრდენი გაიჩინეს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილშიც[190]. არაბთა სწრაფვა ზღვებზე ბატონობისაკენ ფართოდ აისახა იმდროინდელ არაბ გეოგრაფთა თხზულებებში. X—XIII სს. არაბი გეოგრაფები ცხოველ ინტერესს

---

[186] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1973, გვ. 245, იხ. აგრეთვე გვ. 40, 48, 49, 50.

[187] მ ა ნ ა ნ ა გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, შავი ზღვა ქართული წყაროების მიხედვით, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობის, სერია თბ., 1978, ტ. 186, გვ. 126—127.

[188] Hudud al-Alam, გვ. 67. ერთხანს შავ ზღვას ეწოდებოდა აგრეთვე „რუსთა ზღვაც“ და „ხაზართა ზღვაც“, (კასპიის ზღვასთან ერთად), ოღონდ ეს სახელწოდებები ნაკლებ იყო გავრცელებული. В. В. Б а р т о л ь д, Ислам на Черном море, Соб. соч. т. VI, გვ. 659. კიდევ უფრო ნაკლებ იყო ცნობილი „ყირიმის ზღვა“ («Bahry Kirim») და ტრაპიზონის ზღვა“ («Bahr al-Trabuzunda»).

[189] სრუტეებზე ბატონობას უაღრესად დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ზღვების სანაპიროებზე მდებარე ქვეყნების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს ზღვაოსნობასთან დაკავშირებული საქმიანობის წარმატება და ფლოტის გაძლიერება შეადგენდა. ვ. როზენის თქმით: «В государствах, которые владели морским берегом, степень заботливости о флоте (военном и торговом) в большинстве случаев может служить мерилом государственной мудрости правителей» (Император Василий Болгоробойца, Извлечения из летописи Яхьи Антиохийского. Издал, перевел и обяснил В. Р. Розен, СПб., 1883, с. 283).

[190] А. А. В а с и л ь е в, Византия и Арабы, СПб., 1900, с. 204, 206.

იჩენენ ხმელთაშუა ზღვის მიმართ[191]. მაგრამ, როგორც ცნობილია, არაბებმა ვერ შეაღწიეს ვერც ხმელთაშუა ზღვის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, ვერც, მით უმეტეს, შავ ზღვაზე[192].

VIII—XI სს. შავ ზღვაზე განუყოფლად ბატონობდა ბიზანტია, ხმელთაშუა ზღვაზე კი მუსლიმები ბატონობდნენ. ბიზანტიელებისა და მუსლიმანების სამხედრო ფლოტები ხშირად ესხმოდნენ ხოლმე ერთმანეთს თავს. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინების შედეგად გასაგები ხდება, თუ რით იყო გაპირობებული დასავლეთ საქართველოს ქალაქების განვითარების ერთგვარი შეფერხება აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებთან შედარებით IX—X საუკუნეებში.

იმის გამო, რომ არაბები გაბატონდნენ ხმელთაშუა ზღვაზე, შავი ზღვა ჩაკეტილი აღმოჩნდა. შავი ზღვის ქალაქები გამოეთიშნენ იმდროინდელი მსოფლიო ვაჭრობის მთავარ ცენტრებს, რომელთა ურთიერთკავშირი ხმელთაშუა ზღვის და ინდოეთის ოკეანის მეშვეობით მყარდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო ვაჭრობაში გაბატონებული მუსლიმანი ვაჭრები დაინტერესებული არ იყვნენ შავი ზღვისპირეთის სავაჭრო ახალშენების დაარსებით[193]. ამიტომ იყო, რომ შავი ზღვა ფაქტიურად დიდხანს „დაკეტილი ზღვა“ იყო— „Mare clausum“.

ამან შავი ზღვის სანაპიროთა ქალაქები ისევე მოწყვიტა მსოფლიო სავაჭრო ცენტრებს, როგორც გვიან, თურქეთის გაბატონებამ შავ ზღვაზე (XV ს.) გამოიწვია აქაური ქალაქების იზოლაცია და შავი ზღვის „თურქეთის ტბად“ გადაქცევა.

შავი ზღვის ბლოკირებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მისმა ჩაკეტ-

---

[191] არაბები რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ფლოტს ჩანს ალმაკრიზისის შეფასებიდან, რომელშიაც აღნიშნულია: ყველა ყოველნაირად ცდილობდა ფლოტში მოხვედრას და რომ ფლოტის მსახურნი დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ (Василий Болгаробойца с. 174).

[192] «К Черному морю не смогли на длительное время продвинуться ни персы при Сасанидах, несмотря на их многочисленные победы над Римом, ни позднее арабы» (В. В. Бартольд, დასახ ნაშრ., გვ. 659). სამწუხაროდ, ამჟამად, ჩვენ ხელთ არა გვაქვს ჰონიგმანის ნაშრომი, რომლის შინაარსი ეხება შავ ზღვაზე ერთი არაბული მარშრუტის აღწერილობას: E. Honigman, Un itinéraire arabe à travers le Pont, Annuaire de l'Institut philologique et historique orientale et slaves, IV, 1936.

[193] ამის გამო აკად. ვ. ბარტოლდი აღნიშნავდა: «У мусульманских купцов, которые, в то время господствовали в мировой торговле, естественно, повсюду были свои интересы, однако эти интересы на Черном море не нашли своего выражения в виде основания мусульманских торговых поселений» .. (В. В Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. 660).

ვამ გამოიწვია ზღვისპირა ქალაქების იზოლირება გარესამყაროსაგან. ეს პროცესი, ბუნებრივია, დასავლეთ საქართველოს ქალაქებსაც შეეხო, რომლებიც მანამდე (ანტიკურ და ელინისტურ ხანაში) აქტიურად მონაწილეობდნენ შავი ზღვის საერთაშორისო ვაჭრობაში[194]. სამაგიეროდ, დასავლეთ საქართველოს ქალაქებისაგან განსხვავებით, ხელსაყრელი პირობები შეექმნათ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს.

სამხრეთის სავაჭრო გზების ჩრდილოეთისაკენ გადანაცვლებას XIII ს. მოჰყვა მტკვრის აუზში ვაჭრობის გამოცოცხლება. ამით იყო გაპირობებული აღმ. საქართველოს ქალაქების, განსაკუთრებით კი თბილისის აყვავება IX—XII სს-ში. მსგავსი მიზეზების გამო ასევე ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიან IX—XII სს. აზერბაიჯანის ქალაქებიც (დარუბანდი, ბარდავი, განძა, ბაილაყანი, ნახჭევანი, შაბერანი, შემახა...)[195]. ამავე დროს, სავაჭრო გზის მდ. მტკვრის აუზში გადანაცვლებამ და შავიზღვისპირეთის ნავსადგურებთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტამ (შავი ზღვის ბლოკირების გამო). გამოიწვია სომხეთის ქალაქების დაცემა-დაქვეითება. სომხეთის ქალაქების ეკონომიკური დაკნინების ერთ-ერთი მიზეზი VIII ს. იყო საერთაშორისო სახმელეთო ვაჭრობის შეწყვეტა შავიზღვისპირეთის ნავსადგურებთან[196].

მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შავი ზღვის ჩაკეტვის პერიოდშიც დასავლეთ საქართველოს ქალაქები ვითარდებიან იმ საერთო ეკონომიკურ საფუძველზე, რომელმაც X საუკუნეში მტკიცე პირობა შეუქმნა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. ამას გარდა, როგორც ეს სათანადო ქართული წყაროებიდან ჩანს, კვლავ გრძელდებოდა ნაოსნობა შავ ზღვაზე მოგზაურობისა თუ ვაჭრობის მიზნით. მაგრამ ამ ნაოსნობას ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ლოკალური და შეზღუდული ხასიათი უნდა ჰქონოდა.

საინტერესოა, რომ ანალოგიურ სიტუაციას ადგილი ჰქონდა ნაგვიანევ საუკუნეებშიც (XV—XVIII სს.) თუმც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სულ სხვა პოლიტიკურ ვითარებასა და, რაც მთავარია, სრულიად განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში.

---

[194] М. П. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды; ა. ჯახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971. მისივე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათუმი, 1975.

[195] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ер., 1954, 189—200; Г. М. Ахмедов, Из истории некоторых городов Азербайджана IX—XIII вв., Труды института истории АН АзССР, № 3, Баку, 1958 с. 112.

[196] Я. А. Манандян, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

1453 წ. თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ თურქეთი გაბატონდა შავ ზღვაზე. 1475 წლიდან, ყირიმის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ, ოსმალებმა შავი ზღვა გადააქციეს „თურქეთის ტბად“[197].

შავ ზღვაზე გაბატონებულმა ოსმალებმა უმკაცრესი კონტროლი დააწესეს შავი ზღვის გასასვლელ სრუტეებზე, რაც მთელი სამასი წლის მანძილზე გაგრძელდა. თურქეთის შავ ზღვაზე გაბატონებას და შავი ზღვის „თურქეთის ტბად“ გადაქცევას არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა დასავლეთ საქართველოს ქალაქების განვითარებაზე.

ამრიგად, შავ ზღვაზე შექმნილმა ვითარებამ ერთნაირად განსაზღვრა როგორც VIII—XI სს-ის, ისე XV—XVIII სს. დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების მდგომარეობა.

შავი ზღვის ბლოკირებამ და გარე სამყაროსთან სავაჭრო კონტაქტების შეწყვეტამ ორივე შემთხვევაში გავლენა მოახდინა დასავლეთ საქართველოს ქალაქებზე, მათ საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის ინტენსიურობაზე. ოღონდ, რა თქმა უნდა, გვიან ეს გავლენა ისეთი იყო, რომ მან გამოიწვია დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დაცემა-დაქვეითება, მაშინ როდესაც XI—XII სს. დასავლეთ საქართველოს ქალაქები (მათი მცირე რაოდენობის მიუხედავად) ეკონომიკურად საკმაოდ ღონიერი იყვნენ[198].

ქუთაისი X—XI სს. და XII ს-ის პირველ მეოთხედში (1122 წლამდე) გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი იყო, რასაც ცხადია, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა დასავლეთ საქართველოს ქალაქების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე.

მაგრამ ლიხის მთაზე რამდენიმე გადასასვლელის არსებობა მოწმობს, რომ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ირანთან უფრო ინ-

---

[197] G. B. Depping, Histoire du Commerce du Levant entre l'Europe et du Levant depuis les Croisades, Paris, 1832, 11, 227—228. A. H. Lybier, The Ottoman Turks and the Routes of Oriental Trades, The English Historic-Rewiew, vol.-XXX-no, CXX, 1915, 582.

[198] დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური და ქონებრივი სახსრის მაჩვენებელია X—XII სს-ში მიმდინარე ინტენსიური მშენებლობა ისეთი საკულტო ნაგებობებისა, როგორიც იყო: მოქვის დიდი კათედრალი (X ს.) ბედიის ტაძარი (X—XI სს. მიჯნა), ბიჭვინტის მთავარი ტაძარი (X და XI საუკუნეთა მიჯნა), ლიხნეს ტაძარი (XI—XI სს-ის მიჯნა), ბაგრატის კათედრალი ქუთაისში (XI ს. დამდეგი), ნიკორწმინდა (1015 წ.), კაცხის ტაძარი (XI ს დამდეგი), სავანის ტაძარი (1046) წ., ეცხვეის ტაძარი XI ს., გელათი (XII ს.) და სხვ. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 228—248.

ტენსიური იყო, ვიდრე შავი ზღვით დასავლეთთან, თუმცა ამ გადასასვლელ-გადმოსასვლელების ერთ-ერთი გზა „დასავლის გზის“ სახელითაა ცნობილი[199].

ამ გადასასვლელების საშუალებით დასავლეთ საქართველო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით უკავშირდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს, იქიდან კი—მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს. მაგრამ ეს ურთიერთობა აღმოსავლურ სამყაროსთან გაცილებით ნაკლებად ინტენსიური იყო. ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოსი[200]. ამაზე მეტყველებენ როგორც წერილობითი წყაროები, ისე ნუმიზმატიკური მონაცემები[201].

ვითარება ამ მხრივ ერთგვარად შეიცვალა XI—XII სს-ში, როცა ბიზანტიის მეტოქე არაბები ხმელთაშუა ზღვაზე თურქებმა შეცვალეს. მაგრამ ალექსი კომნენოსის (1081—1118) პოლიტიკის შედეგად სელჩუკებმა ზღვებზე ვერ გააღწიეს და შავ ზღვაზე ბატონობა კვლავ ბიზანტიამ შეინარჩუნა[202]. ასე რომ ვითარება ზღვებზე თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და ბატონობის დროსაც არსებითად უცვლელი დარჩა.

სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა მხოლოდ XII ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც დასუსტებული ბიზანტიის ადგილს ვენეციელები

---

199 ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 29.

200 აბულ ფიდა ზემოთ დამოწმებულ ცნობაში სოხუმს ასახელებს შავიზღვისპირეთის ქალაქებს შორის და იქვე აღნიშნავს, რომ სოხუმი მდებარეობდა ტრაპიზონის ჩრდილოეთით (Géographie d'Aboulféda გვ. 389.). ტრაპიზონი, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ვაჭრობასთან იყო ინტენსიური ურთიერთობით დაკავშირებული. ამ ქალაქში განუწყვეტლივ მოდიოდნენ აღმოსავლელი ვაჭრების ქარავნები. მასუდის ცნობის თანახმად, ტრაპიზონში მრავლად იყვნენ ამიერკავკასიელი ვაჭრები.

Macoudi, Les prairie d'or, texte et traduction par C. Barbier de Meynard et Pavet de Courteille, Paris, 1863 p. 3. ისთახრის სიტყვით, ტრაპიზონი რუმის საზღვარია. ვაჭრები იქ იყრიან თავს და ყველაფერი, რაც იმ ქვეყნებში იშოვება, ტრაპიზონიდან მოდის. ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ ვ. ფუთურიძისა, საქართველოს ისტორიის წყაროები, 4, თბ., 1937. გვ. 4.

201 ფულის განძების გავრცელების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის გაცილებით ნაკლებ ინტენსიურია დასავლეთ საქართველოში, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. როგორც თ. ლომოური აღნიშნავს, „ქართული ფული ვრცელდება მთელს საქართველოში, უფრო ინტენსიურად მის აღმოსავლეთ ნაწილში სამცხითურთ. დასავლეთ საქართველოში ქართული ფულის გავრცელების შესახებ მცირე ცნობები გვაქვს“ (თ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 315).

202 История Византии, т. II, М., 1967. с. 321. სელჩუკებმა მცირე აზიის მხოლოდ შიდა ოლქები დაიკავეს, მაგრამ შემდეგ მათ გეზი ზღვისკენ აიღეს.

და გენუელები იკავებენ და აქ (განსაკუთრებით ყირიმსა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე) თავიანთ ახალშენებს ქმნიან.

ჯვაროსანთა ომების დროს საგრძნობლად გაიზარდა იტალიური ქალაქ-კომუნების როლი აღმოსავლეთის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ცხოვრებაში. აღნიშნულ ხანაში, XII—XIII სს-ში, ვენეციის, გენუისა და პიზის როლი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვაჭრობაში არაჩვეულებრივად ინტენსიური გახდა[203].

იტალიელებმა ჯვაროსნული ომების მსვლელობის პერიოდში მთელი რიგი პრივილეგიები მოიპოვეს. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე აღმოცენდა იტალიელთა ახალშენები. მათი კოლონიები გაჩნდა აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროზე.

ამგვარად, XII ს. დასუსტებული ბიზანტიის ნაცვლად, ხმელთაშუა ზღვის არენაზე გამოდის სამი ძლიერი კონკურენტი—პიზის, ვენეციისა და გენუის სახით.

საბოლოოდ უპირატესობა ვენეციისა და გენუის ხელში გადადის. XIII ს. დასაწყისში ინიციატივა შავ ზღვაზე გენუამ იგდო ხელთ[204]. აქ მათი გავლენა უფრო და უფრო იზრდება. მაგალითად, XII—XIII სს. იტალიელთა ახალშენები დაარსდა შავ ზღვაზე და ყირიმის ნახევარკუნძულზე. XIII საუკუნის მეორე ნახევარში გენუელებმა შეიძინეს ყირიმის ქალაქი კაფა[205]. XIII ს. დასაწყისში გენუამ სავაჭრო ხელშეკრულებები დადო ყარსის მმართველთან[206]. ხოლო XIII ს. 50-იან წლებში ერთ-ერთი გენუელი წარჩინებული აქ ჩამოსულა სავაჭრო მიზნებით[207].

არაბ და ირანელ ისტორიკოსთა ცნობით, XIII ს. დამდეგს ჩრდილოეთ ყირიმის ქალაქი სუდაკი იყო მსხვილი სავაჭრო ცენტრი, სადაც შეხვდებოდით სხვადასხვა ეროვნების ვაჭრებს: ალანებს, სომხებს, ხაზარებს, რუსებს, ბიზანტიელებს[208]. სუდაკში არსებობდა გენუელების ციხე-სიმაგრე[209], რაც აქ გენუელების გავლენაზე მეტყველებს. შავი-ზღვისპირეთში მათი ასეთივე მნიშვნელოვანი პუნქტი ხდება

---

[203] История Италии, М., т. I, 1970, с. 207.

[204] W. Heyde, Histoire du Commerce du Levant au Moyen Age. II, Leipzig, 1885, c. 187—188.

[205] Я. А. Манандян, დასახ. ნაშრ. გვ. 286.

[206] Л. Алишан, Сисакан, Венеция, დამოწმებულია ი. მანანდიანის მიხედვით Я. А. Манандян, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

[207] იქვე, გვ. 283.

[208] А. Якубовский, Рассказ Ибн ал-Биби о походе малоазиатских турок на Судак, половцев и русских в начале XIII в., «Византийский Временник т., XXV, 1928, с. 64—65.

[209] იქვე, გვ, 85.

ქ. სინოპი[210]. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ კვლავინდებურად გაიბა სავაჭრო კავშირი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. შავი ზღვა კვლავ დაუკავშირდა ხმელთაშუა ზღვას, ხოლო მისი საშუალებით დასავლეთის სავაჭრო ეკონომიკურ ცენტრებს.

ამ დროს ევროპელებმა ხომალდები პირველად გადაიტანეს კასპიის ზღვაზე, კვლავ შეიქმნა პირობა შავი და კასპიის ზღვების ერთმანეთთან დასაკავშირებლად[211]. მეტი გასაქანი მიეცა შავი ზღვის მონაწილეობას საერთაშორისო ვაჭრობაში.

თუ ბიზანტიელი ფეოდალები დაინტერესებული იყვნენ არა საერთაშორისო ვაჭრობის ინტენსიურობით, არამედ მიწების შეძენით, იტალიელი ვაჭრები ახორციელებდნენ მრავალ ღონისძიებას სწორედ საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებისა და გაცხოველების მიზნით.

შავი ზღვის სანაპიროებზე ვენეციელებისა და გენუელების ახალშენების გაჩენამ ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა დასავლეთ საქართველოს ქალაქებზეც. გაძლიერდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროთა ვაჭრობა. XII ს. მეორე ნახევარსა და XIII ს. პირველ მეოთხედში დასავლეთ საქართველოს ქალაქები აქტიურად მონაწილეობდნენ შავიზღვისპირეთისა და ყირიმის ვაჭრობაში. საამისო ფაქტები დასახელებული და შეფასებული აქვს ვ. ჰეიდს[212].

XII—XIII სს. შავი ზღვა უკვე ასრულებს თავის ძველ ფუნქციას, იწყება ქალაქების გამოცოცხლებაც. XIII—XIV სს. დასავლეთ საქართველოს ქალაქები აქტიურად მონაწილეობდნენ ყირიმისა და შავიზღვისპირეთის ქალაქების საერთაშორისო ვაჭრობაში[213].

მაგრამ მონღოლთა შემოსევების შედეგები შეეხო შავი ზღვის ქალაქებსაც[214].

მონღოლთა შემოსევების ერთ-ერთი შედეგი იყო შავი ზღვის ისლამიზაცია და თურქიზაცია[215]. ისლამიზაციის ტალღა მომდინარე-

---

[210] А. Якубовский, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

[211] В. В. Бартольд, Ислам на Черном море, с. 226.

[212] W. Heyd, დასახ. ნაშრ., გვ. 393.

[213] იქვე.

[214] მონღოლთა შემოსევების შედეგებს შავ ზღვაზე ცალკე თავი აქვს დათმობილი ჟ. ბრატიანუს ნაშრომში: G. B. Bratianu, La Mer Noir des origin à la conqûete ottoman, Societas Academica Dacoromana, Acta Historica, t. IX. Roma-Munich, 1969, v. VII, (Mongole et Italiens). რეცენზია ამ ნაშრომის შესახებ იხ. Journal Asiatique, t. CCLX, Paris, 1972, p. 191.

[215] ამის გამო ვ. ბარტოლდი შენიშნავდა, რომ «Область Черного моря знала только тюркский, не арабско-персидский ислам» (В. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. 659).

ობდა როგორც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებიდან, ისე აღმოსავლეთით ვოლგისა და კასპიისპირეთიდან[216].

ამავე დროს ზღვის ძველი სახელწოდება „პონტოსი“ სამუდამოდ განდევნა ახალმა სახელწოდებამ „შავმა ზღვამ“.

„შავი ზღვა“—„კარა-დენიზ“ თურქებმა დაუპირისპირეს მარმარილოსა და ხმელთაშუა ზღვას — „აკ-დენიზ“ (თეთრი ზღვა)[217].

ამიერიდან შავ ზღვაზე იწყება თურქთა გაბატონების პროცესი; რაც XV ს-ში დამთავრდა კონსტანტინეპოლისა და ყირიმის სახანოს დაპყრობით.

ამრიგად, VIII—XIII და XVI—XVIII საუკუნეებში შავ ზღვაზე შექმნილი ვითარების გათვალისწინება შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვაჩინოთ დასავლეთ საქართველოს ქალაქების მდგომარეობის გამაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, თუ რით აიხსნება დასავლეთ საქართველოს ქალაქების დაკნინება VI—VIII საუკუნეებში, მათი ხელახალი აღორძინება (აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის დროიდან) IX—X საუკუნეებში და მათი აყვავება XII საუკუნეში, როდესაც კვლავ გამოცოცხლდა შავიზღვისპირეთის ქალაქების მონაწილეობა იმდროინდელ მსოფლიოს საერთაშორისო ვაჭრობაში.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ეკონომიკური განვითარებისათვის მაინც გაცილებით მეტი ხელსაყრელი ეკონომიკური პირობები არსებობდა, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ქალაქებისათვის IX—X საუკუნეებში. ამის მიზეზი იყო ის, რომ

---

[216] იქვე, გვ. 663.

[217] შავი ზღვის თურქული სახელწოდება „კარა-დენიზ“ ჩნდება ოსმალთა ბატონობამდე და, როგორც მორდტმანი ფიქრობდა, მისთვის ასეთი სახელწოდება თურქეთათრულ მოსახლეობას უნდა შეერქვა. XIII ს-ის დასავლეთევროპულ წყაროებში მას ჯერ „დიდი ზღვა“ (ლათ. Mare Majus»). იტალ. „Mare Maggiore», ფრანგ. „Mer. Majeure») ეწოდებოდა, შემდეგ კი—„შავი ზღვა“. „ბერძნული „Mavrithalassa» პირველად ჩნდება ბიზანტიასა და ვენეციას შორის 1265 წელს დადებულ ხელშეკრულებაში, ლათინური «Mare Negrum» კი მხოლოდ 1338 წელს. „კარა“, აღნიშნავდა აკად. ვ. ბარტოლდი, არსებითად ნიშნავდა არა „შავს“, არამედ „დიდს“, ძლიერს, საშინელს. „შავის“ მნიშვნელობა მან გვიან მიიღო. მასვე აღნიშნული აქვს „კარა-დენიზის“ (შავი ზღვის) და „აკ-დენიზის“ (თეთრი ზღვის) ურთიერთდაპირისპირების ნიადაგზე წარმოშობა. მაგრამ ამგვარ განმარტებებთან ერთად აკად. ვ. ბარტოლდი მართებულად აღნიშნავდა, რომ ყველაფერი ეს საკმარისი არაა იმისათვის, რათა ავხსნათ როგორც ევროპულ, ისე მუსლიმანურ ლიტერატურაში საყოველთაოდ გავრცელებული „პონტოსის“ გაჭრობა. ოსმალთა იმპერიის გარეშე, დასძენდა ვ. ბარტოლდი, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა „კარა-დენიზის“ და მისი თარგმანების ასე ფართოდ გავრცელება (В. В. Бартольд, დასახ. ნაშრომი, გვ. 665).

მსოფლიო ვაჭრობა იმ დროს წინა აზიის ქალაქებთან იყო დაკავშირებული, ხოლო მუსლიმანური ქალაქების ვაჭრები გაბატონებული იყვნენ მსოფლიო ვაჭრობაში. მუსლიმანი ვაჭრები ინტენსიურად ვაჭრობდნენ „ჩრდილოეთის გზაზეც“ (ვოლგა-ბალტიისპირეთი, აღმ. ევროპა).

მსოფლიო ვაჭრობის იმდროინდელ ცენტრებთან უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები. ამიტომ გაძლიერებულ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურნი XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე დაჟინებით ცდილობდნენ დაუფლებოდნენ როგორც დვინ-არზრუმის სავაჭრო გზას, ისე ირანის ტერიტორიაზე გამავალ მთავარ სავაჭრო მაგისტრალს.

§ 3. თბილისი 1082—1122 წლებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XI—XII საუკუნეების თბილისის ისტორიისათვის შედარებით მეტი ცნობები მოგვეპოვება ქართულსა და აღმოსავლურ წყაროებში. ამიტომ თბილისის ისტორიას XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XII საუკუნის პირველ მეოთხედში ცალკე პარაგრაფი დავუთმეთ. ეს გაპირობებული იყო სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზით, ასე მაგალითად, 1082—1122 წლების თბილისში ზოგიერთი მკვლევარი თვითმმართველობას გულისხმობს, ზოგიც საქალაქო კომუნას[218]. ჩვენი აზრით, აღებული ხანის თბილისის ისტორიის და მისი მმართველობის თავისებურების აღსადგენად, საჭიროა დამატებითი მასალების მოხმობა, ანდა უკვე ცნობილი წყაროების ცნობების ახლებურად გააზრება და გაანალიზება. ამ მიზნითაა ჩვენ მიერ შესწავლილი ალ-ფარიკისა და სიბტ იბნ ალ-ჯაუზის თხზულებების ის ცნობები, რომელთა შინაარსი 1082—1122 წლების თბილისსა და მის მმართველობას ეხება.

აღმოსავლური წყაროებიდან, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ალ-ფარიკი, რომელიც აღწერილი ამბების თითქმის თანამედროვე იყო და, როგორც ცნობილია, ერთ დროს დემეტრე I-ის კარზე მოღვაწეობდა.

არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი (1116—გარდაიცვალა 1176 წლის შემდეგ) ავტორია „მაიფარიკინის ისტორიისა“ («تاريخ ميافارقين»).

[218] ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. 8, თბ., 1942, გვ. 143., ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1946, გვ. 193; ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ 60; შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 124.

დაწერილია იგი 450 (1165) წელს. ბრიტანეთის მუზეუმში ინახება ამ თხზულების ორი ხელნაწერი.

არანაკლებ საინტერესოა მეორე არაბულენოვანი ისტორიკოსის სიბტ იბნ ალ-ჯაუზის (1186—1257) ცნობა 1082—1122 წლების თბილისის შესახებ. სიბტ იბნ ალ-ჯაუზი შედარებით გვიანდელი ხანის ისტორიკოსია, მაგრამ, როგორც ჩანს, მას გათვალისწინებული ჰქონდა თბილისის ისტორიის ამსახველი უფრო ადრინდელი არაბული წყაროები, მათ შორის აგრეთვე ალ-ფარიკის ცნობები.

ალ-ფარიკისა და სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობებმა 1082—1122 წლების თბილისის შესახებ პირველად ზოგად, ევროპულ ორიენტალისტიკურ ისტორიოგრაფიაში გაიკვლიეს გზა, შემდეგ კი ეს მასალა ქართული ისტორიოგრაფიის შესწავლის საგნად იქცა.

მ. დეფრემერი პირველი იყო, რომელმაც ყურადღება მიაქცია IX—XII სს. საქართველოსა და, კერძოდ, თბილისის არაბულ წყაროებს. მან შეისწავლა პარიზის ნაციონალურ და ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში დაცული ხელნაწერები სიბტ იბნ ალ-ჯაუზის თხზულებისა („ეპოქის სარკე ვამოჩენილ პირთა ისტორიის მიხედვით“) مرآة الزمان في تاريخ الاعيان რომელშიც საინტერესო ცნობები მოიპოვება XI—XII სს. თბილისის შესახებ, მან ამ ცნობების ფრანგული თარგმანი (არაბული ორიგინალის გარეშე) გამოაქვეყნა 1849 წელს[219].

1851 წ. იგივე ტექსტი, ოდნავ შემოკლებული სახით, დაბეჭდა მ. ბროსემ[220].

1897 წ. ი. მაჭავარიანმა დეფრემერისეული ფრანგული თარგმანის საფუძველზე გამოსცა სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ტექსტის ქართული თარგმანი[221].

1967 წ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომების აღმოსავლეთმცოდნეობის სერიაში გამოქვეყნდა ო. ცქიტიშვილის წერილი, რომელშიც ერთხელ კიდევ ექცევა ყურადღება სიბტ იბნ ალ-ჯაუზის თხზულების სათანადო კონტექსტს[222]. ხსენებულ წერილში არაბულ

---

[219] M. Défremery, Fragments de géographes et d' histories arabes et persans inedits, rélatifs aus anciens peuple du Caucase et de la Russie Meridionale, JA, IV series, t. XIII, 1849, 485.

[220] M. Brosset, Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie, St., Peterbourge, 1851, 242.

[221] ი. მაჭავარიანი, არაბულ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ. ჟურნ. „მოამბე“, 1897, XII, გვ. 5, შენ. 11.

[222] ო. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 118. 1967, გვ. 204—206.

ნაწილს თან ახლავს ქართული თარგმანი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ კონტექსტის შინაარსი შეიცავს საინტერესო ცნობებს XI—XII სს. საქართველოსა და თბილისის შესახებ.

გაცილებით გვიან მიექცა ყურადღება ალ-ფარიკის ცნობას როგორც ზოგად, ისე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ალ-ფარიკის თხზულებით და მისი ცნობებით ჩვენი საუკუნის დამდეგს დაინტერესდა ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნე ჰ. ამედროზი. მის გამოკვლევაში მოცემულია ალ-ფარიკის ბიოგრაფიული ცნობები, ხელნაწერთა აღწერილობანი და ცალკეული ადგილების ინგლისური თარგმანი[223].

ვ. მინორსკიმ „ისლამის ენციკლოპედიისათვის" დაწერილ სტატიაში—„თბილისი"—გამოიყენა ჰ. ამედროზის ზემოთ დასახელებული გამოკვლევა. ვ. მინორსკის არ მოუცია ტექსტის ანალიზი, მან უბრალოდ აღნიშნა ალ-ფარიკის ცნობის მნიშვნელობა თბილისის ისტორიისათვის[224].

1930 წ. თეირანში ირანელმა ისტორიკოსმა ა. ქესრევი თავრიზელმა სამ წიგნად გამოსცა ნაშრომი „დავიწყებული ხელმწიფენი". (شهریاران گمنام), რომლის მე-3 ტომში მოტანილია ალ-ფარიკის თბილისთან დაკავშირებული ნაწყვეტის სპარსული თარგმანი[225]. მას ეს ცნობა დასჭირებია თბილისის საამიროს ჯაფარიანთა დინასტიის ხანგრძლივობის გამოსარკვევად[226]. აღსანიშავია, რომ ირანელმა მეცნიერმა ალ-ფარიკის ისლამის ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიკოსი უწოდა.

ა. ქესრევის პუბლიკაციის საფუძველზე. ვლ. ფუთურიძემ 1942 წელს ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შემოიტანა ალ-ფარიკის ეს მეტად საინტერესო და საყურადღებო ცნობა. მან შეასრულა ტექსტის ქართული თარგმანი და შესაბამისი კომენტარებიც დაურთო[227].

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ალ-ფარიკის ცნობა XII

---

[223] H. F. Amedroz, Three Arabic MSS on the Historie of the city of Mayyafariqin, The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Irland, London, 1902, 738-812.

[224] V. Minorsky, Tiflis, Tirage à part de l'Enciclopédie de l'Islam, Leyde, 1930, p. 795.

[225] شهریاران گمنام بخش سوحین شدادیان نگارش کسروی تبریزی ، تهران ، ۱۳۰۷ ინგლისური სათაურია The forgotten rulers (Shaddadits) by S. A. Kasrawi Tabrizi, vol. III, Teheran, 1930.

[226] ვ. ფუთურიძე არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. 8, 1942, გვ. 139.

[227] ვ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139—143.

ს. თბილისის შესახებ შემოვიდა არა პირდაპირი გზით (არაბული ორიგინალიდან), არამედ XX საუკუნეში შესრულებული მისი სპარსული თარგმანის მეშვეობით.

1949 წ. ვ. მინორსკი ხელახლა დაუბრუნდა ალ-ფარიკის ცნობას თბილისის შესახებ. მან ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერების საფუძველზე გამოაქვეყნა მისი ინგლისური თარგმანი (არაბული ტექსტის გარეშე), რომელსაც დაურთო კომენტარები, სადაც მოცემულია 1082—1122 წლების თბილისში არსებული ვითარების ანალიზის ცდა[228].

ალ-ფარიკის ცნობების მნიშვნელობა საგანგებოდ აღნიშნა აკად. გ. წერეთელმა და გარკვეული დასკვნებიც გააკეთა[229].

მანვე 1949 წ. „არაბულ ქრესტომათიაში" გამოაქვეყნა ალ-ფარიკის ცნობების არაბული ტექსტი[230]. არაბი ისტორიკოსის თხზულების ამ ნაწყვეტის პუბლიკაციას საფუძვლად დაედო ბრიტანეთის მუზეუმის ზემოთ უკვე დასახელებული ხელნაწერები, რომელთა ფოტოპირები გადაღებულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დაკვეთით. „ქრესტომათიის" შესავალ ნაწილში გ. წერეთელმა კომენტარები გაუკეთა ალ-ფარიკის თხზულების, გამოქვეყნებული ნაწყვეტის ტექსტს[231].

1957 წ. ა. მამედოვმა გ. წერეთლის „არაბულ ქრესტომათიაში" გამოქვეყნებული ალ-ფარიკის არაბული ტექსტის საფუძველზე შეასრულა მისი რუსული თარგმანი[232].

XI—XII სს. თბილისის ისტორიის კვლევისას ალ-ფარიკის ცნობებს მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო თავის ნაშრომში რ. კიკნაძემ[233].

ალ-ფარიკის ცნობის ანალიზი მოცემულია აგრეთვე ვ. კოპალია-

---

228 V. Minorsky, Caucasica in the History of Mayyafariqin, BSOAS, v. XIII, London, 1949—1950, p. 27—35.

229 გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თსუ სამეცნიერო სესიების მოხსენებათა კრებული, № 1, 1947, გვ. 40—41.

230 გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, 1949, გვ. 68—75.

231 გ. წერეთელი, დასახ. ნაშრ. გვ. 6—8.

232 А. Мамедов, Ахмед ибн Лютфулах (Мунеджим-Баши). «Джами ад-дувал», Труды Института Истории АН Аз. ССР, т. XII, 1957, с.222—225.

233 რ. კიკნაძე, არაბული და სპარსული წყაროები XI—XII სს. თბილისის შესახებ, „ცისკარი", 1958, № 10; მისივე, XI—XII სს. თბილისის ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 5, ნაკვ. 1, 1960, გვ. 110—111.

ნის წერილში „თბილისელთა ორიენტაციის საკითხებისათვის 1082—1122 წლებში“[234].

1962 წ. გამოიცა შ. მესხიას წიგნი „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“. რომელშიც ალ-ფარიკის ცნობის ვრცელი და საფუძვლიანი ანალიზია მოცემული[235].

ალ-ფარიკის ცნობის გამო გარკვეული მოსაზრებები აქვს გამოთქმული ვ. გაბაშვილს[236].

ალ-ფარიკის ცნობას ყურადღება მივაქციეთ ჩვენც[237].

როგორც ვხედავთ, ალ-ფარიკის „მაიაფარიკინის ისტორიის“ თბილისთან დაკავშირებული სათანადო კონტექსტი საფუძვლად დაედო არაერთი ქართველი მკვლევრის მოსაზრებებსა და შეხედულებებს და, საზოგადოდ, ფართო ადგილი დაიკავა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი (ვლ. ფუთურიძე, გ. წერეთელი, შ. მესხია და სხვ.) ალ-ფარიკის ცნობის შინაარსიდან გამომდინარე 1082—1122 წლების თბილისში კომუნისდაგვარ დაწესებულებას და თვით კომუნას ხედავს. ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი კი აღნიშნული ხანის თბილისში უარყოფს როგორც საქალაქო კომუნის, ისე საქალაქო თვითმმართველობის არსებობას (ვ. გაბაშვილი და სხვ.).

ვ. მინორსკი, მაგალითად, 1082—1122 წლების თბილისში არსებულ ვითარებას ორმოცწლიან ანარქიას უწოდებდა[238]. ასეთი, ერთიმეორის გამომრიცხველი, შეხედულება და დასკვნა კეთდებოდა ერთი და იმავე ცნობის შინაარსის საფუძველზე.

დამატებითი მასალები ალ-ფარიკის ცნობის შესწავლისა და გაანალიზებისას შეიძლება მოვიხმოთ მხოლოდ სიბტ იბნ-ჯაუზის თხზულებიდან, რადგან რამდენადაც ვიცით, შესადარებლად სხვა აღმოსავლური წყარო არ მოგვეპოვება.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა, ალ-ფარიკის ცნობისაგან განსხვავე-

---

[234] ე. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, თბილისელთა ორიენტაციის საკითხისათვის 1082—1122 წლებში, კრებული „თბილისი 1500 წლისაა“, თბ., 1953.

[235] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.

[236] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მმართველობა X—XI საუკუნეებში, თსუ შრომები, ტ. 108, გვ. 348—349; მისივე, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ავტორის ერთი ცნობის განმარტება), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ. 1966, გვ. 123—126, მისივე, თბილისის სოციალური ისტორიიდან (მოქალაქეთა ამბოხება 1122—1123 წწ. თბილისში) კრ. ძიებანი, საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 168, 173.

[237] მ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისი 1082—1122 წლებში, ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბ., 1973, გვ. 8-22.

[238] V. M i n o r s k y, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

ბით, არ გამხდარა სპეციალური დაკვირვებისა და შესწავლის საგანი, თუმცა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის დახასიათებისას ეს არაბულენოვანი ისტორიკოსი არაერთი ქართველი მკვლევრის მიერ არის დასახელებული და დამოწმებული (ივ. ჯავახიშვილი, ს. მაკალათია, ა. კიკვიძე, ვ. კოპალიანი და სხვ.)[239]. სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ასახელებენ ისინიც, ვინც ასე თუ ისე ეხებოდა XI—XII სს. თბილისის ვითარებას ალ-ფარიკის აღწერილობის მიხედვით (ვლ. ფუთურიძე, ო. ცქიტიშვილი). მაგრამ ფაქტიურად არ დასმულა საკითხი ალ-ფარიკისა და სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობების ურთიერთმიმართების თაობაზე. ეს, ალბათ, უნდა ავხსნათ იმით, რომ მკვლევრები უპირატესობას ანიჭებდნენ ალ-ფარიკის (და სავსებით მართებულადაც), მაგრამ ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობების უეჭველობისა და ღირსების მიმართ. მაგრამ სიბტ იბნ ალ-ჯაუზი ერთი იმათგანია, ვინც, როგორც ჩანს, სარგებლობდა ალ-ფარიკის ცნობებით.

ინგლისელი მეცნიერი ამედროზი თვლიდა, რომ სიბტ იბნ ალ-ჯაუზი სარგებლობდა ალ-ფარიკის თხზულებით და თბილისის შესახებ ცნობებიც მისგან ჰქონდა ნასესხები, მაგრამ დამახინჯებული სახით[240] (ჰ. ამედროზის ამ მოსაზრებას იზიარებს ვლ. ფუთურიძეც)[241].

ო. ცქიტიშვილის აზრითაც, სიბტ იბნ ალ-ჯიუზის შეცდომები აქვს დაშვებული თბილისის ამბების აღწერისას[242]. ამდენადვე არ შეიძლება საინტერესო არ იყოს ალ-ფარიკის და სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობების ურთიერთშეჯერება. ამ მიზნით ქვემოთ მოგვაქვს სათანადო კონტექსტები როგორც ერთი ისე მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან.

ალ-ფარიკი:

„ხუთას თხუთმეტ (1121/22) წელს თბილისის ხალხმა ნეჯმ ად დინ ილღაზის მოწვევა გაუგზავნა, რათა (მოსულიყო და) გადაეცათ მისთვის თბილისი. ამაზე წინ კი ორმოცი წლის განმავლობაში იგი (თბილისი) იყო მისი ხალხის ხელში და მათ (თბილისელების) მფლობელად (მულლაქ) ორასი წლის მანძილზე იყო ჯგუფი ადგილობრივი ხალხისა, ჯაფარიანებად წოდებული, რომელიც ამოწყდა. შემდეგ გამგებლობა გადავიდა მისი (თბილისის) ხალხის ხელში და ყოველ თვეს განაგებდა (ქალაქს) ერთი მათგანი[243].

---

[239] ყველა დასახელებული ავტორის სათანადო ნაშრომი მითითებული აქვს ო. ცქიტიშვილს (ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 201).

[240] H. F. Amedroz, დასახ. ნაშრომი., გვ. 782—812.

[241] ვ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 142—143.

[242] ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

[243] و في سنة خمس عشرة و خمسمائة نفذوا اهل تفليس الى نجم الدين

სიბტ იბნ ალ-ჯაუზი:

„თბილისის მცხოვრებთა ერთ-ერთი გვარი, რომელსაც უწოდებდნენ ბანუ ჯაფარს, ფლობდა (ქალაქს) ორას წელიწადს. შემდეგ (ამგვარის) მოხუცები გადაშენდნენ და დარჩნენ (მხოლოდ) ყმაწვილები, რომელთაგან თითოეული (მართავდა თბილისს) ერთი თვეს. ასე დაჰყვეს მათ ორმოც წელს, დავითმა, მეფემ აფხაზთა და ქართველთა, ძლიერ შეავიწროვა ისინი"[244].

როგორც ვხედავთ, სიბტ იბნ ალ-ჯაუზი ზუსტად იმეორებს ალ-ფარიკის ცნობას. ოღონდ სიბტ იბნ ალ-ჯაუზი „ხალხის" მაგიერ ასახელებს „ყმაწვილებს", ალბათ, „ყმაწვილების" დასახელებამ აფიქრებინა მკვლევართ, რომ სიბტ იბნ ალ-ჯაუზი ამახინჯებს ალ-ფარიკის ცნობას. ამიტომ ბუნებრივად ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა ერთმანეთს დაეუკავშიროთ ალ-ფარიკის „ხალხი" და სიბტ იბნ ალ-ჯაუზის „ყმაწვილები?".

სპეციალურ ლიტერატურაში „ხალხი" გაიგივებულია დაბალ საზოგადოებრივ ფენებთან. შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში „ხალხის" ცნების ქვეშ ყველგან ნაგულისხმევი იყო:

ايلغازى يستدعونه ليسلمو اليه تفليس و كان آنغا بيد اهلها مدة ار بعين سنة و كان ملاكها قوم (من اهلها) يسمون بنوا جعفر من مقدار مائتى سنة فانقرضوا فولى اهلها و كان شهر يلى منهم و احد (გ. წ ر ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, გვ. 68, თარგმანი შესრულებულია პროფ. ალ. ლეკიაშვილის მიერ; შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში გვ. 62).

[244] كان قوم من اهل تفليس يقال لهم بنو جعفر قد ملكوها فاقاموا مائتى سنة ثم انقض كبار هم و بقى شبابهم كل و احد منهم شهرا فاقاموا على ذلك ار بعين وكان داؤد ملك الانجاز و الكرج قدضسا يقها مضايقة شديدة من كتاب مراة الزمان فى تاريخ الاعيان... حيدرا باد ١٣٧٠—١٩٥١. (ციტირებულია ო. ცქიტიშვილის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 204; მასვე ეკუთვნის თარგმანი, გვ. 205, ო. ცქიტიშვილი თარგმანი": (ამ გვარის) მოხუცები გადაშენდნენ და დარჩნენ (მხოლოდ) ყმაწვილები", მ. დეფრემერის მიერ ოდნავ განსხვავებული ნიუანსით არის გადათარგმნილი: «Anciens de cette famille vinrent à mourir, et il ne resta, pour les remplaser que des jeunes gens» JA, IV, t. XIII, გვ. 485, ამრიგად, ერთი შეხედვით, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის თითქოს მხედველობაში აქვს ჯაფარიანთა ბუნებრივი გადაშენება, რის გამოც თბილისში იძულებული იყვნენ (დეფრემერის თარგმანის მიხედვით) გადაშენებული მოხუცები შეეცვალათ ყმაწვილებით, ახალგაზრდებით. მ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების სოციალური ტერმინოლოგიიდან, საქ. სსრ მეცნიერების აკად. „მოამბე" ტ. 66, № 2, თბ., 1972; მისივე, თბილისი 1082—1122 წლებში.

წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, მტვირთავები. დაქირავებული ბუშები, ფეხზე მოვაჭრენი, ქალაქის ღარიბები[245].

იგივე შეიძლება ვთქვათ XI—XII საუკუნეების თბილისის მიმართაც. წყაროების „თბილისის ხალხიც", ჩვენი აზრით, ქალაქის დაბალ, მწარმოებელ მოსახლეობას უნდა გულისხმობდეს. ვ. გაბაშვილმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ფაკიჰის „თბილისის კეთილშობილთა ჯგუფი" თავისი სოციალური მდგომარეობით აშკარად განსხვავდება ალ-ფარიკის „თბილისელი ხალხისაგან"[246]. უაღრესად ნიშანდობლივია ისიც, რომ „თბილისის კეთილშობილთა ჯგუფი" გაბატონებულია XI ს. 70-იან წლების თბილისში, მაშინ როდესაც ალ-ფარიკის მიხედვით 1082—1122 წლების თბილისში „ხალხი" ბატონობს.

ამ თვალსაზრისით სიბტ იბნ ალ-ჯაუზის „მოხუცები" შეიძლება გავაიგივოთ ფაკიჰის „თბილისის კეთილშობილთა ჯგუფთან" (ქართული ტერმინოლოგიით „ქალაქის ბერებთან", აღმოსავლური ტერმინოლოგიით „ქალაქის რაისებთან"), ხოლო „ყმაწვილები" ალ-ფარიკის „ხალხთან". „ხალხი" თავისთავად სოციალური შინაარსის შემცველია და გამომხატველი. მაგრამ ჰქონდათ თუ არა მინიჭებული აღმოსავლური წყაროების „ყმაწვილს", ან „ყმაწვილებს" სოციალური აზრი და მნიშვნელობა?.

საქმე ისაა, რომ მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქებში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებში მონაწილეობდნენ „ახალგაზრდები" ანუ „ყმაწვილები", რომელთა აღსანიშნავად გამოყენებული იყო შესაფერი ტერმინები „ალ-ფათა" (მრ. „ფითიან"), „ჯევანმარდი".

არაბული „ფითიან" და სპარსული „ჯევანმარდ" ახალგაზრდას ნიშნავს, ამავე დროს ჩვენთვის ცნობილია, რომ „ფითიანები" და „ჯევანმარდები" მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში მიმდინარე სო-

---

[245] Л. Строева, К вопросу о социальной природе исмаилитского движения в Иране в XI—XII вв., Вестник ЛГУ, № 2, 1964 с. 45; ვ. გაბაშვილი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ავტორის ერთი ცნობის განმარტება), გვ. 126; მ. გაბაშვილი, ქალაქის საზოგადოებრივი ფენები „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. X, 1970, გვ. 164—168. შ. მესხიას „თბილისის ხალხი" გაიგივებული აქვს ქართული წყაროების „ტფილელ ბერებთან", ე. ი. „ქალაქის კეკეთილშობილებთან" და „დიდვაჭრებთან" (შ. მესხია, დასახ. ნაშრ. გვ. 147).

[246] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 125. „თბილისის კეთილშობილთა ჯგუფის" გამო (ფაკიჰის მიხედვით) იხ. V. Minorsky, Studies... c. 19; რ. კიკნაძე, XI—XIII სს. თბილისის ისტორიიდან, გვ. 113—114.

ციალური მოძრაობებისა და კლასობრივი ბრძოლების თანამონაწილენი იყვნენ[247].

ისევე როგორც „ფითიანს“ და „ჯევანმარდს“, სოციალური მნიშვნელობა ენიჭებოდა ტერმინ „შაბაბსაც“, არაბული „შაბაბ“ (მრ.شب-მრ.شباب)ყმაწვილს ნიშნავდა და სოციალური მოძრაობის მონაწილეს აღნიშნავდა.

ამრიგად, ერთმანეთს თამამად შეიძლება დავუკავშიროთ „ალ-ფათა“ და „აშ-შაბაბ“. სწორედ ამ ტერმინით (მრ. شباب). აღნიშნავს სიბტ იბნ ალ-ჯაუზი 1082—1122 წწ. თბილისში მოღვაწე „ყმაწვილებს“.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე არაბულ ისტორიოგრაფიაშიც ფითიანი განიხილება როგორც გარკვეული საზოგადოებრივი მოძრაობის მონაწილე. მხედველობაში გვაქვს ომარ ალ-დასუკის 1959 წელს გამოქვეყნებული გამოკვლევა, რომლის შინაარსი მთლიანად ფუთუვვა-

---

[247] მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებში მონაწილე „ახალგაზრდებს“ ეძღვნება ჩვენი წერილი: მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების სოციალური ტერმინოლოგიიდან, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, ტ. 66, № 2, 1972, გვ. 505—503. თამარის ისტორიკოსის ერთი ცნობიდან ცხადად ირკვევა, რომ სოციალური ბრძოლების მონაწილეებს ქართულ სინამდვილეშიც „ახალგაზრდებს“ უწოდებდნენ. „ყრმებრივი მბორგალება“ ბასილი ეზოსმოძღვართან აშკარად ახალგაზრდულ მღელვარებას ნიშნავს (ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 149; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის სოციალური ისტორიიდან (მოქალაქეთა ამბოხება 1122—1123 წწ. თბილისში). კრ. ძიებანი საქართველოსა და ყაენასიის ისტორიიდან, თბ., 1976. გვ. 167). ბასილი ეზოსმოძღვარს აღნიშნული აქვს შემდეგი: „ერნი განემტკიცენუნ შიშით მონებად ღმრთისა და ერთგულობით უფალთა თჳსთა; ყრმანი განიწუალთნეს მოძაგებად უჯეროსა უსჯულოებისა, რამეთუ ბილწებამან უწესომან და ყრმებრივმან მბორგალებითმან ჴორგნეულობამან ვერცა თუ კუალი პოვა დღეთა თამარისთა“(ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 149). ყრმა რომ სოციალური ტერმინის მნიშვნელობითაა ნახმარი და იმასვე აღნიშნავს, რასაც აღმოსავლური ფითიან-ჯევანმარდი ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ ყრმა დასახელებულია სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენებთან ერთად შემდეგი თანმიმდევრობით: მღვდელ-თმოძღვარნი, მღვდელნი, მთავარნი, ყრმანი, წერილი ერი (იქვე). თამარის მეფობაში ახალგაზრდათა „მბორგველობას“ რომ საკმაოდ ხშირად უნდა ჰქონოდა ადგილი იქიდან ჩანს, რომ ისტორიკოსი თამარის მეფობის ერთ-ერთ წარმატებად მიიჩნევს ყრმათა გაწვრთვნას; „ყრმანი განიწუალთნეს მოძაგებად უჯეროსა უსჯულოებისა“ (იქვე), ამასვე გულისხმობს ისტორიკოსის შემდგომი ცნობა: „აღკრი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ უდებთათჳს; ყანონი სირცხჳლისა მოხუცებულთა და კუერთხი რკინისა ჭაბუკთათჳს; კეთილ-მავალთა სობრძნით მცველ, ხოლო მბორგალეთა თუალ-უხუავად მგუემელ“ (იქვე). სოციალური შინაარსის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა გამოთქმები „უწესოდ მკრთომელთა“ და „დეზ უდებთათჳს“. აქედან კაგად ჩანს, რომ თამარის მეფობაში, სოციალური ჳითარების მხრივ, არც ისეთი სიწყნარე ყოფილა, როგორც მის ზოგიერთ თანამედროვე ისტორიკოსს აქვს ნათქვამი.

ფითიანს ეხება[248]. ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა ისიც, რომ მკვლევარს „ფითიანი“ გაიგივებული აქვს „შაბათან“ (شباب)[249].

ომარ ალ-დასუკის მსჯელობა „ფითიანებთან“ და „შაბაბებთან“ დაკავშირებით საგულისხმოა სხვა მხრივაც.

მუსლიმანური სამყაროს დასავლეთ ნაწილშიც, ისევე როგორც ერაყსა და ირანში, ერთი და იგივე ნიშან-თვისებები იყო დამახასიათებელი სოციალური მოძრაობებისა და მღელვარებების მონაწილეებისათვის. ქართულ ორიენტალისტიკურ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია ყველა ის ნიშან-თვისება, რითაც ხასიათდებოდნენ ფითიანები და ჯევანმარდები[250]. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რაც ომარ ალ-დასუკის ნათქვამი აქვს სოციალური მოძრაობების მონაწილე „ახალგაზრდებთან“ დაკავშირებით. მისი სიტყვით, ალ-ფუთუვვას წარმომავლობა ალ-ფათადან უეჭველად მიუთითებს იმაზე, რომ ფათა უნდა ყოფილიყო ძლიერ მამაცი, უნდა ჰქონოდა ძალა და სიმძაფრე. ეს იყო ნიშან-თვისება ყმაწვილებისა (شباب)[251]. ასეთი დახასიათებანი „ფითიანების“ და „შაბაბებისა“ ომარ ალ-დასუკის გამოკვლევის სხვა გვერდებზეც გვხვდება[252] და სავსებით ემთხვევა XI—XII სს. არაბულ და სპარსულ წყაროებში „ფითიანებთან“ და „ჯევანმარდებთან“ დაკავშირებულ დახასიათებებს.

სხვადასხვა არაბულ წყაროებზე დაყრდნობით ომარ ალ-დასუკიც მიუთითებს, რომ, როცა არაბები ფითიანებზე ლაპარაკობენ, „გულისხმობენ მამაცობას, დიდსულოვნებას, ერთგულებას და მრავალ საქებარ თვისებას“[253]. ამ თვისებებით გამოირჩეოდნენ, როგორც ცნობილია, ჯევანმარდებიც.

„ფითიანების“ და „ჯევანმარდების“ ნიშან-თვისებებმა გამოძახილი ჰპოვეს დასავლეთ ევროპაშიც.

საინტერესოა, რომ „ახალგაზრდა“ სოციალური მნიშვნელობითაა ნახმარი ტრუბადურულ პოეზიაში. ეს საკითხი სპეციალურად

---

[248] عمر الدسوقى ، الفتوة عند العرب نهضة مصر بالفجالة ، 1959

[249] იქვე, გვ. 11.

[250] ვ. გაბაშვილი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ავტორის ერთი ცნობის განმარტება), გვ. 111—151, 160, 161; М. В. Габашвили, К вопросу о социальном составе ближневосточных городов XI—XII вв. (по грузинским источникам) сб., Товарно-денежные отношения на Ближнем и Среднем Востоке в эпоху средневековья, М, 1979, с. 43—49.

[251] عمر الدسوقى ، (დასახ. ნაშრ., გვ. 11).

[252] იქვე, გვ. 12, 13.

[253] იქვე, გვ. 13.

შეისწავლა ა. დენომიმ, რომლის გამოკვლევაში უამრავი მაგალითია მოტანილი ევროპელი „Joven"-ის („ახალგაზრდას" . „ყმაწვილის") და აღმ. „ფითიანის" ურთიერთობის საჩვენებლად[254]. დენომის დამსახურება. ამ მხრივ, ხაზგასმით აქვს აღნიშნული ერიხ კოლერს[255].

ა. დენომიმ შეისწავლა გიომ IX, მარკაბრიუს, სერკამონის, ალეგრეს, ბერნარ მაატისა და სხვათა პოეტური ნიმუშები. მან ცხადყო, რომ დასახელებულ ტრუბადურთა შემოქმედებაში „ახალგაზრდა" უმრავლეს შემთხვევაში გულისხმობს არა ბიოლოგიურ ასაკს. არამედ სოლიდარობისა და ძმობის იდეით გაერთიანებულთა ჯგუფს („ახალგაზრდის" ამ მნიშვნელობით ხმარების სულ 39 შემთხვევაა დამოწმებული, აქედან 27 მარტო მარკაბრიუს ნაწარმოებებზე მოდის)[256]. ამ ნაწარმოებების შეისწავლამ ა. დენომი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „ახალგაზრდობაში" ნაგულისხმევია სოლიდარული ძმობა. მისი აზრით, ამ ძმობას განეკუთვნებოდა, მაგალითად, ტრუბადურული პოეზიის ერთ-ერთი წარმომადგენელი მარკაბრიუ[257].

შუა საუკუნეების ევროპულ ტრუბადურულ პოეზიაშიც „ახალგაზრდა" გამოხატავდა განსაკუთრებული ღირსებებით, პატიოსნებით და კეთილშობილებით შემკულ ადამიანებს (შდრ. „ფითიანების" და ჯევანმარდების" ღირსება-თვისებები აღმოსავლური ზეაროების მიხედვით). „ახალგაზრდობა" წარმოადგენდა ადამიანთა ასოციაციას. რომელიც ამ თვისებებს იყენებდა და მისდევდა[258].

მაგრამ ჩვენთვის მთავარი მაინც ისაა, რომ ტრუბადურულ პოეზიაში „ახალგაზრდას" ენიჭებოდა არა მარტო ბიოლოგიური ასაკის მნიშვნელობა, არამედ საზოგადოებრივი ფუნქციაც. ე. კოლერი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ახალგაზრდის" ან „ახალგაზრდობის" მოხსენებას უმრავლეს შემთხვევაში არავითარი კავშირი არა ჰქონდა ბიოლოგიურ ასაკთან[259].

კიდევ მეტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროპელი მკვლევრები

---

[254] A. I. Denomy, «Jovens» the notions of the youthe among the troubadours, its meaning and source, Medieval Studies, t. XII, 1949, p. 13.

[255] E. Köhler, Sens et fonction du term «jeunesse» dans la poésie des troubadours, Mèllange offert à René Crozet, t. 1, Poitier, 1963.

[256] A, I, Denomy, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

[257] იქვე.

[258] E. Köhler, დასახ. ნაშრ , გვ. 569.

[259] «Joven» (lat. inventus) et «jove» (lat. invenis) souvent dans la grande majorité des cas à exprimer quelque chose qui et bien different de l'âge biologique». E. Köhler, დასახ. ნაშრ. გვ. 569.

„jovens“ და „ფათას“ („fata“, „futuwwa“, „fitian“)[260] ერთმანეთთან აიგივებენ და აღნიშნავენ იმ გავლენას, რაც აღმოსავლურ „ფითიანებს“ უნდა მოეხდინათ ევროპელ „ახალგაზრდას“, ან „ახალგაზრდობის“ ცნებასა და მნიშვნელობაზე[261].

ყველა ამ მაგალითის შემდეგ სავსებით გასაგები უნდა იყოს, თუ რა მნიშვნელობითაა ნახმარი „ყმაწვილები“ („შაბაბ“) სიბტ იბნ ალ-ჯაუზის თხზულებაში 1082—1122 წწ. თბილისის ამბების აღწერისას.

საქმე ეხება ამ „ყმაწვილების“ მიერ ძალაუფლების ხელში აღებას ქალაქ თბილისში. ეს სრულიად მკაფიოდ ჩანს სიბტ იბნ ალ-ჯაუზის კონტექსტიდან. იქვე ნათქვამია, რომ ეს ძალაუფლება მათ ხელში იყო მთელი ორმოცი წლის განმავლობაში (ფაქტიურად გამეორებულია ალ-ფარიკის ცნობა).

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: შეეძლოთ თუ არა „ახალგაზრდებს“ ძალაუფლების ხელში აღება ქალაქში?

ალ-ღაზალის „ნასიჰათ ალ-მულუქში“ („რჩევა-დარიგებანი მეფეთათვის“) დაცულია ძალზე საინტერესო ცნობა, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ახალგაზრდებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება და შეავიწროვეს ხალხი[262].

ალ-ღაზალის ეს ცნობა სხვა მხრივაცაა საინტერესო, „ახალგაზრდის“ აღსანიშნავად მას გამოყენებული აქვს სპარსული ტერმინი „ქუდაქ“ (მრ. „ქუდაქან“)[263], რაც აგრეთვე „ახალგაზრდას“, „ყმაწვილს“

---

[260] A. I. Denomy, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

[261] «That concept of jovens was extant provious to them (the troubadours) in the futuwwa ideal of the arabs». იქვე.

[262] «When the gowernement passed to the joungsters these latter oppressed the people sovereignty has (now) passed from their hand (Gazali s book of counsel for kings, translated by F. R. Baglay, Oxford University Press 1964. 71). ალ-ღაზალის ინგლისურად მთარგმნელის F. R. Baglay-ის აზრით, ძალაუფლების ახალ დინასტიებზე გადასვლა უნდა ეხებოდეს ღაზნევიანებს, რომელთაც ბოლო მოუღეს სამანიანებს, ხოლო ამ უკანასკნელებს, თავის მხრივ, ბოლო მოუღეს ალ-ღაზალის მფარველმა სელჩუკებმა (Cazali, დასახ. ნაშრ., იქვე).

[263] სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენს ხელთ არაა ალ-ღაზალის თხზულების სპარსული ორიგინალი და მისი არაბული თარგმანი. ვეყრდნობით მხოლოდ ინგლისურ თარგმანს და მთარგმნელის შენიშვნებს. აქვე შეიძლება შენიშნოთ, რომ „თარიხ-ე სისტანის“ („სისტანის ისტორიის“) სპარსულ ტექსტში „ქუდაქან“ („ახალგაზრდები“) დასახელებული არიან სოციალური ბრძოლის მონაწილე „ღაღასთან“ ერთად تاریخ سیستان — تالیف در حدود ٤٤٥—٧٢٥ بتصحیه ملک الشعراء بهار [١٣١٤] بهمت کتابخانه روار ، تهران, გვ. 291 — 292. შდრ. მ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების სოციალური ტერმინოლოგიიდან („ღაღა“), კრ., საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი II, თბ., 1979, გვ. 43.

ნიშნავს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგულისხმება არა ბიოლოგიური ასაკი, არამედ ქალაქის სრულიად გარკვეული ელემენტების მოღვაწეობა ქალაქში მომხდარ ამბებში.

ალ-ღაზალი, რომლის პოლიტიკური და იდეოლოგიური სიმპათიები კარგადაა ცნობილი, კლასობრივი თვალსაზრისითაც აფასებს „ახალგაზრდების“ მიერ ძალაუფლების ხელში აღებას. მისთვისაც, წმინდა სოციალური თვალსაზრისით, „ახალგაზრდა“ იმასვე ნიშნავს, რასაც შესაბამის ტერმინებში (ფითიანი, ჯევანმარდი) გაბატონებულ კლასთან დაკავშირებული ყველა ისტორიკოსი გულისხმობდა—სოციალური მოძრაობის, ან ამბოხების მონაწილე ქალაქურ ელემენტს. ამავე დროს, ალ-ღაზალი აფართოებს „ხალხის“ ცნებას და მასში ქალაქის მთელ მოსახლეობას, ყველა საზოგადოებრივ ფენას ათავსებს, ხოლო „ახალგაზრდები“ მოძალადეებად გამოჰყავს. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა არა „ხალხის“ ჩვეულებრივი მნიშვნელობის (ქალაქის დაბალი საზოგადოებრივი ფენების) ამგვარი წარმოდგენა, არამედ ის, რომ ალ-ღაზალიც თავის თხზულებაში „ახალგაზრდებს“ მეამბოხეებად თვლის და ამ ცნებაში, ისევე როგორც სხვა თანამედროვე ავტორები, სრულიად არ გულისხმობს ბიოლოგიური ასაკის ნიშან-თვისებებს.

როგორი ვითარება იყო ამ მხრივ თბილისში?

ჩვენს განკარგულებაშია ორი ცნობა: ერთის მიხედვით, 1082—1122 წწ. თბილისში „ხალხი“ არის გაბატონებული (ალ-ფარიკი), ხოლო მეორე ცნობით ძალაუფლება „ყმაწვილების“ ხელთაა (სიბტ იბნ ალ-ჯაუზი).

„ხალხისა“ და „ყმაწვილების“ ურთიერთკავშირი ახლა, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ალ-ფარიკი (ადრე) და სიბტ იბნ ალ-ჯაუზი (შედარებით გვიან) თბილისში მომხდარ ერთსა და იმავე მოვლენას აღნიშნავენ.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობაში მთავარია თბილისის მმართველობაში ე. წ. „ყმაწვილების“ მონაწილეობა. ამ „ყმაწვილების“ სოციალური ვინაობისა და დანიშნულების გამორკვევა გვეხმარება ახლებურად გავიაზროთ 1082—1122 წლების თბილისში მომხდარი მოვლენები.

ცხადია, სიბტ იბნ ალ-ჯაუზიც „ყმაწვილებში“ ხალხის მმართველობას გულისხმობს, ისევე როგორც ალ-ფარიკი იმავე ხანების თბილისში „ხალხის“ გამგებლობას.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა იძლევა „ხალხის“ ცნების გაფართოების შესაძლებლობას, რადგან ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ თბილი-

სელ „ხალხში“ იგულისხმებიან ფითიანები, ჯევანმარდები და შაბა-ბები.

მაგრამ შეიძლება თუ არა შუასაუკუნეების ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში ძალაუფლება ხალხის ხელში გადასულიყო?

XI—XII სს-ის მანძილზე ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში მიმდინარეობდა სოციალური მოძრაობანი, ადგილი ჰქონდა უაღრესად გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას. ქალაქებში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ დაბალი საზოგადოებრივი ფენების წარმომადგენლები. ისინი უპირისპირდებოდნენ როგორც ფეოდალურ არისტოკრატიას, ისე დიდვაჭრებს[264].

მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომ ქალაქები რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში ხალხის გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდა.

მაგალითად, იბნ ალ-ჯაუზის მიხედვით, X—XII სს-ში, გარკვეული ხნის განმავლობაში, ბაღდადში ხალხის წრიდან გამოსული, ხალხის ინტერესების დამცველი „აიარუნები“ ბატონობდნენ[265].

X—XI სს-ში ქალაქის ხალხის დახმარებით რაისებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება ამიერკავკასიის ქალაქებში (განჯა, ბაილაყანი, დერბენდი)[266]. როგორც ჩანს, ქალაქის რაისები (დიდვაჭრების წრიდან რომ იყვნენ გამოსული) არ ერიდებოდნენ ხალხთან კავშირს, თუ ეს კავშირი მათ კლასობრივ ინტერესებს პასუხობდა.

წყაროების მიხედვით ისე ჩანს, რომ ძალაუფლებას ქალაქში ხელში იღებდნენ როგორც რაისები, ისე „ხალხი“ და ხალხის წარმომადგენლები. მაგალითად, ამბოხების შედეგად ქ. ხოიში (ჩრ. ირანი) ძალაუფლება „ხალხის“ ხელთ აღმოჩნდა[267].

XI ს. მეორე ნახევარში ვაზირ იბნ აბადის ცნობით, ქ. ყაზვინში „ხალხის ბელადებმა“ გაიმარჯვეს[268]. „ხალხი“ აქ საქალაქო არისტოკრატიის წინააღმდეგ გამოდიოდა[269]. იბნ აბადის სიტყვით, მსგავს მოვლენებს ადგილი ჰქონდა ცენტრალური ირანის ქალაქებშიც[270].

---

[264] Cl. Cahen, Mouvements populaire et autonomisme urbain dans l'Asie musulmane du Moyen Age, (Arabica, t. VI), Leiden, 1958—1959, 38, 40, 50.

[265] დამოწმებულია ბ. ლუისის მიხედვით (B. Lewis, The islamic guilds, The Economic History Review, p. 22).

[266] V. Minorsky, Studies in Caucasian History, p. 15, 54.

[267] Cl. Cahen, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

[268] Cl. Cahen, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

[269] იქვე, გვ 47.

[270] იქვე, მუსლიმანური აღმოსავლეთის საქალაქო არისტოკრატიის ზოგი-

ქალაქებში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ დაბალი საზოგადოებრივი ფენების წარმომადგენლები. ამბოხებულთა შორის რომ, ჩვეულებრივ, ქალაქის დაბალი საზოგადოებრივი ფენების წარმომადგენლებს გულისხმობდნენ, ეს კარგად ჩანს იბნ ჰაუკალის იმ ცნობიდან, რომლის შინაარსი ეხება კეთილშობილთა და ვაჭართა მიერ X ს-ის არდებილში ძალაუფლების ხელში აღებას. ამ კეთილშობილთა და ვაჭართა მოქმედება გაიგივებულია დაბალი ხალხის მოქმედებასა და ამბოხებასთან[270].

იბნ ჰაუკალის მიხედვით, ეს კეთილშობილნი და ვაჭრები იყენებდნენ „იარას“ მოტივებს. ადგენენ ამბოხების გზას და საჭიროდ არ თვლიდნენ არაკითარ მმართველს. ისინი მხოლოდ ბოროტებითა და ამბოხებით იყენენ გართულნი[271]. კეთილშობილთა და ვაჭართა მიერ „იარას“ მოტივების გამოყენება და ამბოხება მაინც ისე იშვიათი ყოფილა, რომ იბნ ჰაუკალი ასეთ მოვლენაზე საგანგებოდ აჩერებს თავის ყურადღებას. იბნ ჰაუკალს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ისეთი ამბოხება, რომლის აღსანიშნავად აღმოსავლურ წყაროებში გამოიყენებოდა ტერმინი „ღავღა“[272].

ამრიგად, ყაზვინი ხალხის, ან უკეთ, „ხალხის ბელადების“ ხელთ იყო, არდებილი—დიდვაჭრების ხელთ, ოღონდ ეს დიდვაჭრები, წყაროს მიხედვით, იყენებდნენ „იარას მოტივებს“ (ხალხის ლოზუნგებს და ბრძოლის საშუალებებს) და ამბოხების გზას ადგნენ.

„ხალხი“ ბატონობდა აგრეთვე საქართველოს მეზობლად, ქალაქ ბაილაყანში. „ხალხის („უმმა“, „აჰლ ალ-ბალად“) ამბოხებას და ამბოხებისადმი საქალაქო არისტოკრატიის დამოკიდებულებას (ქალაქის რაისების სახით) 1949 წელს ყურადღება მიაქციეს ვ. მინორსკიმ და კაენმა[273]. მასუდ იბნ-ნამდარის მიხედვით ბაილაყანში მომხდარი ამ-

---

ერთი თავისებურების შესახებ, იხ. Jean Aubain, L'aristocratie urbain dans J'Iran Seldjucide: l'example de Sabzavare, Méllange offert à René Crozet, v. I, Poitiers, 1966, s. 322—332.

[270] Cl. Cahen, დასახ. ნშრ., გვ. 47.

[271] იქვე.

[272] „ღავღა“ მნიშვნელობის გამო იხ. ვ. გაბაშვილი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან, გვ. 157—158; მანანა გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალური ტერმინოლოგიიდან („ღავღა“) კრ., საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი II, თბ., 1979, გვ. 36—51.

[273] V. Minorsky et Cl. Cahen, Le recueil transcaucasien de Mas'ud B. Namdar, JA, v. CCXXXV, 1949, fasc. 93—142.

ბოხება სპეციალურად შეისწავლა ვ. ბეილისმა[274]. მანვე გამოსცა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული მასუდ იბნ ნამდარის ერთადერთი ხელნაწერის ფაქსიმილე[275].

მასუდ იბნ ნამდარის სტილის თავისებურების გამო ბაილაყანში ხალხის მოძრაობის ბევრი საყურადღებო დეტალი დღემდე განმარტებული და დადგენილი არ არის, მაგრამ სავსებით ცხადად ირკვევა, თუ როგორ ცდილობდა თავის სასარგებლოდ ხალხის მოძრაობის გამოყენებას საქალაქო არისტოკრატია, რათა არ დაეშვა ფეოდალური ხელისუფლების ძალადობა და გარეშე ძალის (შირვანის, განჯის) ბაილაყანის საქმეებში ჩარევა[276].

თავის უარყოფით დამოკიდებულებას ხალხის მოძრაობისადმი მასუდ იბნ ნამდარი არსად არ მალავს და მის მონაწილეებს „სწორი გზიდან აცდენილებს“ უწოდებს[277]. უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს იგი „ხალხის“ მოძრაობის მეთაურის ბაშარის მიმართ. ქალაქი, სადაც „ხალხი“ გაბატონდა, მისი სიტყვით, დაემსგავსა უთავო ადამიანს, ხოლო მმართველობა უსაძირკვლო სახლს[278]. მკაცრად არის გალანძღული „დაბალი ხალხი“ („უმმა“), რომელიც უარს ამბობდა დამორჩილებოდა ოფიციალური ხელისუფლების ბრძანებებსა და განკარგულებებს[279]. მათ მიმართ იბნ ნამდარს არაერთი ოდიოზური გამოთქმა აქვს ნახმარი: „ქურდები“, „ავაზაკები“ და სხვ[280].

ბაილაყანში ხალხის ბატონობა ჩვენთვის საყურადღებოა, უწინარეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა უშუალოდ საქართველოს მახლობლად, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ამავე დროს, ბაილაყანში 492—494 (1099—1101) წლებში მომხდარი ამბები ქრონოლოგიურად ემთხვევა „ხალხის“ ბატონობას 1082—1122 წლების თბილისში.

---

[274] В. М. Бейлис, Мас'уд ибн Намдар и городское население Байлакана, Известия АН АЗ. ССР, Серия истории, философии и права, 1963, № 3, с. 50—64.

[275] Мас'уд ибн Намдар, Сборник рассказов и стихов, факсимиле текста, предисловие и указатели В. М. Бейлиса, М., 1970.

[276] В. М. Бейлис, დასახ. ნაშრ., გვ. 58, 59.

[277] ვ. ბეილისი ამის გამო შენიშნავს: იბნ-ნამდარს არ მოსწონდა ქალაქისა და ვაჭრების მისწრაფებანი და მისი შეხედულებების ანალიზისას აღნიშნავს, რომ «Он не мог мириться с политической самостоятельностью Байлакана, а в каких формах претендовали на нее горожане, мы к сожалению не знаем» (В. Бейлис, დასახ. ნაშრ., გვ. 56).

[278] المدينة شخصا بالارس و الولاية بنا بالا اساس Мас'уд ибн Намдар, (ფაქსიმილე), ფ. 250.

[279] В. М. Бейлис, დასახ ნაშრ., გვ. 53.

[280] იქვე, გვ. 57.

ჩვენ ვუჩვენეთ „ხალხის“ ბატონობის რამდენიმე საგულისხმო მაგალითი (ირანში, აღმოს. ამირკავკასიაში). ამავე დროს, ყურადღება მივაქციეთ იმასაც, რომ ქალაქში „ხალხის“ მაგიერ ზოგჯერ საქალაქო არისტოკრატია იყო გაბატონებული, ოღონდ ეს საქალაქო არისტოკრატიაც „ხალხის“ მოძრაობის მოტივებს და ღონისძიებებს იყენებდა[281].

მაშასადამე, ერთდროულად ქალაქში შეიძლებოდა გაბატონებული ყოფილიყო „ხალხიც“ და საქალაქო არისტოკრატიაც (ქალაქის კეთილშობილნი და დიდვაჭრები)[282].

ვ. გაბაშვილს შესაძლებლად მიაჩნია, რომ 1082—1122 წწ. თბილისში შექმნილიყო ისეთი ვითარება როგორიც, იბნ აბადის წერილის მიხედვით, ქ. ყაზვინში შეიქმნა და ისეთიც, როგორიც იბნ ჰაუკალის მოწმობით, X ს-ში ქ. არდებილში არსებობდა — კეთილშობილთა და ვაჭართა ბატონობა[283].

ამის საბუთად გამოყენებულია რინდის ნამდვილი მნიშვნელობის განმარტება და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა, რომელიც ახლად შემოერთებულ თბილისში მიმდინარე არეულობებს ეხება.

ეს არეულობანი, უნდა ვიფიქროთ, ადრე იყო დაწყებული და გრძელდებოდა იმ დროსაც, როდესაც ქ. თბილისი „ჯერეთ არა სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა“[284]... დამახასიათებელია, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მხედველობაში აქვს თბილისის მუსლიმანური მოსახლეობის შეტაკე-

---

281 სამწუხაროდ, ჯერჯერობით გამოსარკვევი რჩება „ხალხის“ ქალაქში ბატონობის მმართველობის ფორმა. თუმცა არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმან, რომ ხელუხლებლად იყო დატოვებული მთელი რიგი ინსტიტუტები, მაგ., მოსტოუფისა (ამ მოვალეობას ბაილაყანში თვითონ მასუდ იბნ ნამდარი ასრულებდა) და ქალაქის რაისისა.

282 „ხალხის“ დამოუკიდებელი მოქმედება ქალაქში აღნიშნული აქვთ ბურჟუაზიულ მკვლევრებს—კ. კაენს და ი. ლაპიდუსს. მათ ნაშრომებზე დაყრდნობით, ა. ჰურანი აღნიშნავს, რომ „ხალხი“ თავს აღწევდა როგორც მმართველთა, ისე ქალაქის მეთაურთა კონტროლს და ემორჩილებოდა საკუთარ ბელადებს («At times the popular forces, the instruments of political action, could escape from the control both of the governement and of the urban leaders and throw up their own leyders. A. Hourani, The Islamic City in the Leight of Recent Research. The Islamic City, ed. by A. Hourany, and S. M Stern, Oxford, 1970, გვ 20. ა. ჰურანი უარყოფს ხალხის მოქმედების პოლიტიკურ საფუძველს და ავრცელებს მას არა მთელ ქალაქზე, არამედ მხოლოდ ქალაქის ცალკეულ უბანსა და უბნებზე (იქვე).

283 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან, გვ. 55.

284 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 349.

ბანი ქრისტიანულ მოსახლეობასთან ახლად შემოერთებულ თბილისში დროდადრო რომ კვლავ მიმდინარეობდა. ამას გვიდასტურებს გამოთქმა „ოდესმე ყვიან ღავღავი“[285]. „ღავღა“ როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოიყენებოდა ისეთი ამბების აღსანიშნავად, როგორიც იყო ქალაქში მომხდარი აჯანყება—არეულობა რინდების, ოვბაშების, ფითიანების და ჯევანმარდების მონაწილეობით.

ტერმინ „ღავღას“ დამოწმება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში იმის დამამტკიცებელი უნდა იყოს, რომ ქ. თბილისში მთელი ორმოცი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა ქალაქის სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენებს შორის.

ასევე საკმაოდ ძლიერი არგუმენტაციაა რინდების (და, თავისთავად იგულისხმება, ფითიან-ჯევანმარდების) მოღვაწეობა ქ. თბილისში. მაგრამ ეს არგუმენტი კიდევ უფრო მტკიცე ხდება სიბტ იბნ ალ-ჯაუზის იმ პირდაპირი ჩვენების წყალობით, საიდანაც სავსებით აშკარად ჩანს, რომ 1082—1122 წლებში თბილისში „ყმაწვილები“ („შაბაბ“) ბატონობდნენ. ასე, რომ, თუ აქამდე ჩვენს განკარგულებაში იყო XIV საუკუნის ქართველი ანონიმური ისტორიკოსის ცნობა XIII ს-ის დამდეგის თბილისში რინდების არსებობის შესახებ, ახლა მათს არსებობას გაცილებით უფრო ადრე, 1082—1122 წლებში, გვიდასტურებს სიბტ იბნ ალ-ჯაუზი.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზის მიხედვით, ეს „ყმაწვილები“ განაგებდნენ თბილისს მთელი ორმოცი წლის განმავლობაში. ამასთან, სავსებით ცხადია ამ „ყმაწვილების“ სოციალური ვინაობა და მნიშვნელობა საქალაქო ცხოვრების სარბიელზე. გასაგები ხდება სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობის მთელი შინაარსიც.

ფაქტიურად ალ-ფარიკიც და სიბტ იბნ ალ-ჯაუზიც ერთსა და იმავე მოვლენას აღნიშნავენ და აღწერენ. სახელდობრ იმას, რომ ჯაფარიანთა გვარის გადაშენების შემდეგ თბილისს ორმოცი წლის მანძილზე მართავდა „ხალხი“. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ალ-ფარიკის ნახმარი აქვს „ხალხი“, ხოლო სიბტ იბნ ალ-ჯაუზის „ყმაწვილები“. მაგრამ ჩვენი კვლევა-ძიების შედეგად ერთმანეთს შეიძლება თამამად დავუკავშიროთ „ხალხი“ და „ყმაწვილები“. ორსავე შემთხვევაში ისინი აღნიშნავენ ქალაქის იმ მეამბოხე ელემენტებს, რომელთაც 1082—1122 წწ. ძალაუფლება ხელთ იგდეს თბილისში და ამ ძალაუფლებას მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ინაწილებდნენ

---

[285] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 349; მ ა ნ ა ნ ა ვ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 49—50.

(ასე უნდა გავიგოთ გამოთქმა: „რომელთაგან თითოეული (მართავდა თბილისს) ერთ თვეს“[286].

მაშასადამე, 1082—1122 წწ. თბილისში გაბატონებული უნდა ყოფილიყვნენ არა ქალაქის რაისები, ე. ი. საქალაქო არისტოკრატიის წარმომადგენლები, არამედ ქალაქის დაბალი საზოგადოებრივი ფენებიდან გამოსული რინდები, ფითიანები, ჯევანმარდები, შაბაბები.

ო. ცქიტიშვილი სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ერთ-ერთ შეცდომად უთვლის იმას, რომ „მოხუცებს“ იგი უკავშირებს ჯაფარიანთა საგვარეულოს და აღნიშნავს, „საქმე ეხება თბილისის მმართველობის გარკვეულ ფორმას, რომელიც ჯაფარიანთა საგვარეულოსაგან სრულიად დამოუკიდებლად განვითარდა“[287]. არც „მოხუცები“ და არც „ყმაწვილები“ არ ეკუთვნოდნენ ჯაფარიანთა საგვარეულოს, მაგრამ თუ „მოხუცებში“ ქალაქის რაისებს ვიგულისხმებთ და გავიხსენებთ, რომ ისინი განსაკუთრებით XI ს-ის მეორე ნახევარში აღზევდნენ და გაძლიერდნენ (სწორედ ჯაფარიანთ საგვარეულოს დასუსტების დროს), მაშინ უნდა დავუშვათ ისიც, რომ ისინი ჯაფარიანთა საგვარეულოს გადაშენების დროს უნდა დაკნინებულიყვნენ, ე. ი. 1082—1122 წლებში.

ჯერჯერობით ყველა აღმოსავლური მასალა, რომელსაც გავეცანით, იმის სრულ საფუძველს იძლევა, რომ 1082—1122 წლების თბილისში ადგილი ჰქონდა ხალხის მმართველობას. ალ-ფარიკი პირდაპირ მიუთითებს, რომ თბილისს ორმოცი წელიწადი მართავდა „ხალხი“[288]. ახლა ამ „ხალხის“ ცნების დაზუსტების სრულ შესაძლებლობას იძლევა სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ის ცნობა, რომელშიაც ლაპარაკია იმათზე, ვინც ორმოცი წელი მართავდა თბილისს—„ყმაწვილებზე“. რას ნიშნავს და რა მნიშვნელობით იხმარებოდა „ყმაწვილები“ აღმოსავლურ წყაროებში, ჩვენთვის უკვე ცნობილია.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზი მოგვითხრობს: „დავითმა, მეფემ აფხაზთა და ქართველთა, ძლიერ შეავიწროვა ისინი, მათ (ყმაწვილებმა) გაგზავნეს თოლრულ იბნ მოჰამედ შაჰთან, არანის ბატონთან (ქაცი). მან გამოგზავნა შიჰნა“[289].

---

[286] აღნიშნული გარემოება ერთხელ კიდევ გვიდასტურებს რომ „ყმაწვილები“ სულ სხვა რამეს ნიშნავს, ვიდრე, ჩვეულებრივ, ამ ტერმინში ვგულისხმობთ და ხანდაზმულობის ვადაც—ორმოცი წელი, რა თქმა უნდა, სავსებით გამორიცხავს „ყმაწვილების“ ბიოლოგიურ ასაკთან ურთიერთკავშირს.

[287] ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 208.

[288] გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, გვ. 68.

[289] „შიჰნას“ ინსტიტუტის გამო იხ. გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. 106; შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნე-

ქალაქის მფარველი შეიძლებოდა მოეწვიათ და მისი „შიჰნა“ მიეღოთ როგორც ქალაქის რაისებს, ისე „ყმაწვილებს“, ქალაქის დაბალი ფენების წარმომადგენლებს. ამის არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ X—XII ს. მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან და, კერძოდ, მასუდ იბნ ნამდარის წერილებიდან[290].

„ახალგაზრდები“ მეამბოხე ელემენტი იყო. მათი მოქმედების შედეგად მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში მყარდებოდა „ხალხის“ მმართველობა, ოღონდ დროებით და ისიც პოლიტიკური კრიზისების დროს[291].

ალ-ფარიკის და სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობების მიხედვით, „ხალხის მმართველობა“ იყო დამყარებული 1082—1122 წლების თბილისშიც.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ის ცნობა, რომ დავით აღმაშენებელი ავიწროვებდა ამ მეამბოხე ყმაწვილებს, ჩვენი აზრით, ისე უნდა გავიგოთ, რომ იგი ქალაქის მაღალ საზოგადოებრივ ფენებს უჭერდა მხარს. ამ მოსაზრების საბუთი უნდა იყოს ის, რომ თბილისის შემოერთების შემდეგ კვლავ განაგრძობდა არსებობას ქალაქის რაისის და სხვა არაბული წარმოშობის საქალაქო თანამდებობები (ამიდის, მუჰთასიბის, შურტას და სხვ.).

ამჟამად აქ არ ვეხებით თბილისის მმართველობის ფორმის საკითხს. ეს საკითხი ერთხელ კიდევ შეიძლება დაისვას, როდესაც საჭირო სისრულით შეისწავლება „ხალხის მმართველობის“ ფორმა და ხასიათი აღმ. ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში.

ების თბილისში, გვ. 85, 91—94; გ. ბერაძე, XI—XII სს. ირანის ქალაქების ადმინისტრაციული წყობილების ისტორიიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. 55, 1969, გვ. 253—256.

[290] B. M. Бейлис, დასახ. ნაშრ., გვ 63.

[291] ლიტერატურა ქალაქებში დამყარებული „ხალხის“ დროებითი მმართველობისა და, საზოგადოდ, ისლამური ქალაქის კონსტიტუციური ინსტიტუტების შესახებ სულ უფრო და უფრო მრავლდება. იხ. Cl. Cahen, Mouvements populaires et autonomisme urbain dans l'Asie musulman du Moyen Age, 25—26, 223—265; E. Ashtor, L'administration urbain en Syrie medieval, Revista degli Studi Orientali, 1956, s. 73—128; S. M. Stern, The constitution of the Islamic City, The Islamic City, p. 25—26.

III. თბილისი XII საუკუნეში

(წყობილება, სოციალური განშრეება. ეკონომიკური მდგომარეობა)

1122 წელს დავით აღმაშენებელმა გაანთავისუფლა თბილისი და შემოუერთა საქართველოს სამეფოს. თბილისის შემოერთებით დასრულდა საქართველოს გაერთიანების პროცესი. ამიერიდან თბილისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქია, რამაც, ცხადია, კიდევ უფრო გაზარდა მისი როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მნიშვნელობა. შესაბამისად გართულდა და მრავალმხრივი გახდა საქალაქო ცხოვრებაც (ვაჭრობა, ხელოსნობა).

თბილისის საქართველოს დედაქალაქად გადაქცევის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული შედეგები საკმაოდ კარგადაა აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა პერიოდის ქართველ ისტორიკოსთა მიერ (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, შ. მესხია, მ. ლორთქიფანიძე, ვ. გაბაშვილი...)

ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს მხოლოდ ის ცვლილებები, რომლებიც თბილისის მმართველობასა და წყობილებაში მოხდა.

მთავარი ყურადღება ამდენადვე ექცევა თბილისის მმართველობის გაქართულებას და თბილისის, როგორც გაერთიანებული საქართველოს დედექალაქის, დანარჩენ ქართულ ქალაქებთან უშუალოდ და ორგანულად დაკავშირებას.

თბილისის საქალაქო წყობილების თანდათანობით გაქართულების პროცესს გვიდასტურებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შემდეგი სიტყვები: „ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ..."[1].

ყურადღებას იქცევს ზემომოტანილი ნაწყვეტის ბოლო სიტყვები, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ დავითის ისტორიკოსი მკვეთრად ასხვავებს მის დროს თბილისში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას ადრინდელისაგან.

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 349.

როგორც ირკვევა, თბილისის შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელმა ხელუხლებლად დატოვა თბილისში არსებული ადმინისტრაციული წყობილება, ვინაიდან მისი ერთბაშად ქართულ ყაიდაზე გარდაქმნა შეუძლებელი იყო.

მაგრამ ამავე დროს, თანდათან ხდება თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გაქართულება, წყაროებშიც საკმაოდ ხელშესახებადაა ასახული ის ცვლილებები, რაც XII ს. მანძილზე თბილისში მომხდარა.

თუ 1122 წლამდე თბილისში ისეთივე სამოხელეო და საქალაქო ადმინისტრაცია არსებობდა როგორც ყველგან აღმ. ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში, 1122 წლის შემდეგ ჯერ მათი გაქართველების ღონისძიებებს მიექცა ყურადღება, ხოლო შემდეგ ისინი სავსებით გაქრნენ, თბილისში კვლავ აღსდგა ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელი საქალაქო წყობილება.

ქართულ დოკუმენტურ წყაროებში დაცული ცნობები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ აღნიშნულ პროცესს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გიორგი III-ის 1170 წლით დათარიღებულ სიგელს, რომლის შინაარსს არა ერთმა ქართველმა მკვლევარმა მიაქცია ყურადღება (შ. მესხია, მ. ლორთქიფანიძე, ვ. გაბაშვილი)[2].

ხსენებულ სიგელში ჩამოთვლილია შემდეგი სახელწოდების საქალაქო გადასახადები: საამირო, საამიდო, სარაისო, სამუჰთასიბო[3].

თავისთავად ცხადია, რომ თითოეული მათგანი აღნიშნავს იმ ხელისუფალს, თუ მოხელეს, რომლის სასარგებლოდაც გადაკვეთილი იყო სათანადო გადასახადი.

გარდა ჩამოთვლილი გადასახადებისა (რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს, რომ არაბული წარმოშობის გადასახადთა სათანადო სახელწოდებებში შესაბამისი არაბული წარმოშობის თანამდებობე-

---

[2] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, с. 79—80; მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1954, ნაკვ. 30, გვ. 147—155; ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X—XI საუკუნეებში, თსუ, შრ., ტ. 108, 1964, გვ. 332—336, 339, 347; მანანა გაბაშვილი, XI საუკუნის თბილისის ისტორიისათვის, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ. 1976, გვ. 179—182.

[3] საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფ. 1926, დამატება, გვ. 5, შდრ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 143—157. დაბეჭდილ ტექსტშია „საგუსტასიბოისა", სწორი წაკითხვა აღადგინა აკად. ს. ჯიქიამ, ს. ჯიქია, მე-18 საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ, თსუ შრ., ტ. 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, 1960, გვ. 180—182.

ბი იგულისხმება) გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში დასახელებულია „საშურტაოც"[4], ოღონდ ციხისთავებთან ერთად. აქედან აშკარად ჩანს, რომ შურტა ქართველი მეფის მოხელე იყო და ამ მხრივ ჯერ კიდევ 1122 წლამდე იგი განსხვავდებოდა ამირასაგან, რაისისაგან, ამიდისაგან და მუჰთასიბისაგან.

შურტა დასახელებულია გიორგი II-ის 1072 წლით დათარიღებულ სიგელშიც, სადაც შურტა აშკარად ქართველი მეფის მოხელეა.

საბუთში ნათქვამია: „გაგუითავისუფლებიან ესე ყოველნი საქონელნი მღუიმისანი ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან სახელმწიფოსა, საერისთავოისა, საციხისთავოისა, სახევისუფლოისა, შურტათა და ჩინებულთაგან და ყოვლისა საქმის მოქმედთაგან"[5].

საბუთის შინაარსის მიხედვით, შურტა პროვინციელ მოხელედ ჩანს, რაკი იგი ისეთ მოხელეებთან ერთად არის დასახელებული, როგორიც იყო ერისთავი, ციხისთავი, ხევისუფალი.

მაგრამ შურტა, როგორც ცნობილია, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში ეწოდებოდა პოლიციის მოხელესაც[6]. ასეთი თანამდებობა, ცხადია, იგულისხმება თბილისის საამიროს ქალაქებშიც. მათ შორის, რასაკვირველია, თბილისშიც.

შურტა ქართულ სინამდვილეშიც საქალაქო თანამდებობად მიაჩნიათ ივ. ჯავახიშვილს[7], მ. ლორთქიფანიძეს[8], შ. მესხიას[9].

აღსანიშნავია, რომ 1122 წლის შემდეგაც კი თბილისში არსებობდა ისეთი სპეციფიკური აღმოსავლური თანამდებობა, როგორიც იყო ყადის თანამდებობა მუსლიმანური ქვეყნების ქალაქებში.

---

[4] საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, გვ. 5, შდრ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 21.

[5] თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, ტფ., 1896. გვ .11—12; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II გვ. 10. ქართველ ფეოდალად გვევლინება ქართლის მატიანეში მოხსენიებული შურტა: „მოერთო შურტა, ძმა კარიკე ქორეპისკოპოსისა, გიორგი მეფესა, და მიუტანა თანა ციხე მისი უჯარმოჰ", მატიანე ქართლისა, გვ. 268.

[6] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ., 1907, გვ. 23—24.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ის განმარტებით, „გიორგი II-ის სიგელიდან ჩანს, რომ შურტას ქალაქის ბაზრისა და ბაეის ზედამხედველობა უნდა ჰბარებოდა" (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშ., გვ. 24).

[8] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ის აზრით, როგორც გიორგი II-ის ისე გიორგი III-ის სიგელებში შურტა დაკავშირებულია აგრეთვე ადგილობრივ მმართველობასთან. ამიტომ მან ეკექვეშ დააყენა შურტას დამოკიდებულება ბაზართან და ბაზრის ზედამხედველობასთან (მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 147).

[9] Ш. А. М е с х и а, დასახ. ნაშრ., გვ. 82

თბილისის ყადის შესახებ ცნობები მოეპოვებათ როგორც არაბულენოვან და სპარსელ ისტორიკოსებს (იბნ ჰაუკალი, იბნ ალ-ასირი, რაშიდ ედ-დინი), ისე ქართველ ისტორიკოსებს (ქამთააღმწერელი).

როგორც ჩანს, არსებობდა ქალაქის „მუშრიბის" თანამდებობაც, მაგრამ ის XI—XII სს. ქართულ წყაროებში არ იხსენიება და მხოლოდ XIV საუკუნის ძეგლში „ხელმწიფის ცარის გარიგებაშია" დამოწმებული[10].

ყადის თანამდებობა თბილისის განთავისუფლებამდე და განთავისუფლების შემდეგ არსებობდა იმის გამო, რომ როგორც პირველ პერიოდში, ისე მეორეში აქ საკმაო რაოდენობით იყო მუსლიმანური მოსახლეობა. თუმცა პირველ პერიოდში (VIII ს. 30-იანი წლები—XI საუკუნე) მუსლიმანური მოსახლეობა გაცილებით დიდი რაოდენობით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, ვიდრე მეორე პერიოდში, ე. ი. XII—XIII სს[11]. პირველ პერიოდში (მე-8 ს. 30-იანი წლები—XI საუკუნე) მუსლიმანური მოსახლეობა გაცილებით მეტი რაოდენობით ჩანს, ვიდრე მეორე პერიოდში, ე. ი. XII—XIII საუკუნეში.

ის გარემოება, რომ გიორგი III-ის 1170 წ. სიგელში თბილისის ყადი სხვა არაბული წარმოშობის თანამდებობებთან ერთად არ იხსენიება, ჩვენი აზრით, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აღნიშნული თანამდებობები უკვე ქართულ საქალაქო წყობილებასთან არიან დაკავშირებული, ხოლო თვითონ მოხელენი—ამირა, ამიდი, რაისი, მუჰთასიბი, ქართველი მეფის მოხელეებად ითვლებიან და ქალაქის გამგებელს, ე. ი. თბილისის ქართველ ამირას ემორჩილებიან.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, 1122 წლის შემდეგაც თბილისში არსებობას განაგრძობდა რაისის (და შეიძლება ვიფიქროთ რაისების) თანამდებობა, მაგრამ ახლანდელი რაისები არსებითად განსხვავდებოდნენ XI საუკუნის რაისებისაგან ანუ „ტფილელ ბერებისაგან", ისინი საქართველოს მეფის ხელისუფლების — თბილისის ამირას ხელქვეითი მოხელენი იყვნენ და, ცხადია, თბილისის საქართველოს დედაქალაქად გადაქცევის შემდეგ მოკლებული იყვნენ იმ ძალას და

---

[10] ხელმწიფის ცარის გარიგება, ექ. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1920, გვ 8—9.

[11] დავით აღმაშენებლის ანდერძსა და გიორგი III-ის სიგელში აშკარადაა გამიჯნული თბილისის პოლიტიკური ისტორიის ორი პერიოდი—თბილისი მაჰმადიანთა დროს („სპარსთა ქონებასა, სპარსობითგანვე") და თბილისი მაჰმადიანთა მფლობელობისაგან განთავისუფლების შემდეგ.

გავლენას, რითაც წინათ ქალაქის ბერები ანუ ქალაქის რაისები სარგებლობდნენ[12].

ქალაქის რაისის თანამდებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობად ითვლებოდა აღმ. ამიერკავკასიის და მახლობ. აღმოსავლეთის ქალაქებში X—XII საუკუნეებში[13].

ამდენად, ქალაქის რაისის თანამდებობა უცხო უნდა ყოფილიყო საქართველოს საქალაქო წყობილებისათვის და თავის დროზე, როგორც ჩანს, მხოლოდ თბილისის საამიროში არსებობდა.

ასევე უცხო იყო საქართველოს საქალაქო წყობილებისათვის ამიდის, მუჰთასიბის და მუშრიბის თანამდებობები.

განსაკუთრებით უცხო იყო ქართული საქალაქო წყობილებისათვის მუჰთასიბის თანამდებობა, რომლის შემსრულებელი, გარდა იმისა რომ ბაზრებსა და ზომა-წონის ერთეულებს უწევდა კონტროლს, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუსლიმანურ რელიგიასთან და ქალაქის მოსახლეობაში მუსლიმანური წეს-ჩვეულებების მტკიცედ დაცვა მართებდა[14].

ამრიგად, გიორგი III-ის სიგელში დამოწმებული არაბული წარმოშობის სამოხელეო ტერმინები იმის მაჩვენებელია, რომ თბილისის საამიროს ქალაქებში ისეთივე საქალაქო თანამდებობები არსებობდა, როგორც ყველგან აღმ. ამიერკავკასიისა და ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებში.

არაბული წარმოშობის ეს საქალაქო თანამდებობები შემდეგნაირად არის განმარტებული: ამირა— ოლქის და ქალაქის გამგებელი, შურტა საპოლიციო მოხელე[15], მუჰთასიბი — საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალის დამცველი, ბაზრებზე ზომა-წონის მეთვალყურე, ამიდი—დიპლომატიური ურთიერთობის საბუთების შემდგენელი მოხელე (ზოგიერთი მკვლევარის განმარტებით—ქალაქის მწერალი),

---

[12] „ქალაქის ბერებისა“ და „ქალაქის რაისების“ იდენტურობა აღნიშნული აქვს ვ. გაბაშვილს, დასახ. ნაშრ., გვ. 357.

[13] გ. ბ ე რ ა ძ ე, მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის წარმოშობის ისტორიიდან („ქალაქის რაისების“ ინსტიტუტი), საქ. სსრ მეცნ. აკად. „მაცნე“, 1969, № 4; Г. Г. Берадзе, К вопросу об институте городских раисов в Иране X—XII вв. (имущественное и социальное положение „городских раисов“) сб., Иран, М., 1971. იქვე დამოწმებულია სათანადო ბიბლიოგრაფია.

[14] ამიტომ მართებული არ უნდა იყოს მუჰთასიბის ქალაქის ნაცვალთან გაიგივება Ш. А. Месхиа, Города.., с. 81, სხვაგან ქალაქის ნაცვალი მას შიჰნასთან აქვს გაიგივებული, შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუასაუკუნეების თბილისში, გვ. 85.

[15] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ., 1907, გვ. 23—24.

რაისი — ქალაქის გამგებელი, მუშრიბი — ქალაქის საბაჟოში შემოსული საქონლის, აგრეთვე სასახლის ქონებისა და სასახლის კარის შესანახი ქონების აღმწერელი[16].

ყველა ეს თანამდებობა XII ს. საქართველოს მეფის ხელისუფლებამ დაუკავშირა (ამის თქმისა და მტკიცების შესაძლებლობას გიორგი III-ის 1170 წ. სიგელის შინაარსი იძლევა) განთავისუფლებული თბილისის გაქართულებულ საქალაქო წყობილებას.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ თბილისის აღების შემდეგ (1122 წლიდან) იწყება საქალაქო ადმინისტრაციის ქართულ საფუძველზე გარდაქმნის პროცესი, რომელიც მთავრდება XII ს. მიწურულს, რაც არაბული სამოხელეო ტერმინების გაქრობაში და ზოგიერთის გაქართულებაში (ამირა) გამოიხატა[17].

არაბთა დროინდელი ბატონობის საქალაქო წყობილების ლიკვიდაციისა და ქართული სამოხელეო ინსტიტუტების აღდგენის შედეგად თბილისი საბოლოოდ იქნა შემომტკიცებული.

თბილისში, როგორც ჩანს, უნდა შემოეღოთ ის საქალაქო თანამდებობები, რომლებიც საქართველოს დანარჩენ ქალაქებში არსებობდა. ამის დადასტურების ფაქტს უნდა წარმოადგენდეს ქალაქის ნაცვლის თანამდებობა. „ნაცვალი" ქართული ადმინისტრაციული წყობილებისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ნაცვალი მოიხსენიება თამარის 1193 წ. სიგელში[18]. ამის შემდგომ ნაცვალი უკვე საკმაოდ ხშირად გვხვდება.

XI ს. ქალაქის ნაცვალი მეფის მიერ ინიშნებოდა და მასზე უშუალოდ იყო დამოკიდებული.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობად იქცა ქალაქის ამირას თანამდებობა, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად იგი აშკარად არაბული წარმოშობისა იყო. ქალაქის ამირას თანამდებობა დროთა განმავლობაში იმდენად გაქართულდა, რომ იგი საქართველოს სხვა ქალაქებშიც გავრცელდა და მე-17 საუკუნის დამდეგამდე იარსება[19].

---

[16] მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, გვ. 143—156., ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X—XI საუკუნეებში, გვ. 331—338.

[17] ვ. გაბაშვილი, იქვე, გვ. 347. ამირას ინსტიტუტის გამოიხ. დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 216—217.

[18] С. Какабадзе, Грамота царицы Тамары Великой на имя Гелата от 1193 г., Известия кавказского историко-археологического института, т. III, Тифлис, 1925, с. 116.

[19] ამირობასთან შედარებით ამირთამირობა დ. მუსხელიშვილს გვიანდელ მოვ-

საქართველოს მეფის მიერ დანიშნული ამირები ისხდნენ ქუთაისში, ჟინვანში, დმანისში.

ამირობის ინსტიტუტის გაქართულების უტყუარ მოწმობას წარმოადგენს ეპიგრაფიკული ძეგლების ცნობები. მაგ., ფინეზაურის წარწერაში, რომელიც ქართული ასომთავრულითაა შესრულებული, დმანელი ამირა იობ მიხრიკის ძე აშკარად ქართველი მოხელეა[20]. წარწერის გამომცემელი დ. ბერძენიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ წარწერის ცნობის შინაარსი უნდა მიუთითებდეს გარკვეულ გარდამავალ საფეხურს დამოუკიდებელ არაბ ამირასა და გვიანდელი ქალაქის მოურავს შორის[21].

მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებელმა არსებითად გარდაქმნა თბილისის ადმინისტრაციული მმართველობა და იგი ორგანულად დაუკავშირა ქართულ საქალაქო წყობილებას, მან საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით მთელი რიგი ისეთი ღონისძიებები განახორციელა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ თბილისის ეკონომიკური მნიშვნელობის შენარჩუნებას კავკასიასა და წინა აზიაში.

როგორც ცნობილია 1122 წლამდე, ე. ი. თბილისის საქართველოსთან შეერთებამდე კარგა ხნით ადრე, თბილისის როლი მეტად მნიშვნელოვანი იყო მთელს კავკასიასა და წინა აზიაში. ამას გვიდასტურებენ აღმოსავლელი ავტორები, რომელთა ცნობები ამასთან დაკავშირებით არ ერთხელ ყოფილა დამოწმებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

შედარებით ადრე მოღვაწე (X—XI სს.) არაბ და სპარსელ ავტორთა გადმოცემებით, „ტფილისი დიდი, აყვავებული ქალაქია. მაგარი, გაშენებული და მრავალი სიმდიდრის მქონე“[22] ისთახრი უწოდებს მას „საქონლით მდიდარს“[23], იბნ. ჰაუკალი აღნიშნავდა სიიაფეს, რო-

---

ლენად მიაჩნია, ეს თანამდებობა, მისი აზრით, ქართულ ნიადაგზე წარმოქმნა XII ს. 80-იანი წლების მიწურულს, დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშ., გვ. 216—217.

[20] დ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, საქ. სსრ მეც. აკად. მოამბე, XXIII, 3, 1964, გვ. 750.

[21] წარწერაში ნათქვამია: „ქ(რისტე) სახელითა ღვთისაჲთა და შეწეენითა ყოელად წმიდისა ღვთისმშობელისაჲთა, ადიდენ და ამყარენ ღმერთმან ძლიერი და ოკეანელი მეფეთ მეფობა გიორგისი; მე მიწამან მეფობისა მათისამან იობ მიხრიკის ძემან დმანის ჩემსა ამირობა(ს)ა შინა აღვჰმართე ჯუარი ესე სახელსა ზედა წმიდისა მოწამისა დიმიტრისა, სალოცველად მეფობისა მათისა, საკსენებელად სულისა ჩემისა. ვინცა მომავალთა ჟამთა დაწერილი ესე აღმოიკითხოთ ჩემთვის“... იქვე, გვ. 747.

[22] ი ს თ ა ხ რ ი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალაჰ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ე. ფუთურიძისა, საქართველოს ისტორიის წყაროები, სერია 4, 1937, გვ. 15.

[23] იქვე, გვ. 5.

მელიც ამ ქალაქისათვის მის დროს ყოფილა დამახასიათებელი[24], ალ-ჰუსეინის სიტყვით, თბილისის გარშემო კედლის სიმაღლე და სიგანე 40 წყრთა ყოფილა[25].

მსგავს ცნობებს გვაწვდიან უფრო გვიანდელი (XII—XIII სს.) ავტორებიც ნაჯიბ ჰამადანელის თანახმად (XII ს. მეორე ნახ.), „თბილისი დიდი და სიკეთით აღსავსე ქალაქია"[26]. იბნ ისფანდიარის „თარიხე ტაბარისთანში" (დასრულებულია 1216 წ.) ლაპარაკია „თბილისურ ქსოვილებზე". აღსანიშნავია, რომ თბილისური ქსოვილები დასახელებულია ბიზანტიურ და ბაღდადურ ქსოვილებთან ერთად (جامه» «های رومی و بغدادی و تفلیسی), რომელიც ტაბარისტანის გამგებელს ისპაჰბადს არდაშირს ძღვნად გაუგზავნია ხორეზმშაჰ თექეშისათვის სხვადასხვა ძვირფასეულობასთან ერთად[27]. ხოლო სპარსელი ანონიმური ავტორის გადმოცემით (XIII ს. I ნახ.) თბილისში მრავალი

---

[24] ابن حوقل كتاب صورت الارض ، بيروت. გვ. 292.

[25] الحوسينى ، اخبار الدولت السلجوقية მუჰამედ იკბალის გამოცემა, ლაპორი, 1933. საინტერესოა, რომ თბილისში XI ს. 60-იან და 70-იან წლებში ქრისტიანთა ერთი ეკლესია ყოფილა. ალ-ჰუსეინის სიტყვით, „ამ ეკლესიის მნიშვნელობა ისეთივეა, როგორც მუსლიმანებისათვის ქაბას მნიშვნელობა". სულთანმა (იგულისხმება სელჩუკიანი) განაგრძობს ალ-ჰუსეინი-„ეს ქალაქიც დაიპყრო და იქ ერთი ჯამე გააშენებინა". აღნიშნული გარემოება ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, თუ რამდენად მრავალრიცხოვანი იყო მუსლიმანური მოსახლეობა 1122 წლამდე თბილისში. Садр ад-дйн Алй пл-Хусайнй, Ахбар ад-даулат ас-Селджукиййа (Зубдат ат-таварих), Издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Буниятова, М., 1980 არაბული ტექსტი, გვ. 74; რუსული თარგმ. გვ. 55.

[26] ნაჯიბ ჰამადანელი „აჯაიბ ალ-მახლუკათ ვა ღარაიბ ალ-მაჯუდათ" („ქმნილებათა საკვირველებანი და არსებულის იშვიათობანი",) დამოწმებულია რ. კიკნაძის მიხედვით. რ. კ ი კ ნ ა ძ ე, XI—XII სს. თბილისის ისტორიიდან აღმოსავლური წყაროების მიხედვით), ისტორიის ინსტიტუტის შრ., ტ. 5, ნაკვ. 1, 1960, გვ. 128.

[27] تاريخ طبرستان تاليف بها الدين محمد بن حسن بن اسفند يار كاتب», بتصحيح عباس اقبال ، تهران ، قسم سوم ، ١٣٢٥ ، ١٣٦» გვ. 136.
გ ი ა ბ ე რ ა ძ ე, მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ ისფანდიარის თხზულებაში, კრ., საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 73—74. „ქართული ქსოვილები" პოპულარობით სარგებლობდა იმდროინდელი ბიზანტიის უმაღლეს წრეებშიც: მაგ., ნიკეტა ხონიატეს (გარდ. 1213 წ.) ცნობით, 1182 წელს პატრიარქ თეოდოსის მეთაურობით მოსული დელეგაციის მიღებისას ადრონიკე კომნენოსს ეცვა „იბერიული ქსოვილისაგან" შეკერილი სამოსი, გეორგიკა VI, თბ., 1966, გ. 124, შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, საბჭოთა ხელოვნება, 1961, № 4, გვ. 67; გ. ბ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 87, შენ. 48.

ბაზარი ყოფილა[28]. ყოველივე ეს, ცხადია განვითარებულ საქალაქო ცხოვრებაზე მიგვანიშნებს.

ამას გვიდასტურებს აგრეთვე თბილისში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალაც. ჩვენთვის საინტერესო პერიოდი (XII ს.) ქართული მხატვრული კერამიკის აყვავების ხანად ითვლება. სპეციალისტები კერამიკული წარმოების განვითარებას უკავშირებენ ქალაქების ეკონომიკურ აღმავლობას[29].

საინტერესო მასალებს თბილისელი ხელოსნების შესახებ გვაწვდიან აღმოსავლური წყაროებიც, საიდანაც ჩანს, რომ მცირე აზიის ქალაქებში მოღვაწეობდნენ თბილისელი ხელოსნები თბილისური ნისბით[30].

გენიზას დოკუმენტების მიხედვით კაიროში საქმობდა თბილისელი ბღებავი[31]. ამ ცნობას ყურადღება მიაქცია და პირველად გამოაქვეყნა გენიზას დოკუმენტებისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის სო-

---

[28] Н. Д. Миклухо-Маклай, Географическое сочинение XIII в. на перс. яз. Уч. зап. Инс-та востоковедения АН СССР, IX, 1954, с. 202; „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რევაზ კიკნაძემ, თბ., 1978, VI, გვ. 28.

[29] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 147; როგორც ერეკლე II-ეს მოედანზე, ისე 300 არაგველის ბაღთან მოქიქული ჭურჭელი მონაპოვარ მასალაში აბსოლუტური უმრავლესობაა. აღნიშნული გარემოება საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მოქიქული კერამიკის გავრცელებასა და აყვავებას უკავშირებენ ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ აღმავლობას, საქალაქო მეურნეობის განვითარებას, ისევე როგორც მინის წარმოებას, ოქრომჭედლობასა და სხვ.

[30] ქ. დივრიგში (ანატოლია) აჰმად შაჰის მეჩეთის კათედრას (1228 წ.) შემდეგი ხასიათის არაბული წარწერა აქვს გაკეთებული («عمل احمد بن ابرهيم التفليسى») „ნამუშევარი აჰმად იბნ იბრაჰიმ თბილისელისა“ ქ. სივასის სასაფლაოზე გვხვდება ეპიტაფია მუჰამედ იბნ აბუ ბექრ თბილისელის («محمد ابوبكر التفليسى»). ცისია კახიანი, დმანისის არაბული წარწერები, თბ., 1965, გვ. 13, იხ. აგრეთვე, ეთერ სიხარულიძე, ას-სამ'ანის ცნობები საქართველოს შესახებ, კრ., საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 45—52.

[31] ცნობა განეკუთვნება XI ს. II ნახევარს. საერთოდ კი გენიზას დოკუმენტები თარიღდება IX—XIII საუკუნეებით. გენიზას დოკუმენტების მნიშვნელობას საბჭოურ ორიენტალისტიკურ ისტორიოგრაფიაში უყურადღება მიაქცია ვ. გაბაშვილმა. ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის დოკუმენტური წყაროები, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1968, გვ. 16—18; მისივე, საქართველოს ქალაქების ისტორიის მასალები გენიზას დოკუმენტებში, კრ., აღმოსაელური ფილოლოგია, IV თბ., 1976, გვ. 293.

ციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხების ცნობილმა მკვლევარმა ს. გოიტეინმა[32].

საყურადღებოა ისიც, რომ XII ს. (1122 წ. შემდეგ) მცირე აზიაში გადახვეწილი ხელოსნის აბულ-ფაზლ ხობეიშ იბნ იბრაჰიმ თიფლისის მიერ არის დაწერილი ხელოსნური ტრაქტატი—„ხელოსნობათა აღწერა“ („ბაიან-ას-სანა'ათ“)[33].

თბილისში დადასტურებულია კერამიკული სახელოსნოები და კერამიკოსთა უბანი[34]. აგრეთვე მინის სახელოსნო და საოქრომჭედლო. კერამიკული საწარმოს გვერდით მინის სახელოსნოს დადასტურება არქეოლოგებს საშუალებას აძლევს, რათა აქ საწარმოო კომპლექსი ივარაუდონ[35].

გ. ლომთათიძის აზრით, მეჭურჭლეებს ძირითადად სახელოსნოსთან უნდა ეცხოვრათ „ამქრულად“. ამასთან, თბილისელი ხელოსნებიც, აღმოსავლურ და ევროპული ქალაქების მსგავსად, პროფესიების მიხედვით ცალ-ცალკე უბნებად უნდა ყოფილიყვნენ გაერთიანებულნი[36].

ამრიგად, როგორც წყაროებიდან და არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა, XII ს. თბილისში განვითარებული იყო ხელოსნობაც და ვაჭრობაც. განსაკუთრებით ეფექტური ჩანს საგარეო ვაჭრობა, რომლის საგანსაც, როგორც ცნობილია, ფუფუნების საგნებით ვაჭრობა შეადგენდა და ფეოდალების მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

---

[32] S. D. Goitein, A Mediterranean Society, the Jewish Communities, of the Arab World as portrayted in the documents of the Cairo Geniza, v. 1 Berkeley and Los Angeles, 1967, p. 10 , 47.

[33] بيان الصناعات ابو الفضل خبيش بن ابرهيم تفليسى

ირ:ჯ ავშარის გამოცემა, თეირანი, 1957; О. Л. Вильчевский, Абу-л-Фазль Хобеиши ибн Ибрагим Тифлиси. Бинан ас-санат (Описание технологии), Советская этнография, № 2, М—Л., 1959, с. 180; შ. ამირანაშვილი, ვეფხისტყაოსნის დასურათება, მინიატურები შესრულებული XVI—XVIII საუკუნეებში, თბ., 1966, გვ. 15. იხ. აღნიშნული ტრაქტატის რუსული თარგმანი: Абу-л-Фазл Хубайш Тифлиси. Описание ремесел (Байан ас-санáат). Перевод .с персидского, введение и комментарий Г. П. Михалевич, М., 1976.

[34] გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში, 1948 წლის ზამთარში, მსკა, I, თბ., 1955, გვ. 132; ო. ჯაფარიძე, „განჯისკარის“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, იქვე, გვ. 91—92.

[35] გ. ლომთათიძე, თბილისის არქეოლოგიური შესწავლილობა, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 5, ნაკვ. I, 1960, გვ. 172; მ. მიწიშვილი, მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში XI—XIII სს. თბ., 1979, გვ. 68—69.

[36] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

თბილისი მნიშვნელოვან როლს ინარჩუნებს საქართველოს შეერთების შემდეგაც XII საუკუნეში.

თბილისის საერთაშორისო მნიშვნელობით იყო გაპირობებული დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა თბილისის წინანდელი როლისა და ადგილის შენარჩუნებას მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობის სარბიელზე.

დავით აღმაშენებლის ეკონომიკურ პოლიტიკასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული სამონეტო რეფორმაც.

მის დროს, როგორც ცნობილია, მიმოქცევაში ფართოდ გავრცელდა მონეტები მუსლიმანური ზედწერილებით. არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის გადმოცემით დავითმა ახალი ტიპის მონეტა მოჭრა, რომელზედაც, საკუთარ სახელთან ერთად, ხალიფას, სულთნისა და ალაპის მოციქულის (მუჰამედის) სახელები იყო აღბეჭდილი[37].

მონეტები არაბული ზედწერილებით დადასტურებულია შემდგომაც, კერძოდ, დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის ზეობის წლებში, აგრეთვე მათი მომდევნო მეფეების დროსაც.

ისმის კითხვა. რას უნდა გამოეწვია საქართველოს პოლიტიკური აღმავლობის ხანაში ქართულ მონეტებზე არაბული წარწერებისა და უცხო მბრძანებელთა სახელების გაჩენა.

ამ საკითხით ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში დაინტერესდნენ სპეციალისტები (ე. პახომოვი, ივ. ჯავახიშვილი), გამოითქვა სრულიად სხვადასხვა შეხედულებები. XII ს. ქართულ მონეტებზე უცხო მბრძანებელთა სახელების გაჩენას ე. პახომოვი მუსლიმანური ელემენტების გაძლიერებასა და საქართველოს სამეფოს აღმოსავლელ მფლობელებზე დამოკიდებულებით ხსნიდა[38]. ე. პახომოვის ეს აზრი გაიზიარა ო. ვილჩევსკიმ[39]. უკანასკნელ წლებში იგივე მოსაზრება გამოთქვა რ. ჰუსეინოვმა[40].

თავის დროზე ე. პახომოვის ეს შეხედულება უარყო ივ. ჯავახიშვილმა. მან დაამტკიცა, რომ აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებდა საქართველოს სამეფოს ეკონომიკურ ინტერესებს და ხელს უწ-

---

[37] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, გვ. 71.

[38] Е. А. П а х о м о в, Монеты Грузии, Тб., 1970, с. 75.

[39] О. Л. В и л ь ч е в с к и й, Ода Хакани грузинскому царю Димитрию I, Исследования по истории культуры народов Востока, сб., в честь акад., И. А. Орбели, М.-Л., 1960, с. 60, прим. I.

[40] Р. А. Г у с е й н о в, Из истории денежного обращения в Передней Азии в XI—XII вв., сб., Нумизматика и эпиграфика, IX, М., 1971, с. 108—109.

ყობდა არაბული ზედწერილიანი ფულის გავრცელებას მაჰმადიანურ სამყაროში[41]. ეს მოსაზრება შემდგომში სხვა მკვლევრებმაც გაიზიარეს (დ. კაპანაძე, ა. ბიკოვი, დ. ლენგი..,)[42].

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე აგრეთვე მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

მუსლიმანური სამყაროს ქრისტიანულ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტების შედეგად სამონეტო საქმეში შეიმჩნევა ერთგვარი ურთიერთგავლენა. გარდა ამისა, მუსლიმანურ მონეტებზე ჩნდება ქრისტიანული სიმბოლოები (მხედრები, არწივები, ლომები...), რაც ხელს უწყობდა ქრისტიანული, თუ მუსლიმანური ფულის ტრიალს როგორც ქრისტიანთა, ისე მუსლიმანთა ქვეყნებში, ამავე მიზეზებით აიხსნება, როგორც ჩანს, ქრისტიანული მონეტების ნორმიდან ერთგვარი გადახრაც[43].

---

[41] И. А. Джавахов (Джавахишвили), Критическая статья Е. А. Пахомова, Монеты Грузии, ч. I, (домонгольский период), сб., Христианский Восток, т. I, вып I, СПб., 1912.

[42] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969. გვ. 72; А. А. Быков, грузинские монеты XII—XIII вв., сб., Памятники эпохи Руставели Л., 1938, с. 79; D. M. Lang, Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, New York, 1955, p. 20-33.

[43] საკითხის კვლევისათვის ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ბრიტანეთში აღმოჩენილი VIII ს. მონეტა, მოჭრილი მერსიის (Mercia) მეფე ოფას მიერ. აღნიშნული მონეტა, გარდა იმისა, რომ არაბული დინარის ტიპისაა, მასზე ფიქსირებულია არაბული შინაარსის წარწერაც. ორიენტალისტ გ. კირკის სიტყვებით, აღმოსავლური გავლენის ყველაზე საინტერესო და, შეიძლება ითქვას, უცნაური დადასტურებაა ისლადიაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჯვარი არაბული წარწერით, კერძოდ კი, ისეთი გავრცელებული ფორმულით, როგორიცაა ბისმილაჰი („სახელითა ღვთისაითა") (G. E. Kirk, A short history of the Middle East, from the Rice of Islam to Moderne Times, London, 1953, p. 28). დაახლოებით ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამს მეორე ინგლისელი მეცნიერი დაუსონიც (Christopher Dawson, The Making of Europe. An Introduction to the History of European Unity, London, 1934, p. 244). არაბთა ვაჭრობისა და მონეტების გავლენას („the influence of Arabe commerce and coinage in that age») აღნიშნავს ა. ატიაც. (Aziz S. Atiya, Crusade, Commerce and Culture, Bloomington, 1962, p. 169). აღნიშნულ ფაქტში ორიენტალისტი მკვლევრები ხედავენ მუსლიმანური სამყაროს გავლენის შედეგს. ცხადია, ზედმეტია ვილაპარაკოთ ბრიტანეთის რაიმე პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე მუსლიმანურ სამყაროზე, აღნიშნულ მონეტებზე არაბული წარწერები იმავე მიზნით უნდა ყოფილიყო გაკეთებული, რა მიზნითაც დავით აღმაშენებლის, დემეტრე I, გიორგი III და თამარ მეფის მოჭრილ მონეტებზე იყო შესრულებული. ევროპის ქვეყნებში მონეტებზე არაბული ზედწერილების არსებობის ფაქტი დადასტურებულია მთელი XI—XII სს. მანძილზე. ამ ტიპის მონეტებს, როგორც ცნობილია ჭრიდნენ ნორმანდიის მეფეები ვილჰელმ I (1066—1087) და ვილჰელმ II (1153—1189), ტანკრედ II (1189—1194). XII ს. და XIII ს. პირველ ნახევარში სამხრეთ იტალიასა

გამონაკლისს ამ მხრივ. როგორც ვნახეთ, არც საქართველო წარმოადგენდა. დავით აღმაშენებლის სამონეტო რეფორმა ითვალისწინებდა, ერთიმხრივ, ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობის (ვაჭრების, ხელოსნების) ინტერესებს. ხოლო, მეორე მხრივ, საერთაშორისო პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ვითარებას.

დავით აღმაშენებლის ეკონომიკურ პოლიტიკასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული ისიც, რომ დავითმა თბილისის აღების შემდეგ, მის მაჰმადიანურ მოსახლეობას მთელი რიგი პრივილეგიები მიანიჭა. ალ-ფარიკის ცნობით, დავითმა თბილისის მოსახლეობა გაანთავისუფლა იმ წლის გადასახადისაგან[14]. ამასვე ამბობენ სხვა მაჰმადიანი მწერლებიც (შემს ედ დინ იუსუფი, ალ-აინი და სხვ.). მათი სიტყვით, ასეთი პრივილეგიები და პატივისცემა მუსლიმებს თვით მაჰმადიანურ ქვეყნებში არ ჰქონიათ[45].

ამგვარად, დავით აღმაშენებლის ზემოთ აღნიშნული შემწყნარებლური პოლიტიკა აშკარად ითვალისწინებდა თბილისის მაჰმადიანური მოსახლეობის ეკონომიკურ ინტერესებს, ვინაიდან მუსლიმანური მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდა ვაჭრობაში, ხელოსნობაში. ამავე დროს ცნობილია, რომ იმდროინდელი მსოფლიო ვაჭრობის მონაწილენი უპირატესად მუსლიმანური ქვეყნების ვაჭრები იყვნენ[46]. ვ. ბარტოლდის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ისინი იყვნენ იმ დროს გაბატონებული მსოფლიო ვაჭრობაში[47].

აღმოსავლელ ავტორთა მიერ თბილისის ეკონომიკური თვალსაზრისით შეფასებას (საქონლით მდიდარი, მრავალი ბაზარი და სხვ.) გვიდასტურებს როგორც წყაროებში დამოწმებული მრავალფეროვანი თბილისური საქონელი, ისე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ნიმუშები (იხ. თავი მე-

---

და სიცილიაში იჭრებოდა აგრეთვე არაბულ ზედწერილიანი მონეტები (შ. მ ე ს ხ ი ა, ძველად საკვირველი, თბ., 1972, გვ. 148). არაბული წარწერები გზას უკაფავდა მათ მაჰმადიანურ სამყაროში, რომელთანაც დას. ევროპა იტალიური ქალაქების მეშვეობით სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით იყო დაკავშირებული. ამგვარად, მოყვანილი ფაქტებიდან, უდავოა, რომ მსგავსი წარწერების დადასტურება არავითარ შემთხვევაში არ მეტყველებს პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე. მათი მიზანია გააფართოვონ და ინტენსიური გახადონ მონეტების მიმოქცევის სფერო.

[44] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, გვ. 71.

[45] Н. М а р р, Древнегрузинские одописцы (XIIв.), С.—Петербург, 1902, с. 22.

[46] В. В. Б а р т о л ь д, Ислам на Черном море, соч. т. VI, М., 1966, с. 660.

[47] იქვე.

ოთხე. საქართველოს ქალაქების საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი XII საუკუნეში).

XII ს. თბილისში არსებითად შეიცვალა კლასობრივი და საზოგადოებრივი განშრეებაც, ამ შემთხვევაშიც თბილისი მნიშვნელოვნად დასცილდა მუსლიმანური მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებს (სოციალური თვალსაზრისით), თუმცა, გარეგანი ნიშნების მიხედვით, მას ბევრი რამ ჰქონდა საერთო აღმოსავლურ ქალაქებთან. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ თბილისს ამ დროსაც და შემდეგაც მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი ჰქონდა დამყარებული წინა აზიის ქვეყნებთან და ქალაქებთან.

1122 წლის შემდეგ თბილისი წმინდა ქართული ფეოდალური ქალაქია და მისი საზოგადოებრივი ურთიერთობაც ისე მოეწყო, როგორც საქართველოს ყველა დანარჩენ ქალაქში.

მუსლიმანური ელემენტის მაგიერ აქ სულ უფრო და უფრო ქართული ელემენტი ძლიერდებოდა[48].

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში 1122 წლამდე მუსლიმანები დიდი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი, აქ ქართული ელემენტიც საკმაოდ ძლიერი იყო. ამას გვიდასტურებს ის ცნობები, რომელთა შინაარსი ეხება შიომღვიმის მონასტრის საქონელს თბილისში როგორც მაჰმადიანთა დროს, ისე მისი განთავისუფლების შემდეგ. დავით აღმაშენებლის ანდერძში ამის გამო ნათქვამია: „ქალაქ ტფილისს, რომელ სპარსთა ქონებასა ჰქონებია და რომელ აწ უყიდია და რომელ მე მომიხსენებია, იგი და ანუ წაღმართ მოიგონ, იგიცა, ყველა უბაჟოდ და უსუხროდ ყოვლისა სამეფოჲსა გამოსავლისაგან ჰქონდეს“[49]. ამასვე გვიდასტურებენ გიორგი III-ის 1170 წლის სიგელი, სადაც აღწერილია შიომღვიმის საქონელი და ქულბაქები მაჰ-

---

[48] მუსლიმანთა ერთმა ნაწილმა ჯერ კიდევ XII ს. მცირე აზიის ქალაქებს შეაფარა თავი, მაგრამ დარჩენილი ნაწილიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა, ამას გვიდასტურებს მათი პოზიცია ჯალალ ედ-დინის თბილისზე თავდასხმის დროს, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 58. XII ს. სომხური მოსახლეობაც თბილისში თვალსაჩინოდ ჩანს გაზრდილი. სირიელი მწერლის გრიგოლ ბარებრეას (აბულ ფარაჯის) ცნობაში ლაპარაკია იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობდა ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიასა და სომხურ მოსახლეობას შორის, 1197 წ. Л. Меликсет-Беков, О междоусобице в Тифлисе в 1197 г., Изв. КИАИ т. III. შ. მესხიას აზრით, ქ. თბილისის სომხურ მოსახლეობაში უნდა ვიგულისხმოთ ხელოსნები და ვაჭრები. Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 89.

[49] თ. ჟორდანია, შიო-მღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 16; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 14.

მადიანთა დროსაც („სპარსობითგანვე") და თბილისის საქართველოსთან შეერთების შემდეგაც[50].

ქრისტიანებისა და მუსლიმანების წინააღმდეგობებსა და ბრძოლაზე თბილისში ამ ქალაქის განთავისუფლების პირველ წლებში მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა ვითარცა აწ, არაცედ სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა"[51].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზემომოტანილ წერილობით წყაროებში, კერძოდ, დავით აღმაშენებლის ანდერძსა და გიორგი III-ის სიგელში, აშკარადაა გამიჯნული თბილისის პოლიტიკური ისტორიის ორი პერიოდი—თბილისი მაჰმადიანთა დროს და თბილისი—მაჰმადიანთა მფლობელობისაგან განთავისუფლების შემდეგ.

რა თქმა უნდა, კლასობრივი განლაგებაც ამ ორი პერიოდის შესაბამისი იყო.

მუსლიმანური წარმოშობის ფეოდალური არისტოკრატიის მაგიერ (მათ ადგილსამყოფელს წყაროების მიხედვით ისანი წარმოადგენდა, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე კი ვაჭრები და ხელოსნები ცხოვრობდნენ) 1122 წლის შემდეგ თბილისში უნდა გაძლიერებულიყო ქართული ფეოდალური არისტოკრატია.

მასალების სიმცირის მიუხედავად, შეგვიძლია ზოგი რამ აღვნიშნოთ XII ს. თბილისის კლასობრივი განლაგებისა და სოციალური განშრეების შესახებაც.

XII ს. ქალაქის საზოგადოებრივ ფენებთან დაკავშირებით ქართულ წყაროებში შემდეგი ურბანისტიკული ტერმინოლოგია გვხვდება: დიდვაჭარი, ვაჭართუხუცესი, ვაჭართა თავადი, მოქალაქე, ქალაქის მკვიდრი (თანამედროვე წყაროებშია „ტფილისის მკვდრი"). გლახაკნი.

დიდვაჭართა ფენის საქმიანობა და ფუნქციები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში[52].

---

[50] საქართველოს სიძველენი III, გვ. 5; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 21; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთი XI—XII სს. ქართულ საისტორიო წყაროთა შუქზე, კრ. XII ს. საქართველოს ისტორიის საკითხები, თსუ, შრ., ტ. 125. ისტორიულ მეცნ. სერია, 6, თბ., 1968, გვ. 276.

[51] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 349.

[52] შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, მიმომხილველი (IX—XIII სს.) თბ., 1951; Ш. А. М е с х и а, Из истории грузинского феодального города X—XIII, საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის შრ. ტ. II, 1956; Ш. А. М е с х и а, Города и городской строй...., შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.

დიდვაჭრები საქალაქო არისტოკრატიას განეკუთვნებოდნენ. მათ ხელში იყო საერთაშორისო-საბითუმო ვაჭრობის სადავეები. ისინი მონაწილეობდნენ აგრეთვე ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ტერმინ დიდვაჭრის დადასტურება ქართულ წყაროებში, ცხადია, თავისთავად გულისხმობს საშუალო და წვრილი ვაჭრების არსებობასაც. როგორც სათანადო გამოკვლევებმა ცხადყო საზოგადოების სწორედ ამ ნაწილს გულისხმობს ქართლის მატიანეში დამოწმებული სოციალური ტერმინი „ყოველი ერი"[53]. ყოველი ერი აშკარადაა გამოყოფილი თბილისის საქალაქო არისტოკრატიისაგან. XI ს-ის მეორე ნახევრის ქართულ საისტორიო თხზულებებში დამოწმებული ეს ტერმინი იმასვე გულისხმობს, რასაც ვეფხისტყაოსნის „ქალაქის ერნი", ე. წ. წვრილ ვაჭრებსა და ხელოსნებს[54].

ამავე პერიოდის წყაროების ვაჭართუხუცესის ინსტიტუტიც უშუალოდ იყო დაკავშირებული დიდვაჭართა ფენასთან. ვაჭართუხუცესები, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სწორედ მათი წრიდან გამოდიოდნენ. ისინი სათავეში ედგნენ დიდვაჭართა გაერთიანებებს და მთელ რიგ საორგანიზაციო ფუნქციებს ასრულებდნენ[55].

მსგავს ინსტიტუტს განეკუთვნებოდა „ვაჭართა თავადიც".

„ვაჭართა თავადი", რა თქმა უნდა, იგივე „ვაჭართუხუცესია".

ქართული წყაროების ისეთი სოციალური ტერმინი, როგორიცაა „ქალაქის მკვდრი" („ტფილისის მკვდრი)"[56] შ. მესხიას ქალაქის ზედა ფენების აღმნიშვნელად მიაჩნია. მას ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს თამარის ისტორიკოსის სათანადო ადგილი, სადაც ასეთებად თბილისელი ამირა აბულასანი და თბილისელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი გვევლინებიან[57].

თბილისში, უნდა ვიფიქროთ, მრავლად იყვნენ წვრილი ვაჭრებიც და ხელოსნებიც, თუმცა წყაროებში მათ შესახებ ცნობებს იშვიათად ვპოულობთ.

---

[53] П. В. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии в XIX—XX вв., Тб., 1957, с. 28—29, ამ განმარტებას იზიარებენ შ. მესხია (საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 45, შენ. 1), ვ. გაბაშვილი, (ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ეამთააღმწერლის ერთი ცნობის განმარტება), თბ., 1966, გვ. 122).

[54] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 127; მ. გაბაშვილი, ქალაქის საზოგადოებრივი ფენები „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრ., X, 1970, გვ. 165.

[55] Ш. А. Месхиа, Города... с. 66, 67, შ. მესხია, საქალაქო კომუნა... გვ. 34.

[56] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 36, 37.

[57] შ. მესხია, საქალაქო კომუნა..., გვ. 113—115.

დიდი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი საქართველოს ქალაქებში გლახაკნი. გლახაკნი სოციალური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ. „გლახაკი“ და „გლახაკნი“ XI—XII სს. არა ერთ ქართულ წყაროშია დასახელებული[58].

თბილისშიც, ისევე როგორც ფეოდალურ საქართველოს ყველა სხვა ქალაქში, კლასობრივი განლაგება და საზოგადოებრივი ურთიერთობანი 1122 წლიდან მოყოლებული ქართული ფეოდალური საზოგადოების სპეციფიკური თავისებურებების მიხედვით გაიმართა. მაგრამ აქ, როგორც ჩანს, გადმონაშთის სახით, ერთგვარად არსებობას განაგრძობდა თბილისის საამიროს საქალაქო წყობილების და კლასობრივი განლაგების ზოგიერთი გადანაშთი.

ამის დამადასტურებელი უნდა იყოს რინდების არსებობა XII ს. დამლევის და XIII ს. დამდეგის თბილისში.

რინდი დამოწმებულია მხოლოდ ყამთააღმწერლის თხზულებაში[59]. მაგრამ თხრობის შინაარსი განეკუთვნება XII ს. დამლევს და XIII ს. დამდეგს.

რინდები, როგორც ცნობილია, აქტიურად მონაწილეობდნენ XI—XIII სს. მახლ. აღმოსავლეთის ქალაქებში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებში და თავიანთი სოციალური წარმოშობით განეკუთვნებოდნენ ქალაქის დაბალ საზოგადოებრივ ფენებს[60].

აღსანიშნავია ისიც, რომ თვითონ ტერმინი „რინდი“ მრ. „რონუდ“ (აღმოსავლურ წყაროებში უფრო ხშირად ეს ტერმინი იხსენიება „ოვბაშთან“ ერთად) მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში XI ს-ის დამლევიდან გვხვდება[61].

XI—XII სს. თბილისში რინდების და მსგავსი სოციალური ჯგუფების არსებობას მკაფიოდ გვიდასტურებს ალ-ფარიკისა და სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ის ცნობები, რომელთა შინაარსს ჩვენი გამოკვლევის II თავის მე-3 პარაგრაფში გავეცანით.

ჩვენ მიერ ზემომოყვანილი საზოგადოებრივი ფენების აღმნიშვნელი საქალაქო ტერმინოლოგია (რინდის გარდა) ყველა ქართულია, რაც იმას ნიშნავს, რომ XII საუკუნიდან (1122 წლის შემდეგ) თბილისის საზოგადოებრივ ურთიერთობაში ისეთი ცვლილებები ხდება

---

[58] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ყამთააღმწერლის ერთი ცნობის განმარტება), გვ. 123; რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში V—XII სს. თბ., 1976.

[59] ყამთააღმწერელი, გვ. 155.

[60] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 151—152.

[61] იქვე, გვ. 137—140.

და ისეთნაირად ეწყობა, როგორც ეს საერთოდ ქართული ქალაქების სინამდვილისათვის იყო დამახასიათებელი.

საზოგადოდ, XI—XII სს. დოკუმენტურ-ნარატიულ და მხატვრულ ნაწარმოებებში ურბანისტიკული ტერმინოლოგია ქართულია: ქალაქის ბერი, ქალაქის ნაცვალი, ვაჭართა თავადი, მოქალაქე, ვაჭართუხუცესი, ქალაქის მკვიდრი,გლახაკნი. ამის ყველაზე ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის სათანადო სტროფები (იხ. თავი მუხუთე, „ქალაქის საზოგადოებრივი ფენები" ვეფხისტყაოსნის მიხედვით").

თბილისში, მიმდინარე საქალაქო ცხოვრების და საზოგადოებრივი ურთიერთობის გაქართულების პროცესის პარალელურად, მიმდინარეობდა ინტენსიური მშენებლობა. სულ უფრო და უფრო მეტი ადგილი ეთმობოდა ქრისტიანულ საკულტო ტაძრებსა და საზოგადოებრივ შენობებს. ამის ყველაზე მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს თბილისის ლურჯი მონასტერი[62].

თბილისის საქართველოს სამეფოსთან შეერთება გახდა საფუძველი იმისა, რომ XII საუკუნეში მისი როლი და ადგილი კიდევ უფრო გაიზარდა საერთაშორისო ასპარეზზე და ის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად იქცა.

თბილისშიაც, ისევე როგორც საქართველოს სხვა კულტურულ ცენტრებში, შეიქმნა მეცნიერებისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ქმნილებანი[63].

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება XII ს. სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა საქართველოს ქალაქების აღმავლობამ და საქალაქო ცხოვრების გართულებამ. ამ მხრივ საქართველოს ქალაქებიდან განსაკუთრებული როლი XII ს. შეასრულა ქალაქმა თბილისმა, როგორც გაერთიანებული საქართველოს ეკონომიკურმა და კულტურულმა ცენტრმა.

---

[62] ვ. ბ ე რ ი ძ ე, თბილისის „ლურჯი მონასტერი", „ქართული ხელოვნება", ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრ., ტ. 2, თბ., 1948, გვ. 91—110.

[63] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საზოგადო მდგომარეობა და კულტურული ვითარება ძლიერებისა და აყვავების ხანაში, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 301.

IV. საქართველოს ქალაქების საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა XII საუკუნეში

XI—XII საუკუნეების საქართველოში საქალაქო ცხოვრების განვითარებამ თვალსაჩინოდ გაზარდა ქართული ქალაქების მონაწილეობის ხვედრითი წონა საერთაშორისო ვაჭრობაში. საგარეო ვაჭრობის სარბიელზე საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით განსაკუთრებით დაწინაურდა ქ. თბილისი. თბილისის მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით არა ერთხელ აღნიშნულა ქართულ ისტორიოგრაფიაში (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი, ლ. ჭილაშვილი, რ. კიკნაძე...). წყაროებიც, განსაკუთრებით აღმოსავლური, ერთხმად აღნიშნავენ თბილისის როლს მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში, მის კავშირს ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის საგაჭრო მაგისტრალებთან.

XI—XII საუკუნეების საქართველოში და ამიერკავკასიაში „ვაჭრობა ფართო გასაქანს ღებულობს"[1].

დიდძალი საქონლით დატვირთული ქარავნები შემოდიოდნენ და გადიოდნენ თბილისიდან[2].

თბილისური საქონელი კარგად იყო ცნობილი ქვეყნის გარეთაც, კერძოდ, ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

„აჯაიბ ად-დუნიას" ანონიმურ ავტორს (XIII ს-ის I ნახ.) ჩამოთვლილი აქვს თბილისური ექსპორტის საქონელი («اجاب متاع» — „იქაური საქონელი"), ესაა: უნაგირები, სპილოს ძვლით გაწყობილი ლაგმები, კაპარჭები, ხილიფები, მინა, ფიალები, საუკეთესო ბროლის ნაწარმი[3].

---

[1] ვ. გუგუშვილი, ნარკვევები შუასაუკუნეობრივი საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური ისტორიიდან, ეკონომიკის ინსტიტუტის შრ. II, 1952, გვ. 306.

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ, 1907, გვ. 28—29.

[3] Н. Д. Миклухо-Маклай, Географическое сочинение XIII в. на перс. языке, с. 203, „სამყაროს საკვირველებათა" ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978, გვ. 29, სპარსული ტექსტი, გვ. 9.

დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ საქართველოში ბროლი.

ბროლი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოდიოდა, სახელდობრ, ჩინეთიდან და ინდოეთიდან[4]. ლ. ჭილაშვილის აზრით, სპილოს ძვლის მომწოდებელი კერა შეიძლებოდა ყოფილიყო ეგვიპტე (ნუბია), რომელთანაც ქართულ ქალაქებს აღნიშნულ საუკუნეებში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ჰქონდათ დამყარებული[5].

რაც შეეხება სპილოს ძვლით შემკულ ხელიფებს, არსებობს მოსაზრება, რომ სპილოს ძვალი საქართველოში ინდოეთიდან შემოჰქონდათ[6].

ყურადღებას იმსახურებს „აჯაიბ ად-დუნიას“ სპარსული ავტორის მიერ ჩამოთვლილი სამეურნეო დანიშნულების პროდუქტებიც: თაფლი, ცვილი, ბროწეული და ტკბილეული[7].

თბილისიდან რომ თაფლი გაჰქონდათ, ჩანს ისთახრის ცნობიდანაც. ამ ცნობის მიხედვით, თბილისიდან „მრავალი საქონელი და თაფლი მტკვრით მიაქვთ“[8]. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ X ს. ავტორი იბნ-ჰაუკალი აღნიშნავდა თაფლის გასაოცარ სიიაფეს საქართველოში[9].

ალ-იდრისის ცნობის თანახმად, თბილისი საღებავი მცენარეულობითაც ვაჭრობდა. აღნიშნულ საღებავ მცენარეებს ფართოდ იყენებდნენ წინა აზიაში ქსოვილების შესაღებად[10].

იბნ ისფანდიარის თარიხ-ე ტაბარისთანში (დასრულებულია 1216 წ.) დაცულია ფრიად საყურადღებო ცნობა, რომელშიაც თბილისურ ქსოვილებზეა ლაპარაკი. აღნიშნული წყაროს თანახმად, ტა-

---

[4] ნ. ქ ო ი ა ვ ა, ძვირფასი ქვები შოთა რუსთაველის ეპოქაში „ენიმკის მოამბე“, ტ. III, გვ. 81.

[5] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში ტ. II, თბ., 1979, გვ. 138. ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII ს. თსუ, შრ., ტ. 121, 1967, გვ. 207; მისივე. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI—XII სს.), კრ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თსუ, შრ. ტ. 125, გვ. 55, 57.

[6] რ. კ ი კ ნ ა ძ ე, არაბული და სპარსული ისტორიული წყაროები XI—XIII სს. თბილისის შესახებ „ცისკარი“, № 10, 1958, გვ. 167

[7] Н. Д. М и к л у х о-М а к л а й., დასახ. ნაშრ., გვ. 203; „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 29. სპარსული ტექსტი, გვ. 9.

[8] ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი. ჰამდალაჰ ყაზვინი. გვ. 4.

[9] გვ. 292. ابن حوقل ، كتاب صورت الارض ، بيروت შდრ. ე თ ე რ ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წ. I, გვ. 35: იბნ ჰაუკალს აღნიშნული აქვს ისიც, რომ „ფასები აქ იაფია და თავისი სიმდიდრით (თბილისი) აღემატება სხვა მდიდარ ქალაქებსა და აყვავებულ, ნაყოფიერ მხარეებს“. იქვე.

[10] Jaubert, Geographie d'Edris, 1849, 330.

ბარისტანის გამგებელს ისპაჰბად არდაშირს ძღვნად გაუგზავნია ხორეზმშაჰ თექეშისათვის ძვირფასეულობა, მათ შორის ქაოვილები— „რუმის, ბაღდადური და თბილისური“ («جامه های رومی و بغدادی و تفلیسی»)[11].

XII ს. დამდეგის ერთი სომხური ხელნაწერის თანახმად თბილისიდან საღმოსავანქის მონასტერში გადიოდა ტყავი, რომელსაც წიგნების ყდებისთვის იყენებდნენ[12].

გარდა ზემოჩამოთვლილი მრავალფეროვანი საქონელისა, „აჯაიბ ად დუნიას“ ანონიმური ავტორის თანახმად, თბილისიდან გაპყავდათ მონები (ორივე სქესის) და პირუტყვი[13].

თბილისის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე მიგვანიშნებს აგრეთვე არქეოლოგიურ მასალაში იმპორტული კერამიკის დადასტურებაც. გარე სამყაროსთან სავაჭრო კონტაქტების გამომხატველია ასევე ზოგიერთი ადგილობრივი ნაწარმის უცხოურისადმი მიბაძვის ცდაც.

თბილისში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს აღმოაჩინეს ჭურჭელი, რომელსაც ირანული კერამიკისთვის ნიშანდობლივი ელემენტები ახასიათებს[14]; ქუფური ორნამენტით შემკული შემოტანილი ჯამის ფრაგმენტები[15]. აქვეა ფაიანსის ჯამი აშკარად აღმოსავლური წარმოშობის[16], აგრეთვე ჯამი, რომლის ზუსტი ანალოგია ნაპოვნია ორენ-ყალაში[17], სომხეთის ქალაქებიდან შემოტანილი ჩიბუხები[18] და სხვ.

ზოგიერთ კერამიკულ ნაწარმზე სპარსული წარწერებიცაა დადასტურებული[19].

---

[11] 136. «تاریخ طبرستان» იხ. გ. ბერაძე, მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ ისფანდიარის თხზულებაში, გვ. 70—74.

[12] ვ. ს. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბ, 1959, გვ. 17.

[13] Н. Д. Миклухо-Маклай- დასახ. ნაშრ., 202; „სამყაროს საკეირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ., გვ. 29, სპ. ტექსტი, გვ. 9.

[14] გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში, მსკა, I, თბ., 1955, გვ. 154.

[15] მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 48.

[16] ი. გრძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძ ეგლები (1956—57 წწ. არქეოლოგიური გათხრების მიხედვით) თბ., 1961, გვ. 53.

[17] მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

[18] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 106.

[19] ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, გვ. 153; გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

თბილისთან დაკავშირებით წყაროები და არქეოლოგიური მასალები სრულიად სხვადასხვა სახის მრავალფეროვან საქონელს აღნუსხავენ: პირადი მოხმარების ნივთები, საომარი იარაღი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მონები[20] და სხვ.

შესაბამისად ფართო იყო თბილისის საერთაშორისო ურთიერთობათა არეც.

სავაჭრო მაგისტრალების საშუალებით საქართველოს დედაქალაქი დაკავშირებული იყო როგორც ახლო (სომხეთი, აზერბაიჯანი) მდებარე ქვეყნებთან, ისე მასლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქებთან (რეი, ქაშანი, ზენჯანი, ვერამინი ქუფა...), აგრეთვე ბიზანტიასთან, ინდოეთთან, ჩინეთთან, რუსეთთან[21].

წყაროების მიხედვით, თბილისი ჩრდილოეთის ქვეყნებს უკავშირდებოდა დარუბანდის გზით. თუმცა არსებობდა დარიალისა და შავიზღვისპირეთის გზებიც, მაგრამ პირველი უფრო კეთილმოწყობილი და პოპულარული იყო. დარიალის გზა რომ საკმაოდ ინტენსიურად იყო გამოყენებული, ეს კარგად ჩანს ზანქან ზორაბაბელის ელჩობიდანაც. როგორც ცნობილია, თბილისელი დიდვაჭარი სწორედ ამ გზით უნდა წასულიყო რუსეთს[22]. სამხრეთ რუსეთის ქალაქებთან სავაჭრო ურთიერთობის შედეგად წარმოიშვა ქ. ჟინვანი[23].

თბილისიდან სავაჭრო გზა ბარდავისაკენ მიდიოდა, ბარდავიდან კი—დერბენდში. დარუბანდი იმდროინდელი სამყაროს მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქს წარმოადგენდა. აქ თავს იყრიდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული დიდვაჭრები. დარუბანდიდან ჩრდილოეთის გზით შეიძლებოდა წასვლა ხაზართა ქვეყანაში და რუსეთში.

თბილისი მნიშვნელოვანი მაგისტრალებით იყო დაკავშირებული სამხრეთის ქვეყნებთანაც.

დიდ როლს თამაშობდა ამ მხრივ თბილისს-ბარდავის სამარშრუტო გზა[24].

---

[20] წყაროებს, ჩანს, მხედველობაში აქვთ ვაჭრობა, რაც კავკასიაში განსაკუთრებით გაძლიერდა და გამრავალფეროვნდა ყირიმში გენუის ახალშენების დაარსების შემდეგ.

[21] Э. Кверфельд, Китайская керамика XII—XIII вв. на Кавказе, Памятники эпохи Руставели, Л., 1938, с. 188; ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა). კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 444.

[22] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 36—37.

[23] Ш. А. Месхиа, Города в городской строй феодальной Грузии, с. 44.

[24] ლევან ჯილაშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 131.

თბილისს-ბარდავის გზა ჰკვეთდა ისეთ მნიშვნელოვან პუნქტებს, როგორიცაა ყალა იბნ-ქანდამანი (ბარდაბანი), ხუნანი, შამქორი, განჯა. აღსანიშნავია, რომ ეს მარშრუტი წარმოადგენდა ინდოეთისაკენ მიმავალი სატრანზიტო გზის შემადგენელ ნაწილს[25].

ბარდავიდან აღნიშნული გზა, ხუნანის, ბილაქანისა და დერბენდის გავლით, ჩადიოდა არდებილში, მეორე კი ზენჯანისაკენ მიემართებოდა. ადერბილიდან ორი გზა მიდიოდა: ერთი ზენჯანისაკენ, მეორე სირია-ერაყსა და მცირე აზიაში[26].

ამგვარად, თბილისზე გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზებით (თბილისი-ბარდავი-ზენჯანი და თბილისი-დვინი-მარაღა) საქართველოს დედაქალაქი უკავშირდებოდა სპარსეთის ქალაქებს. სპარსეთის აღნიშნული პუნქტებიდან კი გზები იყრებოდა ინდოეთის, არაბეთისა და ეგვიპტის მიმართულებით[27].

თბილისი ბიზანტიასთან დაკავშირებული იყო საქართველოს შავი ზღვისპირეთის ქალაქებისა (ცხუმი, ხუფათი, ფოთი...) და ტრაპიზონის მეშვეობით. ტრაპიზონი ვსოფლიოში სახელგანთქმული უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ქალაქი იყო. მასუდის ცნობის თანახმად, ამიერკავკასიის ვაჭრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ტრაპიზონში გამართულ ყოველწლიურ ვაჭრობაში[28].

საქართველოს დანარჩენი ქალაქების შესახებ გაცილებით ნაკლები მასალა გვაქვს, მაგრამ ის, რაც ჩვენ ხელთაა, მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ ქალაქების ექსპორტზე და იმპორტზე.

რუსთავის არქეოლოგიურ მონაპოვარში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი უცხოური წარმოშობის ნივთები და მონეტები. არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა, რომ რუსთავს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ჰქონდა აზერბაიჯანთან და სომხეთთან[29], აღნიშნული ფაქტის დადასტურებას წარმოადგენს აქ ნაპოვნი სომხურ დამღიანი ჯამი[30], ჩიბუხები, რომლებიც სომხეთის ქალაქებიდანაა შეწოტანილი[31].

---

[25] ლ ე ვ ა ნ ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

[26] ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX—X სს. არაბული წყაროების მიხედვით, კრ. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 187.

[27] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 133.

[28] M a s o u d i, Les praire d'or, Texte el traduction par C. Barbier de Meynard et Pavet de Courteille, Paris, 1867—77, 3, 11.

[29] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, რუსთავში წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1958, გვ. 27.

[30] მ. მ ი წ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

[31] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთაი, გვ. 106.

ბიზანტიასთან კავშირზე მეტყველებს რუსთავში ნაპოვნი XI ს. ბიზანტიური ოქროს მონეტა, ხოლო აღმოსავლურ სამყაროსთან ილ-დეგიზიდების სპილენძის ფული[82].

რუსთავში ნაპოვნი ჯამი აზერბაიჯანული კერამიკისათვის დამახასიათებელი ელემენტებისადმი მიბაძვითაა შექმნილი[33]. აქვეა აზერბაიჯანული წარმოშობის კერამიკის ნაწარმის ფრაგმენტი[34]. სლავური ტიპის" ოქროს საყურე[35], მათარა, რომლის მსგავსი ნიმუშები ცნობილია კავკასიაში და აგრეთვე რუსეთში[36], სპარსული ფაიანსი[37].

რუსთავში, თბილისში, გორში და დმანისში დადასტურებული ვერცხლის წყლის ჭურჭელი საქართველოს როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის ერთ-ერთი საგანიც უნდა ყოფილიყო[38]. ყურადსაღებია რუსთავის ნაცხარზე ნაპოვნი ქუფური ორნამენტით შემკული ჭურჭელი[39].

მსგავსი ორნამენტებითაა აგრეთვე შემკული დმანისში აღმოჩენილი ჯამი.

ამგვარად, რუსთავში გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ამ ქალაქის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საკმაოდ ფართო მასშტაბებზე მეტყველებს.

საყურადღებოა, რომ რუსთავის ეკონომიკური დაწინაურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო, აქ გამავალი სავაჭრო გზები. მნიშვნელოვანი საქარავნო გზა ბარდავი — თბილისი რუსთავთან გადიოდა. რუსთავს ჰკვეთდა აგრეთვე სამხ. საქართველოსთან დამაკავშირებელი გზები[40].

რუსთავთან ერთად დმანისი აღმ. საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. დმანისი, როგორც ლევან მუსხელიშვილი აღნიშნავს, უმთავრესად სავაჭრო ქალაქი იყო[41]. დმა-

---

[32] გ. ლომთათიძე, ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საწარმოო კერათა ისტორიისათვის (არქეოლოგიურ ძეგლთა მიხედვით), სერია: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1969, გვ. 9.

[33] მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

[34] იქვე.

[35] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

[36] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

[37] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

[38] ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, გვ. 152.

[39] მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

[40] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 205.

[41] ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 448.

ნისი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით იყო დაკავშირებული მეზობელ სომხეთთან და აზერბაიჯანთან. დმანისის სომხეთთან ურთიერთობის დადასტურებას წარმოადგენს აქ ნაპოვნი სომხური და აზერბაიჯანული მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები[42], სომხური ჩიბუხები[43].

დმანისში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ნაპოვნია ირანიდან შემოტანილი ჭურჭლის ნიმუშები. აღნიშნული ჭურჭელი ანალოგიას პოულობს სპარსეთის განთქმული კერამიკული ცენტრების ნაწარმთან (რეი, ქაშანი, ვერამინი...)[44].

საყურადღებოა, რომ საქართველოში აღმოჩენილია ჩინური კერამიკის ნიმუშები. ჩინეთთან კავშირობის დადასტურების ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს დმანისში ნაპოვნი ჩინური სელადონის ფრაგმენტები[45].

არქეოლოგიური მასალის ამ მონაცემებს ავსებენ წერილობითი წყაროებიც. ასე, მაგალითად, „ხელმწიფის კარის გარიგებაში" სხვადასხვა ჭურჭელთან ერთად, ჩინური და ირანული (ქაშანური) ჭურჭელიცაა დადასტურებული[46].

დმანისის შესახებ ვეტად საყურადღებო ცნობაა დაცული არაბ ავტორ ჯაკუთისთანაც, საიდანაც ვგებულობთ, რომ დმანისიდან გაჰქონდათ აბრეშუმი[47].

არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, რომ დმანისს ეკონომიკური კავშირი ქონდა შავიზღვისპირეთის ქალაქებთან[48].

ბიზანტიასთან და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობაზე მეტყველებს დმანისში ნაპოვნი ბიზანტიური და ილდეგიზიდური მონეტები[49].

საზოგადოდ დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია 400 მონეტაზე მეტი, ხოლო მის გარეუბნებში შემთხვევით აღმოჩენილ მონეტათა რიცხვი 300

---

[42] მ. მიწიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

[43] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 106.

[44] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 444.

[45] Э. Кверфельд, Китайская керамика XII—XIII в. на Кавказе, с. 188. ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა (XI—XIII სს.) თბ., 1956, გვ. 62; ციცია ქახიანი, დმანისის არაბული წარწერები, თბ., 1965, გვ. 11.

[46] ხელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფ., 1920, გვ. 9.

[47] ე. სიხარულიძე, ჯაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 57.

[48] დ. მუსხელიშვილი, ფეოდალური საქართველოსა და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში, ცისკარი, № II, 1970, გვ. 136.

[49] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 446.

ცალს აღემატება, ცხადია, აღნიშნული გარემოება დმანისის ეკონომიკური სიძლიერის დამადასტურებელ ერთ-ერთ მთავარ და მნიშვნელოვან საბუთს წარმოადგენს. საკუთრივ ქართული ფულის გარდა (თამარისა და დავითის მონეტათა განძები), აქ აღმოჩენილია ბიზანტიური სპილენძის მონეტები რომანოზ III-ის (1028—1034 წწ.) და თეოდორასი (1055—1056 წწ.), რაც ბიზანტიასთან დმანისის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას გვიდასტურებს[50].

დმანისის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე და საქალაქო ცხოვრების აყვავებაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ აქ ზარაფხანა არსებობდა და ჭრიდნენ მონეტებს. მონეტას დავით მეფის დამღა აზის. აღნიშნულია მეფის სახელი. მითითებულია ზარაფხანის ადგილი „ქალაქი დმანისი" და თარიღი 1244 წ[51].

დმანისისათვის XI—XIII საუკუნეები „ქალაქის სიმდიდრისა და აყვავების ხანაა"[52].

ინტენსიურ საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ჩანს ქალაქი თელავიც.

თელავის საგარეო კონტაქტების, კერძოდ, შავიზღვისპირეთის ცენტრებთან კავშირის მკაფიო მაგალითია თელავში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ჯამი, რომელსაც ანალოგია ხერსონესის მასალაში მოეპოვება[53]. თელავში ნაპოვნია აგრეთვე აღმოსავლურ-სპარსული ყაიდის ჯამი. აღნიშნულ ჯამს ანალოგიები მოეპოვება დმანისსა და ორენყალაში[54].

ამრიგად, დასტურდება თელავის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ამიერკავკასიის ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, სომხეთი) და ყირიმის ქალაქებთან[55].

ჯავახეთის ახალქალაქში დადასტურებული კერამიკა ანალოგიებს პოულობს როგორც საკუთრივ საქართველოს, ისე ამიერკავკასიის ქა-

---

[50] ვ. ჯაფარიძე, შუა საუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში (საყდრისქედის ეკლესია), კრ., ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 156.

[51] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 447.

[52] იქვე.

[53] ც. ჩიკოიძე, ქალაქ თელავის ისტორიისათვის (ნივთიერი კულტურის ძეგლებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით), სერია: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1969, გვ. 41.

[54] ზ. მაისურაძე, ქართული მხატვრული კერამიკა (დმანისის ანგობიანი კერამიკა), თბ., 1954, გვ. 32; ც. ჩიკოიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

[55] ც. ჩიკოიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 43; მისივე, არქეოლოგიური მასალები თელავის ისტორიისათვის შუაფეოდალურ ხანაში, ისტორიის ინსტიტუტის შრ., 1964, 7, გვ. 144, 147, 150.

ლაქების (ანისი, დვინი, განჯა, ბაილაკანი) საწარმოო ცენტრებთან[56].

აქვეა აღმოჩენილი ბიზანტიური და თურქ-სელჩუკური მონეტა[57], შემოტანილი ლუსტრიანი ფაიანსი[58].

ახალქალაქის ეკონომიკურ დაწინაურებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ იგი სამხ. საქართველოს მნიშვნელოვან გზასაყარზე მდებარეობდა.

ქართული ქალაქების ბიზანტიასთან ურთიერთობის ერთ-ერთ საბუთს, საქართველოში ბიზანტიური მონეტების განძთა დადასტურება წარმოადგენს.

XI—XII სს. საქართველოში შემოდიოდა ბიზანტიური ჭურჭელი (სოხუმი, ფოთი....)[59] და ბიზანტიის ქალაქური ხელოსნობის სხვადასხვა ნაწარმი[60].

სამშვილდე და ახალქალაქი არტანუჯის გზით უკავშირდებოდა ბიზანტიას, არსებობს აგრეთვე მოსაზრება „ქართული აგურის" ექსპორტის თაობაზე ბიზანტიაში[61].

საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა საქართველო-ეგვიპტის ეკონომიკური ურთიერთობა.

ისტორიანი და აზმანი ერთადერთი წერილობითი წყაროა, რომელშიც ამ ურთიერთობის ამსახველი მასალაა დაცული. აღნიშნული წყაროს თანახმად. ალექსანდრიიდან საქართველოში შემოჰქონდათ ძვირფასი მატყლი[62]. ალექსანდრია კი განსაკუთრებულ როლს თამაშობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში. შემთხვევით არაა, რომ ალექსანდრიას ორი მსოფლიოს ბაზარს უწოდებდნენ[63].

ალექსანდრია ბაღდადთან ერთად ის ქალაქი იყო, რომელიც მსოფლიო ბაზრებზე საქონლის ფასს აწესებდა. საქართველოს ალექსანდრიასთან ვაჭრობის დადასტურების ფაქტს განსაკუთრებული მნი-

---

[56] ე. ჯ ა ნ დ ი ე რ ი, ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის, სერია: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1969, გვ. 64, 66, 67.

[57] იქვე, გვ. 59.

[58] იქვე, გვ. 63.

[59] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

[60] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ. 1907, გვ. 31.

[61] W. T. R i c e, Byzantine Glazed Pottery, 1930, გვ. 38. დამოწმებულია ლ. ჭილაშვილის მიხედვით, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, თბ , 1970, გვ. 154-155.

[62] ისტორიანი და აზმანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 80.

[63] W. Heyd, Histoire du Commerce du Levant au Moyen Age, Leipzig, 1, 1885, 378.

შვნელობა ენიჭება იმ მხრივ, რომ ყველა ქვეყანა, ვინც კი ქ. ალექსანდრიასთან ვაჭრობდა, მონაწილეობდა მსოფლიო ვაჭრობაში[64].

ამას გარდა, საქართველოს სამეფო ყოველწლიურად შესაწირავს უგზავნიდა სირია-პალესტინის ქართულ მონასტრებს. აღნიშნული შესაწირავი შემდგომ არაბულ სამყაროში ვრცელდებოდა. ზემოაღნიშნული ფაქტი საქართველო-ეგვიპტის ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთგვარ ფორმას წარმოადგენდა[65].

საქართველოს ეგვიპტესთან და არაბულ სამყაროსთან კონტაქტების დადასტურების ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს ვეფხისტყაოსანში „ეგვიპტის", „მისრის", „მისრეთის", „მობაღდადე ვაჭრის" არაერთგზის მოხსენიება.

ზემომოტანილი საქონლის გარდა, ქართულ წყაროებში ჩამოთვლილია მთელი რიგი აღმოსავლური წარმოშობის ხელოსნური ნაწარმი (არაბული, სპარსული...)[66].

საქართველო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით იყო დაკავშირებული აგრეთვე ბალტიისპირეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

ქართულ წყაროებში დამოწმებული „ქარვა" ამ ურთიერთობის მაჩვენებელი და დამადასტურებელია.

ქარვა, როგორც ცნობილია, დიდი რაოდენობით მზადდებოდა ბალტიისპირეთში და მნიშვნელოვან საექსპორტო საგანს წარმოადგენდა.

ამასვე გვიდასტურებს საქართველოში მოჭრილი და ბალტიისპირეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში ნაპოვნი ქართული მონეტები[67].

უაღრესად ინტენსიური იყო XI—XII სს. საქართველოში ძვირფასი თვლებისა და ქვების იმპორტი (განსაკუთრებით შუა აზიიდან, ირანიდან). მაგალითად, „ბალახში" ირანული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „ლალს". ის დაკავშირებულია მხარის სახელთან. ბალახშის პროვინცია შუა აზიაში მდებარეობდა და განთქმული იყო ლალის დამუშავებით[68]. აქედან წარმოებდა ძვირფასი ქვების ექსპორტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

---

[64] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII ს., გვ. 207.

[65] იქვე.

[66] ივ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

[67] Е. А. П а х о м о в, Монеты Грузии, Тб. 1970, с. 53. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII ს., გვ. 202.

[68] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ბალახში და ბადახში ვეფხისტყაოსანში, აღმოსავლური ფილოლოგია, თბ., 1972, ტ. II, გვ. 35, 38.

ძვირფასი თვლები დამოწმებულია ვეფხისტყაოსანში, ვისრამიანში, აბდულ-მესიაში—მარგალიტი. იაგუნდი, ალმასი, ბროლი, სათი, ზურმუხტი, გიშერი, ქარვა, ძოწი და სხვ.

ვეფხისტყაოსანში ძვირფასი ქვის 17 სახელწოდებაა. ამასთან, რუსთაველი ძვირფას ქვას იმოწმებს 169-ჯერ, ე. ი. დაახლოებით ყოველ 9 ტაეპში ერთხელ[69], როგორც ნ. ქოიავა შენიშნავს, რუსთაველამდე არც ერთ მწერალს არ დაუსახელებია ასეთი რაოდენობის ძვირფასი ქვები.

ძვირფასი ქვების საშობლო აღმოსავლეთი იყო, ამიტომაც ძვირფასი თვალმარგალიტით ვაჭრობის საქმეში აღმოსავლეთის ქვეყნები დიდ როლს თამაშობდნენ.

XI—XII ს-ში ძვირფასი ქვების წყაროს წარმოადგენდნენ შემდეგი ქვეყნები — ეგვიპტე, ინდოეთი, ჩინეთი, ბირმა, სიამი, ცეილონი, იაპონია, ჩინეთი, არაბეთი, ირანი.

ბროლი, ქარვა და, ნაწილობრივ, მარჯანი შემოდიოდა თანამედროვე გერმანიიდან, ალპებიდან და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებიდან[70].

ძვირფასი ქვების საერთაშორისო ბაზარზე დიდ როლს თამაშობდა ირანი და ინდოეთი. ბიზანტია ამ მხრივ შუამავალის როლს ასრულებდა აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის. ნ. ქოიავა თვლის, რომ ძვირფასი ქვები საქართველოში ირანისა და ბიზანტიის გზით შემოდიოდა[71]. მისივე აზრით, აღმოსავლეთიდან რუსეთში ძვირფასი ქვები საქართველოზე გავლით გაჰქონდათ[72].

საქართველო ეწეოდა აგრეთვე ძვირფასი ლითონების იმპორტს.

ამ მხრივ საყურადღებოა ვეფსისტყაოსნის ერთი ადგილი, სადაც ვკითხულობთ „დაუდგეს ტახტი ოქროსა, წითლისა მაღრიბულისა“ (1049). „მაღრიბული წითელი“ დასავლეთიდან შემოტანილ ოქროს ნიშნავდა. მართლაც, XI ს. ოქროს საბადოებს ამუშავებდნენ გერმანიაში, საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში. აქედან ხდებოდა მათი ექსპორტი[73]. ოქრო შემოდიოდა აგრეთვე აღმოსავლეთის ქვეყნებიდან.

---

[69] ნ. ქ ო ი ა ვ ა, ძვირფასი ქვები შოთა რუსთაველის ეპოქაში, ენიმკის მოამბე, თბ., 1938, ტ. III, გვ. 86.

[70] იქვე, გვ. 82.

[71] ნ. ქ ო ი ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

[72] იქვე.

[73] ნ. ქ ო ი ა ვ ა, ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. III, ტფ., 1938, გვ. 94. მაღრიბი მხოლოდ დასავლეთს არ ნიშნავდა. მაღრიბში ნაგულისხმევი იყო აგრეთვე აფრიკის კონტინენტის ვრცელი ტერიტორია

საქართველოს უცხოეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ინტენსიურობის უტყუარ საბუთს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს საქართველოს საზღვრებს გარეთ აღმოჩენილი მონეტები.

ამ მხრივ ნუმიზმატიკური მასალა არა მარტო ავსებს წერილობითი წყაროების ცნობებს, არამედ მნიშვნელოვნად აფართოებს იმ ქვეყნების რიცხვს, რომელთანაც საქართველოს ქალაქებს XI—XII სს. მანძილზე სავაჭრო ეკონომიკური კონტაქტები ჰქონდათ დამყარებული.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქართული მონეტები და განძები ნაპოვნია სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალაქებში—დვინში, არზნიში[74], ყარსში, ეჩმიაძინში, ერევანში[75], ბაქოში[76], დარუბანდში[77].

XI ს. ქართული მონეტები ნაპოვნია იმიერკავკასიაში, ჩრ. რუსეთში, ვოლგისპირეთში, ბალტიისპირეთსა და გერმანიაში[78].

ყუბანის ოლქში რუსუდანის 500-ზე მეტი მონეტიანი განძია აღმოჩენილი[79].

თბილისში, დმანისში, ქუთაისში, რუსთავში დადასტურებულია იკონიისა და ერაყის სელჩუკთა, შირვანშაჰების, ილდეგიზიდების, ბიზანტიური და ზოგიერთი თურქული წარმოშობის ამირების მონეტები[80]. დმანისში ნაპოვნია ბიზანტიური სპილენძის მონეტები[81].

მცირე აზიის სელჩუკთა ვერცხლის მონეტები აღმოჩენილია ამიერკავკასიის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, ბაქოდან სოხუმამდე[82].

ეგვიპტის დასავლეთით. გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე უარყოფს მოსაზრებას, რომლის თანახმად „მაღრიბული“ ეწოდებოდა თითქოს ოქროს ფულს, რომელიც ეგვიპტეში იჭრებოდა (გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მაღრიბული ოქრო XII—XIII სს. ქართულ წყაროებში, მაცნე, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, № 4, თბ., 1975, გვ. 147). მისი აზრით“ ვეფხისტყაოსანში, ისევე როგორც სხვა დასახელებულ ნაწარმოებებში, საუბარია არა ოქროს მონეტებზე, არამედ მაღრიბულ ოქროზე, ანუ ლითონზე ან ამ ლითონის საბადოზე“ (იქვე).

[74] X. A. M u ш e г я н, Денежное обращение Двина по нумизатическим данным, Ереван, 1962, с. 29, 30, 31.

[75] თ. ლ ო მ ო უ რ ი, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, გვ. 311; 313, 314.

[76] Е. А. П а х о м о в, II, 441.

[77] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 63.

[78] Е. А. П а х о м о в, Монеты Грузии, ст. 53.

[79] თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 316.

[80] И. А. Д ж а л а г а н и я, Два клада сельджукских монет, СА, 1958, № 2, 213.

[81] თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 300.

[82] Е. А. П а х о м о в, Монетные клады Азербанджана, вып. I, № 440, Баку, 1926.

საქართველოში აღმოჩნდა აგრეთვე ორთუკიდების, ჰალაბისა და მოსულის ათაბაგების, ეიუბიდების, აზერბაიჯანის სელჩუკების, ილდეგიზიდების მონეტათა განძები[83].

ქართული ფულის განძთა დიდი რაოდენობით აღმოჩენა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მის გარეთ, განვითარებული ფულადი მეურნეობის მიმანიშნებელია. აღნიშნული მოვლენის დადასტურებას წარმოადგენს აგრეთვე XI—XII სს. საქართველოში ზარაფხანათა სიმრავლე.

როგორც ნუმიზმატიკური გამოკვლევები ცხადყოფენ, იმ დროს ზარაფხანები ფუნქციონირებდნენ: თბილისში, დმანისში, ახალციხეში, ქუთაისში, ჟინვანში[84].

საყურადღებოა, რომ ვეფხისტყაოსანშიც ფული ყველა თავისი ფუნქციითაა წარმოდგენილი, რაც XII ს. საქართველოს განვითარებულ ფულად მეურნეობაზე მიგვანიშნებს[85].

XI—XII სს. ქართული ქალაქების ეკონომიკური აღმავლობის ხანაა. საქართველოს ქალაქები აქტიურად არიან ჩაბმული მსოფლიო ვაჭრობაში. ეს კარგად ჩანს აქ აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალებიდანაც. ქართული და უცხოური ფული ვრცელდება მთელს საქართველოში, უფრო ინტენსიურად კი მის აღმოსავლეთ ნაწილში, სწორედ იქ, სადაც უფრო განვითარებული იყო ქალაქები და საქალაქო ცხოვრება.

---

[83] თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 316.

[84] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ზარაფხანათა და მონეტების ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მომბე, ტ. XXIII, № 4, 1954, გვ. 511.

[85] ნ. ქ ო ი ა ვ ა, ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ 109.

V. ვეფხისტყაოსნის ურბანისტიკული ტერმინოლოგიიდან

ვეფხისტყაოსანში დამოწმებულია არა ერთი ურბანისტიკული ტერმინი, რომელთა შინაარსობრივი მნიშვნელობის დადგენა შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ XI—XII სს. საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების არაერთი მხარე. წინამდებარე ნაშრომში ამ თვალსაზრისით განხილულია ქალაქის საზოგადოებრივი ფენები ვეფხისტყაოსნის მიხედვით და ისეთი ურბანისტიკული ტერმინები, როგორიცაა „ხანაგა“ და „არიფი“.

ვეფხისტყაოსანი უშუალოდ არის დაკავშირებული XI—XII საუკუნეების ქართულ ისტორიულ სინამდვილესთან. შემთხვევით არ აიხსნება, რომ მასში აისახა აღებული ხაზის საქართველოსათვის დამახასიათებელი. ფეოდალური ურთიერთობანი, კერძოდ, პატრონყმობის ინსტიტუტები და თვით სახელმწიფო წყობილების თავისებურებანი.

ვეფხისტყაოსანში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქალაქებს, საქალაქო ცხოვრებასა და წყობილებას. საამისო ცნობებიც ორგანულად განეკუთვნება XI—XII საუკუნეებს, როდესაც საქართველოს ფეოდალური მონარქიის ქალაქები და საქალაქო ეკონომიკა ყოველმხრივ იყო განვითარებული.

§ 1. ქალაქის საზოგადოებრივი ფენები ვეფხისტყაოსნის მიხედვით

რუსთაველი ასახელებს ქალაქის თითქმის ყველა საზოგადოებრივ ფენას, აღნიშნავს მათ როლსა და მნიშვნელობას, მათი საქმიანობის სარბიელს. ვეფხისტყაოსნის სათანადო სტროფების მიხედვით შეიძლება ვუჩვენოთ ის საზოგადოებრივი ფენები, რომელნიც ქმნიდნენ ფეოდალური ქალაქის სოციალურ სტრუქტურას და კლასობრივ განლაგებას XI—XII სს. საქართველოში.

ამ თვალსაზრისით ვეფხისტყაოსნის ცნობები მკვლევართა მიერ სპეციალურად დღემდე არ ყოფილა შესწავლილი, საგანგებოდ არავის უცდია XI—XII სს. საქართველოს ქალაქების სოციალური სტრუქ-

ტურის აღდგენა რუსთაველის ნაწარმოების მიხედვით. მართალია, არა ერთი მკვლევარი გაკვრით თუ ზოგადად შეეხო და დაახასიათა კიდეც მასში ფიქსირებული საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა მხარე, მაგრამ მათ ვეფხისტყაოსნის სათანადო სტროფების შინაარსი აინტერესებდათ უპირატესად საქალაქო მმართველობასთან და სავაჭრო ურთიერთობასთან დაკავშირებით.

შ. მესხიას მიერ შესწავლილია დიდვაჭართა საზოგადოებრივი ფენაც და ვაჭართუხუცესის ინსტიტუტიც. მანვე უჩვენა დიდვაჭართა როლი და მნიშვნელობა XI—XII სს. საქართველოს საქალაქო ცხოვრებაში და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სარბიელზე[1]. საამისო ცნობები მას გამოტანილი აქვს ვეფხისტყაოსნიდანაც.

XI—XII სს. საქართველოსთვის დამახასიათებელი სავაჭრო-ეკონომიკური ვითარება სათანადოდ, აქვთ გათვალისწინებული და შეფასებული აგრეთვე ცნობილ რუსთველოლოგებს კ. კეკელიძეს[2], შ. ნუცუბიძეს[3] და პროფ. ალ. ბარამიძეს[4].

რუსთაველის ვეფხისტყაოსნის სათანადო სტროფების შინაარსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლებლობას იძლევა ვუჩვენოთ XI—XII სს. ქართული ქალაქის სოციალური სტრუქტურა, კლასობრივი განშრეება.

ვეფხისტყაოსნის ურბანისტიკული ტერმინოლოგია სოციალური შინაარსის შემცველიცაა და აღნიშნავს როგორც საქალაქო არისტოკრატიას, ისე ქალაქის დაბალ საზოგადოებრივ ფენებს. ეს საშუალებას იძლევა დავახასიათოთ იმდროინდელი ქალაქის სოციალური სტრუქტურა.

ამავე დროს, რუსთაველის მიერ გამოყენებული ურბინისტიკული სოციალური ტერმინები, აგრეთვე ქალაქის გარეგანი სახის და დაწესებულებათა აღმნიშვნელი ტერმინები ქრონოლოგიურად არ სცილდება XI—XII საუკუნეებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს არც მერმინდელ ინტერპოლაციებთან და არც გადამწერთა ჩა-

---

[1] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб, 1959, გვ. 66—67, მისივე, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962 გვ. 34, 117.

[2] კ. კეკელიძე, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ვითარება რუსთაველის ეპოქაში, კრებ. რუსთაველი სკოლაში, თბ., 1937, გვ. 7—8,25.

[3] Ш. Нуцубидзе, Творчество Руставели, Тб., 1958, с. 5—42.

[4] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1958, გვ. 144—150.

მატებებთან, რადგან მსგავსი ტერმინები გვხვდება თანამედროვე საისტორიო წყაროებშიც და ლიტერატურულ ძეგლებშიც.

XI—XII სს. ქართული ფეოდალური ქალაქის სოციალური სტრუქტურის დასახასიათებლად უაღრესად საყურადღებოა ვეფხისტყაოსნის შედგენილი ტერმინები: „ქალაქის ერი", და „ქალაქის კრებული".

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს ტერმინები გამოხატავენ და აღნიშნავენ სოციალურად დაპირისპირებულ საზოგადოებრივ ფენებს[5].

„ქალაქის ერი" რომ „ქალაქის ხალხის" ან „ქალაქის მოსახლეობის" აღმნიშვნელი ტერმინია ცხადად ჩანს ვეფხისტყაოსნის იმ სტროფის შინაარსიდან, რომელშიაც აღწერილია ავთანდილის ჩასვლა ქ. გულანშაროში:

ზარი გახდა, შემოაკრბეს ქალაქისა ერნი სრულად (1063).[6]

არ შეიძლება საინტერესო არ იყოს იმის დადგენა, თუ რომელი საზოგადოებრივი ფენაა ნაგულისხმევი „ქალაქის ერში", რადგან, როგორც ცნობილია, ფეოდალური ქალაქის მოსახლეობაც არაერთგვაროვანი იყო თავისი კლასობრივი შემადგენლობით.

„ერი" თუ „ერნი" ამ დროს მთელ ხალხსაც აღნიშნავდა და ხალხის შემადგენელ ნაწილსაც (შდრ. „წვრილი ერი", „სავაჭრო ერი", „ყოველი ერი", „დარბაზის ერი"...). ამდენადვე „ქალაქის ერში" თითქოს შეიძლება ვიგულისხმოთ საქალაქო არისტოკრატიაც და ქალაქის დაბალი საზოგადოებრივი ფენებიც. მაგრამ დასაშვებია ისიც, რომ რუსთაველს „ქალაქის ერი" ნახმარი ჰქონდეს, არა ზოგადი, არამედ კონკრეტული მნიშვნელობით.

ამის გარდა, „წვრილი ერი" XI—XII სს. საქართველოშიც აღნიშნავდა როგორც სოფლის, ისე ქალაქის მწარმოებელ მოსახლეობას, „ქალაქის ერში" კი აშკარად ქალაქის დაბალი საზოგადოებრივი ფენებია ნაგულისხმევი[7].

საიდანა ჩანს ეს?

ქართლის მატიანეში, თბილისის საქალაქო არისტოკრატიისაგან განსხვავებით, გამოყოფილია „ყოველი ერი", რომელიც, მკვლევარ-

---

[5] მ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქის საზოგადოებრივი ფენები ვეფხისტყაოსნის მიხედვით, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრებული, ტ. X, თბ., 1970, გვ. 163—171.

[6] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, საიუბილეო გამოცემა, თბ., 1966.

[7] П. В. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии в XIX—XX вв., с. 28—29; შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 45, შენ. 1.

თა აზრით, წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან შედგებოდა. თბილისის „ყოველი ერი“, ცხადია, იმასვე ნიშნავს, რასაც რუსთაველის „ქალაქის ერნი“.

ამასვე გვიდასტურებს XI ს. არაბი ისტორიკოსის ფაკიჰის თბილისთან დაკავშირებული ცნობები.

ფაკიჰი ცალ-ცალკე ასახელებს „თბილისის კეთილშობილთა ჯგუფს“ და „თბილისის ხალხს“. მაშასადამე, თბილისის „კეთილშობილთა ჯგუფი“ და „თბილისის ხალხი“ სოციალური თვალსაზრისით არ შეიძლება სხვადასხვა ცნებების შემცველი არ იყოს.

ეს შეიძლება დავადასტუროთ სხვა აღმოსავლური წყაროების ცნობებითაც.

ჩვენთვის არ შეიძლება საგულისხმო არ იყოს, რომ აღმოსავლური წყაროები „ქალაქის ხალხს“ ანუ „ქალაქის მოსახლეობას“ ასხვავებენ საქალაქო არისტოკრატიისაგან (დიდვაჭრები, ქალაქის რაისები...)[8]. „ქალაქის ხალხში“ („აჰლ ალ-ბალად“) კი ჩვეულებრივ ნაგულისხმევი არიან: წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, ფეხზე მოვაჭრენი, მტვირთავები, დაქირავებული მუშები, ქალაქის ღატაკნი და გლახაკნი[9].

ვეფხისტყაოსანში დამოწმებული „ქალაქის ერნიც“ შინაარსობრივად იმასვე ნიშნავს, რასაც აღმოსავლური წყაროების „ქალაქის ხალხი“, ამასთან, დამტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ძველქართული „ქალაქის ერი“ მხოლოდ „ქალაქის ხალხის“ მნიშვნელობითაა ნახმარი.

ამდენადვე ყველა საფუძველი არსებობს იმისათვის, რათა დავასკვნათ: „ქალაქის ერი“ შედგება საშუალო და წვრილი ვაჭრებისაგან, ხელოსნებისაგან და ქალაქის ღატაკებისაგან.

ფაკიჰი, როგორც ვნახეთ, ერთმანეთისაგან ასხვავებს „თბილისის კეთილშობილთა ჯგუფს“ და „თბილისის ხალხს“, „თბილისის ხალხში“ კი, ჩვენი აზრით, მხოლოდ (და არა უმთავრესად) წვრილი ვაჭარნი და ხელოსანნი უნდა ვიგულისხმოთ.

ამგვარადვე შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებულია ვეფხისტყაოსანში დამოწმებული „ქალაქის ერნი“ და „ქალაქის კრებული“.

„ქალაქის კრებული“ აშკარად ქალაქის ზედაფენის, საქალაქო

---

[8] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI вв., М., 1963, с. 101, 102, 104—105, 130, 163—167.

[9] Л. В. Строева, К вопросу о социальной природе исмаилитского движения в Иране в XI—XII вв., Вестник ЛГУ, № 20, вып. III, 1953, с. 45.

არისტოკრატიის აღმნიშვნელია, ისევე როგორც ფაიქის თხზულებაში დამოწმებული თბილისის „კეთილშობილთა ჯგუფი“.

რუსთაველი „ქალაქის ერის“ საპირისპირო ცნებად იყენებს „ქალაქის კრებულს“.

ამის საჩვენებლად საკმარისია მოვიყვანოთ ვეფხისტყაოსნის იმ სტროფის შინაარსი, სადაც „ქალაქის კრებულია“ დასახელებული:

> მოვიდეს, სადა საყოფად სახლი დგა მუნ აგებული,
> მივიდა ნახვად ყოველი მის ქალაქისა კრებული.
> მაშინვე დაჯდა ნადიმად მორჭმული, ლაღი, შვებული.
> ენა მის დღისა შვებასა ყოლა ვერ იტყვის კლებული. (667).

ძნელია „ქალაქის კრებულში“ მოვათავსოთ მაგალითად, ხელოსნები. ამდენადვე საეჭვოა გამორიცხულია „ქალაქის კრებულის“ და „ქალაქის ერის“ გაიგივება.

„ქალაქის ბერნი“ რომ საქალაქო არისტოკრატიას ეკუთვნოდნენ, ეს დიდი ხანია დამტკიცებულია (ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია...). ამავე დროს გარკვეულია ისიც, რომ ქალაქის ბერების აღმოსავლურ შესატყვისს წარმოადგენდნენ ქალაქის რაისები[10]. ქალაქის რაისებს კი უკლებლივ ყველა ორიენტალისტი-ისტორიკოსი საქალაქო არისტოკრატიის შემადგენლობაში ათავსებს. ფაქტიურად ამასვე ამბობს „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველების“ ავტორი[11]. ოღონდ ისეთი მნიშვნელობითა და მოსაზრებებით, რომლებიც არსებითად ცვლიან „ქალაქის კრებულის“ და „ქალაქის ერის“ ნამდვილ მნიშვნელობას.

მკვლევარს „ქალაქის კრებულის“ და „ქალაქის ერის“ გაიგივებისას მხედველობაში აქვს ზემომოტანილი სტროფის ის ფრაზა, სადაც ნათქვამია: „მოვიდა ნახვად ყოველი მის ქალაქისა კრებული“. სიტყვა „ყოველი“ გავრცელებულია ქალაქის მთელ კრებულზე, მთელ მოსახლეობაზე. „კრებული“ ძველქართულში უფრო დავიწროებული ცნების გამომხატველი იყო, ვიდრე „ერი“, ამიტომ „ყოველში“ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ საქალაქო არისტოკრატიის ყველა წარმომადგენელი, ქალაქის კეთილშობილთა ჯგუფი, ქალაქის ბერებისაგან. დიდვაჭრებისა და ვაჭართა გილდიების ფეთაურებისაგან შემდგარი

---

[10] ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X—XI საუკუნეებში, თსუ, შრომები, ტ. 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 4, გვ. 331—358.

[11] მკვლევრის აზრით, „ქალაქის კრებული“ არის ქართული „ქალაქის ბერნი“, „ქალაქის საბჭოს წევრები“, თუმცა მას ეს განმარტება საკმარისად არ მიაჩნია და მოყვანილი აქვს მეორე მოსაზრებაც, რომლის თანახმად „ქალაქის კრებული“ შეიძლება გავაიგივოთ „ქალაქის ერთან“. „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება“, გვ. 90.

„ქალაქის კრებული“, რომელიც „ქალაქის ერთან“ შედარებით ქალაქში უმცირესობას შეადგენდა.

ამას გარდა, დამოწმებული სტროფის შინაარსის მთლიანად გათვალისწინება სულ სხვა დასკვნის შესაძლებლობას იძლევა.

საინტერესოა, რომ ავთანდილი გაჩერდა ყველაზე თვალსაჩინოდ ნაგებ სახლში, რომელიც, ალბათ, ქალაქის საკრებულო სახლს წარმოადგენდა. აქ მას ეწვია („მოვიდა ნახვად ყოველი“) „ქალაქის კრებული“, რომლის შემადგენლობაში მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის წარჩინებულნი უნდა ყოფილიყვნენ. „ქალაქის ერი“ კი იმავე ავთანდილს ქუჩებსა და მოედნებზე შეეგება. მოქმედების განვითარების მიხედვით, ავთანდილის სანახავად მოჯრილ „ქალაქის ერს“ ცვლის „ქალაქის კრებული“, რომლის წარმომადგენლები ავთანდილს დარბაისლურად ეწვივნენ და მასთან ერთად მისი ნადიმი გაიზიარეს.

რუსთაველს სულ სხვადასხვანაირად აქვს აღწერილი ქუჩა-მოედნებზე მოზიმზიმე „ქალაქის ერი“ (მეტად დინამიური ნიუანსებით) და ავთანდილის სანახავად დარაზმული „ქალაქის კრებული“.

საზოგადოდ ვეფხისტყაოსანში ნათლად არის ნაჩვენები ქალაქის მოსახლეობის სოციალური და ჭონებრივი დიფერენციაცია. იყვნენ როგორც დიდვაჭრები („საქონელ სრულნი, მდიდარნი“), ისე საშუალო („ლარის გამყიდველნი“) და წვრილი ვაჭრები („ხილის გამყიდველნი“).

ურბანისტიკული სოციალური ტერმინოლოგიაც ვეფხისტყაოსანში ამის შესაფერისად არის გამართული.

რუსთაველს არაერთი ცნება და ტერმინი მოეპოვება ქალაქის საზოგადოებრივი ფენების აღსანიშნავად. მაგალითად, „მოქალაქენი“ ნახმარია „ქალაქის ერის“ ანუ „ქალაქის ხალხის“ სინონიმური მნიშვნელობით.

ვეფხისტყაოსნის 1446-ე სტროფში ეკითხულობთ „მოატყდეს მოქალაქენი, დააგდეს მუნ ბაზარია“. რუსთაველის მიხედვით, აშკარაა, „მოქალაქენი“ თავიანთი საქმიანობით დაკავშირებულნი იყვნენ ბაზართან, ითვლებოდნენ ბაზრის ხალხად. საინტერესოა, რომ აღმოსავლურ წყაროებშიც (არაბულ და სპარსულ თხზულებებში) „ბაზრის ხალხი“ ქალაქის დაბალი საზოგადოებრივი ფენების აღსანიშნავად არის ნახმარი. „ბაზრის ხალხს“ დაცინვით ასახელებდა ფეოდალური იდეოლოგიის ისეთი გამომხატველი, როგორიც იყო „ყაბუს-ნამეს“ ავტორი.

ხელოსნების შესახებ ვეფხისტყაოსანში მეტად მცირე ცნობები მოიპოვება. ხელოსანთაგან დასახელებულია: „ოქრომჭედელი“ (1898), „მხატვარი“ (1465).

სამაგიეროდ, უაღრესად საყურადღებოა ცნობა, რომლის შინაარსი დამიზდებული მუშების საქმიანობას ეხება:

> მათ ბაღსა პირსა დააბეს ნაეი საბლითა სამითა;
> ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცვა, დაჯდა სკამითა;
> მოახსნეს კაცნი მზიდავნი, დამიზდებულნი დრამითა (1050).

აქ ლაპარაკია დამიზდებულ ანუ დაქირავებულ მუშებზე, რომელთაც სავაჭრო ხომალდებიდან ნაპირზე საქონელი გადმოჰქონდათ. მათ იყენებდნენ ვაჭრობით განთქმულ ქალაქებში და შრომას დრამით უნაზღაურებდნენ. მიზდიდანაა ნაწარმოები სპარს. „მუზდავარ“ (შდრ. რუსული „Мзда“), რომელიც სწორედ XI—XII სს. ფართოდ იყო გავრცელებული დაქირავებული შრომის აღსანიშნავად და უშუალოდ დაკავშირებული საქალაქო ცხოვრებასა და ვაჭრობა-ხელოსნობასთან.

ვეფხისტყაოსანში დასახელებულია აგრეთვე „მუშაკი“, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო ქალაქელიც და სოფლელიც, ე. ი. მატერიალური დოვლათის შემქმნელი ფეოდალური ხანის საქართველოში.

რუსთაველის მიხედვით:

> რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
> მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს. (11).

გლეხი და ხელოსანი, ფეოდალური იდეოლოგიის თვალსაზრისით, უნდა „მიწყივ მუშაკობდეს“ ფეოდალი კი გულოვნობდეს, ანუ მეომრობდეს.

სწორედ ამიტომ რუსთაველის მხედველობაშია „ქალაქი ერი“, რომლის წარმომადგენლები „მიწყივ მუშაკობდნენ“ და დუქან-სახელოსნოებში საქმობდნენ.

დასახელებულია აგრეთვე ქალაქის დეკლასირებული ელემენტები: „გლახაკნი“.

ყველაზე ფართო ადგილი ქალაქის საზოგადოებრივი ფენებიდან ვეფხისტყაოსანში მაინც დიდვაჭრებს აქვთ დათმობილი.

ამას თავისთავად მოითხოვდა პოემის ფაბულის განვითარებაც და ის როლიც და მნიშვნელობაც, რომელსაც ფეოდალური ხანის ქალაქებში დიდვაჭრები ასრულებდნენ.

დიდვაჭარი მოხსენიებულია ვეფხისტყაოსნის 1055, 1056, 1057. 1110, 1111 სტროფებში.

ამ სტროფების შინაარსი ცხადად გვირკვევს დიდვაჭრების საქმიანობას, საზოგადოებრივ როლსა და მნიშვნელობას ქალაქის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სარბიელზე.

დიდვაჭრები მონაწილეობდნენ საერთაშორისო და საბითუმო ვაჭ-

რობაში მათი ყურადღებისა და საქმიანობის მთავარი საგანი საგარეო ვაჭრობა იყო. დიდვაჭრებად არიან ვეფხისტყაოსანში მოხსენიებული ბაღდადელი („ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაჭარნი"), ეგვიპტელი და ინდოელი ვაჭრები. მაგრამ საქართველოს ქალაქებშიც იმ დროს მოღვაწეობდა არაერთი დიდვაჭარი, რომელიც მახლობელ და შორეულ ქვეყნებთან ცხოველი სავაჭრო ურთიერთობით იყო დაკავშირებული. რუსთაველს, როცა დიდვაჭრების საქმიანობა-მოღვაწეობას აღწერდა, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ქალაქების სრულიად გარკვეული საზოგადოებრივი ფენა უნდა ჰქონოდა მხედველობაში.

როგორც ვეფხისტყაოსნის სათანადო სტროფების შინაარსიდანაც ირკვევა, ქალაქებში დიდვაჭრები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ისინი ირჩევდნენ წინამძღოლს, უხუცესს, რომელიც ორგანიზატორის როლს ასრულებდა.

დიდვაჭართა სათავეში მდგარ პირს ვაჭართუხუცესი ეწოდებოდა. ვაჭართუხუცესის შესახებ რუსთაველი არაერთ საყურადღებო ცნობას გვაწვდის.

როცა უსენის მებაღე ავთანდილს ეცნობა, ეუბნება:

მე ვარ მებაღე უსენის, ვაჭართა უხუცესისა (1056).

ვაჭართუხუცესის მთავარ უფლება-მოვალეობას ვეფხისტყაოსნის მიხედვით შეადგენდა ქალაქში უცხოელი ვაჭრების დახვედრა, მიღება და დაბინავება. უიმისოდ სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსული ვაჭრები „ლარს ვერ გახსნიდნენ" და საქონლის გაყიდვის უფლებას ვერ მოიპოვებდნენ. ვაჭართუხუცესი შუამავლობდა აგრეთვე მეფის კარსა და დიდვაჭრებს შორის.

ნავროზობა დღეს მას დიდვაჭრები (ცოლებითურთ) მეფის კარზე მიჰყავდა მდიდრული მისართმევლებით. თავის მხრივ, მეფეც უხვად ასაჩუქრებდა დიდვაჭრებს. ნავროზობის ნადიმზეც მეფეც და დიდვაჭრებიც თანამეინახეებად ისხდნენ, ისევე როგორც ავთანდილი და „ქალაქის კრებული" ქალაქის „საკრებულო სახლში" გამართულ ნადიმზე.

სამეფო კარისა და დიდვაჭრების ურთიერთობის გამო კ. კეკელიძე შენიშნავდა: „ვაჭართა უხუცესი სამეფო კარზე შინაურ კაცად ითვლებოდა, იგი ხშირად სრულიად უბრალოდ ეახლება მეფეს ძვირფასი საჩუქრებით, მეფე მას ისწრებს სამეფო კარზე გამართულ ნადიმზე"[12]. ასეთსავე აზრს გამოთქვამს ალ. ბარამიძეც[13].

---

[12] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.
[13] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

სამეფო კარის (თუ ფეოდალების) დიდვაჭრებთან ამგვარი ურთიერთობა გაპირობებული იყო იმით, რომ დიდვაჭრების საშუალებით მეფეც და ფეოდალებიც მონაწილეობდნენ მეტად მომგებიან საგარეო ვაჭრობაში. ეს იწვევდა მათი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების თანადამთხვევას.

ამითვე აიხსნება დიდვაჭრების აქტიური მონაწილეობა პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე.

დიდვაჭრებს ხშირად უხდებოდათ ყოფნა მახლობელ და შორეულ ქვეყნებში. ამიტომ ისინი შესანიშნავად იყვნენ ინფორმირებული ცალკეულ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებ. მათ კარგად იცოდნენ სხვადასხვა ქვეყნის „ამბავი" (გავიხსენოთ 1582-ე სტროფის ფრაზა: „გვითხარ ვაჭარნო, ამბავი ინდოეთისა")[14]. ვაჭრების საშუალებით გებულობს ავთანდილი ნესტანდარეჯანის ასავალ-დასავალს. დიდვაჭრები იყვნენ ფეოდალების კონტრაგენტები საერთაშორისო ვაჭრობის სარბილეზე. ამიტომ გასაოცარი არაა, რომ დიდვაჭრები სავაჭრო ოპერაციასთან ერთად დიპლომატიურ დავალებებსაც ასრულებდნენ.

ეს კარგად ჩანს თბილისელი დიდვაჭრის ზანქან ზორაბებელის მაგალითიდანაც. მას, როგორც ცნობილია, დაევალა თამარის საქმროდ გიორგი რუსის ჩამოყვანა.

დიდვაჭრები, როგორც ვხედავთ, თავიანთი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით მკვეთრად განსხვავდებოდნენ „ქალაქის ერისაგან", მაგრამ, ამავე დროს, ფეოდალებთან შედარებით, ისინი სოციალური კიბის დაბალ საფეხურზე იდგნენ.

ეს გარემოება სათანადოდ არის ასახული ვეფხისტყაოსანში.

ფეოდალთა ქედმაღლური დამოკიდებულება დიდვაჭრების მიმართ აშკარად გამოსჭვივის ავთანდილის შემდეგ სიტყვებში: „თქვენ ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი" (1028). ირონიულადაა დახასიათებული ვაჭართუხუცესი უსენიც, მეფის ნადიმზე დამთვრალი „ცქაფი ვაჭარი".

რუსთაველმა ყურადღება მიაქცია სოციალური განსხვავების ისეთ ნიშანსაც, როგორიც იყო ჩაცმულობა: ვაჭართა „ჯუბაჩობა" და ფეოდალთა „საჭაბუკო" სამოსელი (სტროფები: 1068, 1244, 1386)[15].

სავაჭრო ანუ ვაჭრული ტანსაცმელი და საჭაბუკო ანუ ფეოდალ-

---

[14] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, პავლე ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1953.

[15] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, საიუბილეო გამოცემა, თბ., 1966.

ცთა სამოსელი მკაფიოდ ავლენდა არსებულ სოციალურ კონტრასტებს, რადგან საჭაბუკო უკეთესი იყო ვაჭრულზე.

როცა ავთანდილმა ვაჭრული ტანსაცმელი გაიხადა და კვლავ საჭაბუკოთი შეიმოსა: „მოიმატა დამშვენება, დაემსგავსა ლომი მზესა“ (1244).

შესაფერისი მსატვრული ხერხებით რუსთაველს ნაჩვენები აქვს ქალაქის ყველა საზოგადოებრივი ფენის სოციალურად ნიშანდობლივი მხარე. დამახასიათებელი თავისებურებანი, თითოეული მათგანის მოქმედება-საქმიანობისა და ყოფითი ჩვევების ქალაქური ნიუანსები.

რუსთაველი, ჩანს, ზედმიწევნით იცნობდა ქალაქებს, საქალაქო ცხოვრებას, მმართველობას, სავაჭრო დაწესებულებებს, ვაჭართა და ხელოსანთა ამხანაგობებს, ქალაქის საზოგადოებრივ ფენებს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქალაქის საზოგადოებრივ ფენებში მას წარმოდგენილი ჰყავს: დიდვაჭრები, საშუალო და წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, დამიზდებული მუშები, მუშაკნი, ქალაქის ღატაკები და გლახაკნი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსთაველი ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების აღწერისას ყველგან ქართულ ტერმინოლოგიას იყენებს: ქალაქის ერი, მოქალაქენი, ქალაქის კრებული, დიდვაჭარი, ვაჭართუხუცესი და სხვ. აღმოსავლურ ტერმინოლოგიას კი იგი მიმართავს იმ დროს, როცა აღწერს სავაჭრო ურთიერთობას და მის ორგანიზაციას: შუკა (ბაზრის მნიშვნელობით), ბაზარი, ქარავანი, ქარავანსარა და სხვ.

ამრიგად, აღმოსავლური ტერმინოლოგია, თავს იჩენს იქ, სადაც ყველაზე ძლიერად ვლინდებოდა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

აღნიშნული გარემოებაც, თავის მხრივ, გვიდასტურებს, რომ რუსთაველს ქალაქის საზოგადოებრივი ფენების აღწერა-დახასიათებისას ქართული ქალაქების სინამდვილე ჰქონდა მხედველობაში.

მკვლევართა აზრით, რუსთაველი ასრულებდა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობას. მეჭურჭლეთუხუცესის სახელისუფლის განსაგებელს კი, როგორც ეს XIV ს. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ არის აღნიშნული[16] და აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს ნაჩვენები[17], შეადგენდა ქალაქები და ვაჭრობა.

როგორც ჩანს, ამითაც უნდა ავხსნათ, რომ რუსთაველის ცნობები ქალაქის საზოგადოებრივი ფენების შესახებ ზედმიწევნით ეხმაუ-

---

[16] ხელმწიფის კარის გარიგება, ექ. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 8—9,

[17] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 211.

რება XI—XII სს. საქართველოს ქალაქების ისტორიის სხვა თანამედროვე ქართულ მასალებს.

§ 2. ხანაგა

ვეფხისტყაოსნის ურბინისტიკული ტერმინოლოგიიდან ყურადღებას იპყრობს სიტყვა „ხანაგა". აღნიშნული ტერმინი პოემაში ორჯერ გვხვდება 795-ე 1204-ე სტროფებში:

> რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლესა დასადებლად,
> მ ი ე ც ზ ო გ ი ხ ა ნ ა გ ა თ ა, ზოგი ხიდთა ასაგებლად;
> ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად!
> შენგან კიდე არვინ მივის ცეცხლთა ცხელთა დამავსებლად (795).
>
> დღესა ერთსა, საღამო-ჟამ, ჩასვლა იყო ოდენ მზისა,
> წავდეგ წინა დარიჯაგთა, კ ა რ ი მ ი ჩ ნ დ ა ხ ა ნ ა გ ი ს ა;
> ვიგონებდი, სევდა მკვლიდა მისისავე გონებისა,
> ვთქვი: „კრულია ზენაარი ყოვლისამცა მამაცისა"[18] (1204).

ვეფხისტყაონის ვახტანგისეული გამოცემის კომენტარებში, (1712 წ.) ხანაგა განმარტებული არაა. სულხან-საბა ორბელიანი კი ხანაგას „ობლების საკრებულო სახლებს" უწოდებს[19].

სულხან-საბას ეს განმარტება საინტერესოა იმითაც, რომ მას, როგორც ჩანს, იყენებს ვეფხისტყაოსნის ბევრი კომენტატორი და მთარგმნელი. საამისო მაგალითები ქვემოთაა მოტანილი. საზოგადოდ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში და ისტორიოგრაფიაში ხანაგა სხვადასხვა მნიშვნელობითაა განმარტებული.

ი. აბულაძეს 1914 წ. გამოცემულ ვეფხისტყაოსნის ლექსიკონში ხანაგა (სპარს. ხანაგაჰ ან ხანგაჰ, ხანაკა ან ხანკა) ახსნილი აქვს როგორც დერვიშების მონასტერი[20].

მეორე, 1926 წ. გამოცემაში, იგი ამ სიტყვას უკვე სხვა მნიშვნელობას ანიჭებს და განმარტავს როგორც სამადლო სახლს, ობოლთა თავშესაფარს[21]. საობლო სახლად მიაჩნია ხანაგა ს. კაკაბაძესაც[22].

---

[18] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსნი, თბ., 1966.

[19] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1949, გ. 451.

[20] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძის რედაქციით, ბ., 1914, გვ. 201—203.

[21] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძის რედაქციით, ბ., 1926, გვ. 293.

[22] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქციით ბ., 1926, გვ. 208.

კ. ბალმონტი და ნ. ზაბოლოცკი პოემის რუსულ თარგმანში ხანაგას „საობლო სახლად“ („сиротские приюты“) და „აშფაზხანედ“ („харчевня“) თარგმნიან[23].

გ. ცაგარელით, ხანაგა „უპატრონოთა თავშესაფარი“ („бездомным на жилища“) და „სასტუმროა“ („заежий дом“)[24], პ. პეტრენკოს თარგმანით კი „უპატრონოთა სახლიცაა“ („богодельня“) და „სასტუმროც“ („дом узрев страннопринимный“)[25].

დაახლოებით ერთნაირად გამოხატავენ ხანაგას შ. ნუცუბიძე და ს. იორდანიშვილი. შ. ნუცუბიძის მიხედვით, ხანაგა „საღვთო სახლი“ („дома богоугодные“) და „სასტუმროა“ („дом для чужестранцев“), ს. იორდანიშვილის თარგმანით „საღვთო სახლი“ („богоугодный дом“) და „სასტუმრო“ („постоялый дом“)[26].

ვეფხისტყაოსნის მარჯორი უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანში ხანაგა „საობლო სახლისა“ („orphan home“) და „თავშესაფრის“ („the guards“) მნიშვნელობითაა გადათარგმნილი“[27].

თარგმანის ასეთივე ვარიანტს გვთავაზობს ვ. ურუშაძეც — „საობლო სახლი“ („homeless orphan“), „თავშესაფარი“ („guardhouse“)[28], ასევეა ს. წულაძის ფრანგულ თარგმანშიც „საღვთო სახლი“, „თავშესაფარი“ („les hospice“) და „სასტუმრო“ („l'auberge“)[29].

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართულში ხანაგა „სპარსეთის

---

[23] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, пер. с груз. К. Д. Бальмонта М., 1937, с. 157, 229; Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, пер. с груз. Н. Заболоцкого, М., 1966, с. 143,226, მითითებულია 795 და 1204. სტროფის თარგმანები.

[24] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, пер. с груз. Георгия Цагарели, под редакцией Вл. Эльснера, М, 1937, 117, 177.

[25] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, пер. с груз. Пантелеймона Петренко, при участии и под редакцией К. Чичинадзе, М., 1939, с. 132, 194.

[26] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, пер. с груз. Шалва Нуцубидзе, М., 1941, с. 148, 207. стр. 804, 1218., Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, пер. с груз. С. Иорданишвили, Тб., 1966, с. 168, 250, სტრ. 795, 1204.

[27] Shot'ha Rust'hveli, The knight in the Tiger, s Skin, tr. by Marjory Scott Wardrop, Moskow, 1938, p. 144, 211.

[28] Shota Rustaveli, The knight in the Panter's Scin, tr. from the Georgian by Venera Urushadze, Tb., 1971, p. 199 171.

[29] Shota Roustaveli, Le chevalier à la peau de tigre, tr. du géorgien avec une introduction et des notes par S. Tsouladze, Tв. 1971, 119, 171.

გავლენის წყალობით არის შემოსული"[30] მისი განმარტებით, „ხანაგა" ს ა ს ტ უ მ რ ო ს ა ხ ლ ი ა"[31]. მაშინ, როდესაც სპარსეთში ხანაგა ეწოდებოდა „დერვიშების სახლს, ე. ი. დაახლოებით სარწმუნოებრივი დანიშნულების ნაგებობა იყო, ქართულად კი სრულებით სხვა მნიშვნელობა აქვს"[32]. სხვადასხვა ქალაქებიდან მოსული ხალხი, განმარტავდა ივ. ჯავახიშვილი, სხვაგან ყიდულობდა საჭმელ-სასმელს, მაგრამ ხანაგაში მოჰქონდათ და იქ შეექცეოდნენ[33].

ნ. ბერძენიშვილმაც ხანაგა დაუკავშირა ურბანისტიკულ ტერმინოლოგიას და განმარტა ისეთი საქალაქო დაწესებულებად, „სადაც მოსულნი დადგებიან ხოლმე, სასმელ-საჭმელს დრამით ყიდულობენ და ხანაგაში მოიტანენ საჭმელად"[34].

აღსანიშნავია და საყურადღებო, რომ სპარსულ და არაბულ საისტორიო ძეგლებში ხანაგა ძირითადად ქალაქებთან და საქალაქო ცხოვრებასთან დაკავშირებით იხსენიება.

X ს-ის ანომიმური ავტორის თხზულების „ჰოდუდ ალ-ალემის" მიხედვით „სამარყანდში მანიქეველთა ხანაგაა, სახელად ნიგოშაკი[35].

ხანაგები დამოწმებულია ჰერთში[36], ნიშაბურში[37], ბაღდადში, ქუფაში, ბასრაში[38]. ამასიაში[39] დამასკოში (იბნ ჯუბეირის მიხედვით 1148 წ. დამასკოში არსებობდა მრავალრიცხოვანი ხანაგა)[40].

აკად. ვ. ვ. ბარტოლდი ხანაგას განმარტავს როგორც რელიგიისათ-

---

[30] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, I, თბ., 1946, გვ. 28.

[31] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 28, ხაზი ავტორისაა.

[32] იქვე, გვ. 28.

[33] იქვე, გვ. 27, 63.

[34] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსანი როგორც საისტორიო წყარო, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 321.

[35] Худуд-ал Алем, Рукопись Туманского, с введением и указателем В В. Бартольда, АНСССР. 1930, с. 23 а.

[36] Bibliotheca geographorum arabicorum, ed M. J. de Goeje, v. 1, Lugduni Batavorum, 1876, 323.

[37] В. А. Ж у к о в с к и й, Жизнь и речи Абу-Саида Мейхенейского (Персидский текст), С—Петербург, 1899, 10,11, 44, 46.

[38] Е. Э. Б е р т е л ь с, Происхождение суфизма и зарождение суфийской литературы, Изб. тр., Суфизм и суфийская литература, М., 1965, ст. 41.

[39] Вл. Г о р д л е в с к и й, Государство сельджукидов Малой Азии, М.—Л., 1941, с. 172.

[40] ციტირებულია ფ. ჰიტის მიხედვით, იხ. P. K. H i t t y, History of the Arabs, London-New-York, 1961, p. 660. ფ. ჰიტისაც khanaqah ნაწარმოები აქვს სპარს. khanagah -დან, იქვე, გვ. 660, შენ. 3.

ვის თავდადებულ დერვიშთა საცხოვრებელ სახლს, მონასტერს („Обитель подвижников дервишей“, „обитель религиозных подвижников“)[41].

ე. ე. ბერტელსის მიხედვით, ხანაგა დერვიშთა საერთო საცხოვრებელი („общежитие дервишей“) და დერვიშთა სასტუმრო („страннопримный дом дервишей“)[42].

ხანაგაში ცხოვრობდნენ როგორც მუდმივად, ისე დროებით, ე. ი. ერთგვარად სასტუმროს ფუნქციებსაც ასრულებდა. XI ს. ცნობილი შეიხის აბუ საიდ მეიჰენელის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ მის ხანაგაში ნიშაბურში, მუდმივად ცხოვრობდა ორმოცი და ოთხმოცი სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დერვიში[43].

აღმოსავლური წყაროებიდან აშკარაა, რომ ხანაგა რელიგიურ დაწესებულებას წარმოადგენდა. ხანაგაში ცხოვრობდნენ მიურიდები, რომლებსაც ფაკირებსა და დერვიშებს უწოდებდნენ (არაბ. „ფაკირი“ და სპარს. „დერვიში“ ნიშნავს „ღარიბს“, „მათხოვარს)[44].

საკულტო რიტუალების გარდა, რომელიც ხანაგაში სრულდებოდა, აქ იმართებოდა რელიგიური სჯა-ბაასი და კამათიც. ასე, ძაგალითად, ჯამის ჰერათის ხანაგაში ყველა ფილოსოფოსს შეეძლო დერვიშული სამოსის ჩაცმა და საღვთო საუბრების ჩატარება[45]. ხანაგებში დერვიშთა შეიხების მიერ თავისებური პოეზიაც კი შეიქმნა, რომელიც ხანაგურის სახელით შევიდა სპარსულ ლიტერატურაში. ამასთან, ე. წ. „ხანაგური პოეზია“ სრულიად განსხვავდებოდა ღაზნეველთა კარის პოეზიისაგან[46].

ვ. ბარტოლდის აზრით, აღრე ხანაგა და მედრესე ერთიან დაწესებულებას წარმოადგენდა, მხოლოდ მოგვიანებით მოხდა მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა[47].

---

[41] В. В. Бартольд, История культурной жизни Туркестана, соч., т. II, ч. I, с. 203, 227.

[42] Е. Э. Бертельс, Роман об Александре и его главные версии на Востоке, Избр. тр., Навои и Джами, М., 1965, с. 363, прим. 239, История персидско-таджикской литературы, М., 1960, с. 80.

[43] В. А. Жуковский, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

[44] Е. Э. Бертельс, Происхождение суфизма и зарождение суфийской литературы, с. 41.

[45] Е. Э. Бертельс, Роман об Александре и его главные версии на Востоке, с. 363.

[46] Е. Э. Бертельс, Айн ал-Кузат Хамадани, Избр тр., Суфизм и суфийская литература, с. 310.

[47] მუსლიმანურ სამყაროში, ისევე როგორც ქრისტიანულსა და მანიქეველურში, რელიგიური მოძრაობა („ზუჰდ“) და სწავლა („ილმ“) ერთ მთლიანობას წარმო-

ხანაგები ქველმოქმედებასაც ეწეოდნენ. ნავოის მიერ აშენებულ ხანაგაში საჭმელს ურიგებდნენ მათხოვრებს, ხოლო წელიწადში ერთხელ ტანისამოსსაც[48].

ხანაგები, ჩვეულებრივ, რელიგიურ შეწირულებათა ანდა ქველმოქმედთა ხარჯზე არსებობდნენ[49]. ამ უკანასკნელ გარემოებაზე პირდაპირ მიგვანიშნებს ჩვენ მიერ ზემომოტანილი ვეფხისტყაოსნის 804-ე სტროფიც: „მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად“.

ჯერ კიდევ ვ. ბარტოლდი ხანაგაში მცხოვრებ დერვიშებს უკავშირებდა შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ქალაქებისათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ ოპოზიციას, პროტესტსა და ბრძოლას. ხანაგის დერვიშებში იგი რელიგიისათვის თავდადებულთა („подвижничество“ — „зухд)“ მოძრაობის მონაწილეებს ხედავდა[50]. ერესების ნიადაგზე აღმოცენებული რელიგიური მოძრაობა კი შუა საუკუნეებში, როგორც ამას ფრ. ენგელსი აღნიშნავდა, ფაქტიურად სოციალურ მოძრაობას წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით მითითებულია სპარსეთიც[51]. სოციალური მოძრაობანი აღმოსავლეთში, ისევე როგორც დასავლეთში, რელიგიურ სამოსელში იყო გამოხვეული[52].

ამასვე საკმაოდ გამჭვირვალედ მიგვანიშნებენ აღმოსავლური წყაროებიც. მაგალითად, მანიქეველთა ხანაგების არსებობა, უკვე თავისთავად მეტყველებს მათს ხასიათზე.

როგორც ცნობილია, მანიქეველობა მკაფიოდ გამოხატულ სოციალურ მოძრაობას წარმოადგენდა III ს. სასანურ ირანში და შემდეგაც ეს მოძრაობა თითქმის XIII საუკუნემდე გამოძახილს პოულობდა დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამ ქვეყნების დაბალ საზოგადოებრივ ფენებში. კარმატობაც სოციალური რიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო[53] შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიაში.

ადგ ნდა. მხოლოდ მოგვიანებით მოხდა მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა მედრესედ და ხანაგად В. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. 227.

[48] Е. Э. Бертельс, Навои, Избр. труды, Навои и Джами, с. 107.

[49] იქვე.

[50] В. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. 203, 231, 233.

[51] ფრ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, თბ., 1955, გვ. 1, შენ. 1.

[52] იქვე, გვ. 1.

[53] წყაროების მიხედვით, კარმატები, რასაც „მდიდრებს ართმევდნენ, ღარიბებს აძლევდნენ“, დასავლურ ისტორიოგრაფიაში კარმატებს „ისლამის ბოლშევიკებს“ («Bolsheviks of Islam») უწოდებენ P. K. Hitty, History of the Arabs, 444; კარმატთა მოძრაობის შესახებ შუა აზიაში იხ. Б. Н. Заходер, Мухаммед Нахшеби, К истории карматского движения в Средней Азии в Хв. Уч. зап. МГУ, вып. 41, М., 1940.

ასევე კერამიელთა (ერთ-ერთი ოპოზიციური მიმართულების) ხანაგები განლაგებული იყო ვრცელ ტერიტორიაზე. აღმოსავლეთის განთქმულ ქალაქებში, იერუსალემიდან დაწყებული, რომელიც ამ მოძრაობის უკიდურესი დასავლეთი რაიონი იყო, ბუხარამდე[54], ე. ი. მავერანნაჰრის (შუა აზიის) ერთ-ერთ მთავარ ქალაქამდე. აღნიშნული გარემოება მათი მოძრაობის ფართო მასშტაბებზე მეტყველებს და კერამიელთა იდეოლოგიის ფართოდ გავრცელებასაც გვიდასტურებს. მით უფრო საინტერესოა მათი კავშირი ხანაგებთან[55].

კერამიელთა დაიებს (პროპაგანდისტებს) თუ დავუჯერებთ, მათ მარტო მაღრიბში (ჩრ. აფრიკა) შვიდასი ხანაგა ჰქონიათ. მუკადდასის ეს მტკიცება გაზვიადებულად მიაჩნია[56]. მაგრამ ამ ფაქტიდან ცხადად ირკვევა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კერამიელთა ხანაგების არსებობას.

მუკადდასის ცნობით, კერამიელებს ხანაგები ჰქონდათ აგრეთვე ფერგანში, ხუტალში, ჯუზჯანანში, მერვერუდსა და სამარყანდში[57].

როგორც ჩანს, ხანაგა, ერთ-ერთი საშუალება იყო რელიგიურ სამოსელში გამოსვეული სოციალური იდეოლოგიის გავრცელების და დანერგვისა ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენებში.

მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებიდან ადრე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქუფის, ბასრისა და ბაღდადის ხანაგები[58]. XI ს. ხანაგები განსაკუთრებით ძლიერია ქ. ნიშაბურში. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან XI საუკუნის ნიშაბური კერამიელთა მოძრაობის ცენტრი გახდა, ხოლო იგივე ქალაქი X—XI სს. სუფიური მოძრაობის ცენტრადაც იქცა. აღებულ ხანებში სუფიების ხანაგები თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ქ. ნიშაბურში[59].

XII—XIII სს. მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში დერვიშთა ორდენები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ძალას იძენენ, რისთვისაც არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწიათ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით დიდი იყო დერვიშული ორ-

---

[54] В. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. 233.

[55] ხანაგას მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე თაქია, ზავია, რიბათი (takia, zawiyah, ribat). რელიგიურ დერვიშულ დაწესებულებებს ფ. ჰიტი ანიჭებს სოციალური ცენტრის დანიშნულებას («wich at the same time serve as social centres»), დასახ. ნაშრ. გვ. 436.

[56] მუკადდასი, დასახ. ნაშრ., გვ. 438.

[57] იქვე, გვ. 323.

[58] Е. Э. Бертельс, Происхождение суфизма и суфийской литературы, с. 41.

[59] ქალაქ ნიშაბურში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სუფიები და კერამიელები.

დენების შეიხების გავლენა ქალაქის დაბალ საზოგადოებრივ ფენებზე. მაგალითად, როდესაც 1006 წ. თურქებმა აიღეს ქ. ნიშაბური, მათ თან წაიყვანეს დერვიშთა შეიხი, ვინაიდან ეშინოდათ იმ დიდი გავლენის, რომელიც მას „ქალაქის ხალხში" ჰქონდა მოპოვებული[60].

„ქალაქის ხალხში" კი ნაგულისხმევი იყვნენ უპირატესად წვრილი ვაჭრები და ხელოსნები, ქალაქის ღარიბ-ღატაკები.

დერვიშული ორდენები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული სავაჭრო და ხელოსნურ წრეებთან, ხოლო ზოგიერთი მათგანი ხელოსნობის ამა თუ იმ დარგსაც მისდევდა[61].

აშკარად ჩანს აგრეთვე ხანაგების ურთიერთობა ქალაქის დაბალ საზოგადოებრივ ფენებთან, ე. წ. „ქალაქის ხალხთან".

ამასთან დაკავშირებით, ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ წერილობით წყაროებში ერთ კონტექსტში არიან დასახელებული ხანაგაში მცხოვრები „მიურიდები" და „აიარუნები" («جماعت ومريدان») («صوفيان و عياران»)[62], აგრეთვე სუფიები და აიარუნები.

„აიარუნები", როგორც ცნობილია, ქალაქის დაბალი საზოგადოებრივი ფენებიდან იყვნენ გამოსულები („:ეიარი" ოდიოზური სიტყვაა და ნიშნავს „შიშველ-ტიტველს", „გაღლეტილს"), „ისინი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ და ხშირად აწყობდნენ კიდეც აჯანყებებს მახლობელ და შუა აღმოსავლეთის ქალაქებში"[63].

„აიარუნები", თავის მხრივ, დაკავშირებული იყვნენ „ფითიან-ჯევანმარდებთან", რომლებიც „აირუნებთან" ერთად ხელოსნებისა და წვრილ ვაჭართა ფენას განეკუთვნებოდნენ. მაგრამ ხანაგებთან დაკავშირებული იყვნენ დიდვაჭრებიც.

დიდვაჭრები არა მარტო მფარველობდნენ ხანაგებს, არამედ თვითონაც აშენებდნენ მათ. ჩაღატაის მუსლიმანი ვეზირი ხაბაშ ამიდი,

---

[60] В. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. 234. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კერამიელთა მიერ სუფიების შეიხის აბუ საიდ მეიჰენელის საწინააღმდეგოდ შედგენილი წერილი, რომელიც სულთნის კარზე გაგზავნა. ამ წერილში ლაპარაკია იმ სახიფათო გავლენაზე, რომელიც აბუ საიდმა მოიპოვა ნიშაბურის მოსახლეობაში: „ხალხმა მაშინვე იბრუნა პირი მისკენ და სწორ გზას აცდა. დაბალი ხალხის დიდ ნაწილში არეულობამ იჩინა თავი, თუ არ იქნება ზომები მიღებული, ეს არეულობა საერთო ამბოხებაში გადაიზრდება"-ო. В. А. Жуковский, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

[61] Е. Э. Бертельс, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

[62] В. А. Жуковский, დასახ. ნაშრ., გვ. 73, 77.

[63] ვ. გაბაშვილი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ყამთაღმწერლის ერთი ცნობის განმარტება), კრ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 123.

რომელიც ერთდროულად მდიდარი ვაჭარიც იყო და აქტიურად მონაწილეობდა საგარეო ვაჭრობაში, სიკვდილის შემდეგ დამარხულ იქნა მის მიერვე აგებულ ხანაგაში[64]...

შეიხების შესახებ არსებული ბიოგრაფიული ცნობებიდან, კერძოდ, აბუ საიდ მეიჰენელის ცხოვრებიდან, კიდევ შეიძლება არა ერთი მსგავსი მაგალითის მოტანა.

ხანაგებს აშენებდნენ ან მფარველობდნენ თვით სულთნებიც, ამირებიც და, საზოგადოდ, მუსლიმანური ქვეყნების ფეოდალებიც.

ასე, მაგალითად, მასუდ I (1150 წ.) ამასიაში ააგო ხანაგა[65].

ხანაგებს აშენებდნენ დიდი და გავლენიანი ხელისუფლებიც-მაგ., ალა ად-დინ ჯუვეინი[66], რაშიდ ედ-დინი და სხვ[67].

ამრიგად, ირკვევა: ხანაგები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ სოციალური ნიშნებით, არსებობდნენ მდიდართა (სულთანთა, ამირათა, დიდვაჭართა...) და ქალაქის დაბალი საზოგადოებრივი ფენების (მანიქეველთა, კერამიელთა, რადიკალური მიმართულების სუფიების..) ხანაგები. ამავე დროს, ხანაგები სოციალური მოძრაობების ერთგვარ ცენტრსაც წარმოადგენდნენ მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქებში. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ ქალაქის დემოკრატიული ნაწილის ხანაგებზე.

რომელი ხანაგა აქვს შოთა რუსთაველს მხედველობაში ვეფხისტყაოსანში?

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვეფხისტყაოსანშიც ხანაგა ქალაქთანაა დაკავშირებული. ხანაგა არსებობდა გულანშაროშიც[68]. ფატმანი, როცა ავთანდილს ქალაქში მომხდარ ამბებს მოუთხრობს, ასახელებს ხანაგის კარს (სტრ. 1204).

---

[64] В. В. Бартольд. დასახ. ნაშრ., გვ. 148.

[65] Вл. Гордлевский, Государство сельджукидов Малой Азии, გვ. 172. სამარყანდში თემურ ლენგი ხშირად დადიოდა სარაი მულქე ხანუმის მედრესესა და თუმან აღას ხანაგაში, სადაც ის სახელმწიფო და სასამართლო საქმეებს წყვეტდა. თუმან აღა თემურის ცოლი და ამირა მუსას შვილი იყო. В. В. Бартольд, Мечеть Биби-Ханым, Соч., VIII, გვ. 116—117. შაჰროხ I (1405—1447) ქ. ჰერათში ააშენა მედრესე და ხანაგა. ამ ნაგებობათა ინტერიერი გამოირჩეოდა სიმდიდრითა და დახვეწილი გემოვნებით. შაჰროხის ცოლის, გოუჰარ შად ხათუნის მიერ აშენებული ხანაგა თემურიანთა დროინდელი არქიტექტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში იყო. В. Э. Бертельс, Навои, გვ. 18, 19. ხანაგებს აშენებდნენ თვით XVII ს. მაგ., „ტიბეტის ერთ-ერთმა მეფემ“ ააშენა ბევრი მეჩეთი და ხანაგა В. В. Бартольд, Соч., VIII, с. 172.

[66] В. В. Бартольд, Соч., VIII, გვ. 592.

[67] იქვე, გვ. 308—309.

[68] ხანაგას ივ. ჯავახიშვილი უკავშირებდა ვეფხისტყაოსნის შემდეგ ადგილებს: წავ დეგ წინა დარაჯაგთა, კარი მიჩნდა ხანაგისა... მოვიდა სიმე ღარიბი, მონა მოუ-

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ხანაგას ვეფხისტყაოსანშიც სოციალური ელფერი გადაჰკრავს. ამას თითქოს გვიდასტურებს 795-ე სტროფის ერთი ადგილი: „მ ი ე ც ზ ო გ ი ხ ა ნ ა გ ა თ ა, ზ ო გ ი ხ ი დ თ ა ა ს ა გ ე ბ ლ ა დ“.

მაგრამ, ამავე დროს, საფიქრებელია ისიც, რომ აქ ლაპარაკი იყოს საერთოდ „სასტუმროების, გზების და ხიდების ასაგებად საჭირო თანხების გამოღებაზე. თუმცა, ამასთან ერთად, აშკარაა ქველმოქმედების მომენტიც. დახმარებისა და შველის წადილი.

ყოველ შემთხვევაში ვეფხისტყაოსანში დამოწმებული ხანაგას ნამდვილი მნიშვნელობის დასადგენად აუცილებლად საჭიროა ყველა იმ მასალის გათვალისწინება, რომელიც ზემოთ აღმოსავლური წყაროებიდან მოვიხმეთ. მით უმეტეს, რომ რუსთაველი ხანაგას ასახელებს მუსლიმანურ ქალაქ გულანშაროში და, ალბათ, მას აღმოსავლურ ნიუანსს უნარჩუნებდა.

ივ. ჯავახიშვილი ხანაგას განმარტებისას კატეგორიულად ამბობდა: „სპარსულად, როგორც აღვნიშნე, ის სულ სხვას ნიშნავს, დერვიშების თავშესაფარს ეწოდებოდა. ქართულად — კი არავითარი კავშირი დერვიშებთან ამ ხანაგას არა აქვს, ის მგზავრების ჩამოსახდომი ჩვეულებრივი სასტუმროა“[69]. მაგრამ, მისი სიტყვით, „ხანაგა სასტუმროსაგან იმით განსხვავდება, რომ ის ურესტორანოა“[70]. ე. ი. ქალაქში მოსული მგზავრები სხვაგან ყიდულობდნენ სასმელ-საჭმელს და ხანაგაში შეექცეოდნენ[71].

მაგრამ ვეფხისტყაოსანში დამოწმებული ხანაგის ნამდვილი მნიშვნელობა მაინც გამოსარკვევი რჩება.

უნებლიეთ ისმება კითხვა: რატომ უნდა მიეღო ქართულ სინამდვილეში დერვიშთა თავშესაფარს, ე. ი. ხანაგას, სასტუმროს მნიშვნე-

---

ვსითა სამითა, მონა, მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულად ხამითა. სასმელ-საჭმელი მოიღეს; ქალაქს ნასყიდი დრამითა, სმიდეს, სჭამდეს და უბნობდეს, სხდეს მხიარულნი ამითა“ (აბულ. 1146,2—1147; კაკ. 1169—1170; საიუბ გამ. 1216—1217). აღმოსავლურ ხანაგებშიც უფრო დროებით ცხოვრობდნენ, ვიდრე მუდმივად. В. В Бартольд, Соч., II, ч. I, с. 236.

[69] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 62.

[70] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 63.

[71] იქვე. სპარსულად ძველი დროიდანვე არსებობდა სასტუმროს, ქარვასლის აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინი: „ხ ა ნ“ „თ ი მ“ და სხვ. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ სუფიური იდეების ალეგორიულ გამოთქმებში გარკვეული ცნების შემცველი სიტყვები „ღვინო“ და „დათრობა“ გამოხატავდნენ „მისტიკურ ექსტაზს“, „აშფაზხანეს“. «харчевня, место радении дервишей», История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., 1958, с. 160.

ლობა? ასეთი დანიშნულების ნაგებობად XI—XII სს. საქართველოშიც იყო ფუნდუკი და ქარავანსარაი. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით „ხანაგა განსხვავდება ქარავანსარაისაგანაც და ფუნდუკისაგანაც იმ მხრივ, რომ ის სასტუმროს წარმოადგენდა მგზავრებისათვის"[72].

თუ ეს ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, ყოველგვარი აზრი ეკარგება ხანაგას „საობლო სახლის" და „საღვთო სახლის" მნიშვნელობის განმარტებას ვეფხისტყაოსნის ბევრ თარგმანში.

მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმასაც, რომ სულხან-საბა ორბელიანი ხანაგას „ობლების საკრებულო სახლებს" უწოდებს. რომელი ტექსტის რა ადგილი აქვს მხედველობაში ქართველ ლექსიკოგრაფს, არ ჩანს.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქართულ სინამდვილეში ხანაგას ობოლთა და გაჭირვებულთა თავშესაფრის მნიშვნელობაც ენიჭებოდა. მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთები არ მოიპოვება. ამიტომ უპირატესობა ისევ ივ. ჯავახიშვილის განმარტებას უნდა მივანიჭოთ.

შეიძლება გამოვთქვათ მხოლოდ ზოგიერთი ვარაუდი.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს პეტრე ქართველის სრიულ ტექსტში დასახელებული ტერმინი „გ ლ ა ხ ა კ თ ა თ ა ვ შ ე ს ა ფ ა რ ი" და სვიმონ მესვეტის ცხოვრებაში ნახმარი „ს ა გ ლ ა ხ ა კ ო ჲ ქ ა ლ ა ქ ი ს ა ჲ"[73].

XI—XII სს. საქართველოს ქალაქებში გლახაკნი დიდი რაოდენობით არსებობდნენ[74]. მათ საჭარგებლოდ დაწესებული იყო საგანგებო გადასახადი: „გლახაკთა ნაათალი"; უნდა ეარსება გლახაკთა თავშესაფარსაც.

ხომ არ იყო სპარს. „ხანაგას" ქართული შესატყვისი „გლახაკთა თავშესაფარი" ან „საგლახაკოჲ ქალაქისაჲ"?.

საკითხის ამგვარად დასმის შესაძლებლობას იძლევა ის ცნობები და დაკვირვებები, რომლებიც ხანაგასთან დაკავშირებით წყაროებსა და ორიენტალისტიკურ გამოკვლევებში შეგვხვდა.

---

[72] საჭიროა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში ხანაგა იყო არა მარტო დერვიშთა, არამედ ქალაქის ღარიბ-ღატაკთა (აიარუნები და სხვ.) თავშესაფარიც.

[73] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

[74] რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში თბ., 1973, გვ. 245. მისივე, დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V—XII სს.), თბ., 1976.

§ 3. არიფი

ვეფხისტყაოსანში დამოწმებული ურბანისტიკული ტერმინოლოგიიდან ყურადღებას იქცევს აგრეთვე სიტყვა „არიფი“, რომელიც პოემაში ორჯერ გვხვდება—1153-ე და 1542-ე სტროფებში „არიფისა“ და „არიფობის“ ფორმით:

> უსენ მივიდა, ხელმწიფე დახვდა ნადიმად მჯდომელი,
> უსენ არიფი მეფისა, მეფეცა მისი მნდომელი,
> წინა მიისვა, შეიძღვნა, ძღვენი მიართვა რომელი.
> აწ ნახო მთვრალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი (1153).

და კიდევ:

> არაბთა მეფე მასპინძლობს, იქმს ოდენ არიფობასა,
> ზოგჯერ მათ ახლავს, ზოგჯერ მათ, არ იხმობს ხელმწიფობასა,
> გასცემს და უქებს ყველაი უხვობა-იეფობასა,
> ფრიდონ ზის ახლოს აკთანდილს, ჩვეული თვით მეფობასა (1542)[75].

„ვეფხისტყაოსნის გამომცემლებისა და სხვადასხვა დროის კომენტატორების მიერ „არიფი“ შეძლებისდაგვარად განმარტებულია და ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულია მისი აღმოსავლური წარმომავლობაც. მაგ., პოემის ვახტანგისეული გამოცემის კომენტარებში ეს სიტყვა ახსნილი არაა, მაგრამ ნათქვამია რომ „არიფი თათრული არის“[76]. „თათრული“, ცხადია, ამ შემთხვევაში აღმოსავლურის მნიშვნელობით იხმარება. სულხან-საბა ორბელიანი „არიფში“ ხედავს საყვარელ ფავორიტს („არიფი საყვარელი ფავორიტი“).[77] მას განმარტებული აქვს აგრეთვე არიფიდან ნაწარმოები „არიფინა“, რომელიც მისი სიტყვებით უნდა ნიშნავდეს „მოყვასთაგან საჭმელთა შემოკრებას“[78].

არიფს არაბულ სიტყვად მიიჩნევს თეიმურაზ ბაგრატიონი და საკმაოდ ვრცლად გადმოგვცემს მის შინაარსობრივ მნიშვნელობას: „არიფი ერთი მეორის აზრზედ მდგომი, ესე იგი, მე ვისიმე ვარ მას აზრზე თანახმა, ანუ ამხანაგი, რომელსაც აზრზედ იგი დგას (ანუ რომელსაც აზრსა თუ საქმეს იგი იპყრობს, უყვარს და აღასრულებს). არიფ-ესე იგი, ნერიფ არაბული სიტყვა არის, ნიშნავს მეგობრობაში, განა ჭკვაში

---

[75] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, საიუბილეო გამოცემა, თბ., 1966.

[76] შ ო თ ა რ უ ს თ ე ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ტფ. 1712.

[77] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966 გვ. 68.

[78] იქვე.

თანასწორებას და თანხმობას ნიშნავს გინა ურთიერთისს სიყვარულ-შია თანასწორებასა“[79].

დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონში, რომელიც თან ახლავს მის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანს, არიფი განმარტებულია როგორც „დაახლოებული ამხანაგი, ტოლი, სუფრის მოზიარე, აქედან სწარმოებს არიფანა, საამხანაგო პურისჭამა“[80].

ი. აბულაძეს პოემის 1914 წ. გამოცემაში არიფი (არაბ-სპ. ჰარიფ) ახსნილი აქვს შემდეგნაირად. „მეგობარი, თანამზრახველი, მონაწილე, წევრი — დაახლოებული პირი“[81]. ასეთსავე განმარტებას იძლევა ის 1925 და 1937 წლის გამოცემებშიც—„არიფი—არაბ. დაახლოებული პირი, ტოლი, სუფრის მოზიარე“[82].

არიფის მსგავს განმარტებას იძლევა ს. კაკაბაძე: (არაბ-სპ. حريف) ამხანაგი მონაწილე[83].

აკაკი შანიძის აზრითაც არიფის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს „ამხანაგი, პარტნერი, სუფრის მოზიარე“[84].

ვუკოლ ბერიძე ვეფხისტყაოსნის კომენტარებში არიფს ცოლად და ამხანაგად მიიჩნევს[85].

ნ. ნათაძე, ვეფხისტყაოსნის სასკოლო გამოცემის ლექსიკონში არიფს დაახლოებულ პირს, ჩვეულ თანამეინახეს და სუფრის თანამოზიარეს უწოდებს[86], არიფობას კი (რომელიც არიფიდან მომდინარეობს) — სუფრის მოზიარეობას. ნადიმის წევრობას[87].

ზემომოტანილი მაგალითებიდან სავსებით აშკარაა, რომ ვეფხისტყაოსნის გამომცემლები და კომენტატორები არიფში დაახლოებით

---

[79] თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით. გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. 225

[80] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხის-ტყაოსანი, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობა, შენიშვნებითა და ვრცელი ლექსიკონით, ტფ. 1903, გვ. 295.

[81] შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძის რედაქტორობით, თბ., 1914, გვ. 186.

[82] შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, 26-ე გამოცემა, იუსტინე აბულაძის რედაქტორობით, ტფ. 1926, გვ. 242; შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937, გვ, 344.

[83] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, „ვეფხისტყაოსანი“, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გამოცემა მეორე, გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი, თბ , 1926, გვ. 192.

[84] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი (ა. შანიძის ლექსიკონი), თბ., 1957 გვ. 349.

[85] ვ უ კ ო ლ ბ ე რ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის კომ_ნტარი, თბ., 1974, გვ. 311.

[86] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსნის სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 1974, გვ. 380.

[87] იქვე.

ერთსა და იმავე შინაარსობრივ მნიშვნელობას ხედავენ—ამხანაგი, დაახლოებული პირი, თანამოაზრე, თანამეინახე და ტოლი. ამასთან, ზოგიერთი მათგანი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს მის აღმოსავლურ წარმოშობასაც (ვახტანგ VI, თეიმურაზ ბაგრატიონი, ი. აბულაძე, ს. კაკაბაძე).

როგორ ესვით და თარგმნიან არიფს ვეფხისტყაოსნის მრავალრიცხოვანი მთარგმნელები?

კ. ბალმონტს არიფი მეგობრისა და თანამესუფრის გაგებით გადმოაქვს („За столом царя застал он. дружен с ним и пировал он")[88], არიფობას კი პურმარილიანად და ენაწყლიანად თარგმნის („хлебосолен, краснобаен")[89].

ნ. ზაბოლოცკის მიხედვით არიფი მეგობარია („друг — приятель") არიფობა ტოლი, ტოლფერი („ровня")[90].

გ. ცაგარელის თარგმანით, არიფი მეგობარია („друг")[91] ვეფხისტყაოსნის სხვა ტაეპში კი არიფობა გაგებულია როგორც პატივისცემა („почёт")[92].

ს. ორდანიშვილის პწკარედში არიფი ნიშნავს მეგობარს („приятель"), არიფობა—ტოლს („ровня")[93].

შ. ნუცუბიძე ერთადერთია, ვინც უთარგმნელად ტოვებს არიფს („Царь давно ариф Усену"...)[94], არიფობას კი იგი თარგმნის მეგობრის („друг") მნიშვნელობით[95].

მ. უორდროპს „არიფი" თარგმნილი აქვს კარგ კომპანიონად („Usen is the king's boon companion)[96], არიფობას კი — სტუმრიანობად („The king of the Arabs pleys the host, he does nothing but entertain")[97].

ვ. ურუშაძეს ერთგან გამოტოვებული აქვს სიტყვა არიფი („When he

---

[88] К. Бальмонт, Витязь в тигровой шкуре, перевод с груз. К. Д. Бальмонта, М., 1937, 221.

[89] იქვე, გვ. 287.

[90] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, перевод с груз. Н. Заболоцкого, М., 1966, с. 218.

[91] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре перевод с груз. Георгия Цагарели, под редакцией Вл. Эльснера, М., 1937, с. 171.

[92] იქვე, გვ. 226.

[93] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, Подстрочный перевод с груз. С. Иорданишвили, Тб., 1966, с. 1553, 1542.

[94] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, перевод с груз. Ш. Нуцубидзе, М., 1937, с. 174.

[95] იქვე, გვ. 228.

[96] Shot'ha Rust'hveli, The knight in the Tiger's Skin, tr. by Marjory Scotte Wardrope, Moskow, 1938, p. 211.

[97] იქვე, გვ. 281.

arrived at court, the monarch was sitting and feasting, But on beholding Usenhe bid him sit down beside him")[98], სხვაგან კი არიფობას უკავშირებს „სტუმრების დიდებულად მიღებას" („entertaining with splendour")[99].

ვეფხისტყაოსნის გერმანულ თარგმანში ჰუგო ჰუპერტს არიფი მეგობრის მნიშვნელობითა აქვს გადათარგმნილი („freund")[100], არიფობა კი — სტუმართმოყვარეობად („Der Araber könig, gastlich, mit der Welt")[101].

ვეფხისტყაოსნის ს. წულაძისეულ ფრანგულ თარგმანში ერთგან არიფი მეგობრის მნიშვნელობითაა გადატანილი („l'ami")[102]. სხვაგან კი („არიფობა") შესანიშნავ მასპინძლად („un parfait hôte") გადათარგმნილი[103].

ასევეა ელისაბედ ორბელიანის მიერ შესრულებულ ფრანგულ თარგმანში: („Usen etait l' amie du roi")[104] „არიფთან" დაკავშირებით, „არიფობა" კი ამგვარადაა გადათარგმნილი: „Rostevan alors les feta"[105].

ესპანურ თარგმანში „არიფი" ნიშნავს მეფის ნადიმის, დღესასწაულის თანამონაწილეს, თანამეინახეს („companerro de fiestas del Ray")[106], „არიფობა" კი—საზეიმო მიღება-სტუმრიანობას („El Ray de los Arabes actuode anfitrión: unada hizo sino atenderles")[107].

იტალიურად არიფი თარგმნილია „კარგი კომპანიონის" მნიშვნელობით („boon compagno")[108], „არიფობა" კი „დიდსულოვან მასპინძლობად" („generosamente ospital") არის მიჩნეული[109].

არიფი საკმაოდ ხშირად გვხვდება აღმოსავლურ (არაბულ, სპარსულ) წყაროებსა და ორიენტალისტიკურ გამოკვლევებში.

---

[98] Shota Rustaveli, The Knight in the Panter's Skin, tr. from the Georgian by Venera Urushadze, Tb., 1971, p. 165.

[99] იქვე, გვ. 216.

[100] Schota Rusthaweli, Der Recke im tigerfell, Deutshe Wachbichtung von Hugo Huppert, Berlin, 1955 s. 213.

[101] იქვე, გვ. 271.

[102] Shota Roustaveli, Le chevalier à la peau de tigre, tr. du géorgien avec une introduction des notes par S. Tsouladze, Tb., 1971, p. 198.

[103] იქვე, გვ. 250.

[104] Shota Roustaveli, Le preau à la peau de tigre, texte francais d'Elisabeth Orbeliani et de Solomon Iordanichvili, Tb., 1977, p. 156.

[105] იქვე, გვ. 210.

[106] Shota Rusthaveli, El caballero de la piel de tigre, Santiago de Chille, tr. de Gustavo Alfredo de la Torre, Botezzo, 1967, s. 200.

[107] Shota Rustaveli, El caballero de la piel de tigre, tr. de Gustavo Alfredo de la Torre Botezzo, s. 54.

[108] La pelle di Leopardo di Sciotha Rusthaveli, tr. di Scialva Beridzé, Milano, 1945, gg. 260.

[109] იქვე, გვ. 310.

„არიფის“ სხვადასხვა მნიშვნელობა, ამ ტერმინის შინაარსობრივი ევოლუციის გათვალისწინებით, ვრცლად არის აღნიშნულ-დახასიათებული „ისლამის ენციკლოპედიაში“.

„არიფი“ (عارف) არაბული სიტყვაა და ნიშნავს „მცოდნეს“, იმას, ვინც რამე იცის“, ასევე ეს ტერმინი განმარტებული „ისლამის ენციკლოპედიის მეორე გამოცემაში[110].

„არიფი“, როგორც ეს სათანადო წყაროებიდან ჩანს, გამოიყენებოდა სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობათა აღსანიშნავად. პირველი ოთხი ხალიფასა (632-661) და ომაელთა დროს (661—750). არიფები ჰკრებდნენ გადასახადებს და გადასცემდნენ მას მუსადიკს, რომელიც ხალიფას მიერ ინიშნებოდა“[111],. ომარ I (634—644) დროიდან მოყოლებული არიფის თანამდებობა ხშირად უკავშირდებოდა არაბთა სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციას და ამსარებს (სამხედრო ბანაკებს, რომელთა საფუძველზედაც წარმოიქმნა ახალი ქალაქები—ბასრა, ქუფა, შირაზი, ფუსტატი და სხვ.), სოფ ბ. ომარის სიტყვით, კადისიის ბრძოლის შემდეგ ქუფას ლაშქარი დანაწილდა მრავალრიცხოვან შენაერთებად („ირაფა“) და თითოეულ მათგანს ჰყავდა საკუთარი „არიფი“. ეს არიფები პასუხისმგებელი იყვნენ, იმ პენსიებისათვის („ატა“), რომელიც მეომართა შორის ნაწილდებოდა[112]. არიფის სამხედრო თანამდებობასთან კავშირი გრძელდებოდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში[113].

---

[110] The Enciclopedia of Islam, V. 1, Leiden-London, 1960. გვ. 629. წერილის ავტორები არიან სალიჰა ალ-ალალი და კლოდ კაენი, წერილი დაფუძნებულია უპირატესად არაბულ წყაროებზე და უმთავრესად მუსლიმანური სამყაროს დასავლეთი ნაწილის ვითარებაა გათვალისწინებული. უნდა აღინიშნოს, რომ გრაფიკულად ერთმანეთისაგან განსხვავდება عارف, حريف და عريف ვეფხისტყაოსნის კომენტატორებს მხედველობაში აქვთ მხოლოდ حريف-ის (ამხანაგი, მეგობარი) მნიშვნელობა, თუმცა სპარსულში حريف ნიშნავს აგრეთვე ამხანაგს ხელობაში. მაგრამ პოემაში უნდა იგულისხმებოდეს عريف-იც, რაც გარკვეული გაერთიანების მეთაურს აღნიშნავს, კონკრეტულად კი—ვაჭართა და ხელოსანთა გაერთიანების მეთაურს. ვეფხისტყაოსნის ტერმინ „არიფის“ დადგენისათვის ერთნაირადაა მხედველობაში მისაღები როგორც عارف-ის, ისე حريف და عريف-ის შინაარსობრივი მნიშვნელობა.

[111] EI², გვ. 629.

[112] EI, გვ. 629.

[113] იქვე, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ცვალებადობას განიცდიდა არიფის სამხედრო ფუნქცია. ჰარუნ არ-რაშიდის დროს არიფი მეთაურობდა ათიდან ორმოცდაათ

მაგრამ, ამავე დროს არსებობდა არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო არიფთა თანამდებობაც.

სამოქალაქო ხელისუფლებასთან დაკავშირებული არიფები ასრულებდნენ სხვადასხვა მოვალეობას. მაგალითად, ჰიჯრის პირველი ორი საუკუნის განმავლობაში არიფები პასუხისმგებელი იყვნენ იმისათვის, თუ როგორ სრულდებოდა ობოლ და უკანონო ბავშვების ინტერესთა უზრუნველყოფა[114].

სათანადო არაბული წყაროებიდან ირკვევა აგრეთვე, რომ არიფები ნაბლობელ და შუა აღმოსავლეთის ქალაქებში დაკავშირებული იყვნენ სრულიად გარკვეულ სოლიდარულ ურთიერთდამოკიდებულებასთან და სოციალურ ორგანიზაციასთან.

უაღრესად საინტერესოა, რომ საკუთარი არიფი ჰყავდა სოციალურ მოძრაობათა ყველაზე აქტიურ მონაწილეებს — აიარუნებს, წყაროებიდან ირკვევა, რომ ჩნდებოდა აიარუნების ურაფა, როდესაც მათ სურდათ სამხედრო შენაერთის ორგანიზება (ალ-ტაბარი, III, 179, ალ-მასუდი, მურაჯ VI, 452)[115].

საყურადღებოა ისიც, რომ წყაროებში დასახელებულია ზიმიების (არამუსლიმების) არიფიც[116]. ამ შემთხვევაშიც არიფი სრულიად გარკვეული სოლიდარული ვითარებისა და ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველი ჩანს.

როგორც ვნახეთ, „არიფი" აღმოსავლეთის ქვეყნებში (და, უწინარეს ყოვლისა, ქალაქებში) ფართოდ იყო გავრცელებული როგორც ადრინდელ, ისე გვიანდელ შუა საუკუნეებში. მისი შინაარსობრივი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა, ევოლუციას განიცდიდა, ამავე დროს, დაკავშირებული იყო როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ხელისუფლებასთან.

„არიფის" არც ერთი ეს განმარტება შინაარსობრივად არ უდგება ვეფხისტყაოსნის ჩვენთვის ცნობილ კონტექსტებს.

როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსნის" არიფს არაფერი აქვს საერთო ჰიჯრის პირველი ოთხი საუკუნის (VII—X) აღმოსავლური წყაროების არიფთან. ამდენადვე, აღმოსავლური წარმოშობის ამ ტერმინის მნიშვნელობა საძიებელია XI—XII საუკუნეების ფარგლებში.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ არიფი ვეფხისტყაოსანში აშკარად ურბანისტული ტერმინია, ორ-

---

ბაცამდე შემდგარ რაზმს (ალ-ბალაზორი, გვ. 190), ალ-ჰაქიმის დროს კი არიფი ასი ცხენოსანის მეთაურად არის დასახელებული (ახბარ მაჯმუა, გვ. 129—130).

[114] EI, გვ. 629

[115] იქვე, გვ. 629.

[116] იქვე.

განულად დაკავშირებული ქალაქებთან და საქალაქო ცხოვრებასთან. პოემაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „უსენი არიფი მეფისა“ არის „ვაჭარი“ („აწ ნახო მთვრალი ვაჭარი ცქაფი, უწრფელი, ჰრომელი“).

ვეფხისტყაოსანში კარგადაა ნაჩვენები ვაჭრის სოციალური როლი და ადგილი, ვაჭრის მონაწილეობა საქალაქო ცხოვრებასა და ურთიერთობაში. პოემაში დასახელებული არიან დიდვაჭრები, არსებობდნენ ვაჭართუხუცესებიც, ვაჭართა უხუცესია თვითონ უსენი. უსენის მებაღე ავთანდილს ეუბნება: „მე ვარ მებაღე უსენის ვაჭართა უხუცესისა“ (ამავე დროს უსენი არის „არიფი მეფისა“), ჩვენ ზემოთ, თავის ადგილზე, უკვე დავიმოწმეთ კ. კეკელიძის აზრი, რომლის მიხედვით, ვაჭართა უხუცესი სამეფო კარზე შინაურ კაცად ითვლებოდა. მეფე მას ისწრებს სამეფო კარზე გამართულ ნადიმებზე[117], ერთი სიტყვით, უსენი არის არიფიც და ვაჭართუხუცესიც.

ჰქონდა თუ არა არიფს აღმოსავლეთის ქალაქებში ურთიერთობა ვაჭრებთან და ვაჭრობასთან?

შოთა რუსთაველი აღწერდა აღმოსავლეთის ქალაქს. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზედმიწევნით იცნობდა აღმოსავლური ქალაქის ყველა თავისებურებას, სოციალურ სტრუქტურას, ეკონომიკურ მდგომარეობას, ადმინისტრაციულ წყობილებას.

ეს მონაცემები თამამად შეიძლება გავავრცელოთ XI—XII საუკუნეების ქართულ ქალაქებზეც, რადგან, მიუხედავად ბევრი სპეციფიკური თავისებურებებისა, ქართული ქალაქები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული აღმოსავლეთის ქალაქებთან. ეს შეპირობებული იყო საქართველოს ქალაქების აღმოსავლეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით. ამის გამო ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ამ თვალსაზრისით არიფის თანამდებობას XI—XII საუკუნეების საქართველოს ქალაქებშიც უნდა ეარსებნა, ყოველ შემთხვევაში, იმ ქალაქებში მაინც, რომელნიც XII საუკუნის დამდეგამდე თბილისის საამიროში იყვნენ წარმოდგენილი (თბილისი, დმანისი, რუსთავი, სამშვილდე...).

ამასთან, XI—XII სს. აღმოსავლური წყაროებიდან ცხადად ირკვევა არიფის თანამდებობრივი მნიშვნელობა, მისი ორგანული კავშირი ქალაქთან და საქალაქო ცხოვრებასთან.

XI—XII საუკუნეების აღმოსავლური წყაროების მიხედვით „არიფი“ ფართოდ გავრცელებული ტერმინი ჩანს როგორც მუსლიმანური სამყაროს აღმოსავლურ, ისე დასავლურ ნაწილებში. მაგრამ ერ-

---

[117] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ვითარება რუსთაველის ეპოქაში, გვ. 25.

თი და იგივე თანამდებობა მუსლიმანურ სამყაროს სხვადასხვა ნაწილებში სხვადასხვა არაბული ტერმინით იყო ცნობილი.

აღმოსავლეთში იხმარებოდა არიფი, დასავლეთში კი—ამინი[118].

თავისთავად ცხადია, რომ ვეფხისტყაოსანში გვხვდება ის ტერმინი, რომელიც მუსლიმანური სამყაროს აღმოსავლეთი ნაწილისათვის იყო დამახასიათებელი (როგორც ცნობილია, სხვადასხვა აღმოსავლურ ინსტიტუტებს აშკარად ეტყობათ ირანული გავლენა აღმოსავლეთ რეგიონებში, ხოლო დასავლეთ რეგიონებში კი—რომაულ-ბიზანტიური), ამიტომ საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ „არიფი" საქართველოს ქალაქებში ირანული გზით იყო შემოსული და გავრცელებული.

ვის ეწოდება არიფი XII საუკუნის აღმოსავლური წყაროების მიხედვით?

აღსანიშნავია, რომ სწორედ XII ს. აღმოსავლურ წყაროებში (არაბულში, სპარსულში....) „არიფი" ხშირად იხსენიება. ყველაზე უფრო ხშირად, როგორც ამას მკვლევარები აღნიშნავენ, „არიფი დასახელებულია ვაჭრობა-ხელოსნობასთან დაკავშირებით, „არიფი" მიჩნეულია ამქრის მეთაურად[119]. ასევე ამქრის მეთაურად მიჩნეულია ამინიც. არიფსა და ამინს შორის კი, როგორც უკვე ვთქვით, არავითარი განსხვავება არ არსებობდა"[120].

ამინს, ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, ევალებოდა ამქრის წევრების რეგისტრაცია, მათი დღესასწაულებში მონაწილეობის მოწესრიგება[121] (აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ XIX საუკუნის საქართველოს ქალაქების ვაჭარ-ხელოსნების „არიფანა") და სხვ., მაგრამ საამისო ცნობები, რამდენადაც ვიცით, XI—XII სს. აღმოსავლურ წყაროებში არ მოიპოვება.

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ განსაკუთრებით XII საუკუნიდან მოყოლებული „არიფი" გველინება მუჰთასიბის ხელქვეითად, მის თანაშემწედ[122]. მუჰთასიბობა კი, როგორც წესი, უშუალო ურთი-

---

[118] EI, გვ. 629.

[119] «But the most frequent use of the title of arif in the medieval Arabic-speaking Orient is to denote the head of a guild». EI,² 629. უნდა აღინიშნოს, რომ ალაჰ ალ-ალის და კლოდ კაენს გვიანდელი შუა საუკუნეების ვითარებაც აქვთ გათვალისწინებული, როდესაც ხელოსნური ამქრები უკვე საკუთრივ ჩამოყალიბებული.

[120] არსებობდა ამინ ალ-უმანას („ამინთ ამინის") თანამდებობაც, (EJ², გვ. 629). ეს იმას უნდა გვიდასტურებდეს, რომ არსებობდა არა ერთი, არამედ რამდენიმე არიფის თანამდებობა.

[121] იქვე.

[122] «But it is mainly from the 6th/12th century onwards that references to

ერთობით იყო დაკავშირებული ვაჭრობასთან და ხელოსნობასთან როგორც ბაზრების და ზომა-წონის მეთვალყურე.

მუჰთასიბის თანამდებობა, ძალზედ სპეციფიკური, ისლამის რელიგიასთან დაკავშირებული თანამდებობა იყო. საქართველოში, როგორც ჩანს, ეს თანამდებობა არსებობდა იმ ქალაქებში, სადაც მუსლიმანური მოსახლეობაც იყო წარმოდგენილი (თბილისი, დმანისი...). თბილისში მუჰთასიბის თანამდებობის არსებობა დადასტურებულია გიორგი III-ის 1170 წლის სიგელით, იქ სადაც მუჰთასიბი არსებობდა, უნდა ყოფილიყო „არიფიც", მაგრამ საამისო პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება.

ყველაზე ნიშანდობლივი „არიფის" თანამდებობაში ჩანს მისი ურთიერთობა ვაჭრებთან და ვაჭრობასთან, ხელოსნობასთან და ხელოსნებთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთ მკვლევარი არიფს უშუალოდ უკავშირებს ხელოსანთა გაერთიანებას (ასნაფს) და ვაჭართა კორპორაციას. ისიც აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთი ორიენტალისტი-ისტორიკოსი „არიფს" მიიჩნევს ხელოსანთა გაერთიანების მეთაურად, უსტაბაშად, მათი აზრით, არიფი სათავეში ედგა ვაჭართა გილდიასაც[123].

ვეფხისტყაოსნის „არიფიც" ვაჭრებთან და ვაჭართა უხუცესთან არის დაკავშირებული, მაგრამ, შეიძლება თუ არა ვეფხისტყაოსნის არიფი მივიჩნიოთ ხელოსანთა, ან ვაჭართა მეთაურად?

ხელოსანთა და ვაჭართა გაერთიანების არსებობის თაობაზე ორიენტალისტიკურ ლიტერატურაში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა[124].

ლ. მასინიონის აზრით, ხელოსანთა გაერთიანება აღმოსავლეთში

---

arifa, the role of a assistans to the muhtasibs, occure frequantly in works designed for use of the latters,» იქვე

[123] E. Ashtor-Strauss, L'administration urbain en Syrie medieval, Rivista degli Studi Orientali, 31, 1956, s. 71-128; მისივე, L'urbanisme syrien à la basse époque, ibid., 37, 1958, s. 81—209.

ასევე ამინიც „კორპორაციის მეთაურია" («chef de corporation»), Louis Gardet La cité musulmane, vie sociale et politique, Paris, 1961 s. 261, 380. არიფის და ამინის მოვალეობანი ლუი გარდეს მიერ შემდეგნაირადაა განმარტებული: «Groupé sous l'obéidence de leur chef arif ou amin, les corporations des villes musulmanes connurent, elles aussi la hierarchie des apprentis, compagnons et maitres», იქვე, გვ. 260—261.

[124] აღნიშნულ საკითხზე იხილეთ ვ. გაბაშვილის წერილი: „ახლოაღმოსავლური ასნაფი", კრ. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, II, თბ., 1979, გვ. 3—35.

არსებობს IX—X საუკუნეებიდან[125], ორიენტალისტ-ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი კი უარყოფს მის ჩამოყალიბებული სახით არსებობას XVI საკუნემდელ მახლოელ აღმოსავლეთში (ფ. ტაეშნერი, გ. ბაერი)[126].

ყოველ შემთხვევაში, XI—XII საუკუნეებში ხელოსანთა გაერთიანებას, ან ვაჭართა გილდიას არ უნდა ეარსებნა ყოველმხრივ ჩამოყალიბებული ზრდადასრულებული სახით[127].

ვეფხისტყაოსანში დამოწმებული ვაჭართუხუცესი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ არსებობდა ვაჭართა რაღაც გაერთიენება, რომელსაც თავისი მეთაური, ე. ი. „ვაჭართუხუცესი“ ჰყავდა[128]. ასეთი მეთაურები დასახელებულია აღმოსავლურ წყაროებშიც. მაგრამ ეს, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ხელოსანთა, ან ვაჭართა გაერთიანების ჩამოყალიბებული სახით არსებობას.

ყოველ შემთხვევაში უაღრესად საყურადღებო ფაქტია ვეფხისტყაოსანში „ვაჭართუხუცესის“ დასახელება.

ვაჭართუხუცესობა იმდენად მნიშვნელოვან თანამდებობად ითვლება, რომ მისი მატარებელი მიჩნეულია მეფის მახლობელ პირად—არიფად, თუმცა ამ შემთხვევაში არც მისდამი ქედმაღლური დამოკიდებულებაა უგულებელყოფილი („ცქაფი ვაჭარი“, „თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი“).

ჩვენ. ვუჩვენეთ „არიფის“ ყველა ის მნიშვნელობა, რაც აღმოსავლურ წყაროებში გვხვდება. ვუჩვენეთ ამ ტერმინის შინაარსობრივი ცვლილებები საუკუნეების მანძილზე. როგორც გაირკვა, ვეფხისტყაოსნის „არიფს“ საერთო (პირდაპირი თუ არაპირდაპირი) შეიძლება ჰქონ-

---

[125] L. Massignon, Les corps de métier et la cité islamique, Revue internationale de sociologie, XXVIII, 1920, p. 473—488.

[126] Fr. Taeschner, Das Zünft in der Türkei, Leipziger Vierteljahrsschrift für Südosteuropa, 5, 1941, 173, 178; G. Baer, Guilds in Middle Eastern History, Studies in the Economic History of the Middle East, London, 1970, p. 17.

[127] ავტორის ვარაუდით, არიფი ორნაირი უნდა ყოფილიყო. ერთი ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელსაც მუქთასიბი ნიშნავდა, მეორე კი—გილდიების სოციალური ფუნქციების შემსრულებელი პირი. აღნიშნული ინსტიტუტი „ქისბასთან“ ერთად (აქედანაა წარმოშობილი მუქთასიბი“) ავტორს მიაჩნია XI—XII სს. მუსლიმანური აღმოსავლეთის ქალაქებში ასნაფის არსებობის დამადასტურებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთად. A. Ashtor, L'urbanisme syrien à la basse époque, 186, p. 201—202.

[128] ამგვარი მეთაურის არსებობა ჯერ კიდევ არ ქმნიდა „ასნაფის“ არსებობის მთავარ პირობებს (იხ. ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 32—33). ამავე თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ რუსთაველის ეპოქის წყაროებში დამოწმებული მხატვართუხუცესი, ქალატოზთუხუცესი და სხვა მსავსი უხუცესების მნიშვნელობა.

დეს მხოლოდ XII საუკუნის აღმოსავლური წყაროების იმ ცნობებთან, რომლებშიაც აღწერილია მუჰთასიბის და არიფის ურთიერთდამოკიდებულება, მუჰთასიბის კავშირი ვაჭრობა-ხელოსნობასთან. ამის მტკიცების შესაძლებლობას იძლევა ის, რომ „არიფი მეფისა“ ვაჭართუხუცესია, ვაჭართუხუცესი კი ვაჭარ-ხელოსნების წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო მეფის კარზე, მათი ინტერესების გამომხატველი და დამცველი (შუა საუკუნეებში ყველგან, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, საშუალო და წვრილი ვაჭარი ხელოსანიც იყო და, პირუკუ, ხელოსანი ვაჭარი). ვეფხისტყაოსნის მიხედვით, ქალაქ გულანშაროში დიდვაჭრებს მეფის კარზე ვაჭართუხუცესი წაუძღვებოდა ხოლმე („ქმარი ჩემი დიდ-ვაჭართა წაუძღვება, უსენ, წინა“). აქედან, უდავოდ, აშკარაა ვაჭართუხუცესისა და დიდვაჭრების ურთიერთობა პროფესიული ნიშნის მიხედვით. „არიფი მეფისა“ შეიძლება წავიკითხოთ როგორც „უსტაბაში მეფისა“. ოღონდ ამ შემთხვევაში დავდგებოდით ლ. მასინიონისა და მის თანამოზიარეთა პოზიციებზე, რომლის თანახმადაც გაფორმებულ-ჩამოყალიბებული ამქრების არსებობა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ივარაუდება უკვე IX საუკუნიდან. მაგრამ, ჩვენი აზრით, ვეფხისტყაოსნის „არიფის“ ურთიერთობა მეფის კართან, ოფიციალურ ხელისუფლებასთან (რაც ერთდოულად, იმასაც გვაგულისხმებინებს, რომ ვაჭართუხუცესს მეფე ნიშნავს) გამორიცხავს ხელოსნური გაერთიანების დასრულებული ჩამოყალიბებული სახით არსებობას, ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ მის საწყისს, ემბრიონარულ ფორმაზე, თუ ეს ასეა, მაშინ ვაჭართუხუცესი, როგორც მეფის „არაფი“, არ შეიძლება მივიჩნიოთ „ასნაფის“ (ადრინდელი გამოთქმით) და „ამქრის“ (გვიანდელი გამოთქმით) უსტაბაშად. ამრიგად, ვეფხისტყაოსნის ცნობა „არიფთან“ და ვაჭართუხუცესთან დაკავშირებული იძლევა იმის თქმის საბაბს, რომ XII საუკუნეში ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო „ასნაფი“ (ვაჭართა ან ხელოსანთა გაერთიანება) დასრულებულ-დამთავრებული სახით ჩამოყალიბებული და ორგანიზებული. როგორც ცნობილია, ამქრის დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობა იყო ის, რომ თავისუფალი ყოფილყო ოფიციალური ხელისუფლების ზემოქმედებისაგან, მისი ყოველმხრივი კონტროლისაგან[129]. სწორედ ეს აუცილებელი პირობა

[129] მართალია, გვიანაც (XVI—XVIII სს.) მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში შაჰიც და სულთანიც, ასე თუ ისე, ხელს სდებდა ამქრებს, მაგრამ ხელოსანთა გაერთიანებები ამ დროისათვის ყოველმხრივ იყვნენ ჩამოყალიბებულნი და სრულიად დამოუკიდებელ როლს ასრულებდნენ ქალაქის სოციალური ცხოვრების სარბიელზე.

არ ჩანდა არც XII საუკუნის მახლობელ აღმოსავლეთში (ამას გვიდასტურებენ არსებული მასალები), და არც საქართველოში (სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მწირი მასალები გაგვაჩნია).

ამიტომ ძნელია „ამინი“ (მუსლიმანური სამყაროს დასავლეთ ნაწილში) მივიჩნიოთ ამქრის მეთაურად, ხოლო „არიფი“ (მუსლიმანური სამყაროს აღმოსავლეთ ნაწილში) ამქრის უსტაბაშად.

„არიფი“ ვეფხისტყაოსნის მიხედვით, უწინარეს ყოვლისა, მეფის კართან ახლო მდგომ პირს, მისი საზეიმო ცერემონიალის მონაწილეს და თანამეინახეს ნიშნავს („ჩვენ დიდ ვაჭართა ზედა-გვაც დარბაზს ნიღება ძღვენისა“). ამ მხრივ კიდევ უფრო საგულისხმოდ გვეჩვენება სულხან-საბა ორბელიანის განმარტება „ფავორიტი“. ამასთან ცხადია ისიც, რომ მეფის „არიფი“ ვაჭართუხუცესია (სხვანაირად „ცქაფი ვაჭარი“ ვერ მოხვდება მეფის კარზე), ვაჭართუხუცესი კი, თავის მხრივ, ვაჭრებისა და ხელოსნების წარმომადგენელია, მათი მეთაური და, ალბათ, მათი საქმიანობის მომწესრიგებელიც. ვაჭართუხუცესივე უნდა ყოფილიყო შუამავალი ქალაქის გარკვეულ საზოგადოებრივ ფენასა და მეფის ხელისუფლებას შორის, წყაროების მიხედვით, „არიფის“ სხვა მნიშვნელობის ჩვენება ძნელია. ამის თქმისა და მტკიცების შესაძლებლობას იძლევა ისიც, რომ „არიფიდანაა“ ნაწარმოები „არიფანა“, რომელიც გვიან ქართული ქალაქების სინამდვილეში ვაჭარ-ხელოსანთა დღესასწაულის აღმნიშვნელი ტერმინი იყო[130]. „არიფანას“ შორეული დამოკიდებულება თუ წარმომავლობა უნდა ჰქონდეს. ვეფხისტყაოსნის „არიფობასთან“, რომელიც თანამეგობრობას და თანამეინახეობას ნიშნავდა (სტროფი 1542—„არაბთა მეფე მასპინძლობს, ექნა ოდენ არიფობასა“). ადრინდელი „არიფობა“ და გვიანდელი „არიფანა“ სოლიდარული ურთიერთდამოკიდებულების ნიადაგზეა აღმოცენებული და განვითარებული[131].

არიფი გვხვდება როგორც ქართულ ორიგინალურ ძეგლში (ვეფხისტყაოსანი), ისე გადმოქართულებულ თხზულებაში (ვისრამიანი).

---

[130] ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბ., 1929.

[131] „არიფის“ სულ გვიანდელი მნიშვნელობა (პირღია, დოყლაპია) ისევე ჩანს დეგრადირებული, როგორც ირანის სინამდვილეში დეგრადირებული იყო „ლოთი“ და „ავარა“. თავის დროზე „ლოთები“ და „ავარები“ სოციალური მოძრაობების მონაწილენი იყვნენ, გვიან კი დეკლასირებულ ელემენტებად იქცნენ. თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში, პირიქით, არიფმა შეინარჩუნა თავისი ოდინდელი და ძველი მნიშვნელობა—მცოდნე. საინტერესოა, რომ არიფი მამაკაცის საკუთარი სახელიცაა, არიფე კი—ქალის. თანამედროვე სომხურში არიფი პირღიას დოყლაპიას ნიშნავს, ადრე კი ამხანაგს, მეგობარს ნიშნავდა, (აჭარიანის ლექსიკონი).

ორთავე XII საუკუნეს განეკუთვნება. „არიფი“ ვისრამიანის გამომცემლებს განმარტებული აქვთ როგორც „ამხანაგი, ტოლი“[132], და როგორც „ძმაბიჭი, მეგობარი, ამხანაგი, მოყვარე, სწორი“[133]. მათვე არიფობა დაკავშირებული აქვთ ნადიმთან. ქართული ვისრამიანის მკვლევრებს და გამომცემლებს მხედველობაში აქვთ შემდეგი ადგილები: „მიწყივ მისი არიფი“ (72) და „მისნი არიფნი ხარაბათნი მათნი ნადიმნია“ (105)[134], არიფის ასეთი მნიშვნელობა გვინაც კარგად იყო ცნობილი (სულხან საბა-ორბელიანი, XIX ს. არიფანა და XX ს. არიფიონი[136]).

რუსთაველს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა „არიფის“ ყველა ის მნიშვნელობა, რაც აღმოსავლეთის ურბანისტიკულ სინამდვილეში ამ ტერმინით იყო ნაგულისხმევი. ჩვენთვის ახლა ცნობილია ისიც, რომ ეს ტერმინი რუსთაველს და მის თანამედროვეებს ირანული სინამდვილიდან აქვთ აღებული. როგორც უკვე ვიცით, ერთი და იმავე თანამდებობის აღსანიშნავად მუსლიმანურ სამყაროს დასავლეთ ნაწილში „ამინი “იყო გამოყენებული, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში — „არიფი“. „არიფ-ამინის“ ასე ფართოდ გავრცელება წინა აზიის ვრცელ ტერიტორიაზე იმის დამადასტურებელია, რომ მისი აზრობრივი მნიშვნელობა კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი კავკასიურ და ქართულ სინამდვილეშიც.

---

[132] ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკელევა და ლექსიკონი და ურთეს ალ. გვახარიამ და მაგალი თოდუამ, თბ., გვ. 732.

[133] ვისრამიანი, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ლექსიკონი ი. აბულაძისა, ტფ., 1938, გვ. 349.

[134] იქვე. არიფის ასეთი მნიშვნელობა გვიანაც კარგად იყო ცნობილი. არიფი დამოწმებულია გვიანდელ ქართულ თხზულებებშიც (რუსუდანიანი, ბარამ გულანდამიანი, თიმსარიანი, იოსებ-ზილიხანიანი და სხვ.), ზოგან ნადიმობასთან დაკავშირებით: ზოგან ტოლის, ამხანაგის აღსანიშნავად, მოგვაქვს მხოლოდ ზოგიერთი მაგალითი „მან არიფი ვერ იშოვნა, ვის მნათობნი შეჰნატრიან“ (თეიმურაზ პირველი, გამოცემა. პირველი, ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიასი, გვ. 84). ლექსიკონში, რომელიც თანერთვის აღნიშნულ კრებულს, „არიფი განმარტებულია როგორც „ტოლი, ამხანაგი, თანამესუფრე“ (იქვე, გვ. 288). „ვის მოყვარე ჰყავს, ერთი ჰხამს არიფობა და ხელობა...“ (ბარამ გულიჯანიანი, დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი მწერლები რუსეთში, I, 1958, გვ. 129). „შენც შემიბრალე არიფო, მოდი და ჩემთან ახევდი... (გაბაასება თეიმურაზისა და არჩილისა, გვ. 395).

[135] 1927—1928 წლებში საქართველოში არსებობდა მწერალთა გაერთიანება, რომელსაც „არიფიონი“ ეწოდებოდა. 1928 წ. გამოვიდა ალმანახის ერთი ნომერი (რედაქტორები გ. ქიქოძე და ვ. გორგაძე). არიფიონში გაერთიანებული იყვნენ ს. შანშიაშვილი, შ. დადიანი, მ. ჯავახიშვილი, კ. კაპანელი, კ. ჭიჭინაძე, ლ. ქიაჩელი და სხვ. ამ გაერთიანების წევრთა სიტყვებით, მათ აკავშირებდათ ერთმანეთთან არა მხოლოდ საერთო შემოქმედებით-იდეოლოგიური მრწამსი, არამედ პირადი მეგობრობაც. ალბათ, ამის გამოც შეარჩიეს მათ ეს სახელი „არიფიონი“.

ჩვენთვის „არიფ-ამინის“ ასე ფართედ გავრცელება ძირითადად ურბანისტული თვალსაზრისით არის საინტერესო და საყურადღებო.

XII საუკუნიდან მოყოფებული „არიფი“ უმთავრესად ვაჭარ-ხელოსნების სოლიდარული ურთიერთდამოკიდებულის გამომხატველი ჩანს, რაც კარგად უნდა სცოდნოდა რუსთაველსაც. მის დროს ვაჭარ-ხელოსნების წრე სრულიად გარკვეული მდგომარეობით სარგებლობდა, საკმაოდ მტკიცე ფეხმოკიდებულ სოციალურ ფენას წარმოადგენდა ქალაქის საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების სარბიელზე ამიტომ ვაჭართუხუცესი უსენი არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო „არიფი მეფისა“, მეფის კარზე მიღებული, მეფური ზეიმისა და პურობის თანამეინახე.

XII საუკუნის აღმოსავლური წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ „არიფი“ (აღმოსავლეთში) და „ამინი“ (დასავლეთში) არ შეიძლება დავაცილოთ ქალაქებს და ქალაქურ სინამდვილეს. ამიტომაა, რომ ორიენტალისტი მკვლევარები არიფს უკავშირებენ ისეთ ინსტიტუტს, როგორიც იყო „მუჰთასიბის“ თანამდებობა.

მუჰთასიბის თანამდებობის არსებობა XII საუკუნის თბილისში დასტურდება დოკუმენტური წყაროთი (გიორგი III-ის 1170 წლის სიგელი), ხოლო არიფის თანამდებობა იმავე საუკუნის მხატვრული მწერლობის ნიმუშებით (ვეფხისტყაოსანი, ვისრამიანი...)

VI. XI—XII საუკუნეების საქართველოს ქალაქები და „ვერცხლის კრიზისი“

XI—XII საუკუნეების საქართველოს ქალაქების ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად და დასახასიათებლად, წერილობით წყაროთა ცნობებთან და არქეოლოგიურ მასალებთან ერთად, ჩვენს განკარგულებაშია მეტად საყურადღებო ნუმიზმატიკური ფაქტებიც.

ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ საქართველოს ქალაქების ვითარების სხვადასხვა მხარე (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული...) XI—XII საუკუნეებში.

XI—XII საუკუნეების უაღრესად საყურადღებო ნუმიზმატიკურ ფაქტს წარმოადგენს ე. წ. „ვერცხლის კრიზისი“.

„ვერცხლის კრიზისით“ იყო გაპირობებული ის, რომ XI—XII საუკუნეებში ქართველი მეფეები ჭრიდნენ მხოლოდ და მხოლოდ სპილენძის მონეტას.

აღნიშნული გარემოება არა ერთი მკვლევრის მიერაა შესწავლილი და შეფასებული (ე. პახომოვი, თ. ლომოური, დ. კაპანაძე, ნ. ქოიავა, დ. ლენგი..). თუმცა არცერთ მათგანს „ვერცხლის კრიზისი“ არ დაუკავშირებია საქართველოს ქალაქების ეკონომიკურ მდგომარეობასთან. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ზოგად ორიენტალისტიკაში „ვერცხლის კრიზისს“ სულ უფრო და უფრო ხშირად უკავშირებენ ქალაქების საერთო ეკონომიკურ აღმავლობა-განვითარებას.

„ვერცხლის კრიზისის“ მთელი თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იჭრებოდა სპილენძის მონეტები საქართველოს და აღმოსავლეთის ზარაფხანებში. ერთი შეხედვით, სპილენძის მონეტების მოჭრა თითქოსდა არ შეესაბამებოდა საქართველოს ინტენსიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს და მისი ქალაქების საერთო ეკონომიკურ აღმავლობას.

სწორედ ამ შეუსაბამობას მიუთითებდნენ ის ნუმიზმატები, რომლებიც XI—XII სს. ქართულ მონეტებს სწავლობდნენ.

„ვერცხლის კრიზისი“ აღმოსავლეთის ბევრი ქვეყნის დამახასიათებელ საერთო მოვლენას წარმოადგენდა. ეს მოვლენა მოიცავდა უზარ-

მაზარ ტერიტორიას (მახლობელი აღმოსავლეთი, შუა აზია, ამიერკავკასია...) და მიმდინარეობდა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, რომელიც ქრონოლოგიურად XI—XII საუკუნეებს და XIII საუკუნის პირველ ნახევარს მოიცავს[1].

საქართველოშიც „ვერცხლის კრიზისი" დაახლოებით ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება (XI ს. — XIII ს. 30-იან წწ.).

ისეთი საინტერესო და საყურადღებო მოვლენა, როგორიცაა „ვერცხლის კრიზისი", თავს იჩენს სწორედ ვერცხლის მიმოქცევის სფეროში.

„ვერცხლის კრიზისის" ერთ-ერთი გარეგნული ნიშან-თვისებაა მონეტების მრავალფეროვნება[2]. ამ დროს ფულად მიმოქცევაში მონაწილეობენ ოქროს დინარები, მრავალფეროვანი დირჰემები (მაღალხარისხოვანი ვერცხლისა და იძულებითი კურსის „დირჰემები") და ფელსები (წვრილი ხურდა ფული).

„ვერცხლის კრიზისის" დასაწყისად ითვლება ის პერიოდი, რა დროიდანაც შეინიშნება მონეტის გაფუჭება. მონეტის გაფუჭება გულისხმობს მაღალხარისხოვან დირჰემში სხვადასხვა შენაერთის გაჩენას[3].

---

[1] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შუა აზიის მაგალითზე, ე. დავიდოვიჩი წერს: „Самую сложную картину рисуют монеты, относящиеся к сфере серебряного обращения и именуемые дирхемамы. Именно здесь имели явления, которые дали основание говорить о «серебряном кризисе», Е. А. Давидович Из области денежного обращения в Средней Азии в XI—XII вв., сб., Нумизматика Эпиграфика, М., 1960, с. 102.

[2] მუსლიმანური აღმოსავლეთის სამონეტო სისტემა ხალიფა აბდ ალ-მალიქის რეფორმიდან მოყოლებული დამყარებული იყო ვერცხლის (დირჰემი) და ოქროს (დინარი) ბიმეტალიზმზე. M. H. Sauvaire, Matérieux pour servir à l'histoire de la Numismatique et de la Métrologie Musulman, JA, VII serie, Paris, 1882. p. 281—282. გამონაკლისს წარმოადგენდა ფატიმიანთა ეგვიპტე, სადაც ოქროს მონეტები იჭრებოდა.

[3] უკვე ვერცხლის კრიზისამდე, კერძოდ IX—X ს. შუა აზიაში, ვერცხლის მიმოქცევის სფეროს ;მსახურებოდნენ იძულებითი კურსის დირჰემები. იბნ ჰაუკალი სამარყანდის მონეტების აღწერისას აღნიშნავს, რომ ისინი შეიცავენ მეტალის სხვადასხვა შენაერთებს («من جواهر شتّى») Opus geographicum auctore Ibn-Haukal, ed. J. Kramers, Lugduni Batavorum, Lipsiae, 1938, 500. ისთახრი ჩამოთვლის ამ მონეტებს—რკინა, სპილენძი, ვერცხლი და სხვ. («و نحاس و فضة و غير ذلك من جواهر شتّى من حديد») (Bibliotheca Geographorum Arabicorum, ed M J. de Goeje, Lugduni Batavorum, 1, 1887 323; А. П. Ковалевский, Книга Ахмеда ибн Фадлана о его путешествии на Волгу в 921—922 г, Харьков, 1956, с. 122).ბირუნის თავის გამოკვლევის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკი

„ვერცხლის კრიზისის“ ადრინდელი და გვიანდელი ეტაპები სწორედ ვერცხლისა და სპილენძის, ანდა სხვა მეტალების პროპორციული ურთიერთმიმართულებით განისაზღვრება. ნაწილობრივ ამისდა მიხედვით ხდება აგრეთვე ამ ტიპის მონეტების დათარიღებაც. თუ კი „ვერცხლის კრიზისის“ დასაწყის სტადიაში დირჰემში სპილენძი უმნიშვნელო რაოდენობითაა დადასტურებული, დროთა განმავლობაში სპილენძის და სხვა შენაერთების პროცენტული შემადგენლობა თანდათანობით მატულობს და გარკვეული პერიოდის მანძილზე მაქსიმუმს აღწევს. მაქსიმალური განვითარება „ვერცხლის კრიზისისა“ გულისხმობს ვერცხლის მონეტის გაქრობას და სპილენძის მონეტის გაბატონებას, რაც, ცხადია, იმას ნიშნავს, რომ ვერცხლის მიმოქცევის სფეროში დირჰემის ადგილს იკავებს სპილენძის მონეტა. ამგვარად, ამ დროიდან მოყოლებული, გარკვეულ პერიოდამდე, ძირითადი დატვირთვა ფულად მიმოქცევაში სპილენძზე მოდის.

საქართველოში ვერცხლის მონეტიდან სპილენძის მონეტაზე გადასვლა დავით IV-ს ბოლო წლებიდან იწყება, თუმცა მონეტის გაფუჭების პროცესი გაცილებით უფრო ადრე დაიწყო. მისი პირველი ნიშნები ჯერ კიდევ X ს. დამლევს იჩენს თავს, რის დადასტურებასაც წარმოადგენს თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარის მიერ მოჭრილი დირჰემები[4].

უკვე XI საუკუნის დასაწყისიდან ვერცხლის მონეტის წონა კატასტროფულად ეცემა და 3,5 გრამიდან ამავე საუკუნის ბოლოსათვის 0,5 გრამამდე დადის. ამის საუკეთესო მაგალითია ბაგრატ IV, გიორგი II-ს და დავით აღმაშენებლის მონეტები[5]. ბაგრატ III-ს მონეტების წონა (XI ს. დასაწყისი) თბილურ-არაბული დრამებთან შედარებით ერთი ორადაა შემცირებული[6], ხოლო ბაგრატ IV-ს მონეტებთან შედარებით გიორგი II-ს მონეტა გაცილებით ნაკლები წონისაა და ამასთან უხეშიც[7].

აღნიშნავს რა ქართულ სამონეტო, ფულად და საფინანსო სისტემაში მომხდარ ცვლილებებს, დ. კაპანაძე შენიშნავს: „XI—XII სს.

აქვს მონეტებზე, მოჰყავს აბუ საიდ დუსთის ერთი ლექსი, რომელშიც ნათქვამია:

„ეფიქრობ მნათობნი მათ ავს უზრახვენ.
მათი დირჰემნი ხომ არიან სპილენძნარევნი“.

Абу Райхан ал-Бируни, Собрание сведений для обозначения драгоценностей (Минералогия), М., 1968, с. 230.

[4] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გ. 55, 58.

[5] იქვე, გვ. 58.

[6] იქვე, გვ. 59.

[7] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 65.

საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ აღორძინებას, ე. წ. „ოქროს ხანას“ უცნაურად უპირისპირდება მისი ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“: „ვერცხლის კრიზისი“, რომელიც უკვე XI საუკუნის დაწყებისთანავე მთელ წინა აღმოსავლეთს მოედო, არც საქართველოს ასცდა და მალე ისიც მეზობლების მაგალითს მიჰყვა“[8].

ნ. ქოიავა საქართველოში მონეტის გაფუჭების პროცესში ორ პერიოდს გამოჰყოფს: 1. ვერცხლის მონეტის გაფუჭება კეთილშობილური ლითონის ხარჯზე და 2. როდესაც ვერცხლის მონეტის გაფუჭება თავის უმაღლეს წერტილს აღწევს. სწორედ ამ პერიოდში ვერცხლის მონეტის ადგილს იკავებს სპილენძის მონეტა[9].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანალოგიურ პროცესთან გვაქვს საქმე მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ამიტომაა, რომ საქართველოში ნაპოვნი ილდეგიზიდების, დიარბექირის, ორთუკიდების, ჰალაბის ათაბაგების, ეიუბიდების და სხვ. მონეტები უკლებლივ ყველა სპილენძისაა, ე. პახომოვი ამის გამო წერდა: „Ходячей монетнй Азербайджана, Грузии и Армении и прилегающих к ним стран была в XII в. исключительно медь“[10].

„ვერცხლის კრიზისის“ პერიოდში აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში სპილენძის ფული ვერცხლის ფულად გამოცხადდა და მათ შესაბამისი წარწერაც გაუკეთდა: „ეს დირჰემია“ («هذا الدرهم»), შესაბამისად ფელსებზეც ჩნდება წარწერები „ეს ფელსია“ («هذا الفلس»)[11].

---

[8] დ ე კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

[9] ნ. ქ ო ი ა ვ ა, ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, „ენიმკის მოამბე“, ტ. III, ტფ., 1938, გვ. 101.

[10] Е. А. П а х о м о в, Монетное обращение Азербайджана в XII и начале XIII века, Нумизматический сборник, ч. 2, Тр. ГИМ, вып. XXVI, М. 1957, с. 85. მართალია, ვერცხლის მონეტები აღმოჩენილია ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ბაქოდან სოხუმამდე, მაგრამ ისინი უკვე იმ დროს ნუმიზმატიკურ იშვიათობას წარმოადგენდნენ.

[11] როგორც ზემოთ უკვე ვუჩვენეთ, ვერცხლის კრიზისამდე IX—X სს., შუა აზიის ვერცხლის მიმოქცევის სფეროს ემსახურებოდნენ იძულებითი კურსის მონეტები (აღნიშნულ საკითხზე იხ. Е. А. Д а в и д о в и ч, Из области денежного обращения в Средней Азии в XI—XII вв., с. 113.), ეს დირჰემები აქვს, ალბათ მხედველობაში ისთახრის, როდესაც წერს: „იქაური (ბუხარის) დირჰემები გავს სპილენძისას“ (BGA, 1, 63). არაბი ისტორიკოსი იბნ ფადლანი, რომელმაც დაწვრილებით აღწერა ბუხარის სამონეტო სისტემა, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მან აქ ნახა დირჰემების ნაირსახეობა (А. П. К о в а л е в с к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 122). იბნ ხორდადბეჰი, ალ-მუკადდასი და სხვა გეოგრაფოსები და ისტორიკოსები აღნიშნულ დირჰემებს „შავ დირჰემებსაც“ უწოდებენ, იმ გარეგნული ნიშნებისდა მიხედვით რაც მათი ფერიდან გამომდინარეობდა. ამ დირჰემებზე ალ-მუკადდასი პირდაპირ ამბობს, რომ ისინი

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე საქართველოშიც, სადაც თამარ მეფის 1187 წ. გამოშვებულ სპილენძის მონეტას შემდეგი წარწერა აქვს გაკეთებული: „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვეცხლისი აქის ქორონიკონსა 407“ (—1187 წ.)[12]. მსგავსი, ოღონდ სპარსული

ისეთივ შავები არიან, როგორც ფელსები: „შავი დირჰემების“ საპირისპიროდ ისმარებოდა აგრეთვე „თეთრი დირჰემები“ (დასაწყეთ ევროპაშიც, მონეტების გაფუჭების პერიოდში, გერმანული და ფრანგული დოკუმენტები ვერცხლის ფულს ყოფენ „შავ დინარებად“ და „თეთრ დინარებად“ (Ф. И. Михалевский, Очерки истории денег и денежного обращения, т. I, М., 1948, с. 134.).

მაღალხარისხოვანი და იძულებითი კურსის მქონე დირჰემების გავრცელების არეალი სხვადასხვა იყო. თუ ბუხარ-ხუდათური ე. წ. შავი დირჰემები არ სცილდებოდა შუა აზიის არეალს. „ისმაილის დირჰემები“, (ანუ „თეთრი დირჰემები“) «the normal Islamic silver dirhems», როგორც მათ რ. ფრაი უწოდებს (R. N. Frye, Bukhara, Medieval Achievement, Norman, (USA), 1965, 154), დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ისლამური სამყაროს როგორც დას. რაიონებში, ისე აღმ. და დას. ევროპის ქვეყნებში (რუსეთი, ბალტიისპირეთი, შვეცია, ინგლისი ირლანდია, ისლანდია და სხვ.). სამაგიეროდ, შუა აზიის ტერიტორიაზე ნაპოვნ განძებში ვერცხლის მონეტები იშვიათად დასტურდება (Е. А. Давидович, დასახ. ნაშრ., გვ .113). აქედან, სავსებით აშკარაა, რომ ისმაილის დირჰემები უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ ადგილობრივ ვაჭრობაში და ძირითადად საგარეო ვაჭრობას ემსახურებოდნენ. ამის შემდგომ გასაგები ხდება იბნ ჰაუკალის სიტყვები, რომლის თანახმადაც აღნიშნულ მონეტებთან შედარებით უპირატესობა ჰქონდათ სხვა დირჰემებს (იგულისხმება ბუხარ-ხუდათური მონეტები Ibn Haukal, ed Kramers, 490). იგივეს ამბობს ალ-მუკადდასი: „მათ (ე. ი. შავ დირჰემებს) უპირატესობა აქვთ თეთრებზე «لها فضل على البيض»» (BGA, III, 1960, 340), ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ სახელმწიფო მოსახლეობაში გადასახადების აკრეფას შავი დირჰემებით იწყებს. აღნიშნული მიზეზების გამო საშინაო და ადგილობრივ ვაჭრობაში მოთხოვნილება შავ დირჰემებზე მაღალი იყო. ეს კარგად ჩანს ნერშახის ერთი ცნობიდანაც, საიდანაც ვიგებთ, რომ გიტრიფის მონეტა, რომელიც შეიცავდა რკინას, სპილენძს, თუთიასა და სხვა შენაერთებს, მოკრილი იქნა მას შემდეგ, რაც ბუხარის მცხოვრებლებმა დაჟინებული თხოვნით მიმართეს აბასიდ მმართველს, გამოეშვა ისეთი მონეტა, რომელიც ბუხარიდან არ გავიდოდა და მხოლოდ ადგილობრივ სავაჭრო ოპერაციებს მოხმარდებოდა. (Texte persan publié par Charles Scheffer, Paris, 1892). რ. ფრაი თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში ბუხარ-ხუდათური მონეტების აღწერისას, მათი გავრცელების არეალს ბუხარითა და მისი შემოგარენით განსაზღვრავს. ამასთან, იქვე დასძენს, რომ ადგილობრივ ვაჭრობაში ბუხარ-ხუდათური მონეტები უფრო ფასობდა, ვიდრე ვერცხლის დირჰემები (R. .W Frye, Bukhara, 154)დას. ევროპის ქვეყნებში მონეტების გაფუჭებასთან დაკავშირებით ფ. მიხალევსკი წერს, რომ ამ პროცესის შედეგად ყველაზე უფრო „წვრილი ერი“ («мелкий люд») ზარალდებოდა. ამიტომ მონეტების გაფუჭებას ხშირად თან სდევდა აჯანყებანი და ამბოხებანი, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აჯანყების მიზეზი ხდებოდა არა მონეტის გაუარესება, არამედ მისი ხარისხის გაუმჯობესება (Ф.И. Михалевский დასახ. ნაშრ., გვ. 140).

[12] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 75; თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრ., შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 288, Е. А. Пахомов, Монеты Грузии, Тб., 1970.

წარწერაა დადასტურებული ლაშა-გიორგის სპილენძის მონეტაზეც (1210 წ.) „სახელითა უწმიდესის ღვთისა იქედა ესე ვეცხლი წელსა 430“. «بنام خدای پاک این سیم را زده اند بتاریخ چهار صد و سی سال»[13].

„ვერცხლის კრიზისის“ პერიოდში სპილენძის ფულის ნომინალი უფრო მაღალი იყო, ვიდრე მისი რეალური ღირებულება. იმისათვის, რათა სპილენძის მონეტები ბრუნვაში აქტიურად ჩაბმულიყო საჭირო გახდა მათზე შესაბამისი წარწერის გაკეთება. საამისოდ საუკეთესო საილუსტრაციო მასალას წარმოადგენს სამარყანდში 1225 წ. გამოშვებული მონეტა, რომელზეც ვკითხულობთ: «بسمرقند و نواحی شهر روان» „(ეს მონეტა) სამარყანდსა და მის ოლქში მიმოქცევაშია“) (1225 წ.)[14], ანდა «بسمرقند و نواحی این شهر که نگیرد گناه کار بود» („ვინც სამარყანდსა და მის ოლქში არ მიიღებს (ამ მონეტას) ის ბოროტმოქმედია“ (1232—1233 წწ.[15]) და სხვ.

ასეთსავე მიზანს ემსახურებოდა, ალბათ, ეპიფანე კათალიკოსის წარწერა ანისის ტაძარზე (1218 წ.), საიდანაც ჩანს რომ „თბილურ დრამებს“ სავალდებულო მიმოქცევის უფლება ენიჭებოდათ[16].

---

c. 90—91. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის მონეტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი და ინახება სხვადასხვა კოლექციებში.

[13] დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 77—78; თ. ლომური, დასახ. ნაშრ., გვ. 289—300; Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 97—98. აღნიშნულ გარემოებას ყურადღება მიაქცია დ. ლენგმაც, მისი სიტყვით, «In Georgia, many of there pactionale copper coins still bore on them the demonation «vetskli», which properly signifes a silver pieces.» D. M. Lang, Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, New-York 1955, p. 21. როგორც მკვლევრები ფიქრობენ, ზოგიერთი იძულებითი კურსის დირჰემები ზემოდან დაფარული უნდა ყოფილიყო ვერცხლით З. Альхамова, Клады медных посеребренных монет Самаркандских дирхемов 663 г. х. Тр САГУ, вып. XI, Ташкент, 1950, с. 71. 73; Е. А. Давидович, Термезский клад медных посеребренных дирхемов 617/1220г., Эпиграфика Востока, VIII, 1953, с., 50, 50-55; მისივე, Их истории денежного обращения на территории Ферганы, Тр. Музея Истории Ан Уз ССР; вып. II, Ташкент, 1954, с. 50—51; მისივე, Клады древних и средневековых монет Таджикистана, М., 1979, с. 192.

[14] Е. А. Давидович, Денежное хозяйство Средней Азии в XIII в., М., 1962, с. 41.

[15] იქვე.

[16] П. М. Мурадян, Грузинская эпиграфика Армении, Ереван, 1977, с. 42—43. XII ს. მიწურულის საქართველოში შემოღებული იქნა დადამღვის წესი. მონეტის დადამღვის ერთ-ერთი მიზანი იყო მისი რეალური ღირებულების ნომინალის აწევა და იძულებითი კურსით გასაღება. უმთავრესად დადამღულია თამარის, ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მონეტები. დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 83. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მონეტის დადამღვის წესი სწორედ „ვერ-

ზემომოტანილი მაგალითების საფუძველზე სავსებით ცხადად ირკვევა, რომ „ვერცხლის კრიზისის“ ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მონეტების მრავალფეროვნება. აღნიშნულ პერიოდში ფულადი მიმოქცევის სფეროში შემოდის სხვადასხვა მეტალის, ზომის, წონისა და ფორმის მონეტები, რომელთაც აერთიანებთ საერთო სახელწოდება „დირჰემი“[17].

აკად. ვ. ბარტოლდის დაკვირვებით, სპილენძის ის მონეტები, რომლებიც „დირჰემის“ სახელს ატარებდნენ, საკრედიტო მონეტის ფუნქციას ასრულებდნენ[18].

ამრიგად, იძულებითი კურსის მქონე დირჰემები, „ვერცხლის კრიზისის“ პერიოდში, ემსახურებოდნენ ვერცხლის მიმოქცევის სფეროს.

ასე იყო საქართველოშიც და აღმოსავლეთის ქვეყნებშიც.

ჩვენ ყურადღება მივაქციეთ XII ს. ერთ სპარსულ წყაროს (აბუ საიდ მეიჰენელის ცხოვრება), სადაც ქ. ნიშაბურის ეკონომიკური ცხოვრების აღწერისას, ერთ კონტექსტში დასახელებულია როგორც „დირჰემი“ («درم») ისე „ვერცხლის დირჰემი“ («درم سیم»)[19]. დირჰემი, როგორც ცნობილია, თავისთავად „ვერცხლის“ მონეტას ნიშნავდა. ამიტომ იქ, სადაც ლაპარაკია უბრალოდ დირჰემზე, უნდა იგულისხმებოდეს ე. წ. შავი დირჰემები, ხოლო ვერცხლის დირჰემის ქვეშ—მაღალხარისხოვანი მონეტები.

აშკარად ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე საქართველოშიც, სადაც ჩვენთვის საინტერესო პერიოდის წყაროებში (საისტორიო და მხატვრულ ნაწარმოებებში—„ვეფხისტყაოსანი“) დამოწმებულ „დრამის“ პარალელურად გვხვდება ძალზედ საინტერესო ტერმინი „ვეცხლი დრამაჲ“. დრამა ვერცხლის ფულის აღმნიშვნელი ტერმინი იყო[20]. მაგრამ, როგორც სავსებით სამართლიანად შენიშნავს ზოგიერთი მკვლევარი, რუსთაველის დროს დრამა აღნიშნავდა არა ვერცხლს, არამედ სპილენძის მონეტას[21]. ამ პერიოდის წყაროებში, ყველგან, სა-

---

ცხლის კრიზისის“ მაქსიმალური განვითარების ხანას ემთხვევა. დემეტრე I, გიორგი III, და დავით ნარინის მონეტათა დადამღვა იშვიათია.

[17] Е. А. Давидович, Из области денежного обращения в Средней Азии в XI—XII вв., с. 118.

[18] В. В. Бартольд, История культурной жизни Туркестана, Соч., т. II. М, 1966, с. 255.

[19] В. А. Жуковский, Жизнь и речи старца Абу Са'ида Мейхенейского, персидский текст, СПб, 1899, с. 31

[20] ივ. ჯავახიშვილის აზრით, ტერმინი „დრამა“ საქართველოში VIII საუკუნიდან ვრცელდება, ი. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925, გვ. 17.

[21] თ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 297.

დაც დრამაზეა ლაპარაკი, იგულისხმება სპილენძი. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი: „ჩემია მკვიდრი მამული, არ მივცემ არცა დრამასა“ (ვეფხისტყაოსანი, 1109).

ისტორიანსა და აზმანში გიორგი III-ს მიერ დვინში მოპოვებული ნადავლის ჩამოთვლისას ნათქვამია: „ვინათგანცა აღივსო სამეფო ქალაქი ტფილისი, რომელ ტყუესა თჳთო დრამად გინა ფუკად მომსყიდავთაგან მომსყიდელობდეს“[22]. ამგვარად, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს იძულებითი კურსის მონეტებთან (გავიხსენოთ ანისის ტაძრის წარწერის თბილური დრამები, რომელთაც სავალდებულო მიმოქცევის უფლება ჰქონდათ). ჩვენს მოსაზრებას კიდევ უფრო ამაგრებს ის გარემოება, რომ ქართულ წერილობით ძეგლებში, კერძოდ, ნიკორწმინდის XI ს. სიგელში, გვხვდება ტერმინი „დრამა“ როგორც ცალკე, ისე „ვერცხლის დრამის“ სახით („ვეცხლი დრამაჲ“)—„ყანა გავისაკუთრე და მივეც... ორმოცისა დრამისა ჴმელადი“[23] „საწირეს ვიყიდე ყანა და მივეც... ვეცხლი დრამაჲ: კ: ვ)[24] და სხვ. დრამის გვერდით ვეცხლის დრამის (ანუ ვერცხლის დირჰემის) ხმარება გაპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ამ უკანასკნელის ქვეშ, როგორც ჩანს, უნდა იგულისხმებოდეს მაღალხარისხოვანი ვერცხლის დირჰემი (შდრ. სპარსული درم და نقره درم).

ამგვარად ჩვენ მიერ ზემომოტანილი ტერმინოლოგია უკავშირდება ვერცხლის კრიზისს და ამ კრიზისთან დაკავშირებულ მოვლენებს.

უაღრესად საყურადღებო და საგულისხმოა ისიც, რომ „ვერცხლის კრიზისს“ არ გამოუწვევია ვაჭრობის მოშლა, ანდა რაიმე უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ძვრები[25], პირიქით, სწორედ აღ-

---

[22] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 5—6.

[23] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მეორე (1231 წლიდან 1700 წლამდე), ტფ., 1897, გვ. 45.

[24] იქვე, გვ. 48.

[25] В. В. Бартольд დასახ. ნაშრ., გვ. 255; „ვერცხლის კრიზისის“ პერიოდში „შავი დირჰემები“ ძირითადად საშინაო ბაზარს ემსახურებოდა, საგარეო ვაჭრობა კი „თეთრი დირჰემებით“ წარმოებდა. წყაროები არჩევენ ერთმანეთისაგან არა მხოლოდ შავსა და თეთრს, არამედ მთელსა და დამსხვრეულ დირჰემებსაც. ხშირად წერილი ფულის საჭიროების შემთხვევაში დირჰემები ქუცმაცდებოდა სხვადასხვა ზომის ნაჭრებად. მსგავსი მონეტები საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი ჩვენთვის საინტერესო პერიოდის განძებში (R. P. Blacke, The Circulation of the Silver in the Moslem East down to the Mongol Epoch, Harvard J. of Asiatic Studies, 11, 1937, 294). საქართველოშიც, აღმოსავლეთის მსგავსად, პრაქტიკაში ყოფილა ფულის თანაბარ ნაწილებად დაჭრა მცირე ნომინალების მიღების მიზნით. ეს წესი, მონეტის ამ გზით „დახურდავება“, ჩვენში XIII ს. შუა წლებამდე შემორჩენილა. ცნობილია

ნიშნულ პერიოდში საქართველოში, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში,ადგილი აქვს ვაჭრობისა და ეკონომიკის არაჩვეულებრივ ზრდასა და აყვავებას[26], განსაკუთრებით ინტენსიურია საგარეო ვაჭრობა XI—XII სს. სწორედ ამ დროს, როგორც ვნახეთ, საქართველოს ქალაქები მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით იყვნენ დაკავშირებული მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან.

საქართველოში უკვე დემეტრე I-დან მოყოლებული (1125—1156 წწ.) ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ე. წ. წესიერად მოჭრილი მონეტები[27]. გიორგი III-ის დროიდან კი „უწესოდ მოჭრილი" მონეტების პარალელურად რუსუდანის რეფორმამდე იჭრება ე. წ. „წესიერი მონეტებიც". ნუმიზმატთა აზრით, აღნიშნული მონეტა ვერ-

---

თამარისა და რუსუდანის ამგვარად მოჭრილი „ნახევრიანი" და „მეოთხედიანი" მონეტები (დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 74). უაღრესად საინტერესოა და საყურადღებო აგრეთვე „ვერცხლის კრიზისის" პერიოდში მახლობელი აღმოსავლეთის ფულად სისტემაში ფიქსირებული ტერმინი „კომერციული დირჰემი" («darahim tijariyya»). ნუმიზმატთა აზრით, „კომერციული დირჰემი" („the commercial dirhama») ეწოდებოდა წვრილ ფულს, რომელიც საშინაო ვაჭრობის მოთხოვნილებებს ემსახურებოდა. A. J. U d o v i t c h, Partnership and profit in Medieval Isam. University Press, Princeton, New Jersey, 1970, p. 179).

გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში (ათონის კრებული, გვ. 14) დადასტურებულია ტერმინი „ფოლი". ივ. ჯავახიშვილის აზრით, ის აღნიშნავდა ფულის პატარა ერთეულს („ფოლი ერთი ვითარცა საფასის უკნინესი ერთეული" ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 28). მისივე სიტყვით, ფოლი ბერძნულ *φολλις*-გან მომდინარეობს (იქვე). თ. ლომოური ფიქრობს, რომ ფოლიდანაა ნაწარმოები არაბ. فلس (ფულის უმცირესი ერთეულია) და ქართული ფული(თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშ., გვ. 298).

[26] სპილენძის ფულის უდიდესი განძები, რომლებიც აღნიშნულ ხანებშია დაგროვილი (XII—XIII სს.), მეტყველებს ფულის დიდი თანხების მოთხოვნილებაზე და გაცხოველებულ ვაჭრობაზე. თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 294.

[27] მონეტები, რომლებიც „ვერცხლის კრიზისის" პერიოდში ემსახურებოდნენ ვერცხლის მიმოქცევის სფეროს, იყოფოდნენ ორ ჯგუფად—წესიერ და არაწესიერ მონეტებად. წესიერი მონეტების კატეგორიას განეკუთვნებოდნენ გარკვეული ფორმის ზომის და წონის მონ ტები ამ მონეტებისაგან განსხვავებით, არაწესიერ მონეტებს ახასიათებდათ შემთხვევითი ფორმა, წონა, ფრაგმენტული წარწერები. ხშირად ამ ტიპის მონეტებზე სიქის ანაბეჭდი მთლიანად ვერ თავსდებოდა. ზემომოტანილი ნიშნების საფუძველზე მკვლევრები ფიქრობენ, რომ წესიერი მონეტები ცალობით იბრუნებოდნენ, ხოლო არაწესიერი მონეტები იწონებოდნენ. Е. А. Д а в и д о в и ч, Из области денежного обращения в Средней Азии в XI—XIIвв., с. 107; Е. А. П а х о м о в, Монетные клады Азербайджана и Закавказья. Тр. Общества обследования и изучения Азербайджана, вып. 3, Баку, 1926, с. 24; М. Е. М а с с о н, К вопросу о взаимоотношениях Византии и Средней Азии по данным нумизматики, Труды среднеазиатского Гос. университета, новая серия, вып. XXIII, Ташкент, 1951, с. 102.

ცხლის ფულის ფუნქციას ასრულებდა[28]. „წესიერ მონეტებს“ ახასიათებდათ დაახლოებით ერთნაირი საშუალო წონა და მრგვალი მოყვანილობა. ისინი ფუნქციონირებდნენ თვლით და არა წონით.

უწესოდ მოჭრილი მონეტები „ვერცხლის კრიზისის“ ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენა და ნიშან-თვისება იყო. ამიტომ შემთხვევით არაა, რომ ამ ტიპის მონეტები მიმოქცევაში იყვნენ XII ს. და XIII ს. პირველ ნახევარში[29], რაც ვერცხლის კრიზისის მაქსიმალურ განვითარებას ემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ „ვერცხლის კრიზისის“ დროს, წინა პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ოქროს როლი[30]. საქართველოშიც. სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხანაში, ოქრო ფულის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად იქცა[31].

შემთხვევითი არაა აგრეთვ ისიც, რომ ქართულ საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურულ ძეგლებში ოქროს ფულის აღსანიშნავად გვხვდება მრავალფეროვანი ტერმინოლოგია, როგორც ქართული, ისე ბერძნული და აღმოსავლური წარმოშობისა — წითელი[32], პერპერა, ბოტინატი, დუკატი, კონსტანტინატი, მიხაილიტი, რომანატი, დრაჰკანი და სხვ. საკუთრივ საქართველოში მოჭრილი ოქროს მონეტა ცნობილი არ არის, თუმცა, როგორც მკვლევრები ფიქრობენ, XII—XIII სს. საქართველოში საამისოდ რეალური ნიადაგი არსებობდა[33].

ზაქარია ყაზვინის ის ცნობა, რომელშიაც საქართველოში ოქროს

---

[28] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

[29] იქვე, გვ. 63.

[30] საინტერესოა აღინიშნოს, რომ შუა აზიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ყველა დროის ოქროს მონეტებიდან, ოქრო ყველაზე დიდი რაოდენობით მოდის XI—XII საუკუნეებზე, განსაკუთრებით XII ს. და XIII ს. პირველ ნახევარზე (Е. А. Давидович, Из области денежного обращения в Средней Азии в XI—XII вв. с. 100, 101—102.), რაც ვერცხლის კრიზისის მაქსიმალური განვითარების ხანას ემთხვევა.

[31] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა მეტროლოგია, გვ. 8, 11, 12.

[32] ქართული წერილობითი წყაროების წითელი და წითელი ოქრო გ. ჯაფარიძეს მუსლიმანური დინასტიების მაღალხარისხოვან ოქროს მონეტად მიაჩნია. გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI—XII საუკუნეების საქართველოში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1976, გ. 87; აღსანიშნავია, რომ ტერმინი „წითელი“ დადასტურებულია ვეფხისტყაოსანშიც: „ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“ (743).

[33] თ. ლ ო მ ო უ რ ი, ფული შოთა რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 294.

ფულის მოჭრაზეა ლაპარაკი[34], გარკვეულ ეჭვს იწვევს[35]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაშიც, როგორც ივ. ჯავახიშვილმა დაამტკიცა, ოქრო ფულის ზოგადი მნიშვნელობითაა ნახმარი[36].

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ოქრო მიმოქცევაში იყო არა ცალობით, არამედ წონით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას განსაზღვრავდნენ არა როგორც ფულს, არამედ როგორც საქონელს[37].

---

[34] ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, არაბულ ტექსტს შესავალი წაუძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ო. ცქიტიშვილმა, თბ., 1975, გვ. 40. არაბული ტექსტი, გვ. 348.

[35] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 8, თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ.-ნაშრ., გვ 294; გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

[36] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 12. დავით აღმაშენებლის და დემეტრე I-ის დინარებს იხსენიებს აგრეთვე XII ს. არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი (გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 68, 71, 72; V. Minorsky, Caucasica in the History of Mayyafariqin, BSOAS, vol. XIII, pt-1, 1949, 32, 34). საქართველოს საერთაშორისო კონტაქტები განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ საქართველოში საკუთარ საფასესთან ერთად მიმოქცევაში იყო მუსლიმანური დინარი და ბიზანტიური ნომისმა, მაგრამ საქართველოში XI—XIII სს. ოქროს ფულიდან დღეისთვის მხოლოდ ბიზანტიური ნომისმაა ცნობილი, რაც შეეხება მუსლიმანურ დინარს, ის დღემდე აღმოჩენილი არ არის. გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 85. იხ. აგრეთვე თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1959. გ. ჯაფარიძეს შესწავლილი აქვს აგრეთვე ვეფხისტყაოსანში დამოწმებული „მაღრიბული ოქროს" სადაურობა და წარმომავლობა. იხ. გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მაღრიბული ოქრო XII—XIII სს. ქართული წყაროებში, „მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1975, № 4, გვ. 145—151.

ამგვარად, საქართველოში, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, ფულად მიმოქცევაში იყო უცხოური წარმოშობის სხვადასხვა ხარისხისა და ღირებულების ოქრო. მსხვილი სავაჭრო ოპერაციები ოქროთი წარმოებდა, ოქროთი ისტუმრებდა აგრეთვე დიდ ხარჯებს საქართველოს სახელმწიფო.

[37] „Золото принималось только как товар, т. е. на вес" წერს ვ. ბარტოლდი სამანიანთა ფულადი სისტემის დახასიათებისას (В. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ 255). იბნ ჰაუკალი ქ. ბუხარის მაგალითზე პირდაპირ ამბობს: „მათი ფულია დირჰემი, დინარი კი საქონელი" «نقودهم الدراهم و الدنانير كالعرض» (Ibn Haukal, ed. Kramers, (გვ. 90). ისთახრი ქ. ბუხარის ფულადი სისტემის აღწერისას აღნიშნავდა: „მათი ფული დირჰემია, ისინი ერთმანეთთან არ ვაჭრობენ დინარებით, რომელიც (მათთან) საქონელივითაა. «نقودهم الدارهم و لايتعامدون بالدينار قيماييهم و كالعرض», (BGA, 1, 314). იბნ ფადლანიც (X ს.), რომელსაც დაწვრილებით აქვს აღწერილი ბუხარის მონეტები, ოქროს დინარებს საერთოდ არ ასახელებს (А. П. Ковалевский, Книга Ахмеда ибн-Фадлана, с. 122), ნუმიზმატ ე. დავიდოვიჩის აზრით, ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე სამარყანდშიც (Е. А. Давидович, Из области денежного обращения в Средней Азии в XI—XII вв., с. 106—107). ამ დასკვნამდე ის მიდის ისთახრისა და იბნ ჰაუკალის ტექსტების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აღნიშნულ საკითხთან

როგორც ჩანს, საქართველოშიაც ოქრო იწონებოდა. აღნიშნული ფაქტის დადასტურებას წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ერთი ადგილი, რომელშიც ოქროს მონეტის აწონის ფაქტთან გვაქვს საქმე („ხამოცი ლიტრა წითელი, აწონეთ არ ნაკლულითა", (388). ოქროს აწონის ფაქტთან გვაქვს საქმე აგრეთვე ფავნელთა სიგელში („მომიწონა ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი")[38].

დიდი ხარჯების გასტუმრებისას, როგორც თ. ლომოური ფიქრობს, ფულის გარდა ოქროს ზოდებიც უნდა გამოეყენებინათ[39]. ისტორიანისა და აზმანის ავტორი თამარის ქორწილის აღწერისას ამბობს: „ეგრეთ იქნა ქორწილი სახედაუდებელი და იგავ-მიუწდომელი; სიმრავლენი სახეობათანი, ძღუნობანი და ნიჭებანი თუალთა და მარგალიტთანი ოქროჭედილთა და უჭედელთანი..."[40]. იმავე ისტორიკოსს, სხვაგან სადაც ჩამოთვლილია გიორგი III-ის მიერ ქ. ანისში მოპოვებული ნადავლი, ნათქვამი აქვს: „სიმდიდრე თუალთა და მარგალიტთა ოქროთა ჭედილთა და უჭედელთა"[41].

ზემომოტანილ ფავნელთა სიგელიდან ჩანს, რომ იწონებოდა არა მარტო ოქრო, არამედ ვერცხლიც[42].

საყურადღებოა, რომ ვეფხისტყაოსანში ოქრო მოხსენებულია 19-ჯერ, ვერცხლი კი ერთხელ[43].

დაკავშირებით მკვლევარი წერს: „В Средней Азии X—XII вв., штучного обращения золотых монет вообще не было, об этом свидетельствуют как письменные источники, так и вес самых монет. Не могло быть штучного обращения и в Хорасане, так как сельджукские динары также разновесны". (Е. А. Давидович, Денежное хозяйство в Средней Азии в XIII веке с. 34). იბნ ჰაუკალისა და ისთახრის სიტყვებით, დინარს საქონლის ფუნქციები ჰქონდა ქერმანსა და ფარსში (BGA, I, 156, Ibn Haukal, ed. Kramers, 301, 313).

ყოველივე ზემოთქმული, იმას არ ნიშნავს, რომ ოქროს ფულის ფუნქცია საერთოდ არ გააჩნდა მაგრამ ეს ფუნქცია მას სხვა ფუნქციებთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ჰქონდა განვითარებული (Е. А. Давидович, Денежное обращение в Мавераннахре при Саманидах, с. 109).

[38] ნასყიდობის დაწერილი ფავნელისა შიომღვიმისადმი (IXს), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 3, ჩვენთვის საინტერესოა ფავნელთა სიგელში დამოწმებული „მომიწონა ოცდაათი ლიტრა ოქრო" და არა თვითონ სიგელის ნატყუარობა-უტყუარობის საკითხი.

[39] თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 295.

[40] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 37.

[41] იქვე, გვ. 9.

[42] ოქროსა და ვერცხლის ზოდებს, როგორც გადახდის საშუალებას, მიმართავდნენ როგორიც შუა საუკუნეების დას. ევროპის ქვეყნებში, ისე რუსეთში: Ф. И. Михалевский, დასახ. ნაშ., გვ. 83—84, 138; И. Г. Спасский, Русская монетная система, М., 1970, с. 62—63.

[43] ნ. ქ ო ი ა ვ ა, ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 107

ამრიგად, XII ს. პირველი მეოთხედიდან XIII ს. 30-იან წლებამდე საქართველოში მიმოქცევაშია სპილენძი და ოქრო. აღნიშნულ პერიოდში სპილენძი ფულად მიმოქცევაში ძირითადი მონეტის როლს თამაშობდა და ცვლიდა ვერცხლის მონეტას.

სპილენძი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად ემსახურებოდა საშინაო ბაზარს, საგარეო ვაჭრობა კი ოქროთი წარმოებდა.

„ვერცხლის კრიზისი" საქართველოში რუსუდანის რეფორმამდე გაგრძელდა (1230 წ.). რუსუდანის ფულადი რეფორმის შედეგად კვლავ განახლდა ვერცხლის მონეტის მოჭრა საქართველოში. ვერცხლის მონეტა ძირითად მეტალად გადაიქცა, ის იჭრება მაღალი სინჯის ვერცხლისაგან და მისი ნორმალური წონა მერყეობს 2,35 გრამიდან 2,70 გრამამდე[44]. რაც შეეხება წესიერად მოჭრილ მონეტას, აღებულ ხანებში ის უკვე წვრილი ფულის ფუნქციას ასრულებდა.

ამგვარად, რუსუდანის რეფორმით დამთავრდა „ვერცხლის კრიზისი" საქართველოში, დაახლოებით ამავე ხანებში დასრულდა აღნიშნული კრიზისი მახლობელი აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში, შუა აზიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

რა იყო მიზეზი „ვერცხლის კრიზისისა", რომელმაც მთელი ორასი წლის მანძილზე მოიცვა უზარმაზარი ტერიტორია, საქართველო, შუა აზია, მახლობელი აღმოსავლეთი?

ვერცხლის კრიზისს და ამ კრიზისიდან გამომდინარე მოვლენებს არა ერთმა ნუმიზმატმა და ეკონომიკის ისტორიის მკვლევარმა მიაქცია ყურადღება. ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს ორიენტალისტები ცდილობდნენ ამ პრობლემის გადაჭრასა და ეს საკითხი საგანგებოდ იდგა დღის წესრიგში 1878 წ. ორიენტალისტების III საერთაშორისო ყრილობაზე პეტერბურგში[45].

ვერცხლის კრიზისით და ამ კრიზისიდან გამომდინარე მოვლენებით კვლავ დაინტერესდნენ უკანასკნელ ხანებში. საკითხის გარშემო საბჭოურსა თუ საზღვარგარეთულ ორიენტალისტიკაში გაჩნდა მთელი რიგი საყურადღებო და საგულისხმო დაკვირვებანი და მოსაზრებანი. მიუხედავად ამისა, ვერცხლის კრიზისზე დღემდე ერთიანი შეხედულება არ არსებობს.

მკვლევართა ერთი ნაწილი „ვერცხლის კრიზისს" საბადოების გამოფიტვას უკავშირებს. ამგვარ აზრს გამოთქვამდა რ. ბლეიკი და სხვ[46].

---

[44] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

[45] Труды третьего международного съезда ориенталистов в Санкт-Петербурге, 1876, I, СПб., 1879—1880 წ. ყრილობაზე ვერცხლის კრიზისის გამომწვევ მიზეზად მიჩნეულ იქნა ხაზართა სახელმწიფოს დაცემა. აქვე, გვ. 38.

[46] რ. ბ ლ ე ი კ ი ვერცხლის ხელახლა გამოჩენის ერთ-ერთ მიზეზს ხედავს მონ-

მკვლევარები „ვერცხლის კრიზისის“ მიზეზად ასახელებენ აგრეთვე ვერცხლის დიდი რაოდენობით გატანას ევროპასა და რუსეთში[47].

„ვერცხლის კრიზისის“ გამომწვევ მიზეზებს ხედავენ აგრეთვე პოლიტიკურ სიტუაციაში. კერძოდ, ე. პახომოვის აზრით, „ვერცხლის კრიზისის“ მიზეზი გახდა თურქ-სელჩუკთა იმპერიის შექმნა და თურქ-სელჩუკების დასავლეთისაკენ გადანაცვლება[48]. ამ აზრს იზიარებდა მ. მასონიც[49].

გარდა პოლიტიკური ხასიათის მოვლენებისა, ე. პახომოვს „ვერცხლის კრიზისის“ გამომწვევ მიზეზად მიაჩნდა აგრეთვე ნატურალური მეურნეობის განვითარება ფულადი მეურნეობის ხარჯზე, ფულის დიდი რაოდენობით გატანა ჩრდილოეთში[50].

დ. კაპანაძე არ იზიარებდა „ვერცხლის კრიზისის“ შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს[51]. „ვერცხლის კრიზისის“ გამომწვევი მიზეზების გამო მკვლევარი შემდეგ ვარაუდს გამოთქვამდა: „ვერცხლის მონეტა ჩვენში სპილენძით რომ არ შეცვლილიყო, რომელიც იძულებით „ვერცხლად“ საღდებოდა, საქართველოს საზღვრებს გარეთ გატანილ ძვირფასი ლითონის მარაგი მალე გამოილეოდა და სახელმწიფო ხაზინა დაზარალდებოდა“[52].

ნ. ქოიავას აზრით, ვერცხლის ნაკლებობამ კი არ გამოიწვია მონეტის გაფუჭება, არამედ პირიქით, მონეტის გაფუჭებამ გამოიწვია ვერცხლის მიმოქცევიდან გაქრობა[53]. მისი სიტყვებით, „მონეტის გა-

---

ღოლების მიერ ჩინეთის დაპყრობაში, რის შედეგადაც ჩინეთიდან იწყება ვერცხლის დიდი რაოდენობით დენა. R. Blacke, The circulation of the silver.., p. 328

[47] ვერცხლის დირჰემები დიდი რაოდენობით გადიოდა ჩრ. და აღმ. ევროპის ქვეყნებში—რუსეთში, ბალტიისპირეთში, პოლონეთში, სკანდინავიის ქვეყნებში, ინგლისში, გერმანიაში, ისლანდიაში. А. Марков, Топография кладов восточных монет (сасанидских и куфических). С.-Петербург, 1910. საინტერესოა, რომ რუსებს შორის მდიდრად ითვლებოდა ის პირი, ვინც ვერცხლის გარკვეულ რაოდენობას ფლობდა ფულისა თუ სამკაულების სახით, B. Spuler, Trade in Eastern Islam Countries, 1970, p. 19, ამასთან, აღნიშნულ ქვეყნებში ვერცხლი ეკონომიკური ცხოვრების საფუძველს წარმოადგენდა. B. Spuler, დასახ. ნაშრ., გვ. 17. იხ. აგრეთვე, А. Ю. Якубовский, Феодальное общество Средней Азии и его торговля с Восточной Европой X—XV вв., Тр., Ин-та востоковедения АНСССР, т. VI, вып. 3, Л., 1933, с. 15, 27, 28.

[48] Е. А. Пахомов, Монетное обращение Азербайджана..., с. 90.

[49] М. Е. Массон, К истории черной промышленности Карамазара, Тр. Тадж. базы АН СССР, т. IV, М—Л., 1935, с. 295.

[50] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

[51] დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

[52] იქვე, გვ. 70.

[53] ნ. ქოიავა, ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 103.

ფუტება აფინანსებდა ღონისძიებებს საქართველოს გასაერთიანებლად, ბონეტის გაფუტება აფინანსებდა საქართველოს ძლევამოსილ ომებს. ამიტომაც არის რომ სპილენძის ფულის მიმოქცევა თავსდება ფეოდალურ საქართველოს უმაღლეს აყვავებასთან"[54].

დ. ლენგი საქართველოს მაგალითზე „ვერცხლის კრიზისის" გამომწვევ მიზეზებს („Among the complex causes for this phenomenon") ხედავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებში (ინტენსიური საგაჭრო ურთიერთობანი ჩრდილოეთის ქვეყნებსა — (რუსეთი, სკანდინავია...). და ისლამურ მსოფლიოს შორის, თურქ-სელჩუკთა შემოსევები და მათი ბატონობის გავრცელება, ვერცხლის დინება აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიისპირეთის და სკანდინავიის ქვეყნებში და სხვ[55].

აღსანიშნავია, რომ მკვლევარების ერთმა ნაწილმა „ვერცხლის კრიზისი" ეკონომიკურ განვითარებას დაუკავშირეს. ამგვარი თვალსაზრისი 30-იან წლებში გამოთქვა ა. იაკუბოვსკიმ[56]. ეკონომიკურ ფაქტორს ჯერ კიდევ ა. მარკოვმა მიაქცია ყურადღება გასული საუკუნის მიწურულს, მაგრამ ჯეროვნად არ დაუსაბუთებია[75].

1953 წ. ბ. ლიტვინსკიმ წამოაყენა ფრიად საყურადღებო მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ვერცხლის კრიზისი" უნდა გამოეწვია ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებას[58]. ეს მოსაზრება შემდგომში გაიზიარა მკვლევართა ერთმა ჯგუფმა (დავიდოვიჩი, გაფუროვი, სეიფედდინი, ხოჯანიაზოვი, გუსეინოვი და სხვ.). მათ კიდევ უფრო გააღრმავეს და ახალი ნუმიზმატიკური მასალებით შეამაგრეს

---

[54] იქვე ნ. ქოიავას სიტყვით, XII ს. საქართველოში არ გააჩნდათ ვერცხლის საკმარისი რაოდენობა (იქვე, გვ. 122. აქედან კარგად ჩანს, რომ ნ. ქოიავა „ვერცხლის კრიზისს", ისევე როგორც ბევრი სხვა მკვლევარი, უკავშირებდა ვერცხლის საბადოების გამოფიტვას და საზოგადოდ ვერცხლის ნაკლებობას.

[55] D. M. Lang, Studies in the Numismatique History of Georgia.., p. 81.

[56] «Ростом товарного производства возрастает спрос на монету в денежном обращении», А. Ю. Якубовский, Феодальизм на Востоке, ГЭ, Л., 1932, с. 27—28.

[57] «Причина прекращения ввоза дирхемов в XI в. в Европу была не политическая, а чисто экономическая», А. Марков, Топография кладов..., с. II.

[58] Б. А. Литвинский, О некоторых моментах развития средневекового города Средней Азии, Изв. АН Тадж ССР, вып. 4, Сталинабад, 1953, с. 63: «Углублению этого кризиса, как это на первый взгляд не парадоксально, косвенно, видимо способствовали расцвет городов и собственно ремесло и торговля». იქვე, გვ. 62.

ბ. ლიტვინსკის დებულება. „ვერცხლის კრიზისისა“ და მისი გამომწვევი მიზეზების კვლევა-ძიებისას საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ე. დავიდოვიჩს. შუა აზიის სამონეტო სისტემის ცნობილი მკვლევარი აქცენტს ეკონომიკურ ფაქტორზე აკეთებს, კერძოდ. ქალაქებზე. მისი სიტყვებით, „ვერცხლის კრიზისის“ გამომწვევი მიზეზების შესასწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ ქალაქს („как ячейки, где сосредоточивались товарное производство и денежная торговля“)[59].

„ვერცხლის კრიზისის“ მიზეზებს ბ. საიპანოვი, ზოგიერთი მკვლევარის მსგავსად, ხედავს სხვადასხვა მოკლენების ერთიანობასა და სინთეზში, ესენია: სავაჭრო ოპერაციების შედეგად ვერცხლის დიდი რაოდენობით გატანა ჩრ. აღმოსავლეთ ევროპაში, ვერცხლის საბადოების შემცირება და აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის პოლიტიკური მოვლენები, მათ შორის თურქ-სელჩუკთა დასავლეთისაკენ გადანაცვლება და აგრეთვე ქალაქების არაჩვეულებრივი აყვავება და ფულადი სასაქონლო მეურნეობის განვითარება[60].

XI—XII და XIII ს. დასაწყისში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ქალაქების არაჩვეულებრივი ზრდა, ვაჭრობისა და ხელოსნობის აღმავლობა. ისეთი ქალაქები, როგორიცაა ბაღდადი, ალეპო, ნიშაბური, ისფაჰანი შირაზი, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდნენ იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში. არაბულ-სპარსული წყაროებიც ხაზს უსვამენ აღნიშნული ქალაქების მაღალ სავაჭრო-ეკონომიკურ დონეს.

მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების მსგავსად, XI—XII სს. და XIII ს. პირველ მეოთხედზე მოდის აგრეთვე შუა აზიის ქალაქების საერთო ეკონომიკური აღმავლობა[61].

XI—XII საუკუნეებისათვის, როგორც არა ერთგზის აღვნიშნეთ,

---

[59] Е. А. Давидович, Из области денежного обращения в Средней Азии в XI—XII вв., с. 93. ე. დავიდოვიჩის მოსაზრებებზე ვერცხლის კრიზისთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს ი. ჯალაღანიაც, მაგრამ არც მას აქვს ნაჩვენები „ვერცხლის კრიზისის“ მიზეზები და ამ საკითხის სპეციალური შესწავლის საჭიროებას აღნიშნავს. И. Л. Джалагания, Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XIII вв., Тб., 1979, с. 77—80.

[60] Б. П. Сайпанов, Проблема «серебряного кризиса» денежного обращения на Востоке в нумизматической литературе, Вестник Московского Университета, История, 1976, № I, с. 64—65.

[61] შუა აზიის ქალაქების შესახებ არსებობს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა, იხ. А. М. Беленицкий, И. Б. Бентович, О. Г. Большаков, Средневековый город Средней Азии, М.-Л., 1973. (იქვე მითითებულია ვრცელი ბიბლიოგრაფია.).

დამახასიათებელი იყო ქალაქების არაჩვეულებრივი ზრდა, ვაჭრობისა და ხელოსნობის აღმავლობა. განვითარებული სასაქონლო და ფულადი მეურნეობა, ცხადია, მოითხოვდა ვერცხლის ფულის დიდ რაოდენობას. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი გახდა ისეთი მონეტის შემოღება, რომლის ნომინალი რეალს არ შეეფარდებოდა: «Именно бурное развитие городов, товарного производства и денежной торговли потребовало такого количества монет средств обращения, которое не могло быть дано рынку на базе высокопробных монет»[62].

ამგვარად, ძირითადი მიზეზი „ვერცხლის კრიზისისა", როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, იყო ეკონომიკის არაჩვეულებრივი განვითარება, ქალაქების ზრდა და ვაჭრობის გაფართოება[63]. „Серебро вовсе не иссякло, но оно не могло обеспечить в течение XI—XII вв. потребность возросшего товарного производства, денежной торговли, растущих городов. Это была как бы болезнь роста восточного феодализма в области денежного обращения экономики в целом»[64].

აღნიშნული მიზეზები საერთო იყო როგორც შუა აზიის, ისე მახლობელი აღმოსავლეთის და ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის[65].

ქალაქების სიმრავლის თვალსაზრისით XI—XII სს. საქართველოს ვერც ერთი სხვა პერიოდი ვერ გაუტოლდება.

როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია აღნიშნული, არც ერთ დროს საქართველოში იმდენი ქალაქი არ წარმოქმნილა, როგორც ეს იყო XI—XII საუკუნეებში (ნ. ბერძენიშვილი).

XI—XII სს. ქართული ქალაქების ეკონომიკური აღმავლობის ხანაა. საქართველოს ქალაქები აქტიურად არიან ჩაბმული მსოფლიო ვაჭრობაში, ეს კარგად ჩანს აქ აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალებიდანაც.

ქართული და უცხოური ფული ვრცელდება მთელ საქართველოში, გაცილებით ინტენსიურად მის აღმოსავლეთ ნაწილში, სწორედ იქ, სადაც უფრო განვითარებული იყო ქალაქები და საქალაქო ცხოვრება.

ამრიგად, საქართველოში ვერცხლის მაგიერ სპილენძის მონეტის

---

[62] Б. Г. Гафуров, Таджики, Древнейшая, древняя и средневековая история, М., 1972, с. 424.

[63] Е. А. Давидович, დასახ. ნაშრ., с. 117.

[64] Р. А. Гусейнов, Из истории денежного обращения в Передней Азии XI—XII вв., НЭ, IX, М., 1971, С. 113.

[65] М. В. Габашвили, Ближневосточный город XI—XII вв. по нумизматическим данным, Всесоюзная конференция молодых востоковедов, (Тезисы) Тб., 1973.

შემოღება ეკონომიკის არაჩვეულებრივი აყვავებით იყო გამოწვეული[66].

ამ თვალსაზრისით „ვერცხლის კრიზისი“ ერთი და იგივე მიზეზებით იყო გაპირობებული როგორც შუა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე საქართველოში.

„ვერცხლის კრიზისი“ ყველგან ეკონომიკური აღმავლობის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ უთავსდება, მაგალითად, საქართველოში, მონეტის გაფუჭება და სპილენძის მონეტების გავრცელება ქვეყნის საერთო ეკონომიკურ აღმავლობას, ქალაქების გამრავლებას, საქალაქო ცხოვრების განვითარებას და გართულებას.

„ვერცხლის კრიზისის“ თავისებურებათა გათვალისწინება საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთში საფუძველს გვაძლევს დავუკავშიროთ ეს მოვლენა წმინდა ეკონომიკური ხასიათის ფაქტორებს, კერძოდ, ქალაქებს და ინტენსიურ საქალაქო ცხოვრებას.

„ვერცხლის კრიზისი“, როგორც ნუმიზმატიკური მოვლენა, გვიდასტურებს საქართველოს ქალაქების აღმავლობა-განვითარებას XI—XII საუკუნეებში.

---

[66] «Диалектика развития монетного дела в феодальном хозяйстве такова, что чем важнее становится значение денег как средства обращения и платежа, тем больше усиливается порча монеты» Ф. И. Михалевский, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

ГОРОДА ГРУЗИИ XI—XII ВЕКОВ

Резюме

История городов Грузии XI—XII вв. и, в частности, история Тбилиси должным образом не исследованы.

Города Грузии тех времен до сих пор еще не стали объектом монографического исследования. Вообще, изучению истории средневековых грузинских городов препятствует то обстоятельство, что в грузинских исторических источниках по интересующемуся нас вопросу имеются лишь скудные, фрагментальные сведения.

Вместе с тем, археология феодального периода Грузии не была развита до такой степени, чтобы она сделала возможной исследование данных раскопок.

Положение резко изменилось в последние годы. Научная литература о городах Грузии XI—XII вв. обогатилась новыми, большей частью, восточными источниками, появились новые археологические материалы, опубликованы монографические исследования о городах Грузии раннефеодальной эпохи (VI—X вв.), зрелого феодализма (XI—XIII вв.) и позднего (XVI—XVIII вв.) периода.

Все это в значительной степени способствовало монографическому исследованию грузинских городов XI—XII вв.

К сожалению, скудность материалов не дает возможность полностью изучить все явления, связанные с городской жизнью и городами Грузии XI—XII вв.

По вполне определенным причинам из всех городов Грузии XII в. в письменных исторических источниках более многочисленные и разносторонние сведения имеются о городе Тбилиси. К этому надо добавить и археологические находки. Они обогатили наши знания о Тбилиси XII в. и одновременно дали возможность сопоставить археологический материал с письменными источниками.

Этим и объясняется то обстоятельство, что в книге наибольшее внимание уделено г. Тбилиси XII в.

Из существующих источников о Тбилиси обращает на себя внимание «Матиане Картлиса» («Хроника Картли»), Грамота Георгия II 1072 г., завещание Давида Строителя 1125 г., Грамота Георгия III, датированная 1170 г.

При изучении городов Грузии XI—XII вв. первостепенное значение приобретают также эпиграфические и нумизматические данные.

Немаловажное значение при исследовании истории городов Грузии XI—XII вв. имеют также произведения художественной литературы. В этих произведениях встречается немало урбанистической терминологии. С этой точки зрения особенное значение приобретает «Витязь в тигровой шкуре» Руставели и засвидетельствованная в ней городская терминология «калакис эри» («городской люд»), «калакис кребули» («городское собрание») и др.

Восточные письменные источники XI—XII вв. дополняют ценными фактическими данными сведения грузинских историков. Большая часть этих источников посвящена Тбилиси и тем событиям, которые в нем имели место.

О Тбилиси X—XII вв. немало интересных сведений имеется у следующих авторов: ал-Факих, ал Истахри, Ибн Хаукал, Ибн ал-Азрак ал-Фарики, Ибн ал-Асир, Йакут, ал-Хамави, Ал-Идриси, Сибт ибн ал-Джаузи, Закария ал-Казвини и др.

Особенное внимание в работе уделено сведениям арабских и арабоязычных историков XI—XIII вв. ал-Факиху, ибн ал-Азраку ал-Фарики, а также Сибт ибн ал-Джаузи.

В восточных источниках имеется материал не только по политической истории грузинских городов XI—XII вв., но также об их социальной и экономической жизни.

С этой точки зрения несомненный интерес представляют сочинения Наджиба Хамадани, персидского анонимного автора XIII в., Закария ал-Казвини, Ибн Исфандиара, Шихаб ад-Дина ан-Насави, Йакута, Ибн ал-Хамави, Шамс ад-Дина Йусуфа, ал-Айни, ал-Бакуви и др.

Для сравнения в нашей работе использованы также те сообщения арабских историков и географов раннего периода, в частности X в., которые рассматривают Тбилиси в аспекте торгово-экономических взаимоотношений (ал-Истахри, Ибн-Хаукал, анонимный автор «Худуда ал-алам» и др.).

В сочинениях арабских авторов (Ибн Хордадбех, ал-Истахри, ал-Мукаддаси, Йакут и др.) содержатся подробные сведения о торговых путях, проходивших через Закавказье и Тбилиси.

Нами использованы также армянские (Матвей Эдесский, Аристакес Ластвертци, Матвей Урхаецы) и византийские (Константин Порфирогенет...) источники.

Изучение истории городов Грузии начинается с сороковых годов XIX в. (Пл. Иоселиани, Н. Берзенов, Д. Бакрадзе). Но развитие грузинской урбанистики, как и развитие других отраслей грузинской историографии, связано с именем и деятельно-

стью акад. И. А. Джавахишвили. Определенное место отведено различным вопросам истории городов Грузии и в трудах С. Н. Джанашия, Н. А. Бердзенишвили, Ш. А. Месхиа, М. Д. Лордкипанидзе, В. Н. Габашвили, Л. А. Чилашвили, Р. К Кикнадзе, О. В. Цкитишвили, В. У. Копалиани и др.

Нами использованы труды грузинских археологов и нумизматов (Д. Г. Капанадзе, Т. Н. Ломоури, Г. А. Ломтатидзе, О. Д. Джапаридзе и др.).

В Грузии XI—XII вв. существовали оформившиеся феодальные города. Их развитие было обусловлено высоким уровнем феодальной экономики, ростом ремесла, торгово-экономическими связями с соседними и дальними странами.

XI—XII вв. являются знаменательным периодом в развитии грузинского города. Возвышение старых и возникновение новых городов было наиболее ярким доказательством высокого уровня экономического развития Грузии. Не случайно X—XII вв. в специальной литературе известны под названием «новгородов».

«Эпоха новгородов» особенно характерна для восточной Грузии, где друг за другом в течение IX—XII вв. возникают новые города.

Среди новых городов можно назвать: Атени, Гори, Дманиси, Олтиси, Ахалкалаки, Ахалцихе, Телави и др.

Возникновению новых городов Восточной Грузии и одновременно возвышению старых (Тбилиси, Рустави, Самшвилде и др.) благоприятствовали различные факторы. В первую очередь, этому процессу способствовало объединение Грузии в единое государство, а с другой стороны ее экономические связи с внешним миром. Города Восточной Грузии вели интенсивную торговлю с городами Передней Азии. Несколько иное положение было в городах Западной Грузии.

Из городов Западной Грузии лишь о Кутаиси имеются в источниках более или менее подробные сведения.

В Кутаиси XI—XII вв. возникли весьма благоприятные условия для развития городской жизни. Именно в указанный период (980—1122 гг.) Кутаиси становится столицей объединенного государства. Это обстоятельство определило его дальнейшее развитие.

Кроме Кутаиси в Западной Грузии существовали следующие города — Сухуми, Анакопия, Никопсия, Хупати, Поти.

Все эти города за исключением Кутаиси, были расположены на берегу Черного моря. Но по своим масштабам и значению они не могли идти в сравнение с городами античного и эллинистического периодов.

Кроме того, очевидно, в Западной Грузии в эпоху раннего

феодализма не было т. н. периода новых городов, столь характерного для Восточной Грузии.

При изучении истории городов Грузии XI—XII вв. становится ясным, что условия развития городов и городской жизни Западной и Восточной Грузии не были одинаковыми.

Исследуя историю городов Западной Грузии XI—XII вв., по нашему мнению, особое внимание должно быть уделено роли и значению Черного моря.

Дело в том, что интенсивность связей с внешним миром по Черному морю в значительной степени определяла состояние городов Западной Грузии в античную и феодальную эпохи.

Ситуация на Черном море резко изменилась в период арабско-византийского соперничества. Вследствие того, что арабы утвердились на Средиземном море, Черное море оказалось блокированным. Прибрежные города Черного моря перестали общаться с главными центрами мировой торговли, связь между которыми осуществлялась посредством Средиземного моря и Индийского океана. Надо отметить и то, что мусульманские купцы, господствовавшие в мировой торговле, не были заинтересованы в основании торговых факторий на Черноморском побережье. Вот почему в течение длительного времени Черное море было фактически «закрытым морем» — «Mare clausum».

Этот процесс привел к тому, что прибрежные города Черного моря оказались оторванными от центров мировой торговли.

Вместе с тем следует отметить и то обстоятельство, что в период блокирования Черного моря города Западной Грузии развиваются на той общей экономической основе, которая создала благоприятные условия для политического объединения феодальной Грузии. Города Западной Грузии Лихским перевалом были связаны с Восточной Грузией и со странами Ближнего Востока. Но эта связь Западной Грузии с восточным миром была менее интенсивной, чем Восточной Грузии. На это указывают как письменные источники, так и нумизматические данные. Если судить по распространению монетных кладов, то их количество менее значительно в Западной Грузии, чем в Восточной.

Ситуация существенно изменилась лишь во II половине XII в., когда на Черном море место ослабевшей Византии занимают венецианцы и генуэзцы. Здесь на северном побережье Черного моря и Крыма они основывают свои торговые поселения.

В XII—XIII вв. торгово-экономическое значение Черного моря было восстановлено. Но вскоре началось монгольское нашествие. Монгольские вторжения оказали свое отрицательное

влияние и на города Черного моря и оказались весьма пагубными для развития городов Западной Грузии.

Опираясь на имеющиеся в нашем распоряжении материалы, мы можем выделить следующие периоды в развитии городов Грузии IX—XII вв.

IX—X вв. — возникновение новых городов, первая половина XI в. — усиление городов в переходный период от раннефеодальной эпохи к средней, начиная с 60-х годов XI в. до конца 90-х годов того же века — упадок городов вследствие сельджукского нашествия, конец XI в. и XII в. новый расцвет городов Грузии.

В книге отдельный параграф посвящен положению Тбилиси в 1082—1122 гг. Согласно ал-Фарики в Тбилиси 1082—1122 гг. правит народ (اهل), другой же историк Сибт ибн ал-Джаузи свидетельствует о том, что власть находится в руках «молодых людей», «юношей» (شباب). Сведения последнего совпадают со сведениями ал-Фарики, однако вместо народа Сибт ибн ал-Джаузи называет «юношей».

Дело в том, что в восточных источниках «молодые люди» («фитианы», «джеванмарды») имеет социальное значение, социальный смысл. Точно так же «шабаб», встречающийся у Сибт ибн ал-Джаузи, имеет то же самое значение, что в других восточных источниках фитианы» и «джеванмарды». На этой основе нами сделан вывод о том, что «правление народа» ал-Фарики, и «правление молодежи» Сибт ибн ал-Джаузи представляют собой явление социального порядка, в котором принимали участие представители низших слоев населения.

Для иллюстрации этого явления в работе использовано не только социальное осмысление терминов «шабаб», «фитианов», и «джеванмардов» по восточным источникам, но также приведены и образцы поэзии трубадуров, в которых европейские «юноши» „jovens“ в социальном отношении отождествлены и связаны с восточными фитианами.

В 1122 г. Тбилиси вновь становится столицей грузинского государства. Давид Строитель освободил Тбилиси и присоединил его к грузинскому царству. С присоединением Тбилиси завершился процесс создания объединенного грузинского государства. С этого времени Тбилиси вновь становится столицей Грузии. В связи с этим явлением возросло как политическое, так и экономическое значение этого города.

Если до 1122 г. в Тбилиси была распространена восточная терминология, восточные городские институты — райс, амид, мухтасиб, шурта, мушриб и др., то после 1122 г. были приняты меры для их перестройки на грузинский лад. Впоследствии они вообще исчезли из обихода некоторые же из них при-

няли грузинское смысловое значение (эмир). В Тбилиси вновь было восстановлено городское правление, характерное для всех остальных городов феодальной Грузии.

По сведениям арабских и персидских источников Тбилиси большой и цветущий, благоустроенный, богатый, переполненный всякими товарами и укрепленный город.

Это подтверждают и материалы археологических раскопок.

Возросшим политическим и экономическим значением Тбилиси была вызвана финансовая реформа, проведенная Давидом Строителем. Как известно, во время его правления широкое распространение получили монеты с мусульманскими надписями. Это способствовало их распространению в мусульманском мире. Соображениями экономического характера можно объяснить те привилегии, которые Давид Строитель пожаловал мусульманскому населению.

Несмотря на малочисленность материалов, мы попытались воссоздать социальную и классовую структуру Тбилиси: «крупный купец» («дидвачари»), «глава купцов» («вачарта тавади», «вачарт-ухуцеси»), «горожанин» («мокалаке»), «житель города» («калакис мквидри», «тбилисис мквидри»), «городская беднота» («глахакни»).

Имеющиеся в нашем распоряжении материалы свидетельствуют о том, что грузинские города были связаны с торгово-магистральными путями, как с соседними странами (Азербайджан, Армения), так и с городами Ближнего и Среднего Востока (Рей, Кашан, Верамин, Куфа, Александрия и др.). Из городов Грузии (Тбилиси, Дманиси...) вывозили седла, стекло, пилы, «тбилисские ткани», шелк, привозили янтарь, драгоценные камни, меха и др.

Монеты грузинского чекана, найденные за пределами Грузии, являются неопровержимым доказательством интенсивных торгово-экономических связей с внешним миром.

В поэме Руставели «Витязь в тигровой шкуре», имеются интересные сведения, отображающие реальную действительность Грузии XI—XII вв. В поэме значительное место уделено городам, городской жизни и городскому строю. Кроме того, Руставели дает описание почти всех общественных слоев, указывает на их роль, значение и место в городской жизни: «городской люд» («калакис эри»), «крупный купец» («дидвачари»), «глава купцов» («вачарта тавади», «вачартухуцеси»), «горожанин» («мокалаке»), «городская беднота» («глахакни») и др. В поэме встречаются также интересные восточные термины — «караван», «каравансарай», «шука» (арабск. «сук»), «базар» и др., что дает возможность восстановить торговую организацию городов Ближнего Востока и систему торговых связей между раз-

ными странами Востока XI—XII вв. Из терминологии «Витязя в тигровой шкуре» нами изучены также термины «ханага» и «ариф» (то же восточного происхождения), связанные так же с городом и городской жизнью.

По мнению исследователей, Руставели выполнял функцию «мечурчлет-ухуцеси» (министр финансов). Очевидно, этим можно объяснить и тот факт, что сведения Руставели о городах XI—XII вв., их социальной структуре и экономическом положении полностью перекликаются с иными сведениями источников по истории Грузии соответствующего периода.

В период наивысшего экономического подъема грузинского государства в Грузии чеканили исключительно лишь медные монеты (до 30-ых годов XIII в.).

Вышеуказанное явление в специальной литературе известно под названием «серебряного кризиса».

О причинах «серебряного кризиса» в специальной литературе высказаны разные соображения. В 1953 г. Б. А. Литвинский высказал мнение относительно «серебряного кризиса». По его утверждению, «серебряный кризис», в первую очередь был вызван ростом городов и развитием городской жизни. Впоследствии эта формулировка была принята и развита другими нумизматами и историками (Е. А. Давидович, Р. А. Гусейнов, Б. А. Гафуров и др.).

Как отмечено в специальной литературе, XI—XII вв. были временем бурного расцвета городов, ремесла и торговли. Развитие товарного производства и денежного хозяйства требовало большого количества серебряных монет. Для удовлетворения возросших потребностей возникла необходимость в выпуске таких монет, чья номинальная цена не соответствовала их реальной стоимости.

Итак, одним из главных причин «серебряного кризиса», как утверждают некоторые исследователи, явился необычный экономический рост, интенсивное развитие городов и расширение торговли.

Вышеотмеченные явления были общими как для Грузии, так и для Средней Азии и Ближнего Востока.

Этими же причинами можно объяснить, по нашему мнению, распространение медной монеты взамен серебра в Грузии XI—XII веков.

«Серебряный кризис», наряду с другими факторами, о которых речь шла выше обусловил рост и развитие городов и городской жизни в Грузии XI—XII веков.

შინაარსი

I. წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა 8
II. საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში 19
§ 1. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში . 26
§ 2. დასავლეთ საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში . 41
§ 3. თბილისი 1082—1122 წლებში 63
III. თბილისი XII საუკუნეში 83
IV. საქართველოს ქალაქების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი XII საუკუნეში 101
V. ვეფხისტყაოსნის ურბანისტიკული ტერმინოლოგიიდან 114
§ 1. ქალაქის საზოგადოებრივი ფენები ვეფხისტყაოსნის მიხედვით 114
§ 2. ხანაგა 124
§ 3. არიფი 134
VI. XI—XII საუკუნეების საქართველოს ქალაქები და „ვერცხლის კრიზისი“ 148
Города Грузии XI—XII веков (Резюме) 166

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
. სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1710

*

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორები: კ. კუცია, ო. ცქიტიშვილი

რედაქტორი გ. ბერაძე
გამომცემლობის რედაქტორი დ. ლექავა
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ნ. შენგელია

გადაეცა წარმოებას 31.12. 1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.5.1981;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 11;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10;
უე 01105; ტირაჟი 3000; შეკვეთა № 4305;
ფასი 1 მან. 20. კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
.Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Манана Валериановна Габашвили

ГОРОДА ГРУЗИИ XI—XII ВЕКОВ

(на грузинском языке)

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ“ ᲣᲐᲮᲚᲔᲡ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲔᲛᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

ო. გ ვ ი ლ ა ვ ა, ირანის მთავრობის ცენტრალიზატორული პოლიტ
კა და მომთაბარე ტომების პრობლემა (XX საუკ. 20-ია
. წლები) 1981, ფასი 2 მან.

ი ს კ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორი
გაგრძელება, 1981, ფასი 85 კაპ.

ლ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი, კოხისა და სპენსერის ცნობები საქართ
ლოს შესახებ, 1981, ფასი 1 მან 90 კაპ.